

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ტერმინოლოგიის საკითხები

2014

სარედაქციო საბჭო:

- ა. არაბული** – ფილოლ. მეცნ. დოქტ., აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე);
- შ. აფრიდონიძე** – ფილ. მეცნ. დოქტ., ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი;
- ო. გამყრელიძე** – იურიდ. მეცნ. დოქტ., სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
- გ. გელაშვილი** – ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., ელ. ანდრონიკაშვილი სახ. ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
- გ. გოგლაშვილი** – ფილოლ. მეცნ. დოქტ., ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
- დ. თვალთვაძე** – ფილოლ. მეცნ. დოქტ., თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი;
- იგ. კიდურაძე** – მათ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე;
- გ. კვარაცხელია** – ფილ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი;
- ე. მემშარიშვილი** – გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნ. დოქტ., ტექნ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი;
- ვლ. პაპავა** – ეკონ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი, თსუ რექტორი;
- რ. შენგელია** – მედიც. მეცნ. დოქტ., პროფესორი;
- გ. შიშიგური** – ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფესორი

სარედაქციო კოლეგია:

ნ. დათეშიძე (მდივანი), **თ. ვაშაკიძე**, **ნ. მუზაშვილი**, **მ. ოსაძე**,
მ. სეხნიაშვილი, **ლ. ქაროსანიძე** (თავმჯდომარე), **ი. ჯიბუტი**

რედაქტორი **ლ. ქაროსანიძე**

კომპ. უზრუნველყოფა **რ. პაპიაშვილი**

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ტერმინოლოგიის – როგორც ცნებათა სისტემის საჭიროება და ტერმინოლოგიური ამოცანები თავს იჩენს მაშინვე და, შეიძლება ითქვას, წინაც კი უსწრებს იმ დროს, როდესაც, ერთი მხრივ, საფუძველი ეყრება სახელმწიფოებრიობას, ხოლო მეორე მხრივ – ფეხს იდგამს, პირველ ხნულს ავლებს ეროვნული მწიგნობრობა. და რაც უფრო ძლიერდება ამ ორი მიმართულებით ქვეყნის ძალისხმევა, მით უფრო მწყობრი, სისტემური ხასიათი ენიჭება ენობრივი სტანდარტების ჩამოყალიბებას. სხვათა შორის, ტერმინოლოგიური აქტივობის შემცირებაც სწორედ ამ ორი უმნიშვნელოვანესი სფეროს კრიზისთან არის განუყოფლად დაკავშირებული...

უეჭველია, რომ იმ დროს, როდესაც ენაში ჩნდება ცნებები – **მეფე, ხელმწიფე, ხელისუფალი, უფლება, ხელისუფლება, მხედრობა, საზღაური...** სახელმწიფო ორგანიზაციის შეგნება უკვე სააზროვნო, შემეცნებით სისტემად მკვიდრდება. ხოლო ქართული ქრისტიანული მწიგნობრობის პირველივე ფურცლები გვიჩვენებს ამ ახალი კულტურის მიმართულებით მაღალ ეროვნულ პოტენციალს. ორიგინალურ ქართულ მწერლობას რომ თავი დავანებოთ, ცხადია, პირველივე ქრისტიანული ტექსტის მთრგმნელი დგება ამ დილემის წინაშე: ისე-ხოვს, მექანიკურად გადმოიღოს დედნის ენიდან ის ახალი ცნებები, რომლებიც ამ ენაში უკვე შეუქმნიათ (ან თავადაც უსესხებიან), თუ საკუთარი ენის რესურსები დაახვედროს ახალ ცნებათა სისტემას, საკუთარ ენობრივ საძირეზე დაამყნოს ახალი კულტურის ყლორტები?..

სრულიად აშკარაა, რომ უამრავი ბერძნული და სხვაენოვანი ტერმინი ასე შემოვიდა ქართულში ქრისტიანული კულტურის გავრცელების კვალდაკვალ. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ის, რომ ამ პროცესის დასაწყისიდანვე და შემდგომ – მუდმივად ჩანს ძიება, მცდელობა ქართული ენის შესაძლებლობების გამოყენებისა. სწორედ ამგვარი ძიების დასტურია ის, რომ, მართალია, **დიაკონი** იმთავითვე ბერძნულიდან შემოდის, მაგრამ იმავე ქრისტიანობის გარიჟრაჟზე ქრისტიანი ღვთისმსახურის აღმნიშვნელი ორი მოცილე, სინონიმური ტერმინი ვლინდება და ორივე – ქართული: **მღდელი** და **ხუცესი**; ტერმინები, როგორც ჩანს, ნამემკვიდრევი ქრისტიანობამდელი საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობებიდან. ასევე ქართულად მკვიდრდება ცნებები: **აღდგომა, ხარება, სახარება, წირვა, მირქმა, ნა-**

თლისღება, ნათლისცემა, აღთქმა, აღსარება, ხილვა და მრავალი სხვა. ისიც აშკარაა, რომ ამგვარი ძიება მუდმივი თანმხლები ჩანს მთარგმნელობითი თუ სხვა საღვთისმეტყველო პროცესებისა. მაგალითად, იმთავითვე დამკვიდრდა ნასესხები ტერმინები **ეკლესია** და **ტაძარი**, მაგრამ სახარების ადიშური რედაქცია ადასტურებს ამ ცნების ქართული ეკვივალენტის ძიების ფაქტს: „და შევიდა იერუსალემდ **სამღდელოსა მას**“ (მარკ. 11, 11) (შდრ. DE: „შევიდა... ტაძარსა მას“). ასევე - 11, 16: „და არა ვის უფლობდა, ვითარმცა ვის შინაგანა-ქუნდა ქურჭელი სამღდელოით“.

ქართული მწიგნობრობის მთელი ისტორია დასტურია მუდმივი, მიზანმიმართული ტერმინოლოგიური ძიებისა და, რაც მთავარია, ამისათვის ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობების გამოყენებისა. საქართველოსა თუ უცხოეთში არსებული სამონასტრო-მწიგნობრული კერები, ათონის ივერთა მონასტერი, პეტრიწონის ლავრა, გელათისა და იყალთოს აკადემიები, ათონის მთის წმიდა წინამძღვარნი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და მრავალი სხვა ხილული თუ უხილავი მოღვაწე რუდუნებით ეძებდა და ავლენდა მშობლიური ენის იმ პოტენციალს, რომელიც აუცილებელი იყო მოწინავე საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრის ქართულ შემეცნებით სივრცეში დასამკვიდრებლად, ეროვნული სააზროვნო, მსოფლმხედველობრივი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ასე შეიქმნა უამრავი ცნებითი ერთეული, რომელნიც იმდენად ზუსტად მიგნებული აღმოჩნდნენ და ისე ჩაექსოვნენ ქართული ენის სიტყვა-ფორმათა სისტემაში, რომ მათი ერთგვარად ხელოვნური წარმომავლობა, გამიზნულად შექმნილობა ძნელად დასანახია. უკვე რამდენი საუკუნეა, ისინი ჩვეულებრივ ქართულ სიტყვებს, ბუნებრივ სალექსიკონო ერთეულებს წარმოადგენენ; მაგალითად:

სიტყვა, მეტყველება, მეტყველებითი, მჭევრმეტყველება, სიტყვიერება, მეტყველი, პირუტყვი...

წერილი, მწერალი, მწერლობა...

არსი, არსობა, არსებითი, არსებობა, საარსო, უარსო, არარსი, არარაობა...

გონი, გონება, გონიერი, გონიერება...

ცნობა, ცნობიერი, ცნობიერება, მეცნიერება, შემეცნება, უმეცრება...

ძლიერება, (მ)შვენიერება, უძლეულება, აგებულება, მადლიერება...

განცდა, გრძნება, გრძნობა, გრძნობიერი, მგრძნობელობა...

მსგავსი, მსგავსება, უმსგავსი, უმსგავსოება...
ხილული, სახე, სახება, სახიერი, სახიერება... ხედვა, მხედველობა...
ცნობა, ცნობადი, ცნობიერება...
მოძღვარი, მოძღვრება, სამოძღვრო, მოძღვრებითი...
წრფელი, სიწრფო, გულწრფელება... სივრცე, სიზრქე, სისრულე,
სიმარტივე...
კეთილი, უკეთური, სიკეთე, უკეთურება... უპირატესი, უპირა-
ტესობა...
მდგომარეობა, ვითარება, გარემოება, წარმოება...
მოძრავი, მოძრაობა, უძრავი, უძრაობა, საძრაობა...
ჭამადი, სუმადი, ხრწნადი, ცვალებადი, ქმნადი, ქმნადობა...
მოქმედებითი, მსგავსებითი, ხორციელი, სულიერი, მყისიერი...
გულისხმა, გულისხმიერება, უგულისხმო, უგულისხმოება...
თვითმპყრობელი, თვითმპყრობელობა, თვითმყოფლობა, თანამ-
ზრახველობა, შუამდგომ(ე)ლობა, ჭეშმარიტება, სხვადასხვაობა და
სხვ. და სხვ.

აქ წარმოდგენილი ერთეულების ზედაპირული ანალიზიც აშკარად წარმოაჩენს, თუ რაოდენ მრავალგვარი ენობრივი, სიტყვაწარმოებითი და სემანტიკური პოტენციაა ამოქმედებული ცნებათა სისტემაში ახალი, ჯერ კიდევ ცარიელი „უჯრების“ შესავსებად და რაოდენ ზუსტსა და მოქნილ ტერმინოლოგიურ ერთეულებს ვიღებთ ამ შესაძლებლობების სწორად რეალიზებისას.

სრულიად ნათელია, რომ სპეციალური და დარგობრივი ტერმინოლოგიის თავმოყრისა და ზუსტი განსაზღვრებების თვალსაზრისით განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“, მაგრამ ამ ლექსიკონის გამორჩეული როლი მაინც იმაში მდგომარეობს, რომ არსებითად პირველად მოხდა ქართულ მწიგნობრობაში დროთა განმავლობაში დაგროვილი ტერმინების სამეცნიერო კლასიფიკაცია და ცნებითი სისტემატიზაცია შინაგანი სემანტიკური კავშირების (ველების) მიხედვით. სულხან-საბას დაკვირვებები ამ თვალსაზრისით დღესაც საუკეთესო ორიენტირია ტერმინოლოგიური ამოცანების ანალიზსა და გადაწყვეტაში. ტერმინოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა XVII-XVIII საუკუნეების ქართველ ჰუმანიტართა თუ ბუნებისმეტყველთა არცთუ უმნიშვნელო მემკვიდრეობა.

XIX საუკუნის ინტენსიურმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროცესებმა, მართალია, ძირითადად ჩამორჩენილი იმპერიის პროვინციაში

მოქცეული საქართველოს გარეშე ჩაიარა, მაგრამ ინტელექტუალურად მან მაინც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ქართველი მოღვაწენი, უეჭველია, აქტიურად ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და თავიანთ პუბლიკაციებში აღბეჭდავდნენ (მათ შორის, ენობრივადაც) სამეცნიერო აზრის ინტენსიური განვითარებისა და დარგობრივი დიფერენციაციის პროცესებს. ქართველმა 60-იანელებმა, მაგალითად, არაერთი ძველი ტერმინის გააქტიურებასა და ახლის დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი; სახელდობრ, ამის დასტურია ილია ჭავჭავაძის მიერ დამკვიდრებული ცნებები: **მიმართულება, ღირებულება, სინამდვილე, შინაარსი, თვალთახედვა** და სხვ.

მაგრამ ეს პერიოდი მაინც მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართულ სამეცნიერო აზრს და, შესაბამისად, ქართული ენის განვითარებას ამ თვალსაზრისით შესაფერისი ასპარეზი და მასშტაბები მისცემოდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ტერმინოლოგიური ძიებები ცალკეულ პროფესიულ დარგებში. საყურადღებო მემკვიდრეობა დარჩა ვ. პეტრიაშვილის, პ. მელიქიშვილის, გ. ნიკოლაძის და სხვათა მოღვაწეობის შედეგად. იგრძნობა, რომ ეროვნული ენერგია რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენებისათვის ემზადება...

განსაკუთრებულ ისტორიულ ნიშანსვეტად მოველინა ქვეყანას პირველი ეროვნული უნივერსიტეტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება, უპირველეს ყოვლისა, მოასწავებდა სამეცნიერო დარგების განვითარებას სამამულო ნიადაგზე და, შესაბამისად, მეცნიერული (დარგობრივი) ენების შემუშავებას, ყოველი სპეციალობის ცნებითი ანუ ტერმინოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას; შესაბამისად, ეს მოასწავებდა ქართული სალიტერატურო (სახელმწიფო) ენის განვითარების სრულიად ახალი ეტაპის დადგომას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამგვარად, გახდა ქართული ენის პოლიფუნქციურობის, მისი სრულფასოვანი განვითარების საფუძველთა საფუძველი. ეროვნული სამეცნიერო სკოლები, რომელთაც სწორედ უნივერსიტეტის წიაღში ჩაეყარა საძირკველი, დაუყოვნებლივ მოითხოვდა სრულ ტერმინოლოგიურ უზრუნველყოფას, პროგრამებისა და კურსების დამუშავებას ეროვნული ენის საფუძველზე; და ეს მოთხოვნა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ძლიერდებოდა.

ბოდა და ფართოვდებოდა ქართული სამეცნიერო სკოლების სამოღვაწეო არე, რაც უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა ცალკეული დარგობრივი მიმართულებები. ხოლო ქართული მეცნიერული აზრის განვითარების საქმე სრულიად ახალ მასშტაბებს იძენს მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის წიაღში განვითარებული სამეცნიერო სკოლები აკადემიური სისტემის ინსტიტუტებად ყალიბდება.

ასე იქმნება ქართული სამეცნიერო ენები, დაწყებული უნივერსიტეტის პირველივე სალექციო კურსებიდან და გაგრძელებული ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სპეციალური სამუშაოებით, არსებითად, ყველა ძირითად დარგსა და სპეციალობაში – მათემატიკასა და ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიაში, ლინგვისტიკასა და ისტორია-არქეოლოგიაში, ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, იურის-პრუდენციასა და პოლიტოლოგიაში, მეტალურგიასა და არქიტექტურაში, გეოლოგიასა და მინერალოგიაში, მედიცინასა და ფარმაციაში... ერთი სიტყვით, ყველა სფეროში, რაც კი ეროვნული სახელმწიფოს სრულფასოვან ფუნქციონირებას უკავშირდება და განაპირობებს.

ეს არის დიდი მემკვიდრეობა (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე): ასზე მეტი აკადემიური სპეციალური ლექსიკონი, უამრავი მონოგრაფია ყველა ამ დარგში, სახელმძღვანელოები, დისერტაციები, სასწავლო კურსები... რაც მთავარია, ეს მემკვიდრეობა უტყუარი დასტურია იმისა, რომ ქართული ენის შესაძლებლობები ნებისმიერი ტერმინოლოგიური სირთულის დასაძლევად შემოწმებულია, გამოცდილი და განმტკიცებული. სურვილის შემთხვევაში, ეს მემკვიდრეობა უტყუარი დასაყრდენია ახლის შესაქმნელად, განვითარების ახალი ეტაპის დასაწყებად.

ისტორიულმა პროცესებმა თავისთავად განაპირობა ამ ახალი, თანამდროვე ეტაპის დაწყება. მოსამზადებელი დრო მისი დაწყებისათვის ქვეყანას არ ჰქონია. იმდენად სწრაფად და ექსტრემალურად იცვალა გეოპოლიტიკური პარადიგმა, იმდენად ინტენსიურად განვითარდა პოლიტიკური და კულტურული მოვლენები, რომ ყოველივე ამას უპირატესად მხოლოდ ძველის საფუძვლიანი მოშლა მოჰყვა, ახლით კი ან არ ჩანაცვლებულა, ანდა იმდენად ფორსირებულად ჩანაცვლდა, კარგად გააზრებაც არ მოხერხდა...

ეს პროცესები განსაკუთრებულად შეეხო განათლებისა და მეცნიერების სისტემას. თითქმის არ არსებობს დღეისათვის დარგი და სფერო, რომელსაც პროფესიული, დარგობრივი ენის რეფორმის მწვავე აუცილებლობა არ ჰქონდეს, რომელსაც ახალი დარგობრივი ტერ-

მინოლოგიური ლექსიკონი არ სჭირდებოდა. თანამედროვე საქართველოში ძირითადად სწორედ ამ დარგობრივმა „თეთრმა ლაქებმა“ შექმნა სახელმწიფო ენის ის კრიზისი, რომლის დაძლევის აუცილებლობას დღეს ყველა ხედავს და აღიარებს.

ამ თვალსაზრისით ისტორია მართლაც ყველაზე საიმედო ორიენტირია. როდესაც ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ქართული ენის ხანგრძლივ, ფაქტობრივ უწყვეტ, გამოცდილებას ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან XX საუკუნებამდე, ეს მხოლოდ კონკრეტული მაგალითების წარმოჩენა არ არის, ეს არის ისტორიული ცოდნა იმისა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, როგორ შეიძლება (და უნდა) წარიმართოს პროცესები, როდესაც კარდინალურად იცვლება პოლიტიკური და კულტურული განვითარების სისტემა და მიმართულება. სწორედ ამის მაგალითია ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიც, ქართული შუა საუკუნეებიც და XIX-XX საუკუნეც, როდესაც ფაქტობრივი ახალი სახელმწიფოებრივი ხედვის ფორმირების პირობებში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა სწორი და მიზანმიმართული ენობრივი პოლიტიკა.

სწორედ ამ ისტორიული გამოცდილებისა და მდიდარი მემკვიდრეობის საფუძველზე, გარდამტეხ ეპოქათა გაკვეთილების გათვალისწინებით, ქვეყნის უახლესი საგანმანათლებლო ამოცანა დარგობრივი ენების უსწრაფეს ჩამოყალიბებასთან, ახალი ტერმინოლოგიის მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული. სწორედ აქ იყრის თავს პროფესიული განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამამულო ამოცანები და ეს უნდა იყოს სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილი...

ამ მიმართულებით მართლაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია წარმომადგენლობით **ტერმინოლოგიურ საბჭოს ენათმეცნიერების ინსტიტუტთან** და პირველ სპეციალურ კრებულს „**ტერმინოლოგიის საკითხები**“. მან უნდა შეკრიბოს და ერთი მიმართულებით წარმართოს ყველა აზრი და მცდელობა იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც თანამედროვე ეროვნული სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცის მოსაწესრიგებლად არის აუცილებელი. იმედია, ის შეძლებს ამ როლის შესრულებას.

ავთანდილ არაბული

ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე, თეა ზურჭულაძე

ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)

საერთაშორისო საინფორმაციო ენის ფართოდ გავრცელებამ, ენობრივი და ინფორმაციული ეკონომიის საყოველთაო ტენდენციამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოსაგვარებელ პრობლემათა რიგში ბუნებრივად დააყენა უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური ენებისათვის ესოდენ ნიშანდობლივი აკრონიმებისა და აბრევიატურების ქართულად გადმოღებისა და გადმოცემის საკითხი. კერძოდ, აქტუალურია როგორც მრავალრიცხოვან უცხო შემოკლებათა ქართულად გადმოცემისა (დაწერილობისა) და გამოთქმის, ისე მათი ქართული შესატყვისების მიზანმიმართული წარმოების (გადმოღების) პრობლემა.

სიტყვის შემოკლება მწიგნობრულ ენათა უძველესი ტრადიციაა. იმთავითვე ის უპირატესად საწერი საშუალებებისა და დროის ეკონომიას ემსახურებოდა. შესამოკლებლად შეირჩეოდა განსაკუთრებით ხშირად ხმარებული სიტყვები და მწიგნობართა წრეში ასე მკვიდრდებოდა სტანდარტული შემოკლებები და ისინი ხელნაწერიდან ხელნაწერში გადადიოდა. მაგალითად, ძველი ქართული ხელნაწერები სავსეა სპეციალური ნიშნით გამოხატული შემოკლებული სიტყვებით, რომლებსაც ქარაგმებს უწოდებენ: **რ̄ა** – რადთა, **ვ̄ა** – ვითარცა, **ღ̄ი** – ღმერთი, **ა̄დ** – არამედ, **ა̄ნ** – ამენ, **რ̄** – რამეთუ და სხვ.

სიტყვათა შემოკლებამ თანამედროვე ეპოქაში, როცა ზემოაღნიშნული ეკონომიის ინტერესი აღარ არის არსებითი, გარკვეული სამეცნიერო ტექნიკური სტილის ნიშნები შეიძინა. პრესა, ტელე- და ინტერნეტსივრცე, რეკლამები, აბრევზე გამოფენილი წარწერები, საკანონმდებლო ენა, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ნაშრომები თუ პროექტები სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ის სფეროებია, რომლებიც სიტყვათშემოკლებათა მთელ სისტემას წარმოგვიდგენს. ამგვარი „პირობითი ენა“ დღევანდელ ვითარებაში იმდენად მრავალრიცხოვანი და ნაირგვარია, რომ ცალკე ლექსიკონის შექმნასაც საჭიროებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს სიტყვათა შემოკლებებისა და აბრევიატურების მართლწერის საკითხები საქართველოში. საამისოდ კი, უპირველეს

ყოვლისა, საჭიროა ყველა სახის ახლად შემოსული სიტყვათშემოკლებისათვის შესაბამისი წესების დადგენა (რომლებიც ფაქტობრივად ნორმატიულ ფუნქციას შეასრულებს ამ სფეროში). მათი გათვალისწინებით ჩასწორდება და გაიმართება ყველა ახლად შექმნილი თუ შემოსული აბრევიატურა და შემოკლებული სიტყვა. ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს აღნიშნული სფეროს გამოწვლილვით შესწავლასა და ანალიზს, რათა ნიადაგი მომზადდეს სიტყვათშემოკლებათა ქართულისათვის ბუნებრივი და მოქნილი წესების შესამუშავებლად.

ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა აუცილებლად მოითხოვს აბრევიაციის ქართული ენის ბუნებისათვის ორგანული, მისაღები წესების ჩამოყალიბებას. სწორედ ამ წესებმა უნდა უზრუნველყოს, ჯერ ერთი, ენაში დღემდე არსებული სიჭრელის, არაერთგვაროვნების მოგვარება, სხვადასხვა გზითა და ფორმით დამკვიდრებულ ერთეულთა უნიფიცირება, მეორე მხრივ – იმ მექანიზმის ამოქმედება, რომელიც შესაძლებელს გახდის ახალი აკრონიმისა თუ აბრევიატურის შექმნისთანავე მოვალეობით ის ქართული ენის ნორმატიულ ჩარჩოებში და ამით შევზღუდოთ აღნიშნული ტიპის ერთეულების უკონტროლო გავრცელება და დაწერილობის სიჭრელე.

ქართულში სიტყვათა შემოკლების რამდენიმე სახეობა გვაქვს:

ა) ნებისმიერი რეგულარულად ხმარებული საზოგადო სახელის შემოკლება (მაგ., მისამართის მითითების დროს: **კვარტ.** – კვარტალი, **სართ.** – სართული...);

ბ) სახელისა და მამის სახელის (ზოგჯერ გვარისაც) ინიციალებით გამოხატვა (**ა.** წერეთელი, **ივ.** ჯავახიშვილი, **ლ. ნ.** ტოლსტოი, **ი. ჭ.**);

გ) სხვადასხვა სახის ტექსტობრივი შემოკლებანი (**გვ.** – გვერდი, **შდრ.** – შეადარე, **ე. წ.** – ეგრეთ წოდებული...);

დ) წოდებათა და თანამდებობათა აღმნიშვნელი სახელების შემოკლებანი (**აკად.** – აკადემიკოსი, **ლაბ.** – ლაბორანტი...) და სხვ.

სიტყვათშემოკლების განსხვავებული სახეობაა აბრევიატურები. ამ შემთხვევაში ორი ან რამდენიმესიტყვიანი სახელწოდება მოკლდება შემადგენელ სიტყვათა პირველი ასო-ბგერებისა თუ მარცვლების (აგრეთვე ბგერათკომპლექსების) შეერთებით (**თემქა** – თბილისის ელმავალშემნებელი **ქარხანა**, **ჰესი** – ჰიდროელექტროსადგური...).

თანამედროვე ქართულში საკმაოდ მრავლად დასტურდება უცხო ენებიდან შემოსული აბრევიატურები (**იუნესკო** – UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – გაერთიან-

ნებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში; **ერ-ტე-ერი** – **PTP** – Российское телерадиовещание...).

პრესაში, რეკლამებსა და ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში აბრევიატურები დიდი სიჭრელით გამოირჩევა. დასტურდება წერტილებიანი (**ა. პე. ენი.**) ან უწერტილო და ერთად დაწერილი (**აპენი**), დეფისებიანი (**ენ-ტე-ვე**) ან უდეფისო (**ენტევე**), ბრჭყალებიანი („**ოპე-კი**“) ან უბრჭყალებო (**ო-პე-კი**) ვარიანტები (**ა-პე-ენი** – **АПН**: Агентство печати „Новости“ – რუსეთის საინფორმაციო სააგენტო; **ენ-ტე-ვე** – **НТВ**: Независимое телевидение; **ოპეკი** – **OPEC**: Organization of Petroleum Exporting Countries: ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია).

შეცდომები კიდევ უფრო იმატებს, როცა ასეთი ერთეულები წინადადების წევრად გვევლინება და აუცილებელი ხდება აბრევიატურების ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმება. მაგ., გვხვდება შემდეგი სახის დაწერილობანი: **სიენენ-მა, სი-ენ-ენ-მა, „სი-ენ-ენ-იმ“, „სიენენ“-იმ, „სიენენი“-მ; „სიენენ“-ზე, სი-ენ-ენ-ზე, „სი-ენ-ენ-ი“-ზე...** (**სი-ენ-ენი** – **CNN**: Cable News Network – აშშ-ის ახალი ამბების სატელევიზიო კომპანია); **ენზისი-მ, ენ-ბი-სი-მ, ენზის-იმ, „ენზი-სი“-მ, „ენ-ბი-სი“-მ, ენზისიმ** და მრავალი სხვა.

ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის აუცილებლობა უდავოა. საამისოდ კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აბრევიაციის წესების შემუშავება, რომლებიც უნდა ეფუძნებოდეს ქართული ენის ფონემატურ (resp. მორფოფონემატურ) კანონებს და წარმოადგენდეს საფეხურებრივ ურთიერთშემავსებელ სისტემას.

წარმოგიდგენთ ქართული აბრევიატურების შედგენისა და გადმოცემის რამდენიმე ძირითად წესს:

1. აბრევიატურა შედგება მრავალსიტყვიანი სახელწოდების კომპონენტთა პირველი ასო-ბგერებისა ან, აუცილებლობის შემთხვევაში, პირველი ღია მარცვლებისაგან.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში ბოლო სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სრულად ან შემოკლებულად (პედსაბჭო...)

2. აბრევიატურა იკითხება ისევე, როგორც იწერება და – პირიქით.

3. აბრევიატურა იწერება ერთ სიტყვად, სასვენი ნიშნების გარეშე.

4. აბრევიატურებისათვის ამოსავალი შესიტყვების (სახელწოდების) ბოლო კომპონენტი წარმოდგენილია პირველი ღია მარცვლის სახით (მაგ., დამატებითი ღირებულების გადასახადი – **დადგა**).

შენიშვნა 1: ამ მარცვლის ბოლო ხმოვანი არის აბრევიატურის

ფუძის ნაწილი, რომელიც უკვეცელია (**დაღვასი**).

შენიშვნა 2: თუ ბოლო კომპონენტის პირველი მარცვალი შეიცავს თანხმომავანთკომპლექსს, აბრევიატურაში შევა მხოლოდ პირველი თანხმომავანი.

5. აბრევიატურის შიდა გახმომავანების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია:

ა) თუ აბრევიატურის შემადგენელ ასო-ბგერებს შორის ბუნებრივად აღმოჩნდება რომელიმე კომპონენტის დასაწყისი ხმომავანი, აბრევიატურის დამატებითი გახმომავანების საკითხი, ბუნებრივია, არ დაისმის (**თემქა**).

შენიშვნა: თანხმომავანთკომპლექსი მისაღებია, თუ ის ექვემდებარება ქართული ენის ფონოტაქტიკის წესებს.

ბ) თუ აბრევიატურის შედგენისას წარმოქმნილი თანხმომავანთკომპლექსი მისაღები არ არის, იხსნება პირველი სიტყვის პირველი ღია მარცვალი: **ცესკო** (ცენტრალური საარჩევნო კომისია), **დასთა** (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), **დაღვა** (დამატებითი ღირებულების გადასახადი), **ციგმა** (ციფრული გამომთვლელი მანქანა) და სხვ.

გ) თუკი მეოთხე და მეხუთე (ბ) წესების გამოყენების შემდეგ კვლავ იქმნება მიუღებელი თანხმომავანთკომპლექსი, დამატებით გაიხსნება ამ სიტყვის პირველი ღია მარცვალიც, რომელიც აღნიშნულ დაბრკოლებას ქმნის.

6. თუ ამ წესების საფუძველზე შედგენილი აბრევიატურა გარკვეულ უხერხულობას ქმნის ომონიმურობის ან სკაბრეზულობის თვალსაზრისით, მაშინ შემოგვაქვს დამატებითი მარცვლოვნობა ან უარს ვამბობთ ერთ-ერთ იმ წესზე, რომელიც ქმნის ამ უხერხულობას. მაგალითად, **ციფრული დიფერენციალური ანალიზი** შეიძლება ასე შემოკლდეს: **ცდა, ციდა**, მაგრამ ომონიმურობის გამო უმჯობესი იქნება **ციფდა**.

7. უკვე დამკვიდრებული ქართული აბრევიატურები, რომლებიც ამ წესებს არ აკმაყოფილებს, შეიძლება დარჩეს უცვლელად.

ალტერნატიული ვარიანტი:

თანხმომავანზე დაბოლოებული ყველა აბრევიატურა გაფორმდეს -ო სუფიქსით: **ცესკო** (ცენტრალური საარჩევნო კომისია), **ამო** (ამოუცნობი მფრინავი ობიექტი) და სხვ.

-ო-ს სასარგებლოდ უნდა ითქვას:

ა) უნიფიკაცია დაბოლოების საკითხს გაამარტივებს;

ბ) -**ი** შექმნის ერთფეროვნებას ბრუნვის ფორმასთან ასოცირების გამო (იგი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბრუნვის ნიშნად, ისე ფუძისეულ ხმოვნად);

გ) -**ო** უკვეცელია და ამიტომ უფრო მყარია;

დ) -**ო**-ს მეტი მიდრეკილება აქვს სუფიქსობისაკენ;

ე) -**ო** უშუალოდ საკუთარ სახელებში აქტიურად გვხვდება როგორც დაბოლოება და როგორც კნინობითობის მაწარმოებელი (როგორც წოდებითში სხვა ბრუნვათაგან ცალკე მდგომი).

უცხოური აბრევიატურების ქართულად გადმოცემის წესებია:

1. უცხოური აბრევიატურა იწერება ქართული ასოებით (ტრანსლიტერაციით).

2. უცხოური აბრევიატურის ქართული დაწერილობა უნდა შეესაბამებოდეს მის საერთაშორისო (უცხოურ) გამოთქმას (**ნატო...**).

3. აბრევიატურა უნდა დაიწეროს ერთ სიტყვად – დეფისების, წერტილებისა და ბრჭყალების გარეშე (**თიბისი...**).

4. თანხმოდან ფუძიან უცხოურ აბრევიატურას დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**სიენენი...**).

თანამედროვე ოფიციალურ-საქმიანი და სპეციალური ენების განვითარების ყველაზე შესაძინევი ტენდენცია სიტყვათშემოკლებებთანაა დაკავშირებული. აბრევიაციათა ფართოდ გამოყენება ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრების ტემპისა და ინტენსივობის მიმართ ენის ბუნებრივი რეაქცია, დროით გამოწვეული ენობრივი პროცესია.

ერთიანი სისტემური წესების არარსებობის პირობებში სიტყვათშემოკლებათა უსისტემოდ, ქაოსურად შექმნა და გამოყენება ქართულის დამახინჯების ერთ-ერთი სამწუხარო ფაქტია, ხოლო მართებულად შედგენილი აბრევიატურები და აკრონიმები ენობრივი პოტენციალის დროულ გამოვლინებას წარმოადგენს.

სიტყვათშემოკლებათა საერთაშორისოდ აღიარებული მყარი თეორია არ არსებობს. ამის მიზეზ-შედეგი (სხვა თანაბარ პირობებში) თვით ეროვნული ენების ანბანთა სახელწოდებებია. არსებობს ორგვარი სიტყვათშემოკლება: გრაფიკული და ლექსიკური. გრაფიკული, ბუნებრივია, მხოლოდ წერისას გამოიყენება, ხოლო ლექსიკური სახის აბრევიატურა, უპირველეს ყოვლისა, ინიციალური ტიპისაა, მაშასადამე, შედგება (როგორც უკვე ითქვა) შესამოკლებელი სიტყვების პირველი ასოებისაგან (ან მარცვლებისაგან).

მეცნიერულ დარგებში აბრევიატურა, როგორც ცნობილია, პირველად ლათინური ანბანის მქონე ქვეყნებში დაინერგა. ეს განპირობა ამ

ენების სტრუქტურულმა ბუნებამ და ანბანთსისტემამ.

აბრევიატურებს, სამწუხაროდ, ჟურნალისტები თუ სხვა დარგის სპეციალისტები სტიქიურად ქმნიან – გრამატიკული წესების დაუცველად. უსისტემოდ, ქაოსურად სიტყვათშემოკლების შემოტანა ენისთვის მეტად საზიანო ქმედებაა. მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად კი ჩვენ ერთი მიზნისკენ მიმავალი საქმიანობით – ქართული ენის ნორმების დაცვით – უნდა შევიმუშაოთ შემოკლებული სიტყვებისა და აბრევიატურების მართლწერის წესები. ამავდროულად უნდა გასწორდეს არსებული რეკლამებისა და ფირნიშების წარწერები, სლენგისა და სოციალური ჟარგონის დონეზე დაყვანილი აბრევიატურები.

რა თქმა უნდა, თავიდან უნდა ავიცილოთ სიტყვათშემოკლებათა ქართული ასო-ნიშნების ლათინურ-რუსული ანბანური სახელწოდებებით „წაკითხვისა“ და ამის ბაზაზე უცხოენოვანი მოდელის შემოტანის მცდელობა.

ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი შემდეგი პრინციპებით აიგება:

1. ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება სიტყვათშემოკლების ყველა სახეობა. თითოეულ ორთოგრამას (შემოკლებულ სიტყვასა თუ სიტყვებს) მიეწერება შესაბამისი გამიფრული ვარიანტი (მითითებული იქნება მათი უცხოური სრული დასახელებაც), მაგ., **სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე; **ფიდე** – **FIDE**: Fédération Internationale des Échecs – ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია...

2. დამოუკიდებელ სიტყვებად ქცეულ აბრევიატურებს ფრჩხილებში მიეთითება ბრუნვის ნიშნებით, თანდებულებით, ნაწილაკებით, აგრეთვე – თანდებულებითა და ნაწილაკებით გაფორმებული ვარიანტები (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება მოკლე კომენტარი თუ რეკომენდაცია): სახ. **თელასი**, მოთხრ. **თელასმა**, მიც. **თელასს(ა)**, ნათ. **თელასის(ა)**, მოქმ. **თელასით(ა)**, ვით. **თელასად**; **თელასში**, **თელასზე**, **თელასთან**, **თელასის(ა)გან**, **თელასის(ა)კენ**, **თელასის(ა)თვის**, **თელასიდან**, **თელასამდე**; **თელასიც**, **თელასმაც**, **თელასსაც**...

3. ტიპობრივი შეცდომები გასწორებული იქნება „და არა“, „კი არა“ აღნიშვნათა გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს, საინტერესო სიტყვა იპოვოს არა მხოლოდ სწორი, არამედ უმართებულო ფორმის მიხედვითაც (მეტადრე მაშინ, როცა მართებული და მცდარი ვარიანტების ანბანური რიგი ერთმანეთს არ ემთხვევა).

4. მართებულ ფორმებს ფრჩხილებში მიეწერება დასაშვები ვარიანტებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პირველი აბრევიატურული ტიპის ლექსიკონი გამოიცა ლონდონში 1886 წელს. დღეს ამ სახის ლექსიკონები ფართოდ გამოიყენება უცხოეთში. შემოთავაზებული ნაშრომი (**ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი**) იქნება პირველი ამ სახის ლექსიკონი საქართველოში.

ლიტერატურა

- ა. არაბული**, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2009
ე. ბაბუნაშვილი, კვლავ აბრევიატურების შესახებ ქართულში, ბურჯი ეროვნებისა, №3, თბ., 2000.
რ. ბერულავა, ქართულ სიტყვათშემოკლებათა წესების ძველი და ახალი სისტემები, ბურჯი ეროვნებისა, №3, თბ., 2000.
რ. ბერულავა, თ. ბერულავა, უცხოენოვანი აბრევიატურებისა და აკრონიმების შესატყვისი ქართული სიტყვათშემოკლებათა წესები. – Грузинско-англо-русский толковый словарь, Тб., 1999.

Avtandil Arabuli, Tamar Vashakidze, Tea Burchuladze

Vocabulary of Georgian Word Abbreviations (building principles)

Summary

Since the ancient times word-shortening has been used in the literary languages for the purpose of saving of material (parchment, paper...) and time. From this standpoint the abbreviation rules (**r~a** „in order“, **v~a** „because“, **γ~i** „God“...) attested in the Georgian literary works are noteworthy.

Today word-shortening became a characteristic feature of scientific-technical style. Press, TV, internet, commercials, inscription displayed on the banners, a legislative language, official and business documents, scholarly

works and projects of various fields are those spheres of a state language's functioning which present a whole word-shortening system.

In Georgian there are several types of word-shortening: a) shortening of any word (e. g. during the time reference: **kvarť.** – „block“, **sart.** „floor“...); b) initials expression of a name and a middle name (surname, as well) (e.g. **A.Tsereteli, Iv. Javakhishvili, L. N. Tolstoy, I. Ch.** ...); c) different text abbreviations (**gv.** – „page“, **šdr.** „compare“, **e. c.** „so called“...); d) shortening of the names denoting titles and positions (**aķad.** „academician“, **lab.** „laboratory assistant“...); e) shortening of the names denoting time, weight and length measures (**cm.** „second“, **st.** „hour“, **gr.** „gram“, **sm.** „centimeter“...).

Abbreviations are different type of word-shortening. In this case a name with two or more words is shortened by separating of the first letters and syllables (sound-complexes, as well) (**temka** – Tbilisi Electric-locomotive Building Factory, **hesi** – Hydro Electric Station...).

In the Modern Georgian language there are a large number of foreign abbreviations (**iunesķo** – UNESCO, **er-ťe-eri** – **PTP**: Russian Tele-Radio Broadcast...).

In press, commercials and official/business documents abbreviation is characterized by diversity. There are attested the variants: with dots (**a.pe.eni** – Russian Informational Agency) and without dots (**apeeni**), with one hyphen (**en-ťeve** – HTB: Independent TV), without a hyphen (**enťeve**), with quote marks (**„opeķi“** – OPEC: Organization of Petroleum Exporting Countries) and without quote marks, with a dash (**o-pe-ķi**).

Errors increase when it needs to write abbreviations with case markers and post-positions: e.g. **sienen-ma, si-en-en-ma, „si-en-en-i“-m, „sienenen“-im, „sieneni“-m; „si-en-en“-ze, „si-en-en-i“-ze...** (CNN: Cable News Network).

Need of compiling **dictionary of Georgian word abbreviations** is undisputed.

1. A dictionary will consider all types of word shortenings. Each orthogram (abbreviated word or words will be submitted with relevant decoded variant (foreign full name will be given, as well), e.g. **smam** – „Bulletin of the Georgian Academy of Sciences“), **pide** – FIDE: Fédération Internationale des Échecs.

2. The abbreviates which have turned into independent words will be given with the variants with case markers, post-positions, particles in the brackets. If needed, a brief comment or recommendation will be submitted, e.g. **telasi**, Narrative – **telasma**, Dative – **telass**, Genitive – **telasis**, Instrumental – **telasit**, Adverbial – **telasad; trlasši, telasze, telasisavit, telastan, telasis(a)gan, telasis(a)ķen, telasis(a)tvīs, telasidan, telasamde, telasic, telasmac, telassac...**

3. Standard errors will be corrected using **da ara** – „and not“ and **ķi**

ara „not“ notes that will give an user to search interesting for him/her a word not only according to correct but incorrect form (especially then when an alphabet order of correct and incorrect variants does not coincide with each other), (e.g. **si-ai-ei** [and not **ce-er-u**, **ceeru**, **ce-re-u**], a letter **c** will show: [not **ce-er-u**, **ceeru**, **ce-re-u**] **si-ai-ei** (CIA: Central Intelligence Agency).

4. Other acceptable variants will be given in the brackets at the correct forms (if any exists): **ka-ge-be** (// **kaqebe**) (non-syncoating: Gen. – **ka-ge-bes(i)**, Instrumental – **ka-ge-beti...**).

The proposed work (**Dictionary of Georgian word abbreviations**) will be the first dictionary of this kind.

გიორგი ანთელავა

უცხოენოვანი ნასესხები ლექსიკის ადგილი თურქული ტერმინოლოგიის განვითარების პროცესში

რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ (1923 წლის 29 ოქტომბერს) თურქეთში დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების პროცესი. ქვეყანა დაადგა განახლების გზას. თურქეთისათვის, რომელიც XX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერია იყო, ამ რეფორმებით განისაზღვრა ევროპაზე ორიენტირებული ქვეყნის მომავალი განვითარების გზა.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თურქული ენა განიცდიდა აღმოსავლური და დასავლური განსხვავებული სისტემების ენათა ძლიერ გავლენას. შეიძლება ითქვას, რომ თურქული ენის ლექსიკურ ფონდში ნათლად აირეკლა ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. წარმომავლობის მიხედვით ნასესხები ლექსიკა დღევანდელ თურქულში წარმოდგენილია არაბული, სპარსული, ბერძნული, იტალიური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და სხვა ენებიდან შემოსული სიტყვებით. ამათგან არაბული და სპარსული საფუძვლად დაედო ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო/ოფიციალური ენის *osmanlıca*-ს (ოსმალური ენა) ჩამოყალიბებას. „მაღალი სტილის“ (*fasih türkçe*) ამ „ნარეკმა“ ენამ (*melez dil*), რომელშიც საკუთრივ თურქული ლექსიკურ-გრამატიკული ელემენტი ნულამდე იყო დაყვანილი, უდიდესი გავლენა იქონია თურქული კულტურის განვითარებაზე.

ოსმალურში არაბულ-სპარსული ლექსიკის დამკვიდრება პირდაპირ უკავშირდება თურქული ტომების პროგრესულ ისლამიზაციას (არა უგვიანეს X საუკუნისა). პროფ. ნ. დმიტრიევი შენიშნავს, რომ „ისლამმა, რომელმაც შეცვალა ძველი შამანიზმი, ძლიერი დალი დაასვა თურქულ ლექსიკას“ (დმიტრიევი, 1960: 26). არაბული ენა ყურანის ენაა. ყურანთან ერთად თურქულში შემოვიდა არაბული ანბანი და არაბული ენა, როგორც რელიგიის სამართლის, მეცნიერების, განათლების, მედიცინის, ფინანსურ-ეკონომიკური, ადმინისტრაციის ენა, რამაც განაპირობა თურქულში შესაბამისი მიმართულებების თუ დარგების ტერმინოლოგიის დამკვიდრება. ოსმალური პერიოდის თურქულ ლიტერატურაზე უდიდესი გავლენა იქონია სპარსულმა

ლიტერატურამ, რომლის „ტყვეობაში“ აღმოჩნდნენ შუა საუკუნეების თურქი პოეტები. ოსმალურში სპარსული ლექსიკის გავრცელებას უთუოდ ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ სპარსული „მაღალი პორტას“ (სულთნის კარის) ოფიციალური ენა იყო.

ბიზანტიასთან და შემდგომ საბერძნეთთან ხანგრძლივი, გაცხოველებული ურთიერთობები შესაბამისად აისახა თურქულ ლექსიკაში. უმთავრესად ეს არის საზღვაო, ყოფითი ხასიათის ტერმინები, თევზების, მცენარეების სახელები. ბერძნულიდანაა აღებული აგრეთვე ქრისტიანული რელიგიური ტერმინებიც.

XV საუკუნიდან მოყოლებული იტალიის რესპუბლიკებთან ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგად თურქულში შემოვიდა იტალიური სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ძირითადად ეს სავაჭრო, საზღვაო-სანაოსნო, სამრეწველო, ფინანსური, მუსიკალური ტერმინებია. აღსანიშნავია, რომ თურქული ეროვნული ფულის ერთეულის სახელწოდება – ლირა (lira) იტალიურია.

ფრანგულ ლექსიკას თურქულში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ენაში ფრანგული ელემენტის შემოსვლა უშუალოდაა დაკავშირებული ოსმალეთის იმპერიასა და საფრანგეთს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებულ ურთიერთობებთან. სულეიმან I, სელიმ III, მაჰმუდ II ფართოდ გაუღეს კარები ფრანგებს, რომლებმაც ახალ კულტურასთან ერთად ენაში ახალი ლექსიკა შემოიტანეს.

ევროპისაკენ კულტურული ორიენტაცია განსაკუთრებით გაძლიერდა თანზიმათის ეპოქასა და „ახალგაზრდა თურქების“ მმართველობის პერიოდში, რაც შესაბამისად აისახა ენაში. ამ დროს ენაში შემოსული უცხოენოვანი ლექსიკა გამოხატავდა თურქულისათვის სრულიად უცხო ან ნაკლებად ცნობილ რეალიებს (ტექნიკის, სამხედრო, ყოფითი, ფუფუნების საგნების, ტანსაცმლის, ხელოვნების და ა.შ.). განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული ცნებების გამომხატველი სიტყვა-ტერმინების მოზღვავება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ფრანგულმა სიტყვებმა ენიდან „განდევნა“ ბევრი არაბიზმი. XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ენაში ფრანგული ლექსიკის რაოდენობამ, გაზრდილმა ფრანგულმა კულტურულმა გავლენამ ფრანგული ენა ქვეყნის ლამის მეორე ენად აქცია.

ერთი შეხედვით, ერთობ უცნაურია, რომ მიუხედავად გერმანიასთან საკმაოდ აქტიური ურთიერთობებისა, პირველ მსოფლიო ომამდე და „ახალგაზრდა თურქების“ ბატონობის დროს, გერმანული

ლექსიკა თურქულში პრაქტიკულად არ შემოსულა. რამდენიმე სამხედრო, ტექნიკურმა, წიაღისეული ნედლეულის აღმნიშვნელმა სიტყვა-ტერმინმა ენის ლექსიკის სურათი ვერ შეცვალა. ვფიქრობთ, ეს შეიძლება აიხსნას გერმანული სიტყვების გამოთქმის სირთულითაც.

ცალკე საუბრის თემა ინგლისური ლექსიკა, რომლის რაოდენობა თურქულში მეორე მსოფლიო ომამდე მეტად მცირე იყო (უმთავრესად საზღვაო, საზღვაო-სამხედრო, სავაჭრო, პოლიტიკური, სპორტული სიტყვა-ტერმინები). ანგლიციზმების რაოდენობა განსაკუთრებით მომრავლდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუ გავითვალისწინებთ უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების რაოდენობას და იმას, რომ მათი დიდი ნაწილი ტერმინების კატეგორიას ეკუთვნის, ჩნდება კითხვა: საერთოდ არსებობს თუ არა თურქული ტერმინოლოგია? მკვლევარი აგიაჰ ლევენდი შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იყო საკუთრივ თურქული ტერმინების დამეზნა/შექმნის ერთგვარი მცდელობა. მაგალითისთვის მას მოჰყავს რამდენიმე ტერმინი (ძირითადად, დიალექტებიდან), რომელთაც უნდა შეეცვალათ ადამიანის სხეულის ნაწილების/ორგანოების და ზოგიერთი სნეულების არაბული სახელები, თუმცა ამ მცდელობას გაგრძელება არ ჰქონია (ლევენდი, 1949: 13). ვერც სხვადასხვა დროის მწერლებმა, მეცნიერებმა, კულტურის მოღვაწეებმა, რომლებიც ძლიერ განიცდიდნენ ენაში შექმნილ მდგომარეობას, ვერ მიაღწიეს თურქული ენის „გამარტივებას“ (sadeleşme ანუ თურქული სალიტერატურო ენის „გათავისუფლებას“ უცხო სიტყვებისა და ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციებისაგან). ამის უპირველესი მიზეზი იყო არაბული ენის საკრალურობა და უდიდესი ავტორიტეტი.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ უშუალოდ ქემალ ათათურქის ინიციატივით და მალისხმევით ენის პრობლემა სახელმწიფო მნიშვნელობისა გახდა. ქემალისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა სწორედ ენის რეფორმა (Dil Devrimi) იყო. 1932 წლის 12 ივლისს დაარსდა თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება (Türk Dil Kurumu), რომელსაც ევალეზოდა ამ რეფორმის განხორციელება. საზოგადოების დაარსების დღიდან დაიწყო მიზანდასახული ბრძოლა „თურქულ ენაში უცხო ლექსიკის ბატონობის წინააღმდეგ“.

საზოგადოებამ მიიღო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ენის ყოველმხრივ კვლევას. ფართო მეცნიერული მუშაობა წარიმართა არაბულ-სპარსული სიტყვების, ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქ-

ციების თურქული შესატყვისების დადგენისა და შემუშავების მიმართულებით იმისთვის, რომ „მეცნიერების და კულტურის ნებისმიერი ცნება ხალხისთვის გასაგები გამხდარიყო“ (ანთელავა, 2010-2011: 505).

III ლინგვისტური კონგრესის (გაიხსნა 1936 წლის 24 აგვისტოს) შემდეგ ათათურქის მითითებით დაიწყო სისტემური მუშაობა თურქული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა/დადგენისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მათემატიკის, საბუნებისმეტყველო/სამედიცინო და ტექნიკის ტერმინოლოგიას. საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ დადგენილი ტერმინები 1937-1938 წლებში შეიტანეს სხვადასხვა ტიპის სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში. ამ ტერმინების ნაწილი ენაში დამკვიდრდა. თუმცა მათი დიდი ნაწილი ენაში ვერ იგუა აშკარა ხელოვნურობის გამო.

ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა, შეფერხებული მეორე მსოფლიო ომის დროს, განახლდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. გამოიცა მაღალ სამეცნიერო-ლექსიკოგრაფიულ დონეზე იურიდიული, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საენათმეცნიერო, ტექნიკური, მათემატიკური, სპორტული ტერმინების ლექსიკონები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსიკონებში შეტანილი ტერმინების უმრავლესობამ ენაში ფეხი ვერ მოიკიდა და დარჩა სალექსიკონო ერთეულებად.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს პროცესები კიდევ უფრო გააქტიურდა XX საუკუნის დამლევს და დღესაც მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ბუნებრივია, რომ ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უახლესი პერიოდის თურქულ ენაზე, რაც გამოიხატა, პირველ რიგში, მასში უცხოენოვანი (ძირითადად, ანგლო-ამერიკული) ლექსიკის მოჭარბებით. ეს ნათლად დასტურდება პრესის, რადიო-ტელევიზიის და სხვადასხვა დარგის სამეცნიერო (ნაკლებად, მხატვრული) ლიტერატურის ენით. თურქი ენათმეცნიერი თაჰსინ ბანგუოღლუ აღნიშნავდა, რომ „თურქი ხალხის განვითარებასთან ერთად ენაში იზრდება ინგლისური და საერთაშორისო ლექსიკის (მეტწილად სამეცნიერო ტერმინების) რაოდენობა. თანამედროვე თურქულში ნასესხები სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინების რიცხვი აღემატება თურქულძირებიანი სიტყვების რაოდენობას“ (ბანგოღლუ, 1974).

დღეს თურქულ ენაში შემოსული ანგლიციზმები ქმნიან თემა-

ტურად განსხვავებულ ლექსიკური ერთეულების ჯგუფებს. ეს ჯგუფებია:

1. სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც სისტემატიზირებულია საგნობრივ-თემატური ქვეჯგუფებით, როგორიცაა:

ა) სამედიცინო ტერმინები (ადამიანის სხეულის ნაწილები/ორგანოები, გენეტიკა, ბიოლოგია);

ბ) კომპიუტერული, ელექტრონული, საინფორმაციო ტექნოლოგიის ტერმინები;

გ) ეკოლოგია, ბუნება, ბუნებრივი მოვლენები;

2. ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ ბიზნესში, საბაზრო ურთიერთობებში, თანამედროვე ეკონომიკაში შექმნილ რეალიებს.

3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტყვა-ტერმინები.

4. სპორტული და სპორტთან დაკავშირებული ტერმინები (საინტერესოა, რომ სპორტის ისეთ ეროვნულ სახეობებში, როგორებიცაა ცხენოსნობა და ჭიდაობა, მთლიანად შენარჩუნებულია თურქული ტერმინები). აქვე აღვნიშნავთ, რომ ცალკეული პურისტის ცდები დაამკვიდრონ ენაში ზოგიერთი მათ მიერ შექმნილი ტერმინი წარუმატებელი აღმოჩნდა. ენამ არ მიიღო ისეთი კალკები, როგორებიცაა *ayaktop* – ფეხბურთი, *sepettop* – კალათბურთი, *uçantop* – ფრენბურთი და სხვ.

5. შოუბიზნესი და მასთან დაკავშირებული რეალიების (ახალგაზრდული მოდა, მუსიკა...) გამომხატველი სიტყვები.

ვფიქრობთ, რომ შეიძლება ამ ჩამონათვალის გაზრდა, თუმცა ეს სიაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე თურქულ ენაში ფართოდ გავრცელდა ანგლიციზმები (ანგლო-ამერიკული ლექსიკა).

თანამედროვე თურქული ტერმინოლოგია ფორმირების პროცესშია. ეს პროცესი დღესაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ნაკარნახებია სხვადასხვა, მათ შორის ექსტრალინგვისტური ფაქტორით.

უცხო (არაბულ-სპარსული!) სიტყვების ენიდან „განდევნა“ შესაძლებელია, თუ კი ენას გააჩნია მათი სუბსტიტუტები. შეკრებილმა და დამუშავებულმა მასალამ მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა ამგვარი სუბსტიტუტების შერჩევის შემდეგი პრინციპები:

1. ძველი თურქული სიტყვების აქტუალიზაცია;

2. დიალექტიზმების და სხვა თურქული ენებიდან აღებული სიტყვების „შემოყვანა“ სალიტერატურო ენაში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს საენათმეცნიერო საზოგადოებამ პრაქტიკულად უარი თქვა სხვა თურქული ენებიდან სი-

ტყვეების სესხებაზე, რადგან მათი უმრავლესობა ხალხისთვის გაუგებარი იყო (ჰეიდი, 1956:92);

3. ახალი სიტყვა/ტერმინების შექმნა თურქული ენის სიტყვათწარმოების საშუალებებით:

ა) აფიქსაცია; – ამ ხერხით შექმნილი სიტყვა/ტერმინების რაოდენობა პრაქტიკულად ულევი.

ბ) კომპოზიტები;

4. სიტყვა/ტერმინების სესხება ევროპული ენებიდან.

5. კალკები.

რეფორმის პროცესში ყველა ჩამოთვლილი ხერხი ინტენსიურად გამოიყენება. რაც დოკუმენტურად დასტურდება საენათმეცნიერო საზოგადოების პუბლიკაციებსა და გამოცემულ ლექსიკონებში. სხვა საკითხია, თუ რამდენად მკვიდრდება ენაში „ახალი“ სიტყვა – არაბულ-სპარსულის შესატყვისი?

ენის რეფორმის დაწყებისთანავე „სიტყვათშემოქმედებამ“ მიაღწია არნახულ მასშტაბებს, რასაც ერთგვარი ანარქია მოჰყვა. „ახალი“ სიტყვების გარკვეული ნაწილი ენაში დამკვიდრდა, თუმცა ბევრი მათგანი, როგორც გაუგებარი, ენამ ვერ მიიღო და ისინი დარჩნენ სუბიექტური სიტყვათწარმოების ნიმუშებად. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ სიტყვების უდიდესი ნაწილი იყო შექმნილი აფიქსაციის ხერხით ან დიალექტებიდან აღებული (აფიქსაცია, ყველაზე პროდუქტული საშუალებაა ახალი სიტყვების/ ტერმინების საწარმოებლად), თუმცა არცთუ იშვიათია კომპოზიტებიც.

სხვადასხვა ფაქტორის არსებობამ, ბუნებრივია, განაპირობა ენაში უცხო სიტყვა/ტერმინების მოზღვაება, რომლებსაც უნდა გამოეხატათ მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის და ა.შ. მოვლენები თუ ფაქტები. ამავე დროს საენათმეცნიერო საზოგადოება ცდილობდა საკუთრივ თურქული ტერმინების შექმნას და ამ ტერმინებით ნასესხები სიტყვების შეცვლას. გაზეთი „Milliyet“-ი 1980 წლის 2 თებერვალს მკითხველებს ამცნობდა, რომ თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება ცვლის „atom“ და „nötron“ სიტყვებს და მომავალში ატომურ ყუმბარას ეწოდება „öğecik bombası“, ხოლო ნეიტრონულს – „ilincik bombası“. ამ ტერმინთაგან არც ერთი (და ბევრი სხვა) ენაში არ დამკვიდრდა. ამავე დროს თურქებმა შექმნეს და ენამ შეითვისა რიგი სიტყვა/ტერმინებისა, რომელთა ანალოგები შეეძლოთ პირდაპირ აეღოთ ინგლისურიდან, მით უმეტეს, რომ ეს ტერმინები საერთაშორისო მიმოქცევაში მყარად არის შესული. ასეთებია: bilgisayar –

კომპიუტერი, cep telefonu – მობილური ტელეფონი, akaryakıt – თხევადი საწვავი და სხვ.

უცხო სიტყვების რაოდენობის თვალსაზრისით თურქული ენა განსაკუთრებულად გამორჩეულია. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ევროპეიზმების სიმრავლეზე. ჩნდება კითხვა: რამდენად გამართლებულია ენაში მათი არსებობა? ბუნებრივია, როცა საქმე ეხება საერთაშორისო მიმოქცევაში დამკვიდრებულ ტერმინებს (internet, dijital, charter, hot dog, FOB, ROR, FAS, antienflasyonist politika, interaktif, lobi, ipotek და ა.შ.), ამგვარი კითხვა არც იზადება. მაგრამ ბევრი სიტყვის ენაში გამოჩენა, ხშირად კონკრეტული პირების „ინტელექტუალური კეკლუცობის“ შედეგია (avantaj, prestij, edisyon, vizyon...) აქ შეიძლება გავიხსენოთ გასული საუკუნის დასაწყისი (ფრანგული გავლენის პერიოდი), როდესაც პრესაში გაჩნდა ამ ტიპის წინადადებები: Ekspozisyona ekspoze edebilecek bir tablo (გამოფენაზე გამოსაფენი სურათი). მსგავსი ევროპეიზმების მოზღვავება განსაკუთრებით დაეტყო პრესას. (სპორტულ, შოუბიზნესის, „ვარსკვლავთა“ (star) ცხოვრების ამსახველ პუბლიკაციებში). პრესის, ტელე- და რადიოს ენამ დიდი გავლენა იქონია ყოველდღიურ/სასაუბრო ენაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა რეკლამის ენა, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს საზოგადოებაზე. სწორედ მედიის „ძალისხმევის“ შედეგად თურქულ სასაუბრო ენაში დამკვიდრდა ინგლისურ/ამერიკული უამრავი ლექსიკური შტამპი.

დღევანდელი ენის ერთი საინტერესო თავისებურებაა ტერმინ-სინონიმთა დიდი რაოდენობა, თუმცა, თუ ჩავიხედავთ თურქული სინონიმების ნებისმიერ ლექსიკონში, დავრწმუნდებით, რომ ეს არის არა თურქული სიტყვების თურქული სინონიმები (პირდაპირი მნიშვნელობით), არამედ მათი უცხოენოვანი (არაბულ-სპარსული ან ევროპული) შესატყვისები. დღეს სხვადასხვა ხასიათის პუბლიკაციებში ერთი და იმავე სიტყვის გადმოსაცემად შეიძლება იყოს გამოყენებული სამი განსხვავებული (მათი წარმომავლობის თვალსაზრისით: „ახალი“ თურქული, არაბულ-სპარსული, ევროპეიზმი) სიტყვა.

yazman თურ. – katip არ. – sekreter

yöntem თურ. – usul არ. – metot

bildiri თურ. – beyanname არ.-სპ. – deklarasyon

özlem თურ. – hasret არ. – nostalji

bunalım თურ. – buhram არ. – kriz

uygarlık თურ. – medeniyet არ. – kültür

უცხო სიტყვების თურქული შესატყვისების შექმნის ერთ-ერთი უმარტივესი საშუალებაა კალკირება. ამ ხერხით შეიქმნა და ენაში დამკვიდრდა ბევრი ახალი სიტყვა/ტერმინი. მაგ. demiryol (ფრანგ. chemin de fer), dörtnala enflasyon (თურ. dört, არაბ. nal, ევრ. enflasyon „გაჭენებული“ ინფლაცია), buzdağı (iceberg), denizaltı (submarine), güneybatı (არაბ. cenub-u garbi -სამხრეთ-დასავლეთი)...

ახალი სიტყვების დიდი რაოდენობა შექმნილია კომპოზიციის საშუალებებით. ამ კატეგორიის ნეოლოგიზმების შესაქმნელად გამოყენებულია სხვადასხვა კონსტრუქცია: არსებითი სახელი არსებითთან, ზედსართავი სახელი არსებითთან, დამხმარე სიტყვა არსებითთან, რიცხვითი სახელი არსებითთან, მიმღეობა მიმღეობასთან, დამხმარე სიტყვა მიმღეობასთან, არსებითი სახელი მიმღეობასთან და სხვ.

ბევრი უცხო სიტყვა თურქულში მკვიდრდება ფონეტიკურად სახეცვლილი. შეიძლება ითქვას, რომ ხდება მათი „თურქიზაცია“. მაგ. nomal (normal), sayistik (statistique), ankes (en caisse), pretaporte (pret à porter), motamo (mot à mot), desen – ნახატი, belleten – კრებული, okul...

ენის რეფორმის მახვილი მიმართული იყო ენაში უცხოენოვანი (უმთავრესად არაბული და სპარსული) ლექსიკის წინააღმდეგ. მიუხედავად ოპოზიციონერების/კონსერვატორების ძლიერი წინააღმდეგობისა, თურქული საენათმეცნიერო საზოგადოების ძალისხმევით შედეგად შედარებით მოკლე დროში თურქული ენის ლექსიკური ფონდი შესამჩნევად შეიცვალა: მნიშვნელოვნად შემცირდა ნასესხები (არაბული და სპარსული) სიტყვების და ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციების რიცხვი. ენიდან „განდევნილი“ უცხო სიტყვების ადგილი „საკუთრივ“ თურქულმა ლექსიკამ დაიკავა. რაც შეეხება ტერმინებს, აქ ვითარება განსხვავებულია. ზემოთ ნახსენები ტერმინოლოგიური ლექსიკონების სალექსიკონო სტატიები შედგენილია ერთი პრინციპით: „ახალი“ სიტყვა/ტერმინი, წარმოდგენილია, როგორც წესი, ორი ან სამსიტყვიანი კომპლექსით (რაც მათ გამოყენებას ართულებს) ან კალკა/კომპოზიტით, რომელიც განმარტებულია უცხოენოვანი ტერმინით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ბერძნული) მითითებულია ის არაბული ან სპარსული ლექსემა, რომლის მაგივრად შემოდის ეს „ახალი“, საკუთრივ თურქული სიტყვა/ტერმინი. ეს ამგვარი ლექსიკონების შედგენის ზოგადი პრინციპია. გამოწვევის წარმოდგენს „სამართლის ენის ლექსიკონი“ (Yasa Dili Sözlüğü. შემდგენელი Ali Rıza Önder. Ankara, 1966), რომელშიც „ახალი“ თურქული სიტყვა/ტერმინებით მხოლოდ არაბული ტერმინებია განმარტებული.

ფაქტობრივი მასალის კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნით, რომ:

I. სხვადასხვა დარგისა თუ მიმართულების თურქული ტერმინოლოგიის ფორმირება დასრულებული არ არის. თანამედროვე თურქული ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემა მისი ჩამოყალიბება და სრულყოფა, რასაც უდიდეს ყურადღებას უთმობს თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება.

II. თანამედროვე თურქული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება/განვითარება მიმდინარეობს ორი გზით:

1) საკუთრივ თურქული ტერმინების შექმნა თურქული საენათმეცნიერო საზოგადოების ტერმინოლოგიური კომისიის, სხვა ორგანიზაციების სპეციალისტების და თურქი მეცნიერების მიერ.

2) სიტყვა/ტერმინების სესხება ევროპული ენებიდან (მე-2 მსოფლიო ომამდე უმთავრესად ფრანგულიდან, ხოლო ომის დასრულების შემდეგ დღემდე - ინგლისურიდან);

დღევანდელ ენაში აშკარად შეიმჩნევა ევროპეიზმების გაზრდილი რიცხვი და ამ ზრდის ტენდენცია. ევროპეიზმები მაშინაც ჩნდება ენაში, როდესაც მათი თურქული შესატყვისები არსებობს. უკანასკნელ პერიოდში პრესაში ჩნდება არაბიზმების გამოყენების ერთგვარი მოდა. მხედველობაში გვაქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც არ არის შეტანილი თურქული ენის ლექსიკონებში. თურქ მკითხველს ამგვარი არაბიზმები მიეწოდება ინგლისურიდან აღებული შესატყვისით. მაგ. *nmühtesem*, რომელიც განმარტებულია ანგლიციზმით *simetrik*. ამ შემთხვევაში უარყოფილია ოსმალურიდან შემოსული და ენაში დამკვიდრებული არაბული *tenazur*, რომელიც თავის დროზე რეფორმატორებმა შეცვალეს ნეოლოგიზმით *bakışım*. ვფიქრობთ, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს თურქეთის რესპუბლიკის (საერო სახელმწიფოს) ხელისუფლების უმაღლესი რანგის პირების აშკარა ისლამისტურ განწყობას და მათი მფარველობით მოსარგებლე ზოგიერთი მედიასაშუალების პოზიციას. ეს შედარებით კარგად ჩანს თურქული ავიახაზების (*Türk Hava Yolları*) ორენოვან (თურქულ-ინგლისურ) ჟურნალში *SKAYLİFE*.

ნასესხები ანგლიციზმების რიცხვი და სისწრაფე, რომლითაც ეს სიტყვები ჩნდება დღევანდელ თურქულ ენაში, ერთგვარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს პრინციპი შეიძლება გახდეს განმსაზღვრელი სხვადასხვა დარგის თურქული ტერმინოლოგიის ფორმირების მიმდინარე პროცესში.

ლიტერატურა

ანთელავა, 2010-2011 – გ. ანთელავა, თურქული ენის რეფორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ.VIII, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია.

ბანგოოდლუ, 1974 – Tahsin Banguoğlu. Türkçenin Grameri. İstanbul. [PDF]Türkçenin Grameri. Ebitik.azerblog.com/anlar 4441 pdf

დმიტრიევი, 1960 – Н. К. Дмитриев. Турецкий язык, Москва.

ლევენდი, 1949 – Agah Sırrı Levend. Türk Dilinde Gelişme ve Sadeleşme Savhaları. Ankara.

ჰეიდი, 1956 – U. Heyd. Language reform in modern Turkey. Jerusalem.

Giorgi Antelava

A Role of the Foreign Adopted Vocabulary in the Process of Development of Turkish Terminology

Summary

Through its centuries-old history the Turkish language experienced the strong influence of Eastern and Western languages with different systems. It can be said that in the Turkish lexical fund the Ottoman Empire's relations with other countries was clearly reflected. The adopted vocabulary includes Arabic, Persian, Greek, Italian, French, German, English and other adopted words. Among them the Arab and Persian lexical - grammatical elements have a special place. The establishment of the Arabic - Persian vocabulary is directly linked to the Turkish Islamization. Together with Islam, the Arabic alphabet and the Arabic language, as a language of religion, law, science, education, medicine, financial - economic fields, administration, entered the Turkish culture. It resulted in the establishment of the terminology of these fields.

In XX century and in the end of XIX century, the important changes in the socio - economic, political and cultural life of the Turkish society led to the active processes in the modern Turkish. As a result, anglicisms inflooded in the newest language (in its various functional styles).

შუქია აფრიდონიძე

გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი ქართულში

1918 წელს თბილისში დაარსებული სახელმწიფო უნივერსიტეტის ამოქმედების პირველ ხანებში მრავალი საორგანიზაციო საკითხი იყო გადასაჭრელი. ერთ-ერთი პირველი იყო ქართული მრავალდარგობრივი სამეცნიერო ტერმინების შექმნა, რომელთა ნაკლებობაც უნივერსიტეტის პროფესურას იმთავითვე მთელი სიღრმით ჰქონდა გაცნობიერებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა უკვე კარგა ხანია დღის წესრიგში იდგა, ამ ამოცანის განმახორციელებელი ტერმინოლოგიური კომიტეტის ჩამოყალიბება უნივერსიტეტის დაარსებიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1921 წელს მოხერხდა და მას სათავეში ჩაუდგა თავად **ივანე ჯავახიშვილი**; და თუმცა სწორედ იმ წელს დაკარგა საქართველომ დამოუკიდებლობა, მეცნიერები მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდნენ და მთელი თავიანთი გონებრივი თუ სულიერი ძალები ჩააყენეს საუნივერსიტეტო საქმის შეუფერხებელი წინსვლის სამსახურში.

მოგვიანებით, როცა 20 წლის შემდეგ, 1941 წელს, საქართველოში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობის ერთ-ერთი გამწე ძალა გახდა სწორედ ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **ვუკოლ ბერიძე** (მისი გარდაცვალების შემდეგ იგი **როგნედა ღამბაშიძემ** შეცვალა).

ტერმინოლოგიური მუშაობის ავანგარდში ე. წ. ტექნიკურ დარგებს შორის მოექცა მათემატიკური ტერმინოლოგია, რომელიც ყურადღებას იპყრობდა არა მარტო ეროვნული ლექსიკის მაქსიმალური გამოყენებით და გამოსახატავ შინაარსთან ტერმინთა მისადაგების მაღალი ხარისხით, არამედ შიდასისტემურობითაც. ქვესისტემებში მსგავსი სიტყვაწარმოების გამოყენება უაღრესად მოქნილს და ამიტომ მოსახმარად ადვილს ხდიდა ამ ტერმინოლოგიას: რად ღირს თუნდაც *მრიცხველ-მნიშვნელის*, ანდა *სამრავლ-მამრავლ-ნამრავლის*, ან კიდევ *გასაყოფ-გამყოფ-განაყოფის* ტიპების არსებობა! მაგრამ იმის გამო, რომ ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი – **გიორგი ნიკოლაძე** – ამავე დროს სპორტის, კერძოდ, ტანვარჯიშისა და მთამსვლელობის ერთგული მიმდევარიც (და პო-

პულარიზატორიც) იყო, მის სახელს დაუკავშირდა სპორტის ტერმინებიც, თუმცა მათს შექმნაში სხვებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს. გავიხსენოთ ქართული ეროვნული ტერმინები სპორტის სხვადასხვა სახეობიდან: *გარბენი, წვართვა, ატაცი, აკვრა, ხუთჭიდი, მრავალჭიდი, წინმკლავი, ზემკლავი, უკუმკლავი, ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ!* და მრავალი სხვა.

* * *

წინამდებარე წერილის განხილვის საგანია **გეოგრაფიული ტერმინოლოგია**, უფრო ზუსტად, ზოგი ფიზიკურგეოგრაფიული ობიექტის სახელწოდებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური საკითხები. ამგვარი **ბუნებრივი** ობიექტების აღმნიშვნელ ტერმინებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მათში თავს იჩენს გარკვეული სიხშირით განმეორებადი ელემენტები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება, იქცნენ ლოკალურ ტერმინთაწარმოებელ ელემენტებად.

ერთ-ერთი ასეთი სუფიქსია **-ობ**. შეიძლება ითქვას, რომ სიხშირით ეს ბოლოსართი აჭარბებს ეროვნული გეოგრაფიული ტერმინების მაწარმოებელ ყველა სხვა სუფიქსს ქართული ბოლოსართების არსენალიდან. **-ეთ** სუფიქსი (თავისი **თანიანი** ვარიანტებით) საკუთრივ ტოპონიმებს უფრო აწარმოებს, ვიდრე აპელატივებს, ანუ საზოგადო სახელებს, რომელთაც ეფუძნება ტერმინები.

განვიხილოთ **-ობ** ელემენტის დართვით მიღებული გეოგრაფიული ტერმინები (მასალა დალაგებულია ანბანურ რიგზე):

ბეგობი // ბექობი

გვერდობი

დაბლობი

ვაკობი

ველობი

ვიწრობი

მაღლობი

მლაშობი

ტაფობი

ფართობი

ფერდობი

ქანობი

ქვიშრობი

ყანობი

საინტერესოა, რომ ამ ტერმინების ამოსავალი ფუძეები უმეტეს შემთხვევაში თავად არის გეოგრაფიული საზოგადო სახელები: მოგვყავს ამ აპელატივთა განსაზღვრა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (ქეგლ). ამ ფუძეთაგან ზოგიერთს სხვა დაბოლოებებიც (**-ა, -ო**) შეიძლება ჰქონდეს:

ბეგ-ი [1] – ამაღლებული ადგილი ველზე, – გორაკი, ბორცვი¹.

ბეგობ-ი – იგივეა, რაც **ბეჟობი**.

ბეჟ-ი – ამაღლებული ადგილი, – ბორცვი, გორაკი.

ბეჟ-ბუჟ-ი – ბეჟებიანი, გორაკებიანი ადგილი.

ბეჟობ-ი – ბეჟი, გორაკი.

ბუდობი – ადგილი, სადაც ესა თუ ის სასარგებლო ნამარხი (ქვანახშირი, ნავთობი, რკინის მადანი და მისთ.) მოიპოვება, – საბადო.

ბუცობი – *კუთხ.* (რაჭ.) – ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა.

გვერდობ-ი – დაქანებული, დაფერდებული ადგილი, – ფერდობი (შდრ. **გვერდა**, **გვერდო**).

გვერდ-ი – 2. *გადატ.* რისამე ერთ-ერთი განაპირა მხარე, – კიდე.

გვერდა – ძალიან დაქანებული ადგილი, – ფერდობი.

გვერდო – იგივეა, რაც **გვერდა**.

დაბლობი – დაბალი, დაცემული ადგილი, ზღვის დონიდან არა უმეტეს 200 მ-ის სიმაღლისა (ასეთივეა ქართული. ენციკლოპედიის განმარტებაც).

ვაკე – „სწორი, გაშლილი, უმთავორაკო ადგილი“ (ქეგლ); „ხმელეთის ერთი მნიშვნელოვანი ზედაპირის, ზღვისა და ოკეანის ფსკერის რელიეფის ერთ-ერთი მორფოგრაფიული ერთეული“.

ვაკობი – ვაკე ადგილი (შდრ. ფერდობი, მაღლობი);

ველი – დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ, ბალახიანი, – დიდი მიწდორი.

ველობი – ძვ. მიწდორი ტყეში (საბა).

ვიწრობი – ვიწრო გასავალი მთებში, კლდეებში.

მაღლობი – 1. მაღალი ადგილი; გორა; 2. მთიანი ადგილი, მთიანეთი (ქეგლ); დედამიწის ზედაპირის მონაკვეთი, რომელიც მეზობლად მდებარე ზედაპირთან შედარებით ამაღლებულია (ქსე).

მლაშობი – მლაშე ნიადაგი, – ბიცი, აღდაჭი (ქეგლ); ხსნადი მარილებით დამლაშებული ნიადაგი (ქსე).

ტაფობი – დაცემული, ჩავარდნილი ადგილი (მთებს შორის).

ფართობი – 3. მიწის ნაკვეთი, სივრცე.

¹ ქსე-ში ტერმინ **ბეგ**-ს სპეციფიკური განმარტება ახლავს: „მაღალი მიწის კაშხალის, არხის ან კარიერის ფერდოზე გაკეთებული საფეხური“; **ბუდობი** კი ასეა განმარტებული: „შემცველი ქანებისაგან განმხოლოებული წიაღისეულის დანაგროვი დედამიწის ქერქში“.

ფერდობი – დაფერდებული ადგილი, – გვერდობი.

ქანობი – დაღმართი, დაქანებული ადგილი.

ქვიშრობი – 1. ქვიშიანი ადგილი, – ქვიშნარი. 2. მთამადნეულის შემცველი ფენა ნიადაგში.

ჭაობი – დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში.

ქენჭყი – მინდორში დამდგარი წყალი.

ქენჭყო – ნესტიანი, ჭაობიანი ადგილი.

ქენჭყობი – ნესტიანი, ჭაობიანი ადგილი.

ჭურობი – კლდიანი ადგილი, სადაც მინდორიც არის.

ჩამოთვლილ სახელთაგან რამდენიმე გვხვდება საქართველოს ზოგიერთი რაიონის მიკროტოპონიმიაშიც (**ჭაობი, ფართობი, ფერდობი, ქენჭყლობი (ქინჭყლობი ვარიანტიც), ჭარობი...**, რაც უტყუარი სიმპტომია იმისა, რომ **-ობ** ბოლოსართს მკაფიოდ გამოკვეთილი ფუნქცია აქვს რელიეფის ამა თუ იმ ადგილის ჩვენებისა. ამავე სუფიქსითაა ნაწარმოები თითო-ოროლა ზოგი სხვა სახელიც, რომლის ამოსავალი ფუძე მაინცდამაინც ადგილს არ მიუთითებს. ესენია: **ბუდობი, ბუცობი, მნათობი, ნავთობი, ღამიობი...** ადგილის გაგებას უფრო უახლოვდება განმარტებით ლექსიკონში შეტანილი ამ ორი სახელის მნიშვნელობა:

ბუდობი – ადგილი, სადაც ესა თუ ის სასარგებლო ნამარხი (ქვანახშირი, ნავთობი, რკინის მადანი და მისთ.) მოიპოვება, – საბადო;
ბუცობი – *კუთხ.* (რაჭ.) – ჭიანჭველებისაგან ამოტანილი ფხვიერი მიწა.

აღსანიშნავია, რომ ამ წარმოების ზოგიერთი სიტყვა ზედსართავი ანტონიმებისგან იწარმოება, თუმცა მიღებული ფორმები არ არის აუცილებელი, რომ ყოველთვის ანტონიმურად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი (იხ. **ფართო > ფართ-ობი**) – **ვიწრო (> ვიწრო-ობი)**. შდრ. ამ მხრივ სრული ანტონიმები – ფუძითაც და აღსანიშნი ობიექტითაც: **მაღალი (> მაღლობი)** – **დაბალი (> დაბლობი)**.

* * *

კიდევ ერთი სუფიქსი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გეოგრაფიულ ტერმინთა მაწარმოებლად, არის **-თ-ი** დაბოლოება (ცხადია, ამოსავლად ვიღებთ სახელობითის ფორმას). ეს არის ერთგვარი სახესხვაობა წმინდა ტოპონიმიკური სუფიქსური მოდელისა „**ხმოვანი + თ**“ (რომლის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია **-ეთ** (თავისი ვარიანტე-

ბით: -ათ, -ით, -ოთ, -უთ). ისინი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთადაც არის შესწავლილი¹.

ცნობილია, რომ დარგობრივი ტერმინები ხშირად ხელოვნურად იქმნება. ხელოვნურობის ერთგვარი ელფერი დაჰკრავს არაერთ გეოგრაფიულ ტერმინსაც, მათ შორის მოკლე, ერთსიტყვიან **ზემოთი** და **ქვემოთი** ტერმინებსაც, რომლებიც იხმარება მდინარის **ზემო/ზედა წელისა** და **ქვემო /ქვედა წელის** აღსანიშნავად. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ტერმინი ყველა ენას სჭირდება იმ რეალობის ასახავად, რომელსაც უქმნის ცალკეულ ქვეყანასა თუ მთელს მსოფლიოს დიდი (გრძელი) მდინარეების არსებობის ფაქტი. ზოგი მდინარე, როგორცაა, მაგალითად, ევროპაში დუნაი, 11 ქვეყნის საზიარო მდინარედ ითვლება და ამ ქვეყნების ლოკალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათანადო ქვეყნების ადგილმდებარეობას ევროპაში, მომიჯნავე ქვეყნების საზღვრებთან ერთად, განსაზღვრავს მათი ამ მდინარესთან მიმართება. საქართველოს კონტექსტში ტერმინების – **ზემოთისა** და **ქვემოთის** – ხმარებისას დამატებით ლოკალურ ფაქტორად შემოდის დიალექტოლოგიური მომენტი, კერძოდ: საქართველოს იმ სოფლების სახელწოდებანი, რომლებსაც განასხვავებს ეს კრიტერიუმი, **ზედა** და **ქვედა** მსაზღვრელებს მხოლოდ დასავლეთ საქართველოში (ლიხს იქით) იყენებენ, ხოლო მათი ალტერნატიული **ზემო** და **ქვემო** ამგვარი ლოკალიზაციით არ იზღუდება: მთელს საქართველოშია გავრცელებული და, შესაძლოა, **ზემოთ-ისა** და **ქვემოთ-ის** ტერმინებად ქცევაც სწორედ ამან განაპირობა.² მათვე აჯობებს მოსალოდნელ შესაბამის სინონიმურ ***ზევითი** და ***ქვევითი** ერთეულებსაც: ისინი როგორც ზმნისართებად, ისე **ა/ი** ხმოვნის ბოლოში დართვით ზედსართავებად ქცევის დროსაც ადვილად ენაცვლებიან **ზემოთ/ქვემოთ** ზმნისართებს (შდრ.: **ზემოთა // ზე-ვითა, ქვემოთა // ქვევითა**). რუსულში მათს ადეკვატებად შესაბამისად გამოიყენება: **верховье** და **низовье**.

საერთოდ, ერთ-ერთი აქტიური მაწარმოებელი რუსული გეოგ-

¹ იხ. **ფ. მაკალათიას** შენიშვნა-კომენტარები **-თ**-ს შემცველ სუფიქსებზე სათანადო რუკებითურთ (ერთვის შ. აფრიდონიძისა და ფ. მაკალათიას ერთობლივ ნაშრომს “ქართული ოიკონიმები” (კრებ. “ტოპონიმიკა”, II, 1980, 243-250).

² **ზედა** და **ზემო** მსაზღვრელთა განაწილებისათვის საქართველოს ოიკონიმებში იხ. კრებ. “ტოპონიმიკის” II ტომზე დართული მე-2 რუკა.

რაფიული ტერმინოლოგიისა არის სუფიქსი **-ზე** სხვადასხვა პრეფიქსთან შეხამებაში. ყველაზე ხშირად ამ სუფიქსს ეხამება პრეფიქსები **за-**, **при-**, **пред-** და **по-**.

იმის მიხედვით, თუ რა სახის ფუძეს ეხამება ეს კონფიქსები, ვიღებთ სხვადასხვაგვარ თარგმანსაც. მაგ., ეს აფიქსები მდინარის აღმნიშვნელ საზოგადო სახელთან **запечье** შეხამებისას იძლევა ასეთ თარგმანს: **გალმა მხარე** (რაკი სიტყვა **გალმა** ძირითადად მდინარესთან მიმართებით იხმარება).

მაგრამ ტოპონიმურ ფუძესთან ერთად მოდელი **за-** – **-ზე** შეიძლება მთელი ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის აღსანიშნავად იქნეს გამოყენებული. მაგ., **ამიერკავკასია** (ევროპულ ენებზე **ტრანსკავკასიად** წოდებული) რუსულად გადადის, როგორც **Закавказье** (ევროპული ენების კალკი!), რუსული **Забайкалье** კი ქართულად გადმოდის **იმიერბაიკალეთად**, **Закарпатье** – **იმიერკარპატეთად**, **Заполярье** – **იმიერპოლარეთად** და ა. შ. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ რუსულ სუფიქსს ქართულში ყველაზე უკეთ მიესადაგა უნივერსალური **-ეთ** სუფიქსი.

აქვე არ შეიძლება გაკვრით მაინც არ შევეხოთ ორიენტაციის საკითხს ამ სახის მაკროობიექტების სახელდებისას. ქართული მაკროტოპონიმი **ამიერკავკასია** ასახავს ამ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრების პოზიცია-ორიენტაციას, მაშინ როცა დიდი კავკასიონის გადაღმა მცხოვრებთა პოზიციაზე მდგომთათვის იგივე მაკროტოპონიმი წარმოდგება **ტრანსკავკასიად**, ანუ იმიერკავკასიად (**Закавказье**).

ერთი და იმავე მაკროობიექტის სხვადასხვაგვარად მოხსენიება სხვადასხვა გეოგრაფიული პოზიციიდან ამოსვლით გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ამიტომ გასაგები და გასათვალისწინებელია თვალსაზრისი, დიდი კავკასიონის გაღმა-გამოღმა მხარეებს სახელები ეწოდოს რუკაზე მათი მიმართების მიხედვით – **ჩრდილოეთი კავკასია** და **სამხრეთი კავკასია**.¹ აკი ამავე მიზეზით გარდაიქმნა აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს სახელი **იორდანია**დ, რომელსაც ევროპელებმა თავიდან **ტრანსიორდანია** უწოდეს.

რაც შეეხება **при-** და **-ზე** კონფიქსის ქართულ ეკვივალენტს, ეს

¹ მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტერმინი **ამიერკავკასია** ისტორიულ წყაროებშიც უნდა გაუქმდეს.

საკითხი მარჯვედ გადაჭრეს ქართველმა სპეციალისტებმა, როცა წყლის (ზღვის, მდინარის...) პირის, ნაპირის აღსანიშნავად წყლის სახელის მომდევნოდ კომპონენტი **პირეთი** შემოიღეს. ასე გაჩნდა **Прибалтика**-ს ქართულ ეკვივალენტად **ბალტიისპირეთი**, აგრეთვე, ანალოგიურ შემთხვევებში მდინარეების – **ვოლგის, დნეპრის, დნესტრის, ამურისა** და სხვა დიდ მდინარეთა სახელების ჩართვით მივიღეთ მაკროტოპონიმები, რომლებიც კომპოზიტების სახით გაფორმდა ქართულში (განსხვავებით ამოსავალი ენების სათანადო სახელებისაგან): **ვოლგისპირეთი, დნეპრისპირეთი, დნესტრისპირეთი, ამურისპირეთი...**

მაგრამ როცა იგივე აფიქსები დედანში სხვა ობიექტის – არა ჰიდროგრაფიული, არამედ ოროგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება, თანაც, საზოგადო სახელთათვის, – საკითხი შეიძლება სხვაგვარად გადაწყდეს. მაგ., ტერმინი **предгорье** ქართულად გადმოღის **წინ** ელემენტის გამოყენებით: **მთისწინეთი**. მაგრამ ზედსართავი **предгорная** ითარგმნება, როგორც **მთისპირა (предгорная равнина – მთისპირა ვაკე)**. ასევე, იმ ტერმინთა საკითხი, რომლებიც იწარმოება **по-** და **-ზე** თავსართ-ბოლოსართით, ინდივიდუალურად წყდება ამგვარი შემთხვევებისათვის მიღებული წესების დაცვით. მაგალითად, რუსეთის დიდი სამეურნეო ტერიტორიის სახელი **Полесье** ქართულში გადმოღის, როგორც საკუთარი სახელი **პოლესიე** (შდრ.: **подлесье** – ტყისპირი), მაგრამ ამავე წარმოების ტერმინი **поморье** ქართულში გადმოღის როგორც **ზღვისპირეთი** (შდრ. ბალტიისპირეთი), ხოლო **побережье** (ისევე როგორც **набережная**), ტრადიციულად ითარგმნება **სანაპირო**-დ და მისი სხვაგვარად გადმოტანის საკითხი დღესდღეობით არ დგას. ოღონდ მდინარის მხარეთა ჩვენებისას – **правобережье, левобережье** – მეორე კომპონენტი **ნაპირი** ირთავს -**ეთ** სუფიქსს: **მარჯვენაპირეთი, მარცხენაპირეთი**.

სხვა კერძო შემთხვევებში პრაქტიკულად ხორციელდება წლების მანძილზე ჩამოყალიბებული პრინციპების გატარება მსოფლიოს სხვადასხვა არაქართული გეოგრაფიული სახელის ქართულად გადმოცემისას სხვადასხვა სახის სპეციალურ ლექსიკონებში, მათ შორის საქართველოს, ყოფილი საბჭოეთის, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონებში.

* * *

დასასრულ, არ შეიძლება არ შევეხოთ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში ფართოდ გავრცელებულ ზედსართავულ, კერძოდ, მხარეთა

აღმნიშვნელ მსაზღვრელურ ტერმინებს, რომლებიც იმის მიხედვით, თუ რა სახის საზღვრულ არსებით სახელებს შეეხამებიან, სხვადასხვა ფორმას გვიჩვენებენ.

საკითხი ეხება -**ეთ**-ზე ფუძეგათავებულ სახელებს: **აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი**.

თუ ეს მსაზღვრელები ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დედამიწის ნახევარსფეროს, კონტინენტისა თუ ქვეყნის სათანადო მხარე-ნაწილებს აღნიშნავენ, შესაბამისი ობიექტის დასახელებისას ისინი აქ მოყვანილი ფორმით (ე. ი. სახელობითში) შეეწყობიან თავიანთ საზღვრულებს და ორენოვან გეოგრაფიულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონშიც სწორედ ამგვარად გაფორმებული სალექსიკონო შეხამებები გვხვდება:

აღმოსავლეთი ნახევარსფერო
დასავლეთი ნახევარსფერო
ჩრდილოეთი ნახევარსფერო
სამხრეთი ნახევარსფერო.

ამავე ფორმით შეიწყობენ სათანადო მხარეთა სახელებს საზღვრულები – **პოლუსი** და **ოლქი**:

ჩრდილოეთი პოლუსი
სამხრეთი პოლუსი.
აღმოსავლეთი ოლქი
დასავლეთი ოლქი...

თუკი მხარეების აღმნიშვნელი სახელებით განისაზღვრება **გრძედი** და **განედი**, **ქარები**, **პასატური დინება**, ანდა **მდინარე**, **გზა**, რომლებიც მომდინარეობას გვიჩვენებს, მაშინ მხარეთა სახელები ნათესაობითის ფორმით წარმოდგება:

აღმოსავლეთის გრძედი
ჩრდილოეთის განედი
დასავლეთის გრძედი
სამხრეთის განედი.

უნდა ითქვას, რომ რუსულში საზღვრულის რაობას და სემანტიკას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დერივაციის თვალსაზრისით, ყველა შემთხვევაში მხარეთა აღმნიშვნელი მსაზღვრელები ზედსართავი წარმოების ერთსა და იმავე ფორმას გვიჩვენებს. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს, რომ რუსულში ზედსართავი უსათუოდ უნდა შეეთანხმოს თავის საზღვრულს გრამატიკულ სქესში, შესაბამისად, მხარეთა სახელები ეხამება სხვადასხვა გრამატიკული

სქესის საზღვრულებს. შდრ.:

Южное полушарие

Южный полюс

Южная область

და:

სამხრეთი ნახევარსფერო

სამხრეთი პოლუსი

სამხრეთი ოლქი.

სამაგიეროდ, როგორც გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ორენოვანი ლექსიკონი გვიჩვენებს, მხარეთა აღმნიშვნელი მსაზღვრელები ქართულში განარჩევენ ობიექტის სემანტიკას: „უძრავი“, ტერიტორიულად „მიჯაჭვულ“ ობიექტთა აღმნიშვნელ სახელებს ბრუნვაში შეთანხმებული მსაზღვრელი შეეხამება, ხოლო „მოძრავი“ ობიექტების აღმნიშვნელ სახელებს (ქარი, მდინარე, დინება, ციკლონი...) – ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი. მაშასადამე, ერთგვარ სტატიკა-დინამიკის ნიშნის მიხედვით დიფერენცირებასთან გვაქვს საქმე. უთუოდ ამით აიხსნება ნათესაობითის სტაბილურად დამკვიდრებული გენიტიური ფორმები ევროპაში **ჩრდილოეთის დვინისა და დასავლეთის დვინის**, საქართველოში კი **აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონების** გასამიჯნავად.

* * *

დასასრულ, რომ შევაჯამოთ ორენოვანი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მიხედვით **მსაზღვრელებად გამოყენებული მხარეთა სახელების ფორმებად სახელობითი და ნათესაობითი ფორმების შეფარდება ქართულში**, ასეთ სურათს მივიღებთ:

ა) მხარეთა სახელები სახელობითში გვხვდება, როცა საზღვრულებია: **ნახევარსფერო, ოლქი, პოლუსი**, აგრეთვე ტოპონიმები (გარდა ჰიფონიმებისა). მაგ.: **სამხრეთი პოლუსი /ოლქი / ნახევარსფერო; სამხრეთი კავკასია;**

ბ) მხარეთა სახელები ნათესაობითში გვხვდება, როცა საზღვრულებია: **განედი, გრძედი**, ქარ(ებ)ი, ციკლონი, ტროპიკი, პასატური დინება, პოლარული წრე, აგრეთვე ჰიდრონიმი (მდინარე).

ეს პრინციპები გატარებულია გეოგრაფიულ სახელთა ყველა ქართულენოვან ორთოგრაფიულ ლექსიკონში და ისინი ნორმატიულადაა მიღებული.

ლიტერატურა

- შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია.** ქართული ოიკონიმები: კრებ. „ტოპონიმთა“, II, რედაქტორები: ბიძ. ფოჩხუა, ალ. ჭინჭარაული, თსუ გამ-ბა, თბ., 1980.
- გეოგრაფიული ტერმინოლოგია** (შემდგ. დ. უკლება, გ. დონდუას რედაქციით), თბ., 1967.
- საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი**, რედ. შ. აფრიდონიძე, თ. ზურაბიშვილი, თბ., 1987.
- საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი**, რედ.: ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989.
- საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი**, ი. აფხაზავა, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, თბ., 1987; II გამოცემა – 2009.
- საქართველოს სსრ ტოპონიმია** (მასალები), ტ. I. ზემო იმერეთი. გამოსაქვეყნებლად მოამზადეს და ინვერსიული ლექსიკონი დაურთეს ი. ბაქრაძემ, შ. აფრიდონიძემ, ვ. ჯოჯუამ. ტომის რედაქტორი – პ. ცხადაია, თბ., თსუ, 1987.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, I-VIII (არნ. ჩიქო-ბავას საერთო რედაქციით), თბ., მეცნიერება, 1950-1964.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია**, I-XI, თბ., 1973-1987.
- რ. ღამბაშიძე.** ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., მეცნიერება, 1986.

Shukia Apridonidze

Questions of Georgian Geographical Terminology

Summary

This article examines a number of questions of Georgian geographical terminology. Particular attention is paid to certain functional affixes, above all the active suffix *-et*, which is used to form names of parts of the world (*aghmosavleti*, *dasavleti*, *chrdiloeti*, *samkhreti* – east, west, north, south) as

well as ethnic-dialect regions (*Svaneti, Tusheti, Imereti*), and Georgian oikonyms

(*Dusheti, Kiketi, Teleti*). Depending on what they denote, terms referring to parts of the world, when used as adjectives, are differentiated by case: when combined with terms indicating poles, provinces, hemispheres they are in the nominative case, but when used with dimensional terms (longitude or latitude), they are in the genitive case (e.g. *samkhreti polusi* South Pole; *chrdiloeti polusi* North Pole, but *dasavletis ganedi* latitude west; *aghmosavletis ganedi*, latitude east). We find the same correlation between the names of territories and of rivers: the first combination is in the nominative (*dasavleti evropa* Western Europe), but the second is in the genitive case (*dasavletis dvina* the Western Dvinaj).

The suffix *-ob*, when attached to geographical terms, indicates that a geographical object is diminished in physical size (*vake*, plain – *vakobi*; *veli*, field – *velobi*, etc). Of particular interest is the treatment in Georgian of Russian geographical terms with the affixes *za* – 'e, *po* –'e and *pri* – 'e. As examples of viable corresponding forms, we can point to, e.g.: *amier-kavkasia* Transcaucasia; *imierpolareti* the Arctic; *imierkarpateti* Transcarpathia; *volgispireti* the Volga region; *dnestripireti* the Dniester region; *baltispireti* the Baltics.

ციური ახვლედიანი

საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში

საქართველოს მსგავსად საფრანგეთშიც მრავალი სხვადასხვა ეროვნების, ანუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, ხალხი, ცხოვრობს. სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული და გამოქვეყნებული აღწერის, 2001 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 86 % – სათვის ფრანგული ენაა მშობლიური, დანარჩენი 14 %-სათვის კი – სხვა ენები: ოქსიტანური (ლანგედოკური, გასკონური, პროვანსული და სხვ.) – 1,33 %, ბრეტონული – 0,61%, ოილის ენები (პიკარდული, გალური და სხვ.) – 1,25%, იტალიური (ასევე დიალექტებიც) – 1,19%, ესპანური – 1,06%, პორტუგალიური – 1,27%, გერმანული (დიალექტები – ელზასური, ლოტარინგული და სხვ.) – 2,12%, არაბული (განსაკუთრებით, მაღრიბული დიალექტი) – 2,05%, და დაახლოებით 400 სხვა ენა (პოლონური, ბერბერული, აღმოსავლეთ-აზიური, კატალანური, ფრანკო-პროვანსული, კორსიკული, ბასკური და სხვ.) – 5,12%.

საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკა ცენტრისტულია, მიმართული ერთადერთი – ფრანგული – ენისაკენ; ეს დადგენილება ოფიციალურადაა მიღებული და მკაცრად კონტროლდება ცენტრალიზებული სახელმწიფოს მიერ.

2003 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ჟ.-პ. რაფარენის მიერ მკაფიოდ ფორმულირებულ და გამოქვეყნებულ დოკუმენტში – «2003 წლის 14 თებერვლის ცირკულარულ წერილში» – ნათქვამია, რომ ფრანგული ენის მიმართ მიღებული დადგენილებები გრძელვადიანია, მკაცრად განსაზღვრულია და ეხება ფრანგული ენის სტატუსს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გატარების მიზანია „ფრანგული ენის მეთაური პოზიციის უზრუნველყოფა საფრანგეთის ტერიტორიაზე და ფრანგული ენის ადგილის შენარჩუნება საერთაშორისო დონეზე“ (Circulaire du 14 février 2003 relative à l'emploi de la langue française).

საფრანგეთის ტერიტორიაზე ფრანგული ენის პირველობის უზრუნველსაყოფ ზომებად ჟ.-პ. რაფარენი მიიჩნევს:

- იმ მითითებათა ზუსტ შესრულებას, რომლებიც ეხება ფრანგული ენის ხმარებასა და განვითარებას;
- შესაბამისი ორგანოებისაგან «განსაკუთრებულ სიფხიზლეს» 1994 წლის 4 აგვისტოს კანონის «ფრანგული ენის გამოყენების შესახებ» დოკუმენტთა პაკეტის შესრულების მიმართ;
- ფრანგული ენის ლექსიკონის გამდიდრებას «ტერმინოლოგიისა და ნეოლოგიის კომისიის მოღვაწეობის შედეგად, რომელიც უნდა გააქტიურდეს»;
- შექმნილ ტერმინთა გამოყენებას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ინფორმირებისა და კომუნიკაციის პროცესში, პუბლიკაციებსა და ინტერნეტში;
- ფრანგული ენის გამოყენების უზრუნველყოფა სამეცნიერო სფეროში (ფრანგულ ენაზე სამეცნიერო პუბლიკაციათა გავრცელება, 1994 წლის 4 აგვისტოს კანონის – «ფრანგული ენის გამოყენების შესახებ» – სამეცნიერო კონფერენციებზე ფრანგული ენის გამოყენების შესაბამის დებულებათა შესრულება).

ახალი ენობრივი პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს განახლებულ იმიგრაციულ პოლიტიკას, რომელშიც გათვალისწინებულია მაქსიმალური კონტროლი იმიგრანტთა ნაკადის მიმართ და აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა ფრანგულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის. სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ფრანგული ენის ცოდნა. 2006 წლის 24 ივლისის კანონში – «იმიგრაციისა და ინტეგრაციის შესახებ» – გათვალისწინებულია, რომ უცხოელმა, რომელიც პირველად ჩადის საფრანგეთში, ხანგრძლივი ცხოვრების მიზნით, სახელმწიფოსთან უნდა დადოს მისი მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება, რომელიც ვარაუდობს ენის შესწავლასაც. ამ საკითხთან დაკავშირებით 2006 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში წერია, რომ «ხელშეკრულების გაფორმების პროცედურისას, იმიგრირებულს უნდა ჩაუტარდეს ტესტირებული გამოცდა ფრანგული ენის (ზეპირი და წერითი) ცოდნის სფეროში. ფრანგული ენის ცოდნის დამაკმაყოფილებელი დონე იმიგრანტს ათავისუფლებს უფასო ენობრივი კურსების აუცილებელი გავლისაგან, რომელსაც ახორციელებს უცხოელთა მიგრაციისა და მიღების ნაციონალური სააგენტო». სწავლების ხანგრძლივობა არ აღემატება 400 საათს და შედეგი დამოკიდებულია ტესტირებისას გამოვლენილი ცოდნის დონეზე, ასევე შემსწავლელის უნარზე. სწავლების დასასრულს, ზეპირი და წერითი გამოცდის საფუძველზე, შემსწავლელი

იღებს სერტიფიკატს. გამოცდის უფასოდ ჩაბარების უფლება მხოლოდ ერთჯერ აქვს იმიგრანტს. კონტრაქტის დებულებათა დარღვევა წარმოადგენს საცხოვრებლად დარჩენაზე უარის თქმის საფუძველს. 2007 წლიდან იმიგრაციული პოლიტიკის გამკაცრებამ განსაზღვრა ენობრივი ხასიათის ახალი დებულებების შემცველ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტთა შექმნა. 2007 წლის 20 ნოემბრის «კანონი იმიგრაციული ნაკადების, ინტეგრაციისა და თავშესაფრის მიცემის კონტროლის შესახებ» ითვალისწინებს: ნებისმიერი უცხოელისათვის, 16-დან 65 წლის ასაკამდე, რომელიც იღებს ვიზას ოჯახის შექმნის საფუძველზე, აუცილებელია ჩააბაროს გამოცდა «ფრანგული ენისა და რესპუბლიკის ფასეულობათა ცოდნის დონის» შესაფასებლად. ვიზის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ამ გამოცდის დამაკმაყოფილებლად ჩაბარების შემთხვევაში. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია სწავლის კურსის გავლა, არა უმეტეს 2 თვისა, რომლის დასრულების შემდეგ ინიშნება განმეორებითი გამოცდა. ამგვარი ზომების აუცილებლობა კანონში განმარტებულია, როგორც შესაძლებლობის მიცემა უცხოელისათვის, რათა «მოემზადოს ფრანგულ საზოგადოებასთან ინტეგრაციისათვის». ახალი იმიგრაციული პოლიტიკის ჩარჩოებში საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობს შეამციროს არაკვალიფიცირებულ იმიგრანტთა რაოდენობა და შექმნას სასიკეთო, ხელსაყრელი პირობები იმათთვის, ვისითაც დაინტერესებულია საფრანგეთი. ნიკოლა სარკოზის მიხედვით, ამგვარი პოლიტიკის რეალიზაციაში, ფრანგული ენის ცოდნის საკითხი ერთგვარი ბარიერია საფრანგეთისათვის არასასურველი იმიგრაციისათვის. ეს თეზისი დასტურდება სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. ფრანგული ენის აუცილებელი ცოდნა, რომელიც კონტროლდება ხელისუფლების მიერ, იმიგრანტებს აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ ფრანგული ენა მოღვაწეობის ყველა სფეროში, რაც განაპირობებს ორი ურთიერთდამოკიდებული პროცესის მიმდინარეობას – ენობრივი სრულყოფისა და სოციალური ინტეგრაციისა.

1998 წელს ხელისუფლებამ დაამტკიცა და მიიღო საფრანგეთის საინფორმაციო საზოგადოებაში შესვლისათვის მზადების პროგრამა. ამ პროგრამის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ინტერნეტში ინფორმაციის მოპოვების უზრუნველყოფა ფრანგულ ენაზე. ინტერნეტსფეროში ფრანგული ენის დანერგვა განიხილება, როგორც ფრანგული ენის მიმართ წარმოებული პოლიტიკის პრინციპულად ახალი კომპონენტი.

საფრანგეთის ახალი ენობრივი პოლიტიკის განსჯა შესაძლებელია იმ ყოველწლიური ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც წარადგენს ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების მთავარი სამმართველო. 1999 წლიდან ანგარიშებში გამოჩნდა რეგიონალური ენების პრესტიჟის ამაღლების პოლიტიკისადმი მიძღვნილი პასაჟები, მრავალენოვნების პროპაგანდის საერთო კურსის ჩარჩოებში. 1998 წელს კულტურისა და კომუნიკაციის მინისტრმა კ. ტროტმანმა ფრანგული ენის მთავარ სამმართველოს მოუწოდა ამ მიმართულებით მუშაობისაკენ. 2001 წლიდან დაიწყო ამ პოლიტიკის გატარება, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ „ფრანგული ენის მთავარ სამმართველოს“ შეეცვალა სახელი და ეწოდა „ფრანგული ენისა და საფრანგეთის ენების მთავარი სამმართველო“; ეს კი ადასტურებს ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ენობრივი მრავალფეროვნების ფაქტის ოფიციალურ აღიარებას. 1999 წლიდან პარლამენტში წარმოდგენილი ყოველი წლიური ანგარიში შეიცავს ინფორმაციას რეგიონალურ ენათა წარმომადგენლობის ხარისხის შესახებ კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და განათლების სფეროებში.

რეგიონალურ ენებთან ურთიერთობის პოლიტიკის რეალიზაცია განპირობებულია ევროპული კავშირის ზემოქმედებით, რომლის წევრიც საფრანგეთი 1957 წლიდანაა. ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში ყოველგვარი ეთნიკური საკითხი და აქედან გამომდინარე ევროპის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება ლობირებულია ევროპულ ეთნიკურ უმცირესობათა ფედერალური კავშირით, რომლის გავლენა უდიდესია ყველა ევროპულ ინსტიტუტზე.

1998 წელს რასიზმთან ბრძოლის ევროპის კომისიამ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც გაისმა მუქარა ფრანგ ხელისუფალთა მიმართ, რადგან საფრანგეთმა არ მოაწერა ხელი „რეგიონალურ და მინორულ ენათა ევროპულ ქარტიას“ და არ მოახდინა მისი რატიფიკაცია. 1999 წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ მოაწერა ხელი „ქარტიას“, მაგრამ ამ დოკუმენტს არა აქვს იურიდიული ძალა ქვეყნის ტერიტორიაზე, რადგან არ გაუვლია რატიფიკაციის პროცედურა. საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭომ ამ გადაწყვეტილებას ასეთი მოტივაცია დაუდო საფუძვლად: „რეგიონალურ და მინორულ ენათა ევროპული ქარტია“ ანიჭებს რა განსაკუთრებულ უფლებას იმ ჯგუფებს, რომლებიც ლაპარაკობენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე იმ ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში, რომელშიც გამოიყენება ეს ენები, „ბღალავს რესპუბლიკის განუყოფლობის კონსტიტუციურ

პრინციპებს, კანონის წინაშე თანასწორობასა და ფრანგი ხალხის ერთიანობას“. ფრანგი ხელისუფლების ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება საფრანგეთის სახელმწიფოს ტრადიციულ პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით. საფრანგეთი მუდამ უარყოფდა იმ დოკუმენტთა რატიფიკაციას, რომლებიც განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდნენ ფრანგულისაგან განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს.

საფრანგეთი აღიარებს რა რეგიონალურ ენებს ნაციონალური ავლადიდების ნაწილად (შესაბამისად იმ შესწორებისა, რომელიც შევიდა კონსტიტუციის 75-ე მუხლის პირველ პუნქტში 2008 წელს) და არ აბრკოლებს რა მათ გამოყენებას საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში, უარს ამბობს, რომ რეგიონალურ ენებს მიენიჭოს ოფიციალური სტატუსი სახელმწიფო სფეროში.

ამგვარად, საფრანგეთის თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა შეიცავს შიდა და გარე მიმართულებებს. ნაციონალურ დონეზე შეინიშნება ენობრივი და იმიგრაციული პოლიტიკის სინთეზი, ქვეყნის ტერიტორიაზე ეროვნული მრავალფეროვნების აღიარების ფაქტი და ამის შედეგად იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც საშუალებას აძლევენ რეგიონალურ ენებს წარმოჩნდნენ კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და განათლების სფეროებში; ასევე მუშავდება და რეალიზდება ფრანგული ენის დანერგვის ღონისძიებები ინტერნეტსფეროში. საგარეო პოლიტიკა შეიცავს ახალი გზების ძიებას ფრანგული ენის პროპაგანდისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ლიტერატურა

Circulaire du 14 février 2003 relative à l'emploi de la langue française, <http://www.tlfiq.ulaval.ca/axl/europe/France-circulaire>.

Déclaration de M. Nicolas Sarkozy, <http://discours.viepublique.fr/notices/073000867.html>.

Tsiuri Akhvlediani**Aspects of Language Policy of France in XXI Century****Summary**

1. Like Georgia, population of France consists of various nationalities or, in other words, it is inhabited by people speaking various languages. According to the data of 2001 census conducted by National Institute of Statistics, for 86% of population French is a national language; for the rest 14% – other languages – Provence, Elzas-Lotaringian, Bretonian, Basque, etc.

2. Language Policy of France is centrist, directed to one language – French; Such a resolution is officially adopted and controlled by a Central Government.

3. «Circulaire du 14 février 2003 relative à l’emploi de la langue française» by Prime-Minister J.P. Rarfarren says that all the resolutions adopted, concerning the French language, are to be long-term, they are strictly defined and apply the status of the French language not only within the country, but outside of it as well. The goal of fulfilling such language policy is to provide the dominant position of French on the territory of France and preserve its place on the international level.

4. To guarantee the dominant role of French on the territory of France J.P. Rarfarren considers:

- Accurate accomplishment of those instructions that are closely connected with the usage and development of the French Language;
- “Special vigilance” from the authorities responsible for the exact implementation of the package of documents of the act of August 4, 1994 “ About the usage of the French language”;
- Enrichment of the French language as a result of activities of “ the Commission of Terminology and Neology that must be activated”;
- Usage of created terms by State Institutions, in the process of information and communication, publications and Internet;
- Providing usage of the French Language in scientific sphere (distribution of scientific publications concerning the act of August 4, 1994 „About the usage of the French language“ – fulfilling of relevant provisions of usage of the French language at the scientific conferences).

5. New language policy is closely connected with the renewed immigration policy, which provides, both, maximum control over the flows of immigrants and all necessary conditions for their integration within the French

society. One of the most important factors for social integration is the French language maintenance.

6. Realisation of relation policy with regional languages is determined by the influence of European Union, the member of which France has been since 1957. In the frames of this Organization any ethnic issue, and hence, cultural and linguistic diversity of Europe has been lobbied by Federal Union of European Ethnic Minorities, whose impact is the greatest of all European institutions.

7. Contemporary language policy of France consists of inner and outer directions. Synthesis of linguistic and immigration policy is observed on the national level i.e. the fact of recognition of national diversity within the country area. The result of which is the implementation of those measures that enable regional languages to be presented in cultural, educational spheres and mass media. Besides, a number of issues are realized to implement French language in the internet. Foreign policy is seeking for the new ways for the French language propaganda outside the state.

მანანა ზუკია

ენათა შერევის ტენდენცია ზანურ დარგობრივ ლექსიკაში

ენათა ურთიერთობის აუცილებელი შედეგია ენათა ურთიერთგავლენა, რომელიც ენის სხვადასხვა რგოლზე სხვადასხვა ინტენსივობისაა (ფოჩხუა, 1974: 343). ბუნებრივია, ეს ურთიერთგავლენა, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში იჩენს თავს.

სხვადასხვაენოვან კოლექტივთა ურთიერთობას ბუნებრივად მოსდევს ენათა ურთიერთგავლენა.

ის თვალში საცემი სხვაობა, რომელიც ლაზურისა და მეგრულის ლექსიკურ შედგენილობაში შეიმჩნევა და ცალკეულ შემთხვევაში კვლევისას არასწორ მიმართულებას უდებს სათავეს, უცხო ენათა (ლაზურისთვის – ბერძნულისა და თურქულის, მეგრულისათვის – სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე აფხაზურისა და რუსულის) ზეგავლენის შედეგია.

მაღზე საინტერესოდ არის წარმოდგენილი ამ ზეგავლენების შეფასება თავად ენის მატარებლის, ინფორმატორის მიერ. მოვიყვანთ მცირე ამონარიდს ი. ასათიანის „ლაზური ტექსტებიდან“: **ლაზურის თურქული მიშოკათუნ დო ემუშენი ლაზურის დო მეგრელეფს ნენას ჭიტა განცხავება უდუნ. აღანი მუთუნ ტეხნიკა, ვარა მატერიალი, ვარა მუთუნუ-ნა ყვან, თურქიქ მუში ჯოხო ქოგედუმერს, მუშენი დო მუში აღფაბეტი ვა უდუნ** „ლაზურს თურქული ურევია და ამიტომ ლაზურს და მეგრელების ენას ცოტა განსხვავება აქვს. ახალი რამე ტექნიკა ან მასალა, ან რამე რომ გააკეთონ, თურქი თავის სახელს არქმევს, რადგან (ლაზურს) თავისი ანბანი არ აქვს“ (ასათიანი, 1974: 208).

ბუნებრივია, ჯერ ბერძნული, შემდეგ კი 5 საუკუნის თურქულენოვანი სამყაროს უშუალო გარემოცვამ და პოლიტიკურმა ექსპანსიამ თავისი კვალი დაატყო ლაზურს. ეს კარგად ჩანს ჩვენს საკვლევ დარგში – მწყემსურ ლექსიკაში. ისტორიულად მესაქონლე თურქებს საკმაოდ მდიდარი დარგობრივი ლექსიკა მოეპოვებათ. ეს აისახა შესაბამისი დარგის ლაზურ ტერმინოლოგიაში.

იგივე პროცესი მიმდინარეობდა ბოლო დრომდე მეგრულში, რომელმაც ბოლო საუკუნე ან საუკუნე-ნახევრის განმავლობაში პოლიტიკურად გაბატონებული რუსული ენის მნიშვნელოვანი ზეგავლენა განიცადა. ფაქტობრივად, რუსულის დამკვიდრების ხარჯზე

ჩვენ თვალწინ დაიკარგა საკმაო რაოდენობის მეგრული ლექსიკური ერთეული, მაგრამ ლაზურისგან განსხვავებით, ეს ენობრივი ექსპანსია მეგრულში ნაკლებად შეეხო მწყემსურ ლექსიკას.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ იმ დროიდან, რაც რუსული იწყებს თავისი გავლენის გავრცელებას მეგრულზე, მესაქონლეობა უკვე აღარ არის უწინდებურად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო ფუნქციის მატარებელი სამეურნეო დარგი. შესაბამისად, აქტუალური აღარ არის მასთან დაკავშირებული ლექსიკა. ამას ალბათ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. სამეგრელოშიც და მთელ საქართველოშიც ცარიზმის რეჟიმის დამყარების შემდეგ მწყემსური მთაბარობა (ე. წ. ტრანსჰუმანსე) გაქირდა ბიუროკრატიული და კორუფციული მიზეზების გამო, რაც კოლონიური პოლიტიკის საშუალება იყო. ამან გამოიწვია მესაქონლეობის ხასიათის (ტრანსჰუმანსეს) შეცვლა საბინადრო – „საბოსლოთი“, რასაც მოჰყვა ამ დარგის დაკნინება. შეიძლება სხვა მიზეზების დადგენაც (შდრ. მიუხედავად რამდენიმე საუკუნოვანი პოლიტიკურ-ენობრივი ურთიერთობისა, მეგრულის მესაქონლეობის ლექსიკაში ვერ ვპოულობთ ბერძნიზმებს).

მართალია, მეგრულის მწყემსურ ლექსიკაში ისევე, როგორც სამსავე ქართველურ ენაში, გვხვდება რუსიზმების ცალკეული შემთხვევები (მაგ., **კნუტი** „მათრახი“, **სედლო** „ქალის უნაგირი“, **ხამუტი** „თაფხუნზე შემოჭერილი თასმა“...), მაგრამ მას მასობრივი ხასიათი არა აქვს. სამაგიეროდ, მეგრულის მესაქონლეობის ლექსიკას ეტყობა აფხაზური ენის მეტ-ნაკლები გავლენა.

მიუხედავად თურქიზმების სიმრავლისა, ლაზურმა შემოგვინახა არქაული ფორმები, რომლებიც არც მეგრულში გვხვდება და არც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ დასტურდება ზოგ დიალექტში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლაზურში დაცული **ბერი** „ძროხის საწველი ადგილი“: **ბერი – ფუჯი ნა ნჰვალუფან, გოდობერი** – „ბერი – ძროხას რომ წველიან, გალობილი“ (ასათიანი, 1974 : 139). ეს ლექსემა გვაქვს ძველ ქართულში: **ბერა** „შუა გასასვლელი“ (საბა, 1991 : 101), აგრეთვე ქართული ენის მიკროსისტემებში: **ბერა** „1. მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასავალი (ჩვეულებრივ ცხვრის სათვლელად და საწველად) ბერაში წველა ბაკში დამწყვდეული ცხვრის თითო-თითოდ გატარება ბერაში და რიგ-რიგობით მოწველა“ (ქეგელ, I : 1033); **ბერა** (ფშ., თუშ., გუდამ., მთ.) „ცხვრის საწველი ალაგი ისე შემოფარგლული ლასტებით ან ქვის ყორეთი, რომ საწველი ცხვარი შედის ერთის მხრივ და გადის მეორეთი“ (ლეონიძე, 1925 : 8), აჭარ. **ბერა** „სა-

ზაფხულო სამოვრებზე სახელდახლოდ გაკეთებული სადგომი“ (ნიჟარაძე, 1957 : 135), ქიზიყ. **ბერაში წველა** „ცხვარს ბაკში შეყრიან, მწველავები ბაკის კარებში დგებიან. თითო ცხვარს იჭერენ, ჯერ ერთი მწველავი მოსწველის, მერე მეორე...“ (მენთეშაშვილი. 1943: 16), ჯავახ. **ბერა-ბერა** „ცხვრის მოხმობა, მორეკვა ბერისაკენ“ (ბერიძე, 1981: 19).

საერთოქართველური ლექსემის – ქართ. **მართვე**, მეგრ. **მოთა**, ლაზ. **მოთალი** / **მოთა** / **მოთა** (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 209) – მნიშვნელობა მეგრულში დავიწროებულია და მხოლოდ შვილიშვილს აღნიშნავს (ჭარაია, 1997: 95), ლაზური ფორმა კი არქაული სემანტიკის შემცველია და ნაშიერს ნიშნავს: **ცხენიმ მოთალი** / **მოთა** „კვიცი“, **ფუჯიმ მოთა** „ხბო“ (ასათიანი, 1974: 215). კინჩი გამოფონამს გუგულიში **მოთალი**-თი დო მუში **მოთალი**-თი „ჩიტს გამოჰყავს გუგულის მართვეც და თავისი მართვეც“ (ჩიქობავა, 2008: 48).

სემანტიკური დატვირთვითა და წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ტერმინები:

ოთიალე „ბაგა, სადაც საქონელს თივას აჭმევენ“ (მარი, 1910: 147). შესაძლოა, დანიშნულების ამ სახელში ძირად გამოიყოფა **თია**, რაც მეგრულში „ულულვას“ ნიშნავს (ჭარაია, 1997: 71), მაგრამ სიტყვა **ოთიალე** ამ სახით მეგრულში არ გვხვდება. არანაკლებ სავარაუდოა, რომ ძირად მოიაზრებოდეს საერთოქართველური **თივა** : **თიფი** „თივა“. **ოთიალე** < ***ოთიფალე** „სათივე“, „თივის ჩასაყრელი“.

ორანწილონი (მარი, 1910: 177) // **ოდრანწკალონი** (ნარაკიძე, 1983: 67) „ეჟვანი, სარეკლა“. გასუბსტანტივებულ მიმღეობაში ძირად მოიაზრება ხმაბადვითი მეგრულ-ლაზური **რანწკ-** (მასდარი ლაზ. **ორანწკუ**, მეგრ. **რანწკუა**), რაც „რეკვას“ ნიშნავს. მეგრულში მას ქართული **ეჟვან**-ის შესატყვისი **ორევენი** ჩაენაცვლება.

ონჩახულე „თიხის ჭურჭელი, რაშიც მზადდება მაწონი“: **მეაფერი დოლოზუმან, არიანი იქომან** „მაწონს ასხამენ და (ნარჩენიდან) დღვებენ (ზედმ. აკეთებენ) ონჩახულეში“ (მარი, 1910: 209). **ო** – ე ცირკუმფიქსით ნაწარმოებ დანიშნულების სახელში ძირად შემონახულია **ჩახ-** ფორმა, რაც მეგრულად (resp. მეგრულ-ლაზურად „ნჯღრევას“ ნიშნავს. ე. ი. **ონჩახულე** ნიშნავს „სანჯღრევს“, „სადღვებს“. ეს ძალზე გამჭვირვალე ტერმინი მეგრულს არ შემოუნახავს.

ფუჯონჯე „ძროხების საწოლი“ (ასათიანი, 1974: 131). კომპოზიტი შედგება სახელისა (**ფუჯი** „ძროხა“) და მიმღეობისაგან (**ონჯე** „საწოლი, დასაწოლი“). ეს სიტყვები მეგრულში გვაქვს, მაგრამ ამგვარი კომპოზიტი ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში არ დასტურდება, თუმცა

მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში **ონჯირუ** „ტყეში გამართულ ღორის საზაფხულო ბუნაგს“ ნიშნავს.

მეგრულ-ლაზურში ძირითადად შენარჩუნებულია მესაქონლეობის ლექსიკის საერთოქართველური ფუძე-ძირები, ოღონდ იქვე გვხვდება ნასესხები და ძირეული მასალისაგან შემდგარი სინონიმური წყვილები. ლაზურ გამოქვეყნებულ ტექსტებში ადვილად შეიმჩნევა შეთვისებული ლექსიკის დომინანტი:

ქართ. **ზაგა**, მეგრ. **ზოგა**, ლაზ. **ზოგა**; **ემლუდი** // **ომლუდი** < **yemlik**,

ქართ. **ბატკანი**, მეგრ. **ბატკი**, ლაზ. **ბატკი**; **კუზი** < **kuzu**,

ქართ. **დერგი**, მეგრ. **დერგი**, ლაზ. **დერგი** // **დეგი**; **ქუფი** < **küp**,

ქართ. **მოზვერი**, მეგრ. **მოზვერა**, ლაზ. **მოზარი** // **მუზარი**; **თოსუმი** < **tosum**,

ქართ. **მწყემსი**, მეგრ. **ჰყიში**, ლაზ. **ჰკეში** // **ჰეში**; **ჩოხანი** < **coban**,

ქართ. **ნაღები**, ლაზ. **მოლაფერი**; **კაიმალი** < **kaymak**,

ქართ. **ტყავი**, მეგრ. **ტყეზი**, ლაზ. **ტკეზი** // **ტეზი**; **ფოსტი** < **post**,

ქართ. **ღორი**, მეგრ. **დეჯი**, ლაზ. **დეჯი**; **დომუზი** < **domuz**,

ქართ. **ყველი**, მეგრ. **ვალი**, ლაზ. **ყვალი** // **კვალი** // **ვალი**; **ფენირი** < **peynir**,

ქართ. **ცხვარი**, მეგრ. **შხური**, ლაზ. **მჩხუი**; **კოინი** < **koyun**,

ქართ. **ძაღლი**, მეგრ. **ჯოდორი**, ლაზ. **ჯოდოი**; **ქოფაქ** < **kopek**,

ქართ. **ჯოგი**, მეგრ. **ჯოგი**, ლაზ. **ჯოგი**; **მალი** < **მალ**, **სური** < **sür**,

ქართ. **ჯორი**, მეგრ. **ჯორი**, ლაზ. **ნჯორი**; **კატირი** < **katir**.

მეგრულში, ისევე, როგორც ლაზურში, გვაქვს ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური წყვილი, რომელსაც საერთოქართველურ ფორმებთან ქმნის აფხაზურიდან შეთვისებული სიტყვები:

ქართ. **ზოსელი**, მეგრ. **ზოსელი** / **ზოსეი**; **აგვარა** < აფხ. **ა-გ^აარა**, ეს უკანასკნელი სამეცნიერო ტერმინად ჩამოყალიბდა **აგვარა** კი „სამეურნეო ნაგებობის ტიპი“ (შამილაძე, 1986: 152)

ქართ. **გაზაფხული**, მეგრ. **გაზარხული**; **აფუნი** < აფხ. **ააფენ** (შდრ. **სააფუნი** „საზაფხულო საძოვარი“ (შამილაძე, 1986: 152)

ქართ. (დიალ.) **ბიგი** / **ბიგა**, მეგრ. **ბიგა**; **ლაბაშა** < აფხ. **ა-ლაბაშა**,

ქართ. **საწური**, მეგრ. **ოწირალი**; **ხარაძაგა** < აფხ. **ა-რაძაგა**,

ქართ. **ტლაპო** / **ტყლაპო**, მეგრ. **ონტყოლეში**; **აზმახი** „გუბე, საქონლის დასარწყულებელი“ < აფხაზ. **ა-ძმახ** „ჭაობი“.

ხშირად ლაზურში დაკარგულია, ან ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში არ გვხვდება ის საერთოქართველური ან შეთვისებული ფორმე-

ბი, რომლებიც გვაქვს ქართულში, მეგრულში, ნაწილობრივ, სვანურში. ლაზური „დანაკლისს“ ძირითადად თურქული (resp. აღმოსავლურენოვანი), ხანდახან კი ბერძნული ლექსიკით ივსება:

ქართ. **ბერწი**, მეგრ. **ბურჭი**, სვან. **ბრჭჭ**, ლაზ. **კისირი** < თურქ. **kisir**,

ქართ. **ერხო**, მეგრ. **ერხო** / **ებრო**, ლაზ. **ყადი** < თურქ. **yağ**,

ქართ. **კრავი**, მეგრ. **კირიბი**, ლაზ. **შიშელი** < თურქ. **şişek**,

ქართ. **კურტანი**, მეგრ. **კურტანი**, ლაზ. **სემერი** < თურქ. **semer**,

ქართ. **მაწონი**, მეგრ. **მარწვენი**, ლაზ. **ფოღურთი** < თურქ. **yoğurt**,

ქართ. **მათრახი**, მეგრ. **მართახი**, სვან. **მგრდახ**, ლაზ. **კამჭი** <

თურქ. **kamçı**,

ქართ. **უნაგირი**, მეგრ. **ონანგერი**, სვან. **ჰენგირ**, ლაზ. **ეფერი** <

თურქ. **eyer**,

ქართ. **ჭაკი**, მეგრ. **ჭაკი**, სვან. **ჭაგ**, ლაზ. **კისრადი** < თურქ. **kisrak**,

ქართ. **მარღვი**, მეგრ. **ჯერღვი**, სვან. **ჯარღუ**, ლაზ. **დამარი** <

თურქ. **damar**,

ქართ. **ბოსელი**, მეგრ. **ბოსელი**, ლაზ. **მანდრე** < ბერძ. **μανδρ**,

ქართ. **კუჭი**, მეგრ. **კუჭი**, სვან. **კუიჭ**, ლაზ. **ორექსი** < ბერძნ. **ορεξιδ**.

ქართ. **ძუძუ**, მეგრ. **ძუძუ**, ლაზ. **ბუძი** < ბერძნ. **βυζι**.

იგივე ვითარება გვაქვს მეგრულში, ოღონდ აქ აფხაზური ენის გავლენა გაცილებით ნაკლები ინტენსივობისაა:

ქართ. **ხსენი**, ლაზ. **ცხონი**, მეგრ. **ხიჯაჯა** < აფხაზ. **ა-ხჯაჯა**.

ქართ. **თიკანი**, ლაზ. **ტიკანი**, მეგრ. **ქვაშდი** < აფხაზ. **ა-ქაშთ**.

ხანდახან ლაზური ნასესხებ ფორმას ჰიბრიდული კომპოზიციის კომპონენტად იყენებს: თურქული წარმოშობის **ჯიგერი (ciger)** ლაზურში „ღვიძლს“ ნიშნავს. იმავე სემანტიკისაა შერეული კომპოზიტი **უჩაჯიგერი**, ზედმ. „შავი ღვიძლი“ (შდრ. თურქ. **karaciger** „ღვიძლი“ კომპოზიტია: **kara** „შავი“, **ciger** „ღვიძლი“) და მის გვერდით გვაქვს **ქჩეჯიგერი / ხჩეჯიგერი** „ფილტვი“, ზედმ. „თეთრი ღვიძლი“ (მარი, 1910: 195). თურქულად ფილტვი გადმოიცემა კომპოზიტით **akciger (ak** „თეთრი“, **ciger** „ღვიძლი“). ფაქტობრივად, ორივე კომპოზიტი თურქულის კალკია. შევნიშნავთ, რომ ფილტვის აღსანიშნავად ლაზურს საკუთარი **ფურფუ**-ც შემოუნახავს (მარი, 1910: 195).

ჰიბრიდული სინტაგმა **კაბულაში ყვილეფე** „ზურგის ძვლებია“ (ასათიანი, 1974, 119), **კაბულა** < / **კაბურღა (კაბურგა)** თურქულად „ნეკნს“ ნიშნავს, **ყვილი** კი საერთოქართველური ლექსემაა: ქართ. (დიალ.) **ყვლივი** „ბარძაყის ან მხრის ძვალია“ (გაჩეჩილაძე, 1976: 148), ლაზ.

ყვილი / ყილი / ილი „ძვალი“ (მარი, 1910: 203), მეგრ. **ყვიყვილი** „მენჯის ძვალი“. ეს უკანასკნელი ნასესხობის სახით გვაქვს აფხაზურში: **ა-ყ^ეყ^ეღ** „ცხენის მენჯის ძვალი“ (არშბა, 1980: 38).

ჰიბრიდულ სინტაგმას იყენებს მეგრულიც. შესიტყვებაში **აფხაშ დუდი** „ბეჭისთავი“, მსაზღვრელი აფხაზურიდანაა შეთვისებული (ბუკია, 1999: 10) და გამსესხებელ ენაში „ზურგს“ ნიშნავს (აფხაზ. **ა-ბღა** „ზურგი“, ადიღ. **ბღ^ე** „ყაბარდ. **ბღ^ე** „ბეჭისთავი“), **დუდი** კი ქართული **თავ**-ის მეგრული ლექსიკური შესატყვისია.

ჰიბრიდულ კომპოზიტიან ხსენის აღმნიშვნელი მეგრული ფორმა **ხიჯეხა**, რომელშიც პირველი კომპოზიტი **ხიჯე** < **ხიჯეჟა** < **ხჯაჟა** „ხსენია“, მეორე კი – მეგრული „რმე“.

ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა სესხებისას მომხდარი ის პროცესები, რომლებიც ყველა ენაში მეტნაკლებად იჩენს თავს. ასევე ხდება ჩვენს საკვლევ მასალაში. ეს ცვლილებები, ერთი შეხედვით, ლექსიკურად საკმაოდ აშორებს ერთი ენის ორ დიალექტს ერთმანეთისაგან და ქმნის მკვეთრი განსხვავებულობის ილუზიას.

ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული მასალა ლექსიკის ის ნაწილია, რომელიც სასწრაფო აღნუსხვასა და შესწავლას საჭიროებს. აფხაზური, როგორც სახელმწიფო ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე (ქართულთან ერთად – საქართველოს კონსტიტუციის თანახმად), სამომავლოდ ასევე საჭიროებს ტერმინოლოგიური სტანდარტების შემუშავებას, ამიტომაც დარგობრივი ლექსიკის ისტორიულ ანალიზს შეუძლია მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს ამგვარ სამუშაოებს.

ლიტერატურა

არშბა, 1980 – Н. В. Аршба. Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский, Сухуми.

ასათიანი, 1974 – ი. ასათიანი. ჰანური (ლაზური) ტექსტები, I. ხოფური კილოკავი, თბილისი.

ბერიძე, 1981 – გრ. ბერიძე. ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

ბუკია, 1999 – მ. ბუკია. მეცხენეობისა და ცხენოსნობის ლექსიკა ზანურში, ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი, თბილისი.

გაჩეჩილაძე, 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი.

მარი, 1910 – Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.- Пб.

მენტეშაშვილი, 1943 – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, II, თბილისი.

ნარაკიძე, 1983 – ც. ნარაკიძე, ლაზური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი.

ნიჟარაძე, 1957 – შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი.

საბა, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 – პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქოვაძე, 2008 – ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, შრომები, IV, თბილისი.

ჭარაია, 1997 – პ. ჭარაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Manana Bukia

Tendency of Language Mixing in Zan Occupation-related Vocabulary

Summary

Collaboration in multi-language groups naturally results in mixed vocabularies.

Notable difference in Megrelian and Laz vocabularies is a result of influence of foreign languages (Turkish and Greek – for Laz and Russian and Abkhaz in different chronologies – for Megrelian).

The paper discusses the part of the Megrelian-Laz cattle-breeding vocabulary.

Influence of Greek language from ancient times and later of Turkish is obvious for Laz cattle-breeding vocabulary.

Similar development occurred in Megrelian language during past two centuries influenced by politically dominant Russian language and Abkhazian

language with rich cattle-breeding vocabulary.

The common Kartvelian stems and roots of the cattle-breeding vocabulary are mainly preserved in Laz and Megrelian, but synonymic pairs consisting of borrowed words also occur. One can easily trace a dominant language influence in Laz:

Georg. **baga**, Megr. **boga**, Laz **boga**; **jemluyi** / **jomluyi** < Turk. yemlik – barn.

Georg. **baṭṭkani**, Megr. **baṭṭki**, Laz **baṭṭki**; **ḱuzi** < Turk. kuzu – lamb.

Georg. **ḡori**, Megr. **ḡeḡi**, Laz **ḡeḡi**; **domuzi** < Turk. domuz – pig.

Georg. **qveli**, Megr. **vali**, Laz **qvali** / **ḱvali** / **vali**; **piniri** < Turk. peynir – cheese...

Similarly in Megrelian, there exist pairs or lexical items consisting of common Kartvelian and Abkhaz roots:

Georg. **gazapxuli**, Megr. **gazarxuli**; **apuni** < Abkh. **aapən** – spring.

Georg. (dail.) **bigi** / **biga**, Megr. **biga**; **labaša** < Abkh. **alabaša** – stick.

The common-Kartvelian forms, which occur in Georgian, Megrelian and partially in Svan, are often lost in Laz. Laz language “fills this loss” mainly with the Turkish (oriental) vocabulary:

Georg. **berçi**, Megr. **buriçi**, Svan **brwiç**, Laz **ḱisiri** < Turk. kisir – barren.

Georg. **erbo**, Megr. **erbo** / **erbo**, Laz **jayi** < Turk. yağ – melted butter.

Georg. **ḱravi**, Megr. **ḱiribi**, Laz **ṣiṣeyi** < Turk. şişek – lamb.

The analogous situation is in Megrelian, but in this case influence of Abkhazian is less intensive:

Georg. **xseni**, Laz **cxeni**, Megr. **xiḡaḡa** < Abkh. **a-xḡaḡa** – colostrum.

Georg. **tiḱani**, Laz **ṭiḱani**, Megr. **kvaṣdi** < Abkh. **a-k°ašt** – goat kid.

The study should be done in integrity, not separating Megrelian and Laz, because valuable results of studies of interlanguage relations of Megrelian-Laz, with common Kartvelian and other languages, can be achieved only in this integrity.

**იამზე გაგუა, მაია დანელია, ეკატერინე კობახიძე,
ნინო რუხაძე**

ლათინური იურიდიული ტერმინების გადმოცემისათვის ქართულად

ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვება ისეთი ნაშრომი ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ, რომელიც დააკმაყოფილებდა სპეციალისტთა და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა მოთხოვნებს. ამჟამად არსებული ორიოდ საცნობარო ხასიათის იურიდიული ტერმინოლოგიური ლექსიკონი მცირე მოცულობისაა და ფაქტობრივი თუ ტერმინოლოგიური სახის უზუსტობის გამო ამ პრობლემის გადასაჭრელად ვერ გამოდგება.

თანამედროვე ევროპული ქვეყნების ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის იურიდიული ტერმინოლოგია, ძირითადად, რომაული სამართლის მიერ გამომუშავებული ფორმულებითა და ცნებებით საზრდოობს. რომაული სამართლის საფუძვლების ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია მაღალი დონის პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბება.

ქართულ ენაზე ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ ნაშრომის შექმნა მნიშვნელოვანია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ყველასთვის, ვინც სამართალმცოდნეობის საკითხებით არის დაინტერესებული.

ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია წარმოადგენს 2011 წელს რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს (ხელმძღვანელი პროფ. ლ. ალექსიძე), რომელიც მიზნად ისახავს ორი წლის მანძილზე სალექსიკონო ფორმატის ნაშრომის შექმნას. ამ ეტაპისათვის დასრულებულია ლათინური იურიდიული ტერმინების გამოკვლევა (დაახლოებით 5000 სალექსიკონო ერთეული), რასაც მოსდევს ლათინური ფრაზეოლოგიზმებისა და გამონათქვამების ლექსიკონი ქართული თარგმანითურთ. ნაშრომს დაასრულებს დანართი, რომელიც იქნება ორგანოფილებიანი: პირველში შევა ინფორმაცია ცნობილ სამართალმცოდნეთა შესახებ, რომელთა სახელებთან არის დაკავშირებული ამა თუ იმ კანონის შექმნა, მეორე ნაწილში გათვალისწინებულია ლათინური გრამატიკის მოკლე ცნობარის დართვა, რომელიც დახმარებას გაუწევს ლექსიკონით სარგებლობისას მას, ვინც კარ-

გად (ან საერთოდ) არ იცის ლათინური ენის გრამატიკა.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონი, რომელიც ასეთი სახისაა: ჯერ მოცემულია ლათინური ტერმინი ქართული ტრანსკრიფციით, მახვილის მითითებით, შემდეგ ტერმინის თარგმანი ქართულად, რასაც მოსდევს ლათინური ტერმინის ქართული შესატყვისი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემდეგ მოცემულია სამნაწილიანი განმარტება. პირველში წარმოდგენილია ლათინური ტერმინის განმარტება რომის სამართალში, მეორეში – ტერმინის მნიშვნელობა მოქმედ კანონმდებლობაში, მესამეში – ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირველად დადასტურების შემთხვევა. ნიმუშისათვის დავასახელებთ ორ მაგალითს:

codex, dicis [კო'დექს „დაფა“] კოდექსი

I. წიგნად აკინძული, ცვილით დაფარული ხის ფირფიტა, პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილი. c. accepti et expensi შემოსავლისა და გასავლის წიგნი;

II. საკანონმდებლო აქტი, რომელშიც გაერთიანებულია და სისტემატიზირებულია ერთგვაროვან სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (2011)

III. „ხოლო კოდიკოი არს სახელი ჰრომაული და ეწოდების გუჯარსა გავრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათმე პირთასა და სჯულის-დებათასა და ესეცა მრავალ წიგნებად არს განყოფილ სიმრავლისათვის, რომლისა წიგნებისა ნაწილები და თავები ფერად-ფერადთა მიზეზთათვის წარმოიტყვის“ (დიდი სჯულ., 1975 : 137)

ამ მაგალითში ჯერ მოცემულია ტერმინი სახ. ბრუნვაში (codex), შემდეგ – ნათ.-ის ფორმა არასრულად (dicis), რაც მიუთითებს, რომ სახ.-ში სრულად არ ჩანს სახელის ფუძე; შემდეგ კვადრატულ ფრჩხილში წარმოდგენილია მახვილიანი ფორმა და ტერმინის ქართული თარგმანი, „დაფა“. შემდეგ მოდის ტერმინის განმარტებები.

constitutio, onis [კონსტიტუ'ციო, კონსტიტუ'ციო „დადგენილება“, „ნორმა“, „წესი“] კონსტიტუცია

I. დადგენილება, ნორმა, კანონი; როგორც ჩანს, რომის სამართალში რესპუბლიკის ხანაშივე არსებობდა კონსტიტუციები (მაგ. c. Rutiliana).

II. სახელმწიფოს ძირითადი და უზენაესი იურიდიული ძალის მქონე კანონი. „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს

კონსტიტუციას” (საქ. კონსტ., 1995, მე-6 მუხლი).

III. „კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედაზრის წინააღმდეგია“ (საქ. კონსტ., 1921, მე-8 მუხლი).

მოცემულ მაგალითში ლათინური ტერმინის ორი ტრანსკრიფცია არის მოცემული: კონსტიტუტო და კონსტიტუციო, პირველი წარმოთქმა კლასიკური ლათინურის შესაბამისია, მეორე კი – შუასაუკუნეებისა (დაახ. ახ. წ. IV ს.).

ლექსიკონში შევიდა შუასაუკუნეებში და გვიანდელ ლათინურში ჩამოყალიბებული სიტყვები, რომლებიც არ გვხვდება კლასიკური ხანის ლათინური ენის ლექსიკონებში, მაგრამ ისინი გამოიყენება თანამედროვე იურიდიულ ტერმინოლოგიაში. მაგ. *advocatura, procuratura, attestatio, beneficiarius, condicatio, certificatio* და სხვ., ლექსიკონში არ შევიტანეთ ლათინური ძირის სიტყვები, რომელთა ტერმინებად ჩამოყალიბებაში სხვა ენები მონაწილეობდნენ. მაგ. საერთო ნუსხაში არ მოხვდა: *პლურალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, მუნიციპალიტეტი*, არც ბოლო ხანებში ჩვენში გავრცელებული ტერმინი *cohabitata კოჰაბიტაცია*, რომელიც ფრანგულიდან არის შემოსული და ნიშნავს *თანაცხოვრებას*. იგი აშკარად ლათინური სიტყვაა, რომელიც კლასიკური ხანისა და შუასაუკუნეების ლათინურში არ გვხვდება, თუმცა ამ პერიოდის ლათინურში დადასტურებულია ზმნა *cohabitare თანაცხოვრება*. არსებობს ასეთი იურიდიული სენტენცია: *Fraus et ius nunquam cohabitabant – ტყუილი და სამართალი ერთად ვერასდროს თანაარსებობდნენ*.

საყურადღებოა ლათინური ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში პირველად დადასტურების საკითხი, რომელიც ლექსიკონში მესამე პუნქტადაა შეტანილი. ამ მიზნით დამუშავდა ქართული სამართლის ძეგლები. უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ტერმინების ქართულ სამართლებრივ სივრცეში გამოჩენა საეკლესიო სამართლის ძეგლებში XI-XII საუკუნეებიდან დასტურდება, კერძოდ: პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში და მცირე და დიდი სჯულის კანონში; მაგ: *codex კოდიკოი, curator კურატორი, domesticus დომესტიკოსი, legatus ლიდატი, institutiones ისტიტუტიონნი, kalendae კალენდობანი, titulus ტიტლოსი, tribunus ტრიბუნუსი, optio ოფტიონი* და სხვ., რომლებიც ქართულ საეკლესიო სამართალში ბერძნული ენიდან უნდა დამკვიდრებულიყო ზეპირი გზით.

ლათინური იურიდიული ტერმინების მეორე ტალღა ქართულ დოკუმენტებსა და კანონებში შემოიჭრა საქართველოს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად. ამ დროს მკვიდრდება ტერმინები: *appellatio* აპელაცია, *caeremonia* ცერემონია, *collegium* კოლეგია, *corpus* კორპუსი, *deputatus* დეპუტატი, *gubernator* ლუბერნატორი, *mediator* მედიატორი და სხვ.

რამდენიმე იურიდიული ტერმინის გამოჩენა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს: *annexio* ანექსია, *naturalisatio* ნატურალიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ლათინურ ტერმინთა დამკვიდრება ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში დღესაც გრძელდება, რაც მეტყველებს ლათინური ენის მნიშვნელოვან როლზე იურიდიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ლათინური ტერმინების ქართულად გადმოცემისას ვითვალისწინებდით ტრადიციულად დამკვიდრებულ წესებს, რომელთა თანახმად:

1) **-ia**-ზე დაბოლოებული სახელი ქართულადაც **-ია**-თი ბოლოვდება, რაც ბუნებრივია ქართულისთვისაც და მისი გადმოცემა არავითარ სირთულეს არ ქმნის. მაგ. *materia* მატერია, მასალა, რისგანაც არის დამზადებული რაიმე; *memoria* მემორია, მეხსიერება, ხსოვნა, მოგონება.

2) **-tia** სუფიქსიანი ტერმინები ქართულად ტრადიციულად **-ცია** დაბოლოებით გადმოდის: *სენტენტია* სენტენცია, აზრი, განაჩენი; *indulgentia* ინდულგენცია, შეწყალება; *patientia* პაციენცია, მოთმინება; *potentia* პოტენცია, ძალა.

3) **-tio** სუფიქსიანი სახელებიც **-ცია**-თი გადმოდის ქართულად: *probatio* პრობაცია, მოწონება; *degustatio* დეგუსტაცია, დაგემოვნება; *ovatio* ოვაცია (მცირე ტრიუმფი); *frustratio* ფრუსტრაცია, შეცდომაში შეყვანა; *eruditio* ერუდიცია, განათლება.

4) **-sio** სუფიქსიანი ტერმინები **-სია**-თი გადმოიცემა: *expansio* ექსპანსია; *expressio* ექსპრესია, გამომსახველობა; *excisio* ექსცისია, დაწერვა (ქალაქის); *remissio* რემისია, შესუსტება.

5) ზოგჯერ **-tio** და **-io** სუფიქსიანი სახელები ინარჩუნებენ ფუძისეულ **-n** თანხმოვანს, რომელიც სახელობითში არ ჩანს და სხვა ბრუნვებში (წოდებითის გარდა) აღდგება: *decurio* (ნათ. *decurionis*) დეკურიონი, ათეულის მეთაური; *regio* (ნათ. *regionis*) რეგიონი, მხარე; *motio* (ნათ. *motionis*) მოციონი, მოძრაობა; მაგრამ ამავე ძირის სიტყვა *emotio* (ნათ. *emotionis*) გადმოდის სახელობითის ფორმით: *ემოცია*, ამოძრავება, რომელიც ფრანგულის გზით არის შეთვისებული.

6) **-(i)um** სახელები საშუალო სქესისაა, მათი ნაწილი ინარჩუნებს

-um დაბოლოებას: *beneficium*, ბენეფიციუმი, წყალობა; *praesidium* პრეზიდიუმი, დაცვა; *consilium* კონსილიუმი, რჩევა, თათბირი.

7) ნაწილი ამ სუფიქსიანი სახელების ჩამოიცილებს -(i)um დაბოლოებას: *argumentum* არგუმენტი, საბუთი; *documentum* დოკუმენტი, ნიმუში; *testamentum* ტესტამენტი, ანდერძი; *suicidium* სუიციდი, თვითმკვლელობა; *plebiscitum* პლებისციტი, ხალხის გადაწყვეტილება.

8) ნაწილი ამ ტიპის სახელებისა -ia დაბოლოებით გადმოდის: *imperium* იმპერია, ძალაუფლება; *stipendium* სტიპენდია, სამხედრო მოსამსახურეთა ქირა; *praemium* პრემია, ჯილდო; *subsidium* სუბსიდია, დახმარება. ამ სახელებისათვის -ia მრავლობითი რიცხვის ფორმანტია: *imperia, stipendia, praemia, subsidia*.

9) -fex (ნათ. -cis) სუფიქსიანი სახელები მხოლობითის ფორმითაც გადმოიცემა და მრავლობითისაც: *pontifex* პონტიფექსი, უმაღლესი ქურუმი (მხოლ. რიცხვის სახელობითი), *pontifices* პონტიფიკები (მრავ. რიცხვი; ამოსავალია სახელის ფუძე pontific-), შესაძლებელია *პონტიფექსებიც* (მხოლ. რიცხვის ფორმიდან); მაგრამ *princeps* პრინცეპსი, პირველი პირი (მხოლ. რიცხვში) და *principes* პრინცეპსები (ამოსავალია სახელის ფუძე princip-).

10) -arius სუფიქსიან სახელთა ნაწილი არსებითია, ნაწილი კი – ზედსართავი. ზოგიერთი სახელობითის ფორმით გადმოდის, ზოგიერთი სახელი კი -us-ის გარეშე გადმოიცემა: *archivarius* არქივარიუსი, არქივის გამგე; *notarius* ნოტარიუსი, მდივანი, მაგრამ *beneficiarius* ბენეფიციარი, გარკვეული შეღავათებით მოსარგებლე; *emisarius* ემისარი, საგანგებო დავალებით გაგზავნილი პირი.

11) ასევეა -arium-ზე დაბოლოებული სახელებიც. ზოგი ინარჩუნებს -um დაბოლოებას, ზოგიც ჩამოიშორებს: *compendium* კომპენდიუმი, მოკლე შინაარსი, მაგრამ *commentarium* კომენტარი, შენიშვნა.

12) -ns (ნათ. ntis) სუფიქსიან სახელთა უმრავლესობა ინარჩუნებს ფუძისეულ -t თანხმოვანს: *patiens (patientis)* პაციენტი, მომთმენი; *migrans (migrantis)* მიგრანტი, გადასახლებული, მაგრამ გვაქვს რამდენიმე არა იურიდიული ტერმინი სახელობითის ფორმით; (*homo*) *sapiens (ჰომო) საპიენსი, (Iuppiter) Omnipotens (იუპიტერ) ომნიპოტენსი*, ყოვლისშემძლე; მათემატიკური ტერმინები: *secans (secantis)* სეკანსი, გადამკვეთი, *tangens (tangents)* ტანგენსი, მხები.

არის შემთხვევები, როცა სახელი აშკარად ლათინურია, მაგრამ წარმოთქმა არ შეესაბამება არც კლასიკურს და არც შუასაუკუნეების ლათინურს. მაგ. გვაქვს *mancipatio*, რაც ქართულად გვაძლევს მანციპა-

ცია-ს, მაგრამ იმავე ძირიდან ნაწარმოები *emancipatio* გადმოვიდა *ემან-სიპაციად* (ci-ს si-დ წაკითხვა არ არის დამახასიათებელი ლათინურისთვის). ეს აიხსნება იმით, რომ ეს ტერმინი რუსულიდან არის შეთვისებული, სადაც რომელიმე ევროპული ენიდან მოხვდა.

ჩვენ მხოლოდ ისეთი სუფიქსები განვიხილეთ, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიყენება ტერმინთა წარმოებაში და ვნახეთ, რომ მათი გადმოცემისას აბსოლუტური ერთგვაროვნება არ არის. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს ტერმინები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით შემოვიდა ქართულში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ტრადიციას ვითვალისწინებთ ამ სახელთა გადმოცემისას, მაგრამ პრობლემის წინაშე ვდგებით, როცა ახალი ტერმინის გადმოცემა გვიხდება, მაგ. *hereditarius* *ჰერედიტარი* თუ *ჰერედიტარიუსი*, მემკვიდრე; *fructuarius* *ფრუქტუარიუსი* თუ *ფრუქტუარი*, პირი, რომელსაც დროებით აქვს მინიჭებული უფლება ფლობდეს ნივთს. როგორ უნდა გადმოვცეთ *ratio* (*rationis*) *გონება*, აზრი, როცა მისი არც *რაცია*-დ გადმოტანა შეიძლება, რადგან ასეთი სიტყვა სხვა შედგენილობისა და სხვა მნიშვნელობისაა, მას არც *რაციონი* შეესაბამება, რომელიც გერმანულის გზითაა შემოსული და *ულუფას* ნიშნავს, ამიტომ გერჩება მხოლოდ სახელობითის ფორმა, *რაციო*.

როცა ლათინურ ტერმინს არ ეძებნება ქართული შესატყვისი, ვუწერთ მხოლოდ თარგმანს და განმარტებას. მაგ. *iussum* [იუ'სსუმ "ბრძანება"] *ბრძანება*, განკარგულება.

ვფიქრობთ, ამგვარად შედგენილი იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონი გარკვეულ სამსახურს გაუწევს არა მარტო იურისტებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს.

ლიტერატურა

დიდი სჯულ., 1975 – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, მეცნიერება, თბ., 1975.

მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.

Adolf Berger, *Encyclopedie Dictionary of Roman Law*, Vol. 43, Part II (Clark: The Lawbook Exchange, LTD, 1953).

J. Gray, *Lawyers' Latin*, London, 2002.

М. Бартошек, *Римское право*, Москва, 1989.

**Iamze Gagua, Ekaterine Kobakhidze, Maia Danelia,
Nino Rukhadze**

Towards the Equivalences of Latin Legal Terms

Summary

Production of work on legal Latin terminology is important not only for students and specialists studying law but also generally for people interested in legal issues. Roman law includes almost perfect model of classification, which consists of general part of legal forms. Though, along with development of civilization during the centuries and different changes, legal forms have been changed but mainly, roman classification has still preserved its importance. Therefore, legal terminology of national and international law of modern European countries have source from forms and concepts of Roman law. Nowadays, it is considered impossible to become a high professional in law without deep knowledge of basics of Roman law. Those specialists and students, who are interested in these issues have problems concerning with writing and translation of legal terms and phraseological forms. It is important to have knowledge as far as of law and of Latin, as a language of legal terms for preventing mistakes in translation of Latin legal terms. At present we do not have any work which will completely satisfy interests of legal community. Today we have some reference type of works, but because of small amount and factual or terminological mistakes, they do not satisfy requirements of those students and specialists, who have to use legal terms during their studying or researches. Therefore, it will be somehow novelty in Georgian scholarship to create academic type of work with exquisite language and terms, which will include not only translation of terms, definition and Georgian equivalents, but also information about the source, documentation of primary introduction of the term in Georgian legislative space and approving of certain cases of usage of Latin terms in Georgian legal acts. The article is dedicated to the ways of solving and analyzing the problems, arisen during the project ("Latin legal terms") regarding the fundamental researches, funded by Shota Rustaveli National Foundation in 2011.

ოთარ გამყრელიძე

ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის საკითხები

ქართული ენა მდიდარია თავისი შესაძლებლობებით სრულყოფილად გამოხატოს ესა თუ ის მოვლენა. მათ შორის, რასაკვირველია, ხალხის სამართლებრივი ცხოვრების ამსახველი სიტყვებიც იგულისხმება. ქართული სამართლებრივი ენა საკმაოდ დახვეწილია და კარგად ასახავს შესაბამის მოვლენებს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ენა ნაკლებად არის დაცული უცხო ენების ზეგავლენისაგან, რაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან შეინიშნება.

ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია განსაკუთრებით ნაგვიანდება უკანასკნელ ხანებში, როცა სამართლებრივად ძლიერად განვითარებულ ქვეყნებში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა და საკანონმდებლო ტექსტები ჩვენს სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად გამოიყენება.

უფრო მეტიც: არის შემთხვევები, როცა ქართველი ავტორი ქართული ენის მდიდარ შესაძლებლობებს ვერ აცნობიერებს და ბრმად გადმოაქვს ქართულად უცხო ტერმინოლოგია. მოვიყვან ერთ მეტად საგულისხმო მაგალითს: 2012 წელს თბილისში დაიბეჭდა „გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული იურიდიული ლექსიკონი“, რომელშიც გერმანული ტერმინი **objektives recht** თარგმნილია, როგორც **ობიექტური უფლება**, ხოლო **subjektives recht**, როგორც **სუბიექტური უფლება**.

ქართულმა სამართლებრივმა ენამ არ იცის უფლების დაყოფა „ობიექტურ“ და „სუბიექტურ“ უფლებად. საქმე ის არის, რომ ასეთი დაყოფა ქართულ ენას არც სჭირდება. ქართულ სამართლებრივ ენაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია **უფლება** და **სამართალი**. არც გერმანულ ენას, არც რუსულს არ შეუძლია ერთმანეთისაგან გამიჯნოს ეს ორი მოვლენა, ამიტომ გერმანელი იძულებულია სიტყვა **უფლება** ასე გამოხატოს – **das subjektives recht**, ხოლო **სამართალი** **das objektives recht**. რუსულადაც ასევე გამოითქმება: **Субъективное право** და **Объективное право**.

გერმანულ სამართალში დამკვიდრებულია აგრეთვე ტერმინი **Unrecht**, რომლის რუსული შესატყვისია **Неправда**. ნახევარ საუკუნე-

ზე მეტია, რაც ამ ტერმინის ქართულ შესატყვისად მიღებულია **უმართლობა**, რომელიც ენობრივადაც და სამართლებრივი შინაარსითაც ზუსტად გამოხატავს შესაბამის მოვლენას¹. სამწუხაროა, რომ ზემოთ მითითებულ „გერმანულ-ქართულ იურიდიულ ლექსიკონში“ ეს ქართული ტერმინი მიგნებული არ არის. **Unrecht** ასეა განმარტებული: 1. „უსამართლობა; 2. უკანონობა“. ფართო გაგებით **უმართლობა**, **უსამართლობასაც** გულისხმობს, მაგრამ **უმართლობა** უფრო სამეცნიერო ტერმინია და მას სულ სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელ **უსამართლობას**. ამიტომ იურიდიული ლექსიკონის შემდგენელმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში ვკითხულობთ: „1. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს...“ ტერმინი **მოქალაქეობის არმქონე პირი** გვხვდება აგრეთვე კოდექსის მე-6 მუხლშიც.

დასახელებული კოდექსის მე-15 მუხლში გამოყენებულია მსგავსი ტერმინი: **ნასამართლევი პირი**. ეს ტერმინი მეორდება მე-17 მუხლშიც და სხვ.

აქ სიტყვა **პირი** სრულიად ზედმეტია. თუკი ვამბობთ **საქართველოს მოქალაქე**, რატომ არ შეიძლებოდა, გამოგვეყენებინა სიტყვა **პირის** გარეშე **მოქალაქეობის არმქონე**? ასევე შეიძლებოდა გვეხმარა სიტყვა **ნასამართლევიც** სიტყვა **პირის** გარეშე. განა სიტყვები **მოქალაქეობის არმქონე** და **ნასამართლევი**, პირის გარეშე რომ გამოვიყენოთ, პირს, ე. ი. ადამიანს არ გულისხმობენ? ბუნებრივია, ცხოველი ვერ იქნება **ნასამართლევი** ან **მოქალაქეობის არმქონე**.

უფრო მეტიც, სულ ახლახან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მდგომარეობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით კიდევ უფრო დამძიმდა: 2012 წ. 25 მაისის კანონით ამ მუხლის პირველი ნაწილი ასე ჩამოყალიბდა: „1. საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს...“ და ა. შ. **სტატუსი** უცხო სიტყვაა და „მდგომარეობას“ აღნიშნავს. „სტატუსის“ მქონედ მიიჩნევენ საქართველოში სხვა ქვეყნის წარმომადგენელს. ტერმინი **სტატუსი** ხშირად გამოიყენება აგრეთვე ქარ-

¹ მაგონდება გალაკტიონის ლექსი „ახალგაზრდობას“, რომელშიც პოეტი ახალგაზრდობას ასეთი სიტყვებით მიმართავს: „სადაც უმართლობას ნახავს, შურისგებით იალღებდეს“.

თულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის სათაურია „დამნაშავის გადაცემა და ექსტრადიცია“. **ექსტრადიციის** მნიშვნელობა კოდექსის ამავე მუხლითაა განმარტებული. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება ექსტრადირებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში ან გადაეცნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს“.

როგორც ვხედავთ, **გადაცემა** და **ექსტრადიცია** შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტყვები ყოფილა. თურმე დამნაშავე საერთაშორისო სასამართლოს „გადაეცემა“, ხოლო სხვა სახელმწიფოში ხდება მისი „ექსტრადირება“. სინამდვილეში ლათინური სიტყვა „ექსტრადიცია“ ნიშნავს „უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას იმ პირისა, რომელმაც ამ სახელმწიფოს კანონები დაარღვია“, ნათქვამია მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“. **ექსტრადიცია** იგივე **გადაცემა**. ასე რომ, დასახელებული კოდექსის მე-6 მუხლის სათაური, თუ **ექსტრადიციას** გადმოვაქართულებთ, ასე უნდა წავიკითხოთ: „დამნაშავის გადაცემა და გადაცემა“!

2004 წლის 24 ივნისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 17¹ მუხლი სათაურით – „რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი“. რა აუცილებლობას წარმოადგენდა ჩვენს კანონმდებლობაში ამ უცხო ტერმინების შემოტანა, ძნელი ასახსნელია. რატომ არ შეიძლებოდა ამ ტერმინში ჩაქსოვილი აზრის ქართულად გამოხატვა? **რეკეტი**, ქ. მჭედლიშვილის აზრით, „გამოძალვას, ძალადობით მოქმედებას უკავშირდება“ (მჭედლიშვილი, 2011: 394)

სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით პასუხისმგებლობაა დაწესებული **მამათმავლობის**, **ლესბოსელობის** ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტისათვის გაუკუღმართებული ფორმით. სიტყვა **ლესბოსელობა** ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს „სქესობრივ ურთიერთობას დედაკაცისა დედაკაცთან“ ისევე, როგორც **მამათმავლობა** – „სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცისა მამაკაცთან“.

მამათმავლობა ქართული ტერმინია და ზუსტად გამოხატავს თავის შინაარსს. მაგრამ **ლესბოსელობის** ქართული შესატყვისი ამ ბოლო დრომდე ცნობილი არ იყო. სულ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ მივაკ-

ვლით ამ ტერმინის ქართულ შესატყვისს. ეს არის **დედათმავლობა**, რომელიც ზუსტად გამოხატავს მოვლენის არსს. ტერმინი **დედათმავლობა** უკვე შემოვიტანეთ სამართლებრივ მწერლობაში და, იმედია, ის უახლოეს მომავალში კანონმდებლობაშიც დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს (დანაშაული, 2008: 47; თავდიშვილი, 2011 : 3).

ამის საპირისპიროდ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის მოვლენა გამოიხატებოდა ქართული ტერმინით, მაგრამ შემდეგ თანდათანობით შეიცვალა უცხო ტერმინით. ამის ნიმუშს წარმოადგენს ტერმინი **კანონის განმარტება**, რომელიც თითქმის აღარ გამოიყენება. მის ნაცვლად იწერება **კოდექსის კომენტარები**.

1922 წ. საქართველოში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია, რომელსაც **დამცველთა კოლეგია** დაარქვეს. შემდეგში ქართული სიტყვა **დამცველთა** შეიცვალა უცხო სიტყვით და ამ დაწესებულებას **საქართველოს ადვოკატთა კოლეგია** უწოდეს (დღევანდელი **საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 202¹ მუხლში გვხვდება ტერმინი **მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგება, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური**. უცხო სიტყვათა ლექსიკონებში „მონიტორინგის“ ქართული შესატყვისი არ დასტურდება. რაც შეეხება იურიდიულ ლიტერატურას, არც მეცნიერები არ განმარტავენ ამ ტერმინის შინაარსს (დანაშაული, 2008: 47; თავდიშვილი, 2011 : 3).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით პასუხისმგებლობაა დაწესებული **კანონიერი ქურდობისათვის** (იხ. მე-2 ნაწ.). ჯერ ერთი, სად გაგონილა „კანონიერი ქურდობა“? შეიძლება გვითხრან, რომ ქურდობა გამართლებულია, ესე იგი კანონიერია, როცა ადამიანი იმყოფებოდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, როცა მას შიმშილით სული ხდებოდა და მოიპარა სხვისი ნივთი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ასეთ დროს მისი მოქმედება კანონიერია და ქურდობასაც შეიძლება ვუწოდოთ **კანონიერი ქურდობა**.

მეორეც, თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ადამიანი კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რადგან სხვისი ქონების (საჭმლის) საფასურად მან გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლე. თანამედროვე მსოფლიოში ერთხმად არის მიღებული ეს პრინციპი, რადგან ადამიანი უფრო დიდი სიკეთის (სიცოცხლე) გადარჩენის მიზნით სხვის უფრო მცირე სიკეთეს (საჭმელს) აზიანებს.

სინამდვილეში აქ სულ სხვა რამ იგულისხმება. 223¹ მუხლით პა-

სუბს აგებს ის, ვინც „ქურდულ სამყაროში“ მოქმედი კანონების შესაბამისად იქცევა, ვინც „ქურდულ კანონებს“ იცავს. ასე რომ, ვერაფერი საქმეა, როცა ქურდებს ციხეში ვყრით, ხოლო „ქურდული სამყაროს“ ტერმინი სისხლის სამართლის კოდექსში შემოგვაქვს. ვერაფერი საქმეა, როცა „კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა“ (190-ე მუხლი) ისევე იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როგორც „კანონიერი ქურდობა“.

ტერმინი **კანონიერი ქურდობა** სხვა მხრივაც არის მიუღებელი. კოდექსის 177-ე მუხლის სათაურია „ქურდობა“. გამოდის, რომ აქ „უკანონო ქურდობა“ იგულისხმება, ხოლო 223¹ მუხლით კი – „კანონიერი ქურდობა“. ერთი სიტყვით, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ტერმინი **კანონიერი ქურდობა** ქურდული სამყაროს შემოქმედების ნაყოფია და ის დაუყოვნებლივ უნდა ამოვიღოთ კოდექსიდან.

გარდა ამისა, მე-17¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეკეტირი არის ის, ვინც „უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავების გადაწყვეტაში“.

უბრალო თვალთაც ადვილი დასანახია ამ ტექსტის შინაარსი. ამ მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება დამნაშავეს, თუ ის „უკანონოდ“ გადაწყვეტს დავას რეკეტულ დაჯგუფებებს შორის. მაშასადამე, თუ დამნაშავეთა ერთი ჯგუფი მეორეს „უკანონოდ“ ედავება, მაშინ ის, ვინც „უკანონოდ დავობს, უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით. რას ნიშნავს დამნაშავეთა სამყაროში **კანონიერება** და **უკანონობა**, რამდენად მისაღებია ეს ტერმინები სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ისე გამოდის, რომ უნდა დაისაჯოს ის, ვინც ქურდული, ესე იგი დანაშაულებრივ სამყაროში მიღებულ კანონს არ იცავს. ამით ხომ ჩვენ ხელს ვუწყობთ წესრიგის დამყარებას დანაშაულებრივ სამყაროში და ვეხმარებით დამნაშავეებს, რომ მათ ნაქურდალი თუ ნაძარცვი ქონება ერთმანეთში სამართლიანად გაინაწილონ.

ტერმინი **დავების უკანონოდ გადაწყვეტა** რეკეტულ დაჯგუფებათა შორის გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224¹ მუხლშიც (რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა)

საბჭოთა პერიოდში ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია, სხვა ენებზეც რომ არაფერი ვთქვათ, რუსულის დიდ გავლენას განიცდიდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა საქართველოში სამართლებრივი რეფორმა და-

იწყო, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი სამთავრობო ქვეკომისია ყველაფერს აკეთებდა ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის დახვეწისა და უცხო ენების ზეგავლენისაგან გათავისუფლებისათვის. მაგრამ კოდექსს მაინც შემორჩა ქართულისათვის შეუფერებელი ზედმეტი სიტყვები, რომლებიც ქართული ენისათვის მიუღებელია.

მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამია: „3. ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“. მიაქციეთ ყურადღება აქ სიტყვებს „გადაზიდვა, გადაგზავნა“. რსფსრ-ის 1960 წ. კოდექსის 224-ე მუხლში ზუსტად ასეთივე სიტყვებია გამოყენებული: „перевозка или пересылка“. რუსულად ამ სიტყვებში სხვადასხვა აზრია გამოხატული. "перевозка" ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვაა. ქართულად კი გადაზიდვასა და გადატანას შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. მაგალითად, „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ ვკითხულობთ: „перевоз, перевозка – გადატანა, გადაზიდვა, გადაყვანა“. ამიტომ „გადაზიდვასა და გადატანას“ შორის მკვეთრი შინაარსობრივი განსხვავების დანახვამ სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება ერთგვარი უხერხულობა შექმნას.

სიტყვები **გადაზიდვა, გადაგზავნა** გვხვდება აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში, რომელიც ნარკოტიკული საშუალების ერთი ადგილიდან მეორეში გადატანისათვის აწესებს პასუხისმგებლობას (იხ. აგრეთვე კოდექსის 261-ე მ.). ერთ-ერთ განაჩენში წერია: „დამნაშავემ ცხრა გრამი მარიხუანა თბილისიდან ზუგდიდში გადაზიდა“. განა ტერმინი „გადაგზავნა“ „გადაზიდვას“ თავისთავად არ მოიცავს? ორივე სიტყვა გულისხმობს ნივთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტზე მუშაობის დროს კოდექსის პროექტის შემდგენელი სახელმწიფო კომისია, როგორც უკვე ვთქვით, დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის და საზოგადოდ ენის დახვეწის საკითხს.

პროექტზე მუშაობის დროს ჩვენ წინაშე დადგა ასეთი საკითხი: როგორი შესატყვისი უნდა მოგვეძებნა ქართულად ისეთი რუსული ტერმინისათვის, როგორიცაა **порча земли**. ბევრი ფიქრის შემდეგ მივაგენით სწორ გზას. მიწის სავარგული, ვარგისი, უვარგისი, მიწის გაუვარგისება. ასე შემოვიდა საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის 297-ე მუხლში ახალი ტერმინი **მიწის გაუვარგისება**. ეს ტერმინი გამოყენებულია აგრეთვე 278-ე მუხლში, რომლის სათაურია „სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუვარგისება“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონებში სიტყვა „გაუვარგისება“ შეტანილი არ არის.

საქართველოს 1999 წ. 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტზე მუშაობის დროს სამთავრობო კომისიამ ყურადღება გაამახვილა ერთ ასეთ საკითხზე. 1960 წ. კოდექსში ხშირად გვხვდებოდა ასეთი ტერმინი თუ გამოთქმა, ტრანსპორტის მოძრაობის **წესების დარღვევა**, ნადირობის **წესების დარღვევა** და ა. შ. მაგრამ ხომ შეიძლება, ადამიანს ერთი წესი დაერღვია. გამოდის, რომ მას პასუხს ვერ ვაგებინებდით, რადგან კანონი ითვალისწინებდა „წესებს“, ესე იგი რამდენიმე წესის და არა ერთი წესის დარღვევას. ამიტომ პროექტში შემოვიტანეთ ტერმინი **წესის დარღვევა**, რაც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია და სრულად შეესაბამება ქართული ენის ბუნებას.

კოდექსის ბოლო წლების გამოცემებში 177-ე მუხლს (ქურდობა) დართული აქვს შენიშვნა – „1. კოდექსის ამ თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით“. აქედან ჩანს, რომ კანონის პროექტს ადგენს ადამიანი, რომელმაც ქართული ენა არ იცის. მას ჰგონია, რომ სიტყვა „ნივთი“ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ნივთს გულისხმობს. მისი გაგებით, ქართული გამოთქმა – ადამიანი მოკვდავია, მხოლოდ ერთ ადამიანს გულისხმობს. ქართულ ენას, როგორც ცნობილია, სხვა დადებით თვისებებთან ერთად, აქვს ერთი საუკეთესო თვისებაც: მხოლოდობითი გამოხატოს სიმრავლე.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მოცემულია ამ კოდექსში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტება. აქ განმარტებულია ტერმინები **ბრალდების მხარე**, **დაცვის მხარე**, მაგრამ ცოტა ქვევით განმარტებულია ტერმინი **ადვოკატი**, ე. ი. „პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მას იურიდიულ დახმარებას“. როგორც აქედან ვხედავთ, კანონმდებელი ქართულ ტერმინს **დაცვა**, **დამცველი**, მაინც ვერ ასცდა. ჯერ გამოიყენა ტერმინი **დაცვის მხარე**, მერე გვაუწყა, რომ **ადვოკატი** იცავს. თუ ეს ასეა, მაშინ რას ვერჩოდით ქართულ ტერმინს **დამცველი** და რატომ შემოგვაქვს მის ნაცვლად უცხო სიტყვა **ადვოკატი**?

ამავე კოდექსის მე-3 მუხლით განმარტებულია აგრეთვე ტერმი-

ნი **დასაბუთებული ვარაუდი**. მე-5 მუხლი კი ასეა დასათაურებული: „უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია“. მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში **პრეზუმფცია** ასეა განმარტებული: „1. ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება“. მაშასადამე, **პრეზუმფცია** ქართულად **ვარაუდია**. ჩვენ ვერ ვამტკიცებთ, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ მავანმა ჩაიდინა დანაშაული. ამიტომ, რა საჭირო იყო ამ სიტყვის ნაცვლად უცხო ტერმინის **პრეზუმფციის** შემოტანა? ხომ შეგვეძლო მე-5 მუხლის სათაური ასე ჩამოგვეყალიბებინა: „უდანაშაულობისა და თავისუფლების ვარაუდი“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის სათაურია „სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა“ (იხ. აგრეთვე 166-ე, 167-ე და 168-ე მმ). რას ნიშნავს „დისკრეციულობა“? ზემოთ დასახელებული უცხო სიტყვათა ლექსიკონის თანახმად **დისკრეციული** ფრანგული სიტყვაა და ქართულად ასე ითარგმნება: „თავისი შეხედულებისამებრ მოქმედი“. მე-16 მუხლის ტექსტი ასეა ჩამოყალიბებული: „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“. ხომ შეიძლებოდა, რომ სიტყვა **დისკრეციული** ამოგვეღო და ეს ტექსტი ასე დაგვეწერა: „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს საკუთარი მიხედულებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით“. როგორც ვხედავთ, ასეთი ტექსტი მარტივი და ყველასათვის ადვილად გასაგებია. უცხო სიტყვის შემოტანა აქ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც 2009 წელსაა მიღებული, შემოიტანეს კიდევ ერთი უცხოური ტერმინი – **მაგისტრატი მოსამართლე** (იხ. მე-20 მუხლი). უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტყვა **მაგისტრატი** ასეა განმარტებული: მაგისტრატი ლათინური სიტყვაა და სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ერთ-ერთი მნიშვნელობაა: „2. ინგლისსა და საფრანგეთში: მოსამართლე“.

რა აუცილებლობას წარმოადგენდა ამ ტერმინის ქართულ სამართლებრივ ენაში შემოტანა. სამართლებრივი ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც 2012 წელსაა გამოცემული, **მაგისტრატი მოსამართლის** განმარტებას რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი (იურიდიული, 2012:463) ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ **მაგისტრატია** ის მოსამართლე, რომელიც საქალაქო ან რაიონულ სასამარ-

თლოში იხილავს საქმეებს. **მაგისტრადი** არ ეწოდება იმ მოსამართლეს, რომელიც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში მუშაობს. ამიტომ, რატომ არ შეიძლება იმ მოსამართლისათვის გვეწოდებინა არა **მაგისტრადი მოსამართლე**, არამედ ჩვეულებრივ **რაიონული** ან **საქალაქო სასამართლოს მოსამართლე** და უფრო მაღალი საფეხურის მოსამართლისაგან თავისი უფლება-მოვალეობების მიხედვით გაგვემიჯნა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში კიდევე ერთი ახალი უცხო ტერმინია შემოტანილი. აქ ნათქვამია: „საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი“. სიტყვა **დაფიქსირებულია** გვხვდება აგრეთვე 101-ე მუხლშიც. ეს უცხო ტერმინი იმდენად ახლად შემოსულია ქართულ ენაში, რომ ის უცხო სიტყვათა ლექსიკონებშიც კი არ არის შეტანილი. მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში გვხვდება მხოლოდ **ფიქსაცია** და აქედან წარმოებული სიტყვა **ფიქსირება**. როგორც ვხედავთ, ბოლო ხანებში ეს სიტყვა კიდევე უფრო განავითარეს და ასე მივიღეთ: **ფიქსაცია, ფიქსირება და დაფიქსირება**. კანონმდებელს არ მოეფიქრებია, რომ, ქუჩაში მოსმენილი „დაფიქსირებულიას“ ნაცვლად, კანონის ტექსტში ჩაეწერა ქართული სიტყვა „დადგენილია“, „აღნიშნულია“ და ა. შ.

ამ ბოლო დროს ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში დამკვიდრდა უცხო ტერმინი **რომის სტატუტი**. ეს ტერმინი 2012 წ. გამოცემულ „განმარტებით იურიდიულ ლექსიკონში“ შეტანილი არ არის. სამაგიეროდ აქ ტერმინ „სტატუტის“ განმარტებაა მოცემული: „საერთაშორისო ხელშეკრულება“. მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით **სტატუტი** ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად უნდა ითარგმნოს, როგორც „წესდება, დებულება...“ და ა. შ. ამიტომ ტერმინი **რომის სტატუტი** ქართულად **რომის წესდებად** უნდა გვეთარგმნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არის განყოფილება, რომელსაც ეწოდება „საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი“. აქედან ჩანს, რომ საქართველოში ყოფილა **კრიმინალური პოლიცია**. სიტყვა „კრიმინალი“, „კრიმინალური“ ზემოთ დასახელებულ „განმარტებით იურიდიულ ლექსიკონში“ ნახსენები არ არის. რაც შეეხება მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონს, იქ ტერმინი **კრიმინალური** ასეა განმარტებული: კრიმინალური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სისხლის სამართალთან დაკავშირებული; დანაშაულებრივი“. თუ ამ განმარტების მიხედვით ვიმ-

სჯელებით, რომ არ მივიღოთ **დანაშაულებრივი პოლიცია**, ქართულად ამ დაწესებულებას უნდა ვუწოდოთ **სისხლის სამართლის პოლიცია**. აქედან ნათელია, რომ ეს არის ის პოლიცია, რომელიც სისხლის სამართლის დამნაშავეთა წინააღმდეგ იბრძვის და თვითონ არ არის „დანაშაულებრივი პოლიცია“.

სულ ახლახან ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში კიდევ ერთი უცხო ტერმინი შემოვიდა. „ფრუსტრაცია – აგრესიის თეორიის მიხედვით, – წერს მორის შალიკაშვილი – დამნაშავე მოზარდები უფრო ფრუსტრირებული არიან, ვიდრე უდანაშაულოები“ (შალიკაშვილი, 2012: 25). როგორც ნაშრომიდან ჩანს, ეს ტერმინი ფროიდის თეორიიდან მომდინარეობს. სამწუხაროდ, ვერცერთ განმარტებით და უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვერ ვნახეთ ამ ტერმინის ქართული შესატყვისი თუ განმარტება. ამიტომ უნდა ითქვას, რომ, როცა მეცნიერი თავის ნაშრომში უცხო ლიტერატურას იყენებს, იგი უნდა ეცადოს, უცხო ტერმინს ქართულად თავისი შესატყვისი მოუძებნოს. ცოტა ქვემოთ მ. შალიკაშვილი **ფრუსტრაციის** ქართულ შესატყვისად იყენებს **იმედგაცრუებას**. „თვითმკვლელობა არის იმედგაცრუების (ფრუსტრაციის) შედეგი“ (შალიკაშვილი, 2012: 25).

მ. შალიკაშვილი წიგნში ასახელებს ტერმინს **მიმეტური თეორია** და იქვე გვიხსნის **მიმეტურის** ქართულ მნიშვნელობას. სიტყვა მიმეტური ძველი ბერძნული სიტყვაა და „ნიშნავს მიბადვას“ (შალიკაშვილი, 2012: 26). იქნებ სჯობდა, რომ ავტორს სწორედ აქედან დაეწყო. ტერმინი ჯერ ქართულად დაეწერა – **მიბადვის თეორია** – და, თუ საჭირო გახდებოდა, შემდეგ აეხსნა მისი წარმომავლობა.

დასახელებულ წიგნში აღმოჩნდა კიდევ ერთი უცხო სიტყვა, რომელიც ქართულ ენაში არ გამოიყენება. ეს არის **მასკულიზობა**. „გამოთქმები, – წერს მ. შალიკაშვილი, – „ცოლს რას აბედიწებ“, „ქალს ცხვირს რატომ აყოფინებ“ და ა. შ. პირდაპირ მიუთითებს მამაკაცების მხრიდან საკუთარი მეგობრების თვალში საკუთარი მასკულიზობის დაცვის აუცილებლობას...“ (შალიკაშვილი, 2012: 28). რატომ არ შეეძლო ავტორს ამ სიტყვის შინაარსი ქართულად გამოეხატა და ეთქვა: ზოგჯერ მამაკაცებს თავის მხრიდან „საკუთარი ძლიერების გამოხატვა ეამაყებათ...“ და სხვ. რა საჭიროებას წარმოადგენდა უცხო სიტყვა **მასკულიზობის** ქართულ ენაში შემოტანა.

უახლეს ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში შემოვიდა კიდევ ახალი ტერმინი **ემბრიონ//ფეტუსი** (ჭელიძე, 2002)

ეს სიტყვები, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე მოვლენას ასახავს.

ემბრიონი მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ადამიანის ან ცხოველის „ჩანასახი“. რაც შეეხება **ფეტუსს**, ამ სიტყვის ქართულ შესატყვისს ვერ მივაგენით, თუმცა დასახელებული წიგნის სათაურიდან და შინაარსიდან ჩანს, რომ აქაც ცოცხალი ორგანიზმის (ადამიანის ან ცხოველის) “ჩანასახი“ უნდა იყოს ნაგულისხმევი.

ზემოთ ჩვენ დავასახელებთ ტერმინი **კოდექსის კომენტარი**, რომელიც ხშირად გამოიყენება ჩვენს სამართლებრივ ლიტერატურაში. ამ ტერმინის ქართული შესატყვისი **კოდექსის განმარტება** თითქმის მიწვეებულია და იშვიათად გამოიყენება.

ასევე ხშირად გამოიყენება მეცნიერულ ლიტერატურაში **კანონის ინტერპრეტაცია**, რომლის ქართულ შესატყვისად უცხო სიტყვათა ლექსიკონებში დასახელებულია **განმარტება**. ასე ნელ-ნელა იკარგება ქართული წარმოშობის ტერმინოლოგია და მათ ადგილს თანდათანობით იკავებს უცხო სიტყვები.

რუსული ენის ზეგავლენით ადრე ქართულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნების სათაურები ასე იწერებოდა: „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ (Введение в гражданское право), „შესავალი სისხლის სამართალში“ (Введение в уголовное право), „მოდღვრება დანაშაულზე“ (Учение о преступлении). ამ ბოლო დროს მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა. 2011 წ. გამოიცა პროფესორ მერაბ ტურავას წიგნი სათაურით „დანაშაულის მოძღვრება“. ეს სათაური სავსებით გამართულია ქართულად. 2013 წ. დაიბეჭდა ჩემი ნაშრომი სათაურით „სისხლის სამართლის შესავალი“.

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა ამ მხრივ მაინც მძიმეა. ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგია, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად განიცდის უცხოენოვან ზეგავლენას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, დავიცვათ ის ამ ზეგავლენისაგან. მართალია, ჩვენ ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ სამართლის ტერმინოლოგიის დაცვაზე, მაგრამ ეს თავისთავად გულისხმობს ქართული ენის დაცვას მთლიანად, მაგრამ დგება საკითხი, რა ხერხით, რა საშუალებით დავიცვათ ქართული ენა. როგორც ყოველ სიკეთეს იცავს სამართალი, კანონი, აქაც დროა, მივმართოთ ამ საშუალებას. თუმცა შეიძლება გვითხრან, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად “საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული...” მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კონსტიტუციის მე-8 მუხლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს საგანგებო კანონი, რომელიც განსაზღვრავს ენის დაცვის ცალკეულ შემთხვევებს. რამდე-

ნადაც ჩემთვის ცნობილია, მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აქვს ამის კარგი გამოცდილება.

ზემოთქმულის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს უნდა ეთხოვოს ჩამოაყალიბოს საქმის მცოდნე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ენის დაცვის კანონის პროექტს შეიმუშავებს.

ლიტერატურა

მჭედლიშვილი, 2011 – ქეთევან მჭედლიშვილი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბილისი.

დანაშაული, 2008 – დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ოთარ გამყრელიძის თანაავტორობით და რედაქტორობით, თბილისი.

თავდიშვილი, 2011 – მურმან თავდიშვილის გამოხმაურება სათაურით „ვიხმართ „დედათმავალი“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №1, თბილისი.

სისხლის სამართალი, 2008 – სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი.

შალიკაშვილი, 2012 – მორის შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი.

ჭელიძე, 2002 – ლაშა ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, თბილისი.

იურიდიული, 2012 – განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი.

Otar Gamkrelidze

Issues of the Georgian Legal Terminology

Summary

Georgian language is rich of its capabilities to express any phenomenon to its full degree, including the words belonging to the sphere of the legal life of the society. Georgian legal language is quite flexible to reflect relevant events, but it should be noted that our language is not duly protected from the

influence of the foreign terminology and this can be observed beginning from the ancient times.

But nowadays, the Georgian legal terminology is under particularly strong foreign influences, as scientific writings and legislative regulations written in the countries with highly developed legislation system are frequently used in our scientific and practical activities. Even more, sometimes the Georgian author is not familiar with the great term-creating capabilities of the native language and automatically borrows a foreign term.

In course of time, the Georgian legal terminology is subjected to stronger influences of foreign terminology influences. So, we consider it our ultimate goal to protect the native terminology and native language in general; of course, it means protecting the language on the basis of the clause 8 of the constitution. The special legislation act should be created defining the cases when the language should be protected. As far as we know, many countries in the world have obtained good experiences in this area. On the ground of the above mentioned, we think, it should be requested from our parliament to establish a group of experts in order to develop the draft of the law about the language protection.

ზაალ გიგინეიშვილი

რაგბის ქართული ტერმინოლოგია

აქამდე რაგბის ქართული ტერმინოლოგია თამაშში უშუალოდ ჩაბმულთა და მასზე მწერალ-მოსაუბრეთა ურთიერთობით, სტიქიურად, მეტწილად პირადი გემოვნებით, ოდონდაც მაინც გარკვეული პრინციპების დაცვით, დგინდებოდა:

რაგბის მონაწილეებს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, მმართველ აპარატს ტერმინთა შექმნა და შეთვისება ოდითგან ლამის ექსპრომტად, გაგანია თამაშში, ვარჯიშზე, შინაურული კამათის დროს ან კიდევ კაბინეტურ სხდომაზე უწევდათ, რის გამოც მეტწილად ჟარგონს ვერ გასცდნენ, რაკი მაკონტროლებელი არავინ ჰყავდათ.

მედიას კი – გაზეთებსა და ინტერნეტში მწერალსა და ტელე-რადიოში მოსაუბრე ჟურნალისტებს – რაგბული და, ზოგადად, სპორტული ცნებებისთვის ქართულ ტერმინთა შერჩევა, იდეურ-პატრიოტულ მოსაზრებათა გარდა, თანამდებობრივადაც მართებდათ.

ამას გარდღევალად მოჰყვა ტერმინთა სიჭრელე და ალაგ-ალაგ წინააღმდეგობრიობაც. თვითცენზურის გამო რადიკალურად განსხვავდება ლექსიკაც, რომელსაც რაგბის თემის წევრი პირად საუბარსა და საჯარო გამოსვლაში იყენებს, მარეგულირებლად და სტანდარტის დამდგენად კი მუდმივად ცვალებადი რაგბის წესებისა და მეთოდური წიგნაკების პერიოდულად გამოცემაღა გვევლინება.

ინფორმაციის ოკეანე

ქართული რაგბი ნებაყოფლობით (არა ძალდატანებითა და კამპანიურად) და უწყვეტად 1959 წლიდან არსებობს. რაკი საწყისი სამი ათეული წელი საბჭოეთის განუყოფელი ნაწილი ვიყავით და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვეთამაშებოდით მხოლოდ სლავებს; მსაჯობა და საქმეთა განხილვა რუსულად წარმოებდა და სასწავლო ლიტერატურაც მოსკოვში დგებოდა - ამად ქართული ტერმინოლოგია მეტწილად რუსულის უხეირო კალკი ან უგემოვნო ჟარგონი იყო.

საბჭოეთის რღვევა-დაშლის, ზეპური რაგბის გლობალიზაციისა და თანამგზავრული ტელევიზიისა და ინტერნეტის გავრცელების კვალად, ქართული რაგბის თემისთვის ხელმისაწვდომი გახდა სა-

ზღვარგარეთული ინფორმაციის ოკეანე. მისი მეტი წილი ინგლისურადაა და ნაკლები ფრანგულად, მაგრამ რაკი ჩვენს ჭაბუკებს თვალი უფრო საფრანგეთზე უჭირავთ და კარიერას იქ აგრძელებენ, ამიტომ რაგბული ტერმინოლოგიის განვითარებაზე ერთბაშად ორი უცხო ენა ზემოქმედებს.

დღესდღეობით რაგბის თემის უცხო ენის მცოდნე ნაწილს ინგლისურ-ფრანგულად უწევს საერთაშორისო მიმოწერა; საუბარი და მსჯელობა აქ მოწვეულ და მოვლინებულ სპეციალისტებსა და მოხელეებთან; ურთიერთობა მსაჯებთან მოედანზე და მის გარეთაც; ტელევიზიით მოსმენილის აღქმა; ინტერნეტში მასალების კითხვა და იქით გამოქვეყნებაც; ფორუმებზე დისკუსიებში მონაწილეობა; ხოლო ლეგიონერებს - გუნდებთან, უფროსობასთან, საზოგადოებასთან ნებისმიერი ურთიერთობაც.

ოთხი პრინციპი

წესების წიგნსა და მედიაში ვცდილობთ მივდიოთ შემდეგ პრინციპებს:

- 1) ტერმინი უნდა იყოს სხარტი, მოკლე და ერთსიტყვიანი;
- 2) ზუსტად ასახავდეს ცნების არსს;
- 3) ემყარებოდეს ქართულ ენობრივ მასალას;
- 4) თუ ჯერჯერობით ვერ მოვიფიქრეთ ან ვერ აგვიგია ქართული შესატყვისი, ვტოვებთ დედნისეულ ინგლისურს და გადმოსაქართულებლად მომავალ თაობას ვუტოვებთ.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ მაგალითები:

ლელოზურთიდან

თავის დროზე ინგლისური "ინ გოულ ერია", ფრანგული "ან ბი-უტ", რუმინული "ტერენ დე ცინტა" რუსულად ითარგმნა, როგორც "ზაჩოტნოე პოლე" და აქედან ქართულად მივიღეთ **ჩათვლის მოედანი**. რაკი ტერმინი გრძელი და ორსიტყვიანია და, ამდენად, მოუხერხებელი, რაგბის თემში ფეხი ვერ მოიკიდა და იქცა გონჯ "ზაჩოტკად".

არადა, რუსებმაც კი იმთავითვე პარალელურად დანერგეს არა-ფორმალური "გოროდ" - რაკი თავიანთ ეროვნულ თამაშ ლაპტაში ჰქონდათ ეგ ცნება, და მხოლოდ 1989 წელსდა შეიწყნარა იმხანად ერთადერთმა ქართულმა სპორტულმა გაზეთმა "ლელომ" ტერმინად **ლელო** მოედნის იმ ნაკვეთის აღსანიშნად, სადაც ბურთი უნდა დაამიწო.

ამ შემთხვევაში ტერმინი გადმოვიღეთ ჩვენივე ეროვნული საგანძურისა: **ლელობურთი** ხომ იგივე რაგბია, ოღონდაც - ქართული, და **ლელოც** ის ადგილია, სადაც ბურთი უნდა მიიტანო. ძნელი ასახსნელია, ამდენ ხანს არავის აზრად რად არ მოუვიდა, ტერმინს ლელობურთს დასესხებოდა, მით უფრო, თუ ერთი ხანობა (1977-79) ერთიანი, "ლელო - რეგბის ფედერაციაც" კი არსებობდა.

წიგნური „მგეზავი“

აწ უკვე ოლიმპიური რაგბი ინგლისურად არის "სევენ ე საიდ" ან უბრალოდ "სევენს". მორაგბეთა წრეში ერთი პირობა გაჩნდა ტენდენცია, ხელბურთის სახეობათა ანალოგიით, ამ თამაშისთვის **რაგბი 7** (ანაც **7x7, შვიდი შვიდზე**) ეწოდებინათ, მაგრამ იყოჩაღა პრესამ და დროულად დანერგა **შვიდკაცა**, ანუ სხარტმა და ძირშივე ქართულმა ტერმინმა დამკვიდრება არ აცალა არაბუნებრივ, ჩინოვნიკურ სიახლეს. გამოხდა აქედან ორი ათეული წელი და რუსებმაც ანალოგიურად მოიფიქრეს "სემიორკა".

მეათე ნომრად მოთამაშე მორაგბეს ინგლისურად ბევრი სახელი აქვს: "სთენდ ოფ, ფლაი ჰავ, აუთსაიდ ჰავ, ფერსთ ფაივ-ეით, პივოთ" და უბრალოდ "თენ" (ათი). საბჭოთა ხანაში ამ პოზიციას ჯერ **მოხეტიალე თავდამსხმელი** ერქვა, მერე **გარე ნახევარმცველი** და ხანაც - **გამთამაშებელი**. პირველი ორი ტერმინი შინაარსობრივი აბსურდია, ბოლო კი მეათე ნომერზე მეტად მეცხრეს შეეფერება, რის გამოც თემი ამ ორ ამპლუას აქამდეც რიცხვებად მოიხსნიებს – **ათი** და **ცხრა** ("ნომრის" მიმატებით, ანუ უამისოდ).

მეათე ნომრის აღსანიშნად პარალელურად შევქმენით წიგნური ტერმინიც – **მგეზავი**, რაიც „პივოთის“ (ბრუნვის წერტილის) აზრობრივად გაუმჯობესებული თარგმანია: მეათე ნომერი სწორედ რომ გეზავს, გეზს უდგენს, აბურთავებს მთელ უკანა ხაზს.

მეორე მხრივ, მეცხრე ნომერი მთლად **გამთამაშებელი** რომ ვერაა, ხოლო საბჭოური **შერკინების ნახევარმცველი** გრძელი და უზუსტოა, ამიტომ ჯერხნობით დავიტოვეთ ინგლისური „ჰავბექი“, ჰავბექ – მგეზავის წყვილს კი, ფრანგულის მოხმობით, ვუწოდეთ **ლერძი** (საბჭოურად ერქვა „ნახევარდაცვა“, რაც პარადოქსია).

მოთამაშეზე ალალია

მორაგბე ნახტომში თუ იხელთებს მეტოქის მიერ ფეხით დარტყმულ ბურთს, ჯილდოდ ოდითგან „თავისუფალი დარტყმა“ ერგება. ინგლისურად ასე დაჭერას „ფეარ ქექ“ ჰქვია, რაც ქართულად ვთარგმნეთ, როგორც „ალაღად ჭერა, ალაღზე დაჭერა“, რაკი მოთამაშეზე მართლაც ალალია ოსტატურად მოპოვებული ოვალი.

შერკინებაში გუნდი სამ რიგად ეწყობა. მწყობრის წინა, „პირველი ხაზის“ შუა მოთამაშე ტერფის დახვედრებით შეგორებული ბურთის მოგებას ცდილობს. ფეხის ამგვარ მოძრაობას ინგლისურად „ჰუქინგ“ ჰქვია, ამპლუას კი - „ჰუქერ“.

ჩვენში ამ პოზიციას თავიდან ერქვა **პირველი ნომერი** (მას აქეთ ნუმერაცია შეიცვალა და ჰუქერი უკვე მეორე ნომერია), ამჟამად კი საერთაშორისო „ჰუქერის“ თანაბრად იხმარება **კვაჭი**, რაკი ინგლისურ სიტყვას ეს მნიშვნელობაც აქვს და მაგ ხელობის მორაგბესაც კვაჭანტირადის დარი ვირეშმაკობა სჭირდება.

ჩოგბურთელების ნაცვლად

საკუთრივ რაგბულ ტერმინთა გარდა თემსა და მედიას ბრენდების გადმოქართულებაც უწევს. სამხრეთი ნახევარსფეროს სამი ბუმბერაზი სკოლის (ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია) საზიარო საკლუბო პირველობას დედანში თავიდან ერქვა **სუპერ 12**, ამჟამად კი **სუპერ რაგბი** ეწოდება, რაც ქართულად იყო **ზე12** (ზეთორმეტი) და არის **ზერაგბი** ზეკაცის, ზესახელმწიფოს, ზეცის ანალოგიით.

ასევე ამ სამმა ბუმბერაზმა, მარაქაში რომ გაირია არგენტინა, სანაკრებო შეჯიბრს ამბიციურად უწოდა „ზი ჩემპიონ შიპ“, ესაო და ჩვენი შეჯიბრის ფალავანია ნაღდი ჩემპიონი და არა რაგინდარა სხვა ტურნირისო. აქ ქართულად რომ დაგვეწერა **ჩემპიონატი** და გინდაც **პირველობა**, რაგბის თემი ვერ მიხვდებოდა, რაზე იყო საუბარი. ამად შემოვიღეთ **ფალავნობა**, რაკი ეს ტერმინი გამოუყენებელი გვექონდა.

ვაცოცხლებთ ძველ ტერმინებსაც. სულხან-საბას უწერია: **აბრაგანი** ბურთის მაღლა ატყორცნა ჩოგან-ბურთში. ტერმინი მოიძია განსვენებულმა ავთანდილ ციბაძემ, მაგრამ ჩოგბურთელების ნაცვლად ... ავიტაცეთ მორაგბეებმა, მსგავსი ილეთის აღსანიშნად. ამ ფანდს ინგლისურად „აპ ენდა ანდა, ჰაი ბოლ, გარიოუენ“ ჰქვია და ფრანგულად

„მონდელ“, ქართულად კი „აზრაგანამდე“ საუბარში ვხმარობდით ჟარგონებს - „სვეჩასა“ და „ბუმბასს“, ხოლო წერისას - „მაღალი ბურთის აწევას“.

კალკს ვერევით

ბოლო ჟამს თამაშის წესებში ჩაწერეს მორაგბეთა დასარწყულებლად მოედანზე შემავალი კაციც. ინგლისურად მას „ვოთერ ქერიერ“ ჰქვია, ჩვენ კი ტფილისური **თულუხჩი** შევუსაბამეთ. „ჯერზისა“ და „შერთის“ შესატყვისად „მაისურის“ თანაბრად ვიყენებთ **კვართს**, ხოლო ერთმანეთისგან რომ გავარჩიოთ ქულები: **საცხრილო** (მოგება = 4), **რაგბული** (ლელო = 5) და **სარეიტინგო** (ათწილადებია) - ალტერნატივად გავაცოცხლებთ **წერტი** (პოინტი; პუნქტი) - იყენებდნენ შევარდენელები და გრიგოლ რობაქიძე.

კალკს ვუძალიანდებით და ვერევით. ინგლისური „დედ ბოლ“ და ფრანგული „ბალონ მოლ“ ქართულად **უქმი ბურთია** და არამც და არამც "მკვდარი". ამ საუკუნეში მოგონილი ფანდი „პიქ ენდ გოუ“ გადმოვიღეთ, როგორც **აილე და მიეძალე** (და არა სიტყვასიტყვით, **მი-დი**). **ედვანთიჯ**, ერთი შეხედვით, „უპირატესობაა“, მაგრამ შინაარსით უფრო **ხეირია**, რის გამოც ტერმინად ამ ვარიანტს ვამკვიდრებთ; 23-კაცა სამატჩო **რაზმს** კი 15-კაცა დამწყებ **გუნდთან** ისეთივე მიმართება აქვს, როგორიც ინგლისურ „სქვოდ“-ს და „თიმ“-თან.

და მაინც, ჩვენს სიტამამესა და შეძლებასაც აქვს ზღვარი. სათანადოდ რომ ვერ ვთარგმნეთ, **უკანა ხაზელის** სინონიმად დავიტოვეთ **ბექიცი**, **მორკინალისად** კი - **ფორვარდი**. ლელობურთის მიხედვით, "თერნოვერ" უნდა იყოს (**ბურთის**) **შემოზრუნება**, მაგრამ ორსიტყვიანი ტერმინი ვერ გავრცელდება, ერთსიტყვიანი კი ბუნდოვანია. ეგრევე: დროებითი (10 წუთით) გაძევება **სინზინია** და არა - **საკანი** ან **განსაწმენდელი**, მაგრამ თემი **ოფლოუდის** სინონიმად სულ უფრო ხშირად ხმარობს (**ბურთის**) **ამოგდებას** და ეგებ ამ ხალხურმა ტერმინმა მართლაც გაიდგას ფესვი.

სიტყვასიტყვით ნათარგმნი

დასასრულ, (არასრულ) დანართად მოვიტანოთ ტერმინები, რომელთა (თითქმის) სიტყვასიტყვით თარგმნამ გაამართლა და ამიტომ უმტკივნეულოდ დაინერგა:

conversion	ქონვერშენ	გარდასახვა
prop	პროპ	ბურჯი
touch	თაჩ	კიდე
grounding	გრაუნდინგ	დამიწება
spear tackle	სპეარ თექლ	შუბური (ბოჭვა)
wheel	ვიილ	დატრიალება
tackle	თექლ	ბოჭვა
gate	გეით	ჭიმკარი
pile up	პაილ-აპ	ზედახორა
breakaway	ბრეიქევეი	მარბიელი
stomping	სტომპინგ	დაწიხლვა
dive	დაივ	ჩაყვინთვა (ჩაწოლა)
receiver	რისივერ	მიმღები
fetcher	ფეჩერ	მღლეტელი
loitering	ლოითერინგ	ზოზინი
collapse	ქოლეპს	ჩაქცევა
padding	პედიინგ	შალითა
reserves	რიზერვზ	მარქაფა
marker, sentinel	მარქერ, სენტინელ	ყარაული
standing	სტენდინგ	ზეზეულად
deliberate	დილიბერეთ	განგებ
accidental	ექსიდენტალ	უნებლიე

Zaal Gigineishvili

The Georgian Terminology of Rugby

Summary

The Georgian rugby terminology has so far developed through the talks between the players, coaches, officials, administrators and media, i. e. native Georgian speakers and writers involved in discussions about the Game. The terminology is created and developed far from what is meant as systematic terminological work, only on the basis of personal opinions and taste, albeit following certain principles.

This resulted in great diversity of the terms and sometimes, contradictions. Self-censorship also gives radical difference for terms when in informal interactions among professionals and when same people speaking in public. The terms are regulated and standartized only by means of periodical publication of permanently altering, complicated Laws of the Game, and technical manuals.

When creating Georgian terms for the Lawbook and use by media, we try to maintain the following principles:

- 1) A term should be smart, short and expressed only in one word;
- 2) It should be precise in reflecting the essence of the notion;
- 3) It should be based on the Georgian language data;
- 4) In case, we could not manage to create the term or could not find the corresponding Georgian word, we leave the original English term hoping that next generations will reach the objective - to find the accurate Georgian term for it.

გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე

ქართული მათემატიკური ტერმინოლოგია – მდიდარი მემკვიდრეობა და სადღეისო აქტუალური საკითხები

მათემატიკური ტერმინოლოგიის ათვისება, ძირითადად, სასკოლო ასაკიდან იწყება. არასწორად ან დამახინჯებით აღქმული ცნებები და სათანადო ტერმინები ისე გამყარდება ხოლმე ზოგიერთი მოსწავლის მეხსიერებაში, რომ ისინი ბუნებრივად კი მიიჩნევა და ამიტომ შემდეგ რთულდება სწორი ფორმების აღდგენა. ამ ვითარებას ართულებს ისიც, რომ არ არსებობს დადგენილ ტერმინთა ნუსხა, დიდია მოზღვავებული უცხოურენოვანი ტერმინების გავლენა, არასაკმარისია ქართული საზოგადოების ძალისხმევა ახალი ტერმინების დადგენასა და დამკვიდრებაში.

მეოცე საუკუნეში ნათლად ჩამოყალიბდა აზრი ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის აუცილებლობისა, შეიქმნა მათემატიკურ ტერმინთა საყურადღებო ლექსიკონები. მათ შორის უპირველესი და თავისი მნიშვნელობით გამორჩეული იყო ნიკო მუსხელიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის ლექსიკონი, გამოცემული 1925 წელს. ქართველ მეცნიერთა ლექსიკონებში დედაენის წიაღში დამკვიდრებულ ტერმინებთან ერთად არაერთი ბრწყინვალედ მიგნებული ახალი ტერმინია - იმდენად დახვეწილი, რომ მათ ძირძველ ქართულ ტერმინებადაც კი მიიჩნევენ ხოლმე. ასეთებია, მაგალითად, **ტოლობა**, **განტოლება**, **ალბათობა**. მრავალი გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ღვაწლის შეფასებისას მნიშვნელოვან მონაპოვრად მათ წვლილსაც აღიარებენ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებაში¹. აღსანიშნავია, რომ ლაკონურობითა და გამომსახველი ჟღერადობით გამორჩეულმა **წრფემ** საკმაოდ გვიან დაიბრუნა საპატიო ადგილი მათემატიკურ ტერმინოლოგიაში **სწორი ხაზის** ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ (**სწორი ხაზი**, ალბათ, „Прямая линия“ – სა და „Straight line“-ის სიტყვასიტყვითი თარგმნით შემოვიდა ქართულში). **წრფემ** ერთბაშად მოხსნა არაერთი ტერმინოლოგიური სირ-

¹ მაგალითად, ნიკო მუსხელიშვილის დამსახურებას ეხება ი. კილურაძე სტატიაში „დიდი მეცნიერი და ეროვნული მოღვაწე (კილურაძე, 1991: 78)

თულე. ასე მივიღეთ, მაგალითად, **წრფივი ფუნქცია**. ამ ტერმინმა სათანადო ცნების შინაარსი წარმოაჩინა ნათლად და სრულად – გაცილებით უკეთ, ვიდრე წარმოგვიდგენდა არცთუ შორეულ წარსულში შემოდებული ქართული ტერმინი **ხაზოვანი ფუნქცია** და ამჟამად წარმოგვიდგენენ ანალოგიური რუსული და ინგლისური ტერმინები: „Линейная функция“ და „Linear function“. **წრფემ** ასეთივე წარმატებით აწარმოვა **წრფივი განტოლება**, **არაწრფივი განტოლება** და სხვა არაერთი ტერმინი.

წირი და მისგან ნაწარმოები ტერმინებიც რთულად იკვალავდნენ გზას **ხაზთან** დაპირისპირებისას. ერთხანს სახელმძღვანელოებში **შუახაზის** ადგილი **შუა წრფემ** დაიკავა, მაგრამ ტერმინთა ინერციულობით უნდა აიხსნას, რომ ამჟამად კვლავ **შუახაზია** (სამკუთხედი-სა და ტრაპეციის) დაბრუნებული¹. ჩვენი აზრით, **შუახაზის**, როგორც გეომეტრიული ფიგურის არსს, უკეთ წარმოაჩენს ტერმინი **შუამონაკვეთი**. ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ დღეს, ძირითადად, **ხაზით** იწარმოება წირის გავლებასთან დაკავშირებული ტერმინები. მაგალითად, **ჩახაზული წრეწირი**, **ნახაზი**, **მხაზველობითი გეომეტრია**. ამრიგად, **შუახაზის** შეცვლა ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინით მეტ გარკვეულობასა და სისტემურობას შემოიტანდა ტერმინთა გამოყენებაში.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ტერმინი დრომ უნდა გამოცადოს – ტერმინებს შორის საუკეთესო თავად გამოდევნის მასზე უარესებსო. ჩვენი აზრით, მხოლოდ დროის იმედად ყოფნამ შესაძლოა დააკნინოს ენა, რადგან თვითდინებაზე მიშვებული, სათანადო ზრუნვას მოკლებული ენა კარგავს თავდაცვის უნარს, ითვისებს მრავალ უგერგილო, გაუმართავ, ენისთვის შეუფერებელ ტერმინს.

მსგავსმა მიდგომამ მოადუნა კრიტიკული დამოკიდებულება ტერმინთა და სახელთა მოძიებისა და გამოყენების მიმართ და მივიღეთ არაერთი გაუმართლებელი ტერმინი. ერთ-ერთ ნიმუშად დავასახელებთ **ვიეტას თეორემას**. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ამ დებულებას ეცნობოდნენ, ძირითადად მხოლოდ რუსული მათემატიკური წყაროები გამოიყენებოდა (ისიც – სათანადო კრიტიკული ანალიზის გარეშე), ქართული ენა გაჯერებული იყო რუსიციზმებით.

¹ არაერთი მოსაზრება **წირის**, **წრფისა** და **ხაზის** შესახებ გადმოცემულია ფილიპე ხარშილადის წერილში (ხარშილადე, 1974: 3-13).

გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი **ვიეტი (Viète, 1563-1603)** ეს გვარი გამოითქმის ასე – **ვიეტ**) რუსულ მათემატიკურ ლიტერატურაში თავიდანვე სწორად მოიხსენიებოდა და, შესაბამისად, მის ერთ-ერთი ცნობილ დებულებას დღესაც **Теорема Виета** ეწოდება. ალბათ ამ სახელწოდებამ განაპირობა, რომ ჩვენში ეს თეორემა მრავალი წლის მანძილზე მოიხსენიებოდა დამახინჯებული ქართულით – **ვიეტას თეორემა**. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართულმა ტერმინოლოგიამ **ვიეტა** ლათინურიდან გადმოიღო (ლათინურ წყაროებში **ვიეტ** მოიხსენიებოდა, როგორც **ვიეტა – Vieta**). ცხადია, ამ შემთხვევაშიც ქართულ ენას უპირატესობა ფრანგული სახელისთვის უნდა მიენიჭებინა.

სხვა მაგალითებიც დავასახელოთ. დღეს რთულად იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს **არითმეტიკული საშუალო**, რადგან დღევანდელი მასწავლებლებისა და მშობლების თაობა რუსულიდან გაუაზრებლად გადმოღებულ, ქართული ენისთვის სრულიად მიუღებელ **საშუალო არითმეტიკულზეა** აღზრდილი. ჩვენ ხომ არ ვამბობთ: „ჯეჯილი მწვანე“ „მწვანე ჯეჯილის“ ნაცვლად? „ყმაწვილი გონიერი“ „გონიერი ყმაწვილის“ ნაცვლად? – მსაზღვრელი უნდა უსწრებდეს საზღვრულს. მაშ, რატომ დავამკვიდრეთ **საშუალო არითმეტიკული, საშუალო გეომეტრიული?** ქართულ მათემატიკურ ლიტერატურაში **ორდინატის** ნაცვლად **ორდინატას** დამკვიდრებაც, ალბათ, რუსული „Ордината“-ს გავლენით აიხსნება. რუსულენოვან სამყაროში ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დამახინჯებით იკითხებოდა მრავალი არარუსული სახელი და ტერმინი. რუსულის გავლენით კი ქართულ ენაში შემოდიოდა: **ფიერფერკი, ლეიზნიცი, გენდელი, ეილერი, ვიერშტრასი, ეინშტეინი, ფრედგოლმი, გერმან ვილი, ვარინგი** და სხვა მრავალი. დღესაც კი მდგომარეობა სრულად არ არის გამოსწორებული. მაგალითად, სახელები დაუბრუნდა **ლაიზნიცს, ჰენდელს, ვაიერშტრასს, აინშტაინს**, თუმცა ზოგიერთ ხარვეზს დღემდე ვერ ელევა ქართული სამეცნიერო ენაც კი. სახელები არ უნდა დავუმახინჯოთ **ოილერს, უორინგს, ჰერმან ვაილსა** და სხვა მრავალ მეცნიერს.

მხები პედაგოგთა არცთუ მცირე ნაწილს **მხას** მრავლობითი ფორმა ჰგონია და მოსწავლეებში ახდენს მის ტირაჟირებას. გაკვეთილზე გაიგონებთ **ტანგესს (ტანგენსის** ნაცვლად), **აბცისას (აბსცისას** ნაცვლად). ხშირია **ჯამისა** და **შეკრების, ნამრავლისა** და **გამრავლების** აღრევის შემთხვევები. მაგალითად, **შეკრების თვისებების** (მოქმედების თვისებების) ნაცვლად მოსწავლეებს სთავაზობენ **ჯამის თვისებებს** (მოქმედების შედეგის თვისებებს). ეს პედაგოგები ივიწყებენ,

რომ საშუალო და უმაღლეს სკოლებში მოქმედ სახელმძღვანელოებში მოცემული მასალაცა და ენაც სახელმძღვანელოა მოსწავლეებისთვის და, მით უმეტეს, თავად პედაგოგებისთვისაც.

ხშირია **რიცხვისა** და **ციფრის** მნიშვნელობათა აღრევის შემთხვევებიც. მათი ნიმუში შეიძლება ასეთი წინადადებითაც წარმოვადგინოთ: „37 კენტი ციფრია“ (უნდა იყოს: „37 კენტი რიცხვია“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკოსები გაგებით უნდა შევხვდეთ **ციფრების** ამჟამად ფართოდ დამკვიდრებულ (თუმცა საკმაოდ უხერხულ) კიდევ ერთ მნიშვნელობას, რომელიც რიცხვით გამოსახულ რაიმე მონაცემს, რისამე მაჩვენებელს წარმოადგენს. მაგალითად, ეკონომიკური ვითარების ამსახველი მონაცემები ეკონომიკური ვითარების ამსახველ ციფრებადაც მოიხსენიება ხოლმე. ამას ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლი, 1990)

ზოგიერთი სახელმძღვანელო ვერ ელევა ენის გასატეხ **პერპენდიკულარს** და კეთილხმოვან ქართულ **მართობს** არ იყენებს. უფრო მეტიც, დროდადრო **პერპენდიკულარის** ქომაგები აქტიურად უტევენ ხოლმე **მართობს**. ამ ჭიდილის ფრაგმენტები აღწერილია თამაზ ებანოიძის წერილში (ებანოიძე, 1980: 1-52)

რთულად იკავებს კუთვნილ ადგილს **ცენტრული კუთხე** (**ცენტრალურ კუთხეს** ზოგიერთი სახელმძღვანელო პოზიციას არ ათმობინებს). მყარადაა დამკვიდრებული **ეკვლიდური სივრცე**, თუმცა ამჟამად ანალოგიური კონსტრუქციები იცვლება უფრო მარტივით. ასეთია, მაგალითად, **ჰილბერტის სივრცე**, **ბანახის სივრცე**. ძველი და ახალი ფორმების ასეთ თანაარსებობას, ალბათ, ქართული ტერმინოლოგია დაუშვებლად არ მიიჩნევს. ანალოგიურად, **პროექციას** სრულად ვერ ცვლის **გეგმილი** (ვამბოზთ: „პროექციული გეომეტრია“, „პროექტორი“), თუმცა, სადაც ეს შესაძლებელია, **პროექციას გეგმილი** უნდა ვამჯობინოთ. მაგალითად, სჯობს ვთქვათ: „მონაკვეთის გეგმილი წრფეზე“ და არა: „მონაკვეთის პროექცია წრფეზე“.

ზოგიერთი ადამიანი ყოფით თემებზე საუბარს „ამდიდრებს“ ხოლმე მათემატიკური ტერმინებით, რათა თავი მოაწონოს მსმენელებს თავისი „განსწავლულობით“. მაგალითად, ყოველთვის, როცა ერთი სიდიდის ზრდა იწვევს მეორე სიდიდის ზრდას, ისინი აცხადებენ, რომ მეორე სიდიდე პირველის პირდაპირპროპორციულად იზრდება. ასეთი დასკვნა ხშირად არასწორ ინფორმაციას გვაწვდის, რადგან არ შეესაბამება ამ მათემატიკური ცნების შინაარსს.

ქართული ენის მდიდარი ლექსიკა ახალი მათემატიკური ტერ-

მინების შექმნისა და ძველი ტერმინების დახვეწის შესაძლებლობას იძლევა. ამ შესაძლებლობის გამოყენება მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ის მათემატიკოსთა და ენათმეცნიერთა ერთობლივი, მუდმივი ძალისხმევით უნდა წარმოებდეს. უფრო მეტიც, მათვე უნდა ჩამოაყალიბონ გადაწყვეტილებათა მიღების ზოგადი პრინციპები და დაამკვიდრონ, ნორმად აქციონ დადგენილი ტერმინები. ეს სამუშაო ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ლიტერატურა

ეზანოიძე, 1980 - თ. ეზანოიძე, იქნებ შეველიოთ „პერპენდიკულარს“? „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“, თბილისი.

კილურაძე, 1991 - ი. კილურაძე. დიდი მეცნიერი და ეროვნული მოღვაწე. ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში, 3-4, თბილისი.

მუსხელიშვილი, 1925 - ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, არჩილ ხარაძე. მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1990 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ხარშილაძე, 1974 - ფ. ხარშილაძე. სწავლების რეფორმა და მათემატიკური ტერმინოლოგია, ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში, I, თბილისი.

Guram Gogishvili, Teimuraz Vepkhvadze

On Some Topical Questions about Usage and Refining of Georgian Mathematical Terms

Summary

Digestion of Mathematical terminology mainly begins from the school-age. Incorrect concepts are embedded in one's memory and later it is difficult to replace them with correct ones. This situation is complicated by the fact that there is no strictly defined list of currently used terms, the impact of

widespread foreign terms is strong and the attempt of Georgian society to find and establish new ones is insufficient.

It is generally agreed that the term is tested by time – the best one will displace the worse one. In our opinion, just relying on time may spoil the language as when it is not cared about it becomes unprotected and incorporates unsuitable terms. For example, searching and using terms without a critical approach gives rise to such curiosities as „ვიეტას თეორემა“ (a miserable translation of Russian „Теорема Виета“ denoting French „Viète’s proposition“) instead of „ვიეტის თეორემა“. The wrong term, was used in Georgian for years.

Rich Georgian vocabulary gives an opportunity to create new mathematical terms and refine the old ones, which represents important national work requiring common and constant efforts on the part of mathematicians and linguists. Their involvement in establishment of these terms is important too.

ნინო დათეშიძე, მარინე ოსაძე

შიდა და შიგა მსაზღვრელიან ტერმინთა დაზუსტებისათვის

ტერმინოლოგიის თეორიული კვლევა გულისხმობს როგორც ზოგად, ასევე ცალკეულ საკითხთა შესწავლას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიური მოდელების შექმნისას.

ტერმინის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მონოსემიურობაა. ეს მისი განსაკუთრებული ფუნქციითაა შეპირობებული – გადმოსცეს კონკრეტული ცნებები. სწორედ ამიტომ სინონიმები ხანდახან აღრევის მიზეზად იქცევა ხოლმე. დროთა განმავლობაში ტერმინოლოგიური სისტემა ერთგვარ არჩევანს აკეთებს და ერთ მათგანს ანიჭებს უპირატესობას. მართალია, სინონიმია არასასურველია ტერმინოლოგიაში, მაგრამ მისი სრულიად უგულებელყოფა ალბათ შეუძლებელია.

დარგობრივ ლექსიკონებში ტერმინოლოგიური დუბლეტების არსებობა მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე დარგის სისტემაში თანაარსებობს საერთაშორისო ტერმინი და მისი ქართული შესატყვისი, მაგალითად, *იზოლაცია* და *განმხოლოება*, *არქიტექტურა* და *ხუროთმოძღვრება*, *იარაღი* და *ინსტრუმენტი*. სინონიმთაგან რომელს მიეცეს უპირატესობა ან რომლის გამოყენება შეიზღუდოს, ეს, რა თქმა უნდა, სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

სინონიმის თავიდან აცილება კიდევ უფრო რთულია, როდესაც ქართული ენის ლექსიკურ ერთეულებთან გვაქვს საქმე. საჭირო ხდება ერთ-ერთს მიენიჭოს უპირატესობა. ასეთი სინონიმებიდან რომელიმეს უგულებელყოფის მყარი საფუძველი უნდა არსებობდეს, ეს კი ყოველთვის ადვილი გადასაწყვეტი არ არის. ასეთ შემთხვევებში, უპირველეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს ტერმინის გამოყენებას დარგობრივ ლექსიკონებში (დამბაშიძე, 1988: 40-44).

ამ ბოლო ხანს ძალზე თვალში საცემია *შიდა* და *შიგა* სინონიმური წყვილით გაფორმებული ტერმინების პარალელური გამოყენების შემთხვევები. მათი თავისუფალი მონაცვლეობა შეინიშნება სხვადასხვა დარგის ლექსიკონებში.

ძველ დარგობრივ ლექსიკონებში უპირატესობა ენიჭება *შიდა* ზმნისართს. მაგალითად, 1935 წელს გამოცემულ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გვაქვს *შიდა აგებულება, შიდა გვერდი, შიდა პროცესი, შიდა სიმრუდე, შიდაწვის ძრავა*, თუმცა იქვე დასტურდება *შიგას* ხმარების რამდენიმე შემთხვევა: *შიგა ჩარხვა, შიგა კოტა*.

მოგვიანო წლების დარგობრივ ლექსიკონებში უმეტესად *შიგა* ზმნისართით გაფორმებული ტერმინები გვხვდება, მაგალითად, გეოლოგიის ტერმინოლოგიაში: *შიგა დინამიკა, შიგა პირი, შიგა მორენა*; მათემატიკის ტერმინოლოგიაში: *შიგა ძალა, შიგა გაყოფა, შიგა ნორმალი, შიგახახუნი, შიგანამრავლი*. 1977 წლის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში სრულიად განიდევენა *შიდა* და მისი ადგილი *შიგამ* დაიკავა: *შიგა ანტენა, შიგადინამიკური, შიგა ბლოკირება*.

შიდა და *შიგა* ფორმების სრული აღრევაა ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ ლექსიკონებში. ერთსა და იმავე ლექსიკონში დასტურდება როგორც *შიდა*, ასევე *შიგა* ფორმები. მაგალითად, ერთი მხრივ, არის *შიგა წნევა, შიგა ჯართი, მეორე მხრივ, შიდა ანაშრევი, შიდა ნარჩენი, შიდა ძაბვა, შიდა წნევა* (მეტალურგ., 2011).

შიგა და *შიდა* ზმნისართების გამოყენების არეალი ძალიან ფართოა, მათი პარალელური გამოყენების შემთხვევები ძალიან ხშირია არა მარტო ლექსიკონებში, არამედ სამეცნიერო ტექსტებში, მედიის ენაში.

ერთსა და იმავე სამეცნიერო თუ საგაზეთო სტატიაში მათი თავისუფალი მონაცვლეობა შეინიშნება, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ერთი საგაზეთო სტატიიდან ამოკრებილ მასალას: „*შიგა ვალის* მოცულობა ძალზე დიდია ... *შიდა ვალი* ქვეყნისთვის ნაკლები ტვირთია.“ „...მნიშვნელოვანია ადგილობრივი *შიდა ინვესტიციები*“... „მთლიანი *შიგა წყაროები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს*...“, „მთლიანი *შიდა პროდუქტის* მოცულობა ექვს მილიონ ლარს შეადგენს...“¹

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პირველადი ზმნისართები ხშირად გამოიყენება ზედსართავის ფუნქციით. მათი წარმომავლობა შესწავლილია (შანიძე, 1953: 612, 616). ისინი ტერმინოლოგიურ სისტემაში მყარ მოდელს ქმნიან. მაგალითად, გვაქვს *შიგა შეხება, წინა ბურღი, გარე საცობი, ზედა ზღვარი*.

¹ ამონარიდი წარმოდგენილია ინტერნეტრესურსებიდან.

ტრადიციულ ნორმატიულ თუ თარგმნით ლექსიკონებში შიგა ზმნისართი ასეა წარმოდგენილი: ქართულ განმარტებით ლექსიკონებში: *შიგა იგვევ, რაც შიგნითა (შდრ. შიდა), ასევე შიდაც იგვევ, რაც შიგნითა*. ტერმინოლოგიური ერთეულთა მნიშვნელობები *შიდასთან* არის თავმოყრილი: *შიდასარემონტო, შიდასკრეცია, შიდაწვა, შიდაწნევა*.

რუსულ – ქართულ სამტომეულ ლექსიკონში ასეთი სურათია: *внутренний – შინაგანი, შიგა, შიდა, შინა, შიგნითი, საშინაო, ხოლო მნიშვნელობები ასეა განაწილებული: внутренняя дверь შიდა კარი, внутренний голос შინაგანი ხმა, внутренний смысл შინაგანი აზრი, внутренний угол შიგაკუთხე, внутренняя торговля შინა ვაჭრობა, внутренняя политика შინაპოლიტიკა*, ამავე ლექსიკონში ცალკე სალექსიკონო ერთეულად არის გამოტანილი *внутри-*, როგორც რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ნიშნავს *შიგა-, შინა-, შიგნითა*. აქვე უნდა გამოვყოთ კიდევ ერთი ზმნისართი *შინა*, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში *შიგა/შიდას* პარალელურ ფორმად მიიჩნევა (ვეშაპიძე, 1963: 98). არაერთ დარგობრივ ლექსიკონში ისინი იდენტურ ერთეულებად არის გააზრებული, მაგალითად, *შინამოხატულობა* შემდგომ შეიცვალა *შიგამოხატულობით*, *შინამოპირკეთება* – *შიგამოპირკეთებით*.

დღესდღეობით აშკარად გამოკვეთილია *შინასა* და *შიგა/შიდას* სემანტიკური დიფერენციაცია. *შინამ* უფრო *საშინაოს*, *შინაურის* მნიშვნელობა შეიძინა. ახალ სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონში *შიდა* ზმნისართი *შინამ* ჩაანაცვლა, ალბათ მისი სემანტიკიდან გამომდინარე, მაგალითად, *შინაპარტიული* (და არა *შიდაპარტიული*), *შინაპოლიტიკური* (და არა *შიდაპოლიტიკური*), *შინაუწყებრივი* (და არა *შიდაუწყებრივი*).

რაც შეეხება *შიდასა* და *შიგას*, ტერმინოლოგიურ სისტემაში უპირატესობა აშკარად *შიგა* ზმნისართს მიენიჭა. ამას ადასტურებს მისი გამოყენების სიხშირე ტერმინოლოგიურ სისტემაში, რაც სემანტიკური გამჭვირვალობით აიხსნება. ის აწარმოებს საგნის კატეგორიის ტერმინებს: *შიგასახეხი, შიგა კბილი, შიგაანტენა*; პროცესის კატეგორიის ტერმინებს: *შიგაშეხება, შიგამოდება, შიგა მოხმარება*, აწარმოებს თვისების კატეგორიის ცნებებს, რომლებთანაც გვხვდება როგორც პირველ, ისე მეორე კომპონენტად, მაგალითად, *შიგაკრისტალური, შიგამოლეკულური, შიგასაქარხნო...; ცვლისშიგა, წყალშიგა, ქერქშიგა...*

შიგას უპირატესობას შესაძლებელია ისიც განაპირობებს, რომ მისი

სინონიმი *შიგ* თანამედროვე ქართულში დამოუკიდებლად აქტიურად იხმარება, რაც შეეხება *შიდ* ფორმას, ის სალიტერატურო ქართულში არ არის აქტიური და მხოლოდ დიალექტურ ფორმებად დასტურდება.

შიგას უპირატესობაზე მეტყველებს ასევე მისი ხმოვანმოკვეცილი ფორმებიც ტერმინებში: *შიგსაზომი*, *შიგსახრახნი*, *შიგჩარხი*... ამასთან, არცერთ ლექსიკონში არ დასტურდება *შიდ* – ხმოვანმოკვეცილი ფორმები, შესაძლებელია მათი დიალექტური ელფერის გამო, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპოზიტებში მეორე კომპონენტად მხოლოდ *შიგაა* დადასტურებული დარგობრივ ლექსიკონებში.

გარდა ამისა, *შიგა* ზმნისართი აფიქსიდიის ფუნქციასაც ასრულებს, ცნობილია, რომ ტერმინოლოგიურ სისტემაში აფიქსიდიანი სიტყვაწარმოება ტერმინთა შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა. უცხო წარმომავლობის აფიქსიდეზთან ერთად აქტიურად იქმნება და მკვიდრდება მათი ქართული შესატყვისები, რომლებსაც ძალიან დიდი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს, *შიგასაც* სწორედ ასეთი ფუნქცია ენიჭება. მას შეესატყვისება ლათინური *intra* – და ბერძნული *endo*. ამას ადასტურებს სინონიმური წყვილები, რომლებიც ლექსიკონებშია დადასტურებული: *ენდოდინამიკური*, *შიგადინამიკური*; *ინტრავენური*, *შიგავენური*.

სირთულეს ვაწყდებით ასევე დაწერილობის თვალსაზრისითაც. ერთსა და იმავე დარგობრივ ლექსიკონში ისინი გაფორმებულია სხვადასხვაგვარად. ძირითადად დადასტურებულია ორი მოდელი – ზოგან ტერმინები კომპოზიტად არის მიჩნეული, მაგალითად, *შიგასახეხი*, *შიგამოდრაობა*, *შიგამოდება*, ზოგჯერ – შესიტყვებად: *შიგა ბლოკირება*, *შიგა ანტენა*, *შიგა ნორმალი*, ნორმა არსად არ არის დაცული. თუ *შიგა* ზმნისართი პრეპოზიციული წყობისაა და მოსდევს მაწარმოებლიანი სახელი ან პროცესის აღმნიშვნელი სახელი, ასეთი ფორმები ერთად იწერება, მაგალითად, *შიგაატომური*, *შიგაუჯრედული*, *შიგაწვა*, *შიგამოდრაობა*, საგნის აღმნიშვნელ კატეგორიებთან მსაზღვრელადაა წარმოდგენილი და ცალკე იწერება: *შიგა კონუსი*, *შიგა კუთხე*, *შიგა ანტენა*, მაგრამ ერთგვაროვნება აქაც არ არის დაცული. ზოგიერთ დარგობრივ ლექსიკონში იმავე საგნის აღმნიშვნელ კატეგორიებთან *შიგა* კომპოზიტად არის ქცეული, მაგალითად, *შიგა ნორმალი*, რომელიც მათემატიკური ტერმინია, ორგან არის დადასტურებული და ისიც სხვადასხვა დაწერილობით, ერთგან ერთად, მეორეგან – შესიტყვებად, ასევე *შიგა ზომა*, *შიგანამრავლი*, *შიგახახუნი*, *შიგაძალა*, ზოგან ერთად არის გაფორმებული, ზოგან – ცალ-ცალკე.

ამკარად თვალში საცემია, რომ *შიგა* ზმნისართი პოზიციურად მერყეობას იჩენს, ის გვხვდება როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად. ერთგან შესიტყვებები გვაქვს, მეორეგან შესიტყვებები კომპოზიტად არის ქცეული. ამგვარი მერყეობა დაწერილობისას გვავარაუდებინებს, რომ შესაძლებელია კომპოზიტად ქცევის პროცესი დაწყებულია, მით უმეტეს, რომ შესიტყვებებს კომპოზიტად ქცევის მიდრეკილება აქვს. უნდა გავითვალისწინოთ ასევე ისიც, რომ *შიგა* აფიქსოიდის ფუნქციასაც ასრულებს, რასაც მისი გამოყენების ინტენსიურობაც განსაზღვრავს. დღეს ტერმინოლოგიურ სისტემაში ძირითადად ის ნორმაა დაცული, რომ აფიქსოიდიანი ტერმინები ერთად უნდა დაიწეროს.

ამგვარად, ტერმინოლოგიურ სისტემაში მიზანშეწონილია, რომ *შიგა* ზმნისართს მიენიჭოს უპირატესობა, რასაც უხვი საილუსტრაციო მასალა წარმოაჩენს, ჩანს, მას უფრო გამჭვირვალე სემანტიკა აქვს და უკეთ მიუთითებს სივრცულ ლოკალიზაციას. გარდა ამისა, *შიგა* ზმნისართი დღესაც აქტიურია ქართულ სალიტერატურო ენაში, *შიდ(შით)* კი მხოლოდ დიალექტურ მეტყველებაში შემორჩა. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ კომპოზიტურ ტერმინებში ნებისმიერ პოზიციაში, ხმოვანმოკვეცილ ფორმებში მხოლოდ *შიგა* დასტურდება.

რაც შეეხება ამგვარ ტერმინთა დაწერილობას, ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ძირითადად დადასტურებულია ორი მოდელი: დერივაციულ და პროცესის აღმნიშვნელ ტერმინებთან კომპოზიტური წარმოება გვხვდება, ხოლო საგნის აღმნიშვნელ ტერმინებთან – სინტაგმატური. ჩანს, რომ ამგვარ შესიტყვებებში გაკომპოზიტების პროცესი დაწყებულია, რაც მათ არაერთგვაროვან დაწერილობაში ვლინდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *შიგა* პოტენციურად აფიქსოიדיა, რომელიც გარდამავალ საფეხურზეა დღეს, შემდგომ კი ენათვითონ მოაწესრიგებს ამ პროცესს.

ლიტერატურა

ვეშაპიძე, 1963 – ირაკლი ვეშაპიძე, ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის, თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი

დამბაშიძე, 1988 – როგნედა დამბაშიძე, ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია. ნორმისა და უზუსის საკითხები, ქსკს, XIII, თბილისი

შანიძე, 1953 – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი

ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილები) თბ., 1987

ელექტროწევის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილები), თბ., 1965

მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), ტ. I - II, თბ., 2011

ნავთობის მრეწველობის ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული), თბ., 1991

ტექტონიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული), თბ., 1992

რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 1956

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011

ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული), თბ., 1935

ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული), თბ., 1982

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, 1962

Nino Dateshidze, Marine Osadze

For Clarification of Terms with Determiners *shida* and *shiga*

Summary

This article refers to the unification of terms composed with *shida* and *shiga* synonymous pair. Concurrent use of such terms is quite common not only in dictionaries, but in scientific texts and media language. This is undesirable for the terminology system.

Special normative dictionaries clearly favor *shiga*, which can probably be explained by its semantic transparency. In addition, adverb *shig* is still active in Georgian literary language, whereas *shid* is merely preserved in dialect. The advantage of using *shiga* is also supported by the fact that in composite terms, in any position, only *shiga* is verified.

რუსუდან ზექალაშვილი

ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია და ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი

სამედიცინო ტერმინოლოგია იქმნებოდა და ყალიბდებოდა მსოფლიო მედიცინის მრავალსაუკუნოვანი განვითარების განმავლობაში. „ავადმყოფობათა სახელწოდებებში აისახა სამედიცინო ცოდნის შესაბამისი პერიოდები“ (გ. ფ. ლანგი), აირეკლა ცოდნა ადამიანის ბუნების, ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციების, ავადმყოფობათა წარმოშობის მიზეზებისა და მათი მკურნალობის მეთოდების შესახებ.

თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგია გამოირჩევა ლექსიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით. ის ინტენსიურად მდიდრდება მედიცინის განვითარებასთან ერთად. ამის გამო კიდევ უფრო აქტუალური ხდება ტერმინოლოგიის მოწესრიგების საკითხი.

როგორც ცნობილია, სამედიცინო ტერმინოლოგიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ორმა ენამ: ძველბერძნულმა და ლათინურმა, ამიტომ სამედიცინო ტერმინოლოგიის ძირითადი ნაწილი ინტერნაციონალურია. ეს ენები იქცა ტერმინთქმნადობის საფუძვლად სხვა ენებშიც.

სამედიცინო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში ეწეოდნენ სამედიცინო საქმიანობას (მარტვირი საბაწმიდელი – VII ს., სირიელი მამები – VI ს., ილარიონ ქართველი – IX ს., გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფე ეპიფანე – VIII-IX სს. და სხვ.), იწერებოდა და ითარგმნებოდა სამედიცინო-ბიოლოგიური ხასიათის შრომები, იქმნებოდა შესაბამისი ტერმინოლოგიაც. აღსანიშნავია **იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლების (X-XI სს.), ეფრემ მცირის (XI ს.), იოანე პეტრიწის (XI-XII სს.), არსენ იყალთოელის (XI-XIII სს.)** თარგმანები. უნდა გამოიყოს: **იოანე დამასკელის** „გარდამოცემაჲ“ (VIII ს.), **მარტვირი საბაწმიდელის** „სინანულისათჳს და სიმდაბლისა“ (VI-VII სს.), **გრიგოლ ნოსელის (IV ს.)** „კაცისა შესაქმჴ“ და „დაბადებისათვის კაცისა“, **ნემესიოს ემესელის (IV ს.)** „ბუნებისათვის კაცისა“ და სხვ. მნიშვნელოვანია ქართულ ენაზე შექმნილი

პრაქტიკული სამედიცინო წიგნები: **ქანანელის** „უსწორო კარაბადინი“ (XII)¹, **ხოჯაყოფილის** „წიგნი სააქიმოდ“ (XIII.), **ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის** „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XVI.), **დავით ბატონიშვილის** „იადიგარ დაუდი“ (XVII.) და **ვახტანგ VI-ის** „სამედიცინო პარაგრაფები“ (XVIII.). თითოეულმა ნაშრომმა გარკვეული წვლილი შეიტანა არა მარტო მედიცინის განვითარებაში, არამედ დარგობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაშიც, მაგრამ მათში ჭარბობდა არა-ბუღ-სპარსული წარმოშობის ლექსიკა.

ძალზე საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით **სულხან-საბა ორბელიანის** (1658-1725) „სიტყვის კონა“. მასში ვხვდებით სამედიცინო-ბიოლოგიურ და ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ტერმინებს, დაავადებათა და სიმპტომთა სახელწოდებებს. 1814 წელს **იოანე ბაგრატიონმა** (1768-1830) შეადგინა ბუნებისმეტყველების რუსულ-ლათინურ-ქართული ლექსიკონი (3.000 სალექსიკონო ერთეული) ეტიმოლოგიითა და განმარტებებით. მედიცინისათვის საინტერესო მასალას შეიცავს მისი ვრცელი რუსულ-ქართული ლექსიკონი (1807). სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარებაში დიდი დამსახურება აქვთ ლექსიკოგრაფებს: **ნიკო** (1720-1847) და **დავით ჩუბინაშვილებს** (1814-1891).

ევროპული მედიცინის განვითარებამ XIX-XX საუკუნეებში საქართველოში განაპირობა რუსული ენის გზით შემოსული საერთაშორისო ტერმინოლოგიისა და კალკირებული ცნებების დამკვიდრება. თანდათან დავიწყებას მიეცა ძველი სამედიცინო წიგნების არაბულ-სპარსული ტერმინები, რამდენიმეს გარდა.

დღევანდელი სამედიცინო ტერმინოლოგიური ფონდის მოწესრიგება-გამდიდრებაში დიდია **ივ. ჯავახიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, ლ. კოტეტიშვილის, მ. შენგელიას** და სხვათა დამსახურება. როგორც ცნობილია, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფუძემდებლად ითვლება **ივანე ჯავახიშვილი**, რომლის პირად არქივში დაცულია დიდძალი მასალა საბუნებისმეტყველო-საექიმო ტერმინოლოგიის შესახებ, თავმოყრილია ტერმინები **ნემისიოს ემესელის** თხზულებიდან **„ბუნებისათვის კაცისა“**, ანატომიური ტერმინები **„კაცისა შესაქმედან“** (ბერძნული შესატყვისებით), სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ტერმინები ჟამთააღმწერლის თხზულებიდან, თვალთან დაკავშირე-

¹ ბოლო დროს ათარიღებენ X საუკუნით.

ბული ტერმინები **იოანე ბატონიშვილის** ბუნებისმეტყველებიდან. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ვრცელი სამეცნიერო ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა¹.

მეცნიერების ინტენსიურმა განვითარებამ, ქართული უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების დაარსებამ განსაკუთრებით გამოაშკარავა ეროვნული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დახვეწის საჭიროება. დაიწყეს სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო შრომების შექმნა ქართულად. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს **ივ. თიკანაძემ, ა. ალადაშვილმა, ა. ნათიშვილმა, ვ. კუჭაიძემ, ვ. ჟღენტმა, ზ. მაისურაძემ, ა. უსტიაშვილმა, ბ. კობალეიშვილმა, ი. ქუთათელაძემ, თ. ღლონტმა, ი. მაღაშვილმა, გ. ჯიბუტმა, ს. აბაშიძემ, ლ. აბაშიძემ, რ. დგებუაძემ, ა. აბესაძემ** და სხვებმა². დღეს სამედიცინო სფეროში შედგენილია 60-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის დარგობრივი ლექსიკონი: ანატომიური, გინეკოლოგიური, დერმატოლოგიური, ემბრიოლოგიური, ვირუსოლოგიური, თერაპიული, ონკოლოგიური, ოფთალმოლოგიური, სამკურნალო პრეპარატების, ფარმაცევტული, ფსიქიატრიული, ქირურგიული, ციტოლოგიური, ეპონიმთა და სხვ.

სამედიცინო ტერმინებს შედარებით მოკრძალებული ადგილი უკავია ძველი ქართული ენისა და დიალექტების ლექსიკონებში. ამ ლექსიკურ ერთეულებს უმეტესად ისტორიული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში მცირე რაოდენობით დამკვიდრდა ეს ლექსიკა, რაც განპირობებულია მედიცინის ენის ინტერნაციონალიზაციით.

ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში წარმოშობა-წარმომავლობის მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობისაა **კლასიკური ენებიდან** ნასესხები ლექსიკა, გვხვდება **ქართული** სიტყვები, **ჰიბრიდული** ტერმინები, ასევე სხვა ენებიდან ნასესხები ან უცვლელად გამოყენებული ე. წ. **termini technici**. ქართულ ტერმინთა რაოდენობა პროცენტულად მცირეა და უდიდესი ნაწილი მოიცავს ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ლექსიკას³. სიტყვათა ნაწილი ანატომიაში გამოყენებულია

¹ სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ტერმინების შეგროვება-დამუშავება დაავალეს ექიმ **გ. ღამბაშიძეს** (სამწუხაროდ, ლექსიკონი არ გამოცემულა).

² სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორიის შესახებ იხ. დათეშიძე, შენგელია და სხვ., 2010.

³ ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლ. გელენიძის ნაშრომი (გელენიძე, 1974).

გადატანითი მნიშვნელობით (ლათინური ტერმინების მიხედვით). მაგ., **აზგა** (თემო-ქედის აზგა, სინოვიური აზგა), **აზჯარი** (მყესოვანი აზჯარი), **აფრა** (ნამგლისებური აფრა), **ბორცვი** (საძილე ბორცვი), **ბუდე** (მყესის ბუდე), **გუმბათი** (პლევრის გუმბათი), **თასმა** (მყესის თასმები), **კარი** (თირკმლის კარი), **კარიბჭე** (შუა გასავლის კარიბჭე), **კუდი** (სათესლე დანამატის კუდი), **ლაგამი** (ტუჩის ლაგამი), **ნამგალი** (მგიდის ნამგალი), **ნამი** (მინისებრი ნამი), **რქა** (გავის რქა), **ტბა** (ცრემლის ტბა), **ტოტი** (შუბლის ტოტი, თხემის ტოტი), **ფრთა** (სახნისის ფრთა), **გრდემლი**, **ჩაქუჩი**, **უზანგი** შიგნითა ყურში, **ჩანთა** (სასახსრე ჩანთა), **ძაბრი** (ცხავის ძაბრი), **ჭაღი** (კუნთის ჭაღი), **ჯიბე** (ელენთის ჯიბე, ბადექონის ჯიბე, ჯალღუზის ჯიბე, პლევრის ჯიბე)¹.

შედარებით ნაკლებადაა დამკვიდრებული ქართული სიტყვები დაავადებების, სიმპტომებისა და სინდრომების, მკურნალობის ხერხების, სამედიცინო ხელსაწყოების აღსანიშნავად, თუმცა გამოიყენება ინტერნაციონალიზმების პარალელურად. ქართულია **დაავადებების** სახელწოდებათა ნაწილი: წითელა, ყივანახველა, ქუნთრუშა, ყელჭირვება, შავი ჭირი, ყვავილბატონები, ჩუტყვავილა, ჭლექი, ნიკრისის ქარები, ბნედა, ავი ზნე; **სიმპტომების**, სინდრომების სახელწოდებები: თავბრუ, სისხლდენა, სისხლჩაქცევა, შეკრულობა, ბოდვა, ბოყინი, ხველება, ჭინთვა, პირღებინება, გულის რევა, ნაწლავების გაუვალობა, სულის ხუთვა, ჰაერის უკმარისობა, უმადობა, ხიხინი, ქოშინი, შემუპება, ჭვალეები; **მკურნალობის** მეთოდები და ხერხები: აცრა, გაუტკივარება, ამორეცხვა, დათესვა, ამოთესვა, შემხაპუნება, დაზელა, მოწვა; **სამედიცინო** ხელსაწყოების სახელები: არტაშანი, კოტოშები, მაშა, ოყნა, ლახტი; **სამკურნალოწამლო** საშუალებების დასახელებები: ნაყენი, ნახარში, მალამო, სალბუნი, გამონაწვლილი, ფხვნილი, გამხსნელი, ხსნარი და სხვ.

თუკი მანამდე სამედიცინო დარგის ლექსიკური ერთეულები შემოდოდა რუსული ენის გზით, ამ ბოლო დროს გაიზარდა ინგლისური ენის როლი, თუმცა წამოიჭრა თარგმნისა და მართლწერის ახალი პრობლემებიც.

არსებული სამედიცინო ლექსიკონები საშუალებას გვაძლევს, გამოიყოს ამ სფეროში დამკვიდრებული ძირითადი ტერმინოლოგიუ-

¹ სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგად პრინციპებსა და სიტყვაწარმოების საკითხებზე იხ. ამირანაშვილი, 2006.

რი ყალიბები და სპეციფიკური მატერმინირებელი აფიქსები. მაგალითად, თვალში საცემია **-ობა (-ება), -ა, -ურ, -ად** სუფიქსების, **ნა-** და **სა-** პრეფიქსების პროდუქტიულობა¹.

მაგალითად, **-ობა** სუფიქსის ძირითადი მნიშვნელობაა აბსტრაქტულ სახელთა წარმოება, მაგრამ ზოგჯერ ის აღნიშნავს მოვლენის **განმეორებადობას**, სიხშირეს, პერიოდულობას, მრავალგზისობას. ის დაერთვის როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ და რთულ ფუძეებს, გვხვდება უცხოურ ძირებთანაც (ეს მოდელი ინტენსიურად გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში): ავადობა, ბლუობა, დებილობა, მიზეზობა, ფადართობა, ყაზობა... **რთულ ფუძეებთან:** ავხორცობა, ბრტყელტერფიანობა, ენაბლუობა, ენაჩლუნგობა, კაცთმოშიშობა, სისხლნაკლებობა... ხშირად ის კომბინირებულია სხვა სუფიქსებთან: **-იან+ობა:** მჟავიანობა, ეჭვიანობა, სიცხიანობა, ბანჯგვლიანობა, ძილიანობა, ორსქესიანობა, კეთილთვისებიანობა, ბრტყელტერფიანობა; **-ოვან+ობა:** ბუდოვანობა, წყლულოვანობა; **-ოს(ა)ნ+ობა:** ბაცილოსნობა; **-ურ(ლ)+ობა:** აპათიურობა, იმპულსურობა, ინდიფერენტულობა, მთვარეულობა, პოლიტროპულობა, პოლიმორფულობა, კალორიულობა; **-ელ+ობა:** ვეგეტარიანელობა; **-ით+ობა:** მემკვიდრეობითობა, შთამომავლობითობა; **-ად+ობა²:** მონელებადობა, აგზნებადობა, შეხორცებადობა, გრძნობადობა, შექცევადობა, შობადობა, გაჟონვადობა; **-ი(ვ)+ობა:** მუდმივობა, ჩანასახობრიობა; **უ- (ო)+ობა:** უმადობა, უძილობა, უსიცხოება; **მიმღებობებთან:** **-ულ+ობა:** გახევებულობა, დამტვრეულობა, აბნეულობა, დაქანცულობა, დასენიანებულობა, შეკრულობა; **-ილ+ობა:** შებერილობა, გამობერილობა; **მ- ელ+ობა:** ბაცილიმატარებლობა, ამთვისებლობა; **უ- (ელ)+ობა:** წყალუდეგობა, გაუჟვალობა.

ქონების მაწარმოებელთაგან დადასტურებულია **-ა, -იან, -ოვან** (შედარებით იშვიათად **-ოსან**) სუფიქსები. ყველაზე ინტენსიურად გამოიყენება **-ა** სუფიქსი, რომელიც დაერთვის სხვა სუფიქსებსაც და აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს. **მარტივ ფუძესთან:** წითელა, მღვრივა, სირსველა, (ბრილიანტის) მწვანა; **-იან+ა:** რძიანა, მტვრიანა; **-ოვან+ა:** ლორწოვანა, რქოვანა, შარდოვანა; **-ურ+ა:** ბადურა, მგლურა,

¹ სამედიცინო ტერმინთა დერივაციის საკითხებზე იხ. Зекалашвили, 2011: 140-142.

² სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია ამ მოდელის ინტენსიურობა სამეცნიერო ენაში.

ნუშურა, წითურა, ჭიქურა; **მიმღ. (-ელ)+ა**: მჭამელა, მწოლელა; **რთულ სიტყვებთან**: კისერმრუდა, სამთავა (კუნთი), ფერიმჭამელა, ჩუტყვავილა, ძვლისაზრდელა;

-იან: ერთფრთიანი (კუნთი), კუდიანი (წილი);

-ოვან: კეთროვანი, ბუმტუკოვანი (ნამქერი), ბუდოვანი (ცვენა), აიროვანი (განგრენა), კეროვანი (ინფექცია), ლულოვანი (ძვლები), მყესოვანი (აბჯარი), წყლულოვანი (ართრიტი), კუკუხო-მღვიმოვანი (კუნთი), ბოლქვ-ღრუბლოვანი (კუნთი).

ბევრი ახალი ტერმინია ნაწარმოები **-ურ(ლ)** სუფიქსით. ამ სუფიქსის სემანტიკა მრავალგვარია: აღნიშნავს წარმოშობა-წარმომადგენლობას, ნიშან-თვისებასა და მსგავსებას. მაგალითად, **ქართული** ძირეზისგან ნაწარმოები სიტყვები: გვამური (ლაქები), გუგური (რეფლექსი), თბური (დაკვრა); გაარსებითებულია: თვიური, თურქული; **ნასესხები** სიტყვებისგან: აბდომინური (სუნთქვა), აბერაციული (ჩიყვი), ადაპტაციური (დაავადება), აკომოდაციური (სპაზმი), ალერგიული (დერმატიტი), ალკოჰოლური (ბოდვა), აპლასტიკური (ანემია), ართროგენური (კონტრაქტურა), ატაქსიური (პარაპლეგია), იშემიური (დამბლა), კრუპოზული (ანთება)... მსგავსების გამომხატველი: ელიფსური სახსარი, ტრაპეციული კუნთი, თერძული ნაკერი, სიგმოიდური კოლინჯი, ქუსლ-კუბური სახსარი...

ქართულ სამედიცინო ტერმინებში მრავალფეროვანია მსგავსების გამომხატველი სხვა საშუალებებიც: **-ოვან**: მეჭეჭოვანი (ენდოვასკულიტი), რკალოვანი (შემალეება); **-ა** სუფიქსი: ჯვარედინა (მაღლობი), უნაგირა (სახსარი), ჭიაყელა (კუნთები), თითისტარა (კუნთი); მსგავსების აღსანიშნავად ფორმასთან, მოძრაობასთან, ხმიანობასთან გამოიყენება **-ებრ (-ებურ)**: ოსპისებრი მარყუჟი, ნუშისებრი ჯირკვლები, მტევნისებრი წნული, სოკოსებრი ართრიტი, ფარისებრი მორჩი, სოლისებრი ძვალი, ბადისებრი შრე, ნამგლისებრი აფრა, მშვილდისებრი იოგი, ნალისებრი თირკმელი, დოლის ჩხირისებრი თითები, რმისებრი ლაქები, ძაბრისებრი წყლული, სადგისისებრი მორჩი, ჭადისებრი ნერვი, „მამლისებრი“ ან „იხვისებრი“ სიარული, „მწყრისებრი“ რიტმი, ლითონისებრი წკარუნი, წვეთისებრი გული, ცხვირში ლაპარაკისებრი ხმაური.

მაკლასიფიცირებელი ფუნქციის მქონე **ტაქსონომიური** ერთეულების (ტიპის, კლასის, რიგის, ოჯახის, გვარისა და მათი ქვესახეობების) აღსანიშნავად გვხვდება **-ამგვარი, -მსგავსი, -ნაირი** სუფიქსოიდებით შედგენილი კომპოზიტები.

დანიშნულების მაწარმოებელთაგან გავრცელებულია **სა- -ე, სა- -ო** (იშვიათია **სა- -ურ**) აფიქსები. **სა- -ე**: საცრემლე (ჯირკვალი), სატვინე (შემაღლება), სანერწყვე (ჯირკვალი), საულლე (ვენები), სასახსრე (ჩანთა), საქალწულე (აპკი), საძილე (არტერია); **სა- -ო**: სანაყოფო (ბუშტი), სამშობიარო (არხი), სასქესო (ორგანო), საფაღარათო (საშუალეზა), სასიცოცხლო (ციკლი), სანარკოზო (ნივთიერება), სადიაგნოზო (ოყნა), საკეისრო (კვეთა), სასქესო (ნიშნები); აშკარაა ტენდენცია ამ წარმოების ზედსართავი სახელების გასუბსტანტივებისკენ. **სა- -ე**: საკაცე, საკვერცხე, სასულე; **სა- -ურ**: საბეწური, სათბური; **სა- -ო**: საშვილოსნო, სავენო, საშო.

ცალკე უნდა გამოიყოს **-ად** სუფიქსის მატერმინირებელი ძალა სამედიცინო ტერმინოლოგიაში¹: აგზნებადი, აქროლადი, მონელებადი, შეხორცებადი, ჩაყენებადი, ჭიმვადი, განუკურნებადი, ჩაუყენებადი (თიქარი) და სხვ.

პროდუქტიულია **-ით** წარმოებაც: ანთებითი (პროცესი), აფურცვლითი (ანთება), ბრუნვითი (კრუნჩხვა), გამონელებითი (ტემპერატურა), კრუნჩხვითი (ხამხამი), ლპობითი (ბრონქიტი), მიბადვითი (ქორეა), თავის დაქნევითი (სუნთქვა), შეგრძნებითი (არხი), შთანთქმითი (უნარი).

დაავადების ან პათოლოგიური პროცესის წარმომავლობა აღინიშნება **-მიერ** აფიქსიოდით, რომელიც მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის თანდებულისაგან. ის გადმოსცემს თვისებას და მიუთითებს გამომწვევ მიზეზზე. მაგ., დიაბეტისმიერი (წყლული, შდრ. დიაბეტური წყლული), საშვილოსნოსმიერი (ქლოაზმა), მზისმიერი (ასფიქსია), ექიმისმიერი (დაავადება), შრატისმიერი (ავადმყოფობა), წამლისმიერი (ჩიყვი), ვერცხლისმიერი (დერმატიტი), თირკმლისმიერი (ჭვალვა), თივისმიერი (ცხელება), ცხელებისმიერი (ტაქიკარდია), წამლისმიერი (ჩიყვი), ჭრილობისმიერი (ინფექცია). იმავე ფუნქციისაა **-იულ** სუფიქსიც: ანილისეული (კიბო), აკრისეული (როზეოლა).

დიდ ადგილს იკავებს ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში მიმდებარები², განსაკუთრებით – **ნა-** პრეფიქსიანი: ნაბარტყი (სიმსივნე), ნაბეგვი (ჭრილობა), ნაკვეთი (ჭრილობა), ნაჟეჟი (ჭრილობა), ნა-

¹ ეს წარმოება ფართოდ არის გავრცელებული მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში (იხ. რ. ღამბაშიძე, 1986).

² მიმდებარათა შესახებ სამედიცინო ტერმინოლოგიაში იხ. ზეჟალაშვილი, სირაძე, 2010: 75-78.

წვეთი (აბსცესი). ამ წარმოების მიმღეობათა ნაწილი უკვე გაარსებითებულია და ეს პრეფიქსი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ სპეციფიკურ მატერმინირებელ მაწარმოებლად: ნახვევი, ნაკერი, ნაყენი, ნადები, ნაკაწრი, ნაწოლი, ნამქერი, ნაფენი, ნაფიფქი, ნახარში, ნახველი, განავალი, ნაცხი; **ნა-ილ:** გამონაწვლილი; **ნა-ურ:** ნაწიბური.

ინტერნაციონალური **აფიქსოიდების** პარალელურად გამოიყენება მათი ქართული ეკვივალენტებიც: super – **ზე-** (ზეზღურბლოვანი, ზემგრძნობიარობა), auto – **თვით-** (თვითგახსნა, თვითკვება, თვითმოწამვლა, თვითჩასახვა), sub – **ქვე-** (ქვეზღურბლოვანი, ქვემწვავე, ქვექრონიკული), anti – **წინააღმდეგ-** (წინააღმდეგჩვენება), pseudo – **ცრუ** (ცრუ აგლუტინაცია, ცრუ კრუპი, ცრუ ორსულობა, ცრუაპკოვანი), thermia – **თბო-** (თბოწარმოება, თბორეგულაცია), contra – **უკუ-** (უკუგანვითარება, უკუბიძგი, უკუსვლა), co – **თანა-** (თანააგლუტინაცია, თანაგრძობა, თანაცხოვრება); **პრეფიქსოიდებად** გამოიყენება ქართული სიტყვები: **დაბალ-** (დაბალწნევიანი, დაბალმჟავიანობა, დაბალინტენსიური), **მაღალ-** (მაღალწნევიანი, მაღალსიხშირიანი), **მრავალ-** (მრავალშეშობიარე, მრავალნაყოფიანი), **მსხვილ-** (მსხვილმარცვლოვანი), **სრულ-** (სრულასაკოვანი, სრულწლოვანი), **წინა-** (წინამხარი, წინაგული), **წვრილ-** (წვრილმარცვლოვანი), **ჭარბ-** (ჭარბმჟავიანობა, ჭარბბალნიანობა).

რთული სიტყვების მაწარმოებლებია **ზმნიზედები და თანდებულები:** **-ზედა:** წამწამზედა, თირკმელზედა, ბორცვზედა, ლავიწზედა; **-შუა:** ფალანგშუა, ლავიწთშუა, ნეკნთშუა, ბორცვთაშუა; **-შორისი:** ნეკნთაშორისი, მუხლთაშორისი, პარკუჭთაშორისი, უჯრედშორისი, კბილთაშორისი, ძვალთაშორისი, კუნთებშორისი; **-ქვეშა:** ბორცვისქვეშა, ენისქვეშა, კანქვეშა, კუჭქვეშა, ლავიწქვეშა, ლორწქვეშა, მკერდქვეშა, მუხლქვეშა, ნიკაპქვეშა, ყბისქვეშა; **-შემდგომი:** ოპერაციისშემდგომი (თიაქარი); **-წინარე:** კიბოსწინარე (დერმატოზი); **-წინა:** კიბოსწინა; **-შიგა (-შიდა):** კანშიგა (რეაქცია), საავადმყოფოსშიგა (ინფექცია), ვენისშიდა, კუნთშიდა (შემზაპუნება); **-ახლო:** პარკუჭახლო (ბირთვი), ფარისებახლო (ჯირკვლები); **-უკანა:** კუჭუკანა (ჯირკვალი), ბროლისუკანა, მხრის ბორცვისუკანა (მიდამო); **-გარე(თა):** საშვილოსნოსგარე (ორსულობა), გულისგარეთა (გარსი).

სუფიქსოიდებად გამოყენებულია მიმღეობები: **-გამტარი:** თესლგამტარი, **-მზადი:** ჩირქმზადი, სისხლმზადი, **-სადენი:** შარდსადენი, **-სადინარი:** შარდსადინარი, **-სავალი:** კვერცხსავალი, **-საწვეთი:** შარდსაწვეთი... ნაწარმოები არსებითი სახელები: **-მეტობა:** სისხლმეტობა,

-ნაკლებობა: სისხლნაკლებობა, თითნაკლებობა და სხვ.

სამედიცინო ტერმინოლოგიის ინტენსიურმა ზრდამ და უცხოურიდან მათმა თარგმნამ წარმოაჩინა ორთოგრაფიის მოწესრიგების აუცილებლობა. ცხადია, მარტო ამ დარგის წარმომადგენელი ვერ შეძლებს არსებული პრობლემების მოგვარებას, აუცილებელია ლინგვისტ-ტერმინოლოგთან თანამშრომლობა. უნდა გამოიცეს სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც თვალნათლივ დაგვანახვებს ამ დარგის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და გადასაწყვეტ პრობლემებს¹.

სამედიცინო სფეროს მუშაკებისთვის დახმარების გაწევა შეუძლია სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიის **ელექტრონულ ცნობარს**, რომელიც განთავსებულია www.medgeo.net საიტზე და შექმნილია პროექტ **„ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედიის“** ფარგლებში. სამედიცინო-ორთოგრაფიული ლექსიკონი მოამზადა **ლალი დათეშიძემ** (მანანა კიკნაძის რედაქციით)².

ელექტრონულ ლექსიკონს იწყებს სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიის სახელმძღვანელო (შესავალი), რომელსაც მოსდევს ლექსიკონის **წინასიტყვაობა**, შემდეგ კი – ორთოგრაფიული ლექსიკონი. მკითხველის დასახმარებლად განხილულია ორთოგრაფიული წესების ძირითადი ჯგუფები (იხ. <http://www.medgeo.net/2012/04/19/wesebi/>) და მოცემულია კომენტარები. ყურადღება გამახვილებულია არასწორ და პარალელურად ხმარებულ ფორმებზე, ზოგჯერ მითითებულია ამოსავალი სიტყვა და საჭიროების შემთხვევაში – ტრადიციულად გავრცელებული ვარიანტიც. **ორთოგრაფიული წესების ძირითადი ჯგუფებში** განხილულია შემდეგი საკითხები: საზოგადო სახელთა ბრუნება, ფუძის კუმშვა, ფუძის კვეცა, ბერძნულ-ლათინურ ელემენტებიანი სიტყვების მართლწერა, -ურ(ლ) სუფიქსიანი ზედსართავების წარმოება, რუსული დიფთონგების გადმოცემა, კომპოზიტების მართლწერა, ეპონიმებიან ტერმინთა მართლწერა³. სამედიცინო ტერმინთა მარ-

¹ კარგა ხანია, გამოსაცემად მომზადებულია ამ ტიპის ლექსიკონის ვრცელი ვარიანტი, თუმცა ვერ ხერხდება გამოქვეყნება (შემდგენლები – პროფესორები **გურამ კიკნაძე** და **გივი ჯაფაშვილი**).

² სამუშაო ჯგუფმა კონსულტაცია გაიარა სტატიის ავტორთან.

³ ელექტრონული ლექსიკონის შესავალში აღნიშნულია, რომ ალგორითმების მომზადებისას ავტორებმა ისარგებლეს ა. შანიძის, გ. შალამბერიძის და რ. ზექალაშვილის ნაშრომებით, ხოლო ორთოგრაფიული პრინციპების შესამუშა-

თლწერის წესები მოცემულია ალგორითმის ფორმით. თითოეულს ახლავს საილუსტრაციო მაგალითები, რომელთა სანახავად გამოიყენება შესაბამისი ლინკი.

შემდგენელთა გადაწყვეტილებამ, დამუშავებულიყო **სიხშირული** ლექსიკონი „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედიის“ ტექსტების ბაზაზე, გაამართლა, რადგან დასახელებულ ლექსიკონს საფუძვლად დაედო გავრცელებულ შეცდომათა ანალიზი.

ამ ლექსიკონის არსებობა უკვე წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მაინც აუცილებელია სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონის წიგნად გამოცემა.

სპეციალური ტექსტების, დარგობრივი და ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონების ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მოსაწესრიგებელი საკითხი სამედიცინო ტერმინოლოგიაში:

1. **ლათინურ-ბერძნული** წარმოშობის სიტყვების ქართულად გადმოტანის წესების დახვეწა და ცალკეულ გრაფემათა თუ თანხმოვანთკომპლექსთა მიღებული შესატყვისების გამოყენება¹. მაგალითად: გვხვდება **ქ**-ს მაგივრად **ხ**: უნდა იყოს **ექოსკოპია** და **მენარქი** და არა: ეხოსკოპია და მენარხი.

2. **ნასესხები** ტერმინების გადმოქართულების ერთიანი პრინციპების შემუშავება (მაგალითად, კომპოზიტების უდეფისოდ წერა: **რისკფაქტორი**, **რეზუსფაქტორი** (და არა: რისკ-ფაქტორი, რეზუს-ფაქტორი).

3. **აბრევიატურათა** გადმოტანისა და წაკითხვის ნორმების დადგენა², რადგან სამედიცინო ტექსტებში მომრავლდა აბრევიატურები, რომელთა გაშიფვრა არც ისე ადვილია, მაგალითად:

აი – ათეროგენოზის ინდექსი

გკდ – გულის კორონარული დაავადება

დსლ – დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები

ექო-კგ – ექოკარდიოგრაფია

ზფმ – ზოგადი ფიზიკური მუშაობისუნარიანობა

მგი – მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი

ვებლად გამოყენებულია სტატიის ავტორის ნაშრომი (რ. ზეჟალაშვილი, 2000; 2005).

¹ ეს საკითხი კარგა ხანია პრობლემურია, მაგრამ ახლაც ძალზე ხშირად იყენებენ უმართებულო ფორმებს.

² აუცილებელია მედიცინაში გავრცელებულ აბრევიატურათა ლექსიკონის გამოცემა ინგლისურ შესატყვისთა მითითებით.

მკს – მწვავე კორონარული სინდრომი
 მკ – მარცხენა პარკუჭი
 მკმმ – მარცხენა პარკუჭის მიოკარდიუმის მასა
 მრტ – მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია
 მწზ – მარცხენა წინაგულის ზომა
 პმმს – პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე
 სქ – საერთო ქოლესტერინი
 ჰკმ – ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია და სხვ.

ზოგჯერ შემოკლებულ სიტყვებს ინგლისურად წერენ, რაც არასწორია. თუკი ეს აუცილებელია, მაშინ შესაძლებელია ფრჩხილებში მიეთითოს ინგლისური ვარიანტი და აიხსნას კიდეც. მაგალითად: CMV – ადამიანის ციტომეგალოვირუსი, EBV – ეპშტეინ-ბარის ვირუსი, HSV-I – მარტივი ჰერპესის ვირუსი.

4. სიტყვაწარმოების ზოგიერთი საკითხის გადაჭრა:

ა) უპირველეს ყოვლისა, მოსაწესრიგებელია უცხოური სიტყვებისგან **-ურ** სუფიქსიან ტერმინთა წარმოება. პარალელურად გამოიყენება: **აბდომინალური** და **აბდომინური** (აბდომინალური ქირურგია, აბდომინალური სიმსუქნე და აბდომინური სინდრომი, აბდომინური ანგინა), **დიაფრაგმალური** და **დიაფრაგმული** (დიაფრაგმალური ხვრელის თიაქარი, დიაფრაგმალური ინტენსტინალური სტრიქტურები და დიაფრაგმული ნერვის სინდრომი), **ბრონქიალური** და **ბრონქული** (ბრონქული ასთმა და ბრონქიალური ვენები), ასევე: ცერებრალური ათეროსკლეროზი და ცერებრული დამბლა, კარდიალური ტკივილი და კარდიული ასთმა, ბულბარული დამბლა და ბულბური სინდრომი, გასტრალური არხები და გასტრული მილი, გულ-აორტალური და გულ-აორტული, გულ-არტერიალური და გულ-არტერიული, ლატერალური და ლატერული, ვაგინალური და ვაგინური, ჰიპერტონული და ჰიპერტონიული, ფსიქიური და ფსიქიკური და ა. შ. **ნორმად** უნდა დადგინდეს ერთი ფორმა: ბაქტერიული, ბრონქული, დიაფრაგმული, ემბრიონული, ექსპერიმენტული, ინსტრუმენტული, კატარული, მოლეკულური, რუდიმენტული, ჰორმონული, ჰიპერტონიული, ფსიქიკური...

შეინიშნება სიჭრელე **-ურ** სუფიქსიანი **კომპოზიტების** მართლწერაშიც, როცა პრეფიქსიოდის შემადგენლობაში შედის **-რ** თანხმოვანი: გვხვდება როგორც დისიმილირებული ფორმები, ისე უცვლელი **-ურ** სუფიქსი. სანიმუშოდ დავასახელებთ **-გენ** ძირისაგან წარმოებ კომპოზიტებს და გამოვყოფთ ორ შემთხვევას:

I. როცა პრეფიქსიდი ან კომპოზიტის პირველი ნაწილი არ შეიცავს **-რ**-ს, მაშინ სიტყვის მეორე ნაწილში **-ურ** სუფიქსი რჩება: გლიკოგენური, დიზონტოგენური, ეგზოგენური, ენდოგენური, კოკოგენური, მიოგენური¹;

II. როცა ფუძის პირველი ნაწილი შეიცავს **-რ**-ს, მაშინ სიტყვის მეორე ნაწილში ხან **-ურ** სუფიქსია გამოყენებული, ხან კი **-ულ**: აეროგენული ინფექცია და აეროგენული ალერგია, ანთროპოგენული ზემოქმედება და ანთროპოგენური ფაქტორი, ართროგენული აბსცესი და ართროგენური სტენოზი, ბრონქოგენური მოთესვა და ბრონქოგენული კისტა, ინტრასპინური გამოკვლევა და ინტრასპინული ფლებიტი, კარდიოგენური შოკი და კარდიოგენული შეშუპება, კრიპტოგენური ეპილეფსია და კრიპტოგენული სეფსისი, ნევროგენული ანორექსია და ნევროგენური დიარეა, ნეფროგენული ჰიპერტონია და ნეფროგენური ოსტეოდისტროფია, პიროგენული ცხელება და პიროგენური მოქმედება, რეაქტოგენული ვაქცინა და რეაქტოგენური პრეპარატი, უროგენული სეფსისი და უროგენური გზა, ქრომოფობული ადენომა და ქრომოფობური ენდოკრინოციტი, ჰეტეროგენული რეაქცია და ჰეტეროგენური სიმპტომთკომპლექსი...

არაერთგვაროვნება და სიჭრელე შეიმჩნევა მსგავსი წარმოების დროს სხვა დარგის ტერმინებშიც. შდრ. პრეპოზიციური და პრეპოზიციული, ინტერდენტალური, ინტერლობური და ინტერლობული, რეფლექსოგენური და რეფლექსოგენული, ფარინგალური და სხვ.².

III. როცა **-რ**-ს შეიცავს როგორც პრეფიქსიდი, ისე კომპოზიტის მეორე ნაწილი, მაშინ გამოყენებულია დისიმილირებული სუფიქსი **-ულ**: ათეროსკლეროზული, გასტროენტერორაგიული, ენდოკრინული, ენტერეპიდერმული, ენტეროვირუსული, ვაგოტროპული (შეცდომა არაა მოსალოდნელი ასეთ ტერმინებშიც).

არაა ერთგვაროვანი დამოკიდებულება ლინგვისტთა შორის მეორე ჯგუფის წარმოებისადმი. ზოგი უმჯობესად მიიჩნევს დისიმილირებულ ფორმას (**-ულ** სუფიქსიანს), რათა ტერმინი ერთ სიტყვად აღიქმებოდეს და ქართულ და უცხოურ ფუძეებთან დაცულ იქნეს ერთიანი პრინციპი, ზოგი კი მხარს უჭერს **-ურ** სუფიქსის შენარჩუნებას მსგავს ფუძეებში. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ასეთ სიტყვებს უნდა დაერ-

¹ ასეთ ტერმინებში შეცდომა არცაა მოსალოდნელი.

² ამის შესახებ იხ. ზეკალაშვილი, 2007: 3-23.

თოს **-ურ** სუფიქსი, რითაც ფუძის მეორე ნაწილის სემანტიკა გამჭვირვალე იქნება და შენარჩუნდება კავშირი კომპოზიტის ამოსავალ სიტყვასთან, მით უმეტეს, რომ ბევრია ერთი ფუძისგან ნაწარმოები კომპოზიტი და ყველა გაერთიანდება წარმოების ერთ ბუდეში.

ვფიქრობთ, ნორმად **უნდა** დაკანონდეს: აეროგენური, ართროგენური, ბაქტერიციდური, დერმატოგენური, ენტეროპათიური, ენტეროჰეპატური, ეროგენური, ესტროგენური, იატროგენური, ინტერლობური, ინტერსტიციური, კრიპტოგენური, მიკროციტური, ნევროგენური, ნევროპათიური, ნეფროგენური, პიროგენური, რეფლექსოგენური, ქონდროგენური, ჰიპერემიური და ა. შ.¹

ბ) **კომპოზიტებში** მაკავშირებელ ხმოვანთა არსებობისა და სიტყვაწარმოების საკითხი. მაგალითად, არასწორადაა გამოყენებული მაკავშირებელი **-ო**: მედიკო-ბიოლოგიური და მედიკობიოლოგიური (უნდა იყოს: სამედიცინო ბიოლოგიური), ფიზიკო-ქიმიური (უნდა იყოს: ფიზიკურ-ქიმიური);

5. **ეპონიმებში** გამოყენებულ გვარ-სახელთა ტრანსლიტერაციის წესების შემუშავება. დავასახელებთ ერთ მაგალითს: სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით **ალცჰაიმერის** ნაირგვარ დაწერილობას: ალცჰეიმერის, ალცგეიმერის, ალც-გეიმერის (დაავადება). ეპონიმისთვის ამოსავალია გერმანელი ფსიქიატრისა და ნევროპათოლოგის, **ალოის ალცჰაიმერის** (Alois Alzheimer) გვარი. რუსული ენის გავლენით ხშირად **ჰ** ქართულადაც გადმოტანილია **გ**-თი (Болезнь Альцгеймера), ხოლო დიფთონგი **ei – ეი**-თ. გერმანულ სიტყვებში კი ის **აი**-თ იკითხება და ქართულადაც ასე უნდა გადმოვიდეს. მსგავსი ტიპის შეცდომა საკმაოდ ხშირია ეპონიმებში, როცა არაა გათვალისწინებული გვარის წარმომავლობა და მართლწერა.

ჩვენ მიმოვიხილეთ ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის სიტყვაწარმოების ძირითადი მოდელები, პროდუქტიული აფიქსები და გამოყვავით ზოგიერთი მოსაგვარებელი ორთოგრაფიული საკითხი. ვფიქრობთ, ამ პრობლემების გადაჭრა აუცილებელია, რაც ლინგვისტა და სამედიცინო დარგის მუშაკთა ერთობლივ მუშაობას მოითხოვს.

¹ ვფიქრობთ, შეიძლება ჩვენი მოსაზრების განხილვა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. სიტყვაწარმოებაში კიდევ ბევრია მოსაწესრიგებელი პრობლემა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ საკითხს შევეხეთ.

ლიტერატურა

ამირანაშვილი, 2006 – ნ. ამირანაშვილი, სპეციალურ ტერმინთა შედგენის ზოგადი პრინციპები და სიტყვაწარმოების საკითხები თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში: ფილოლ. მეცნ. კანდ. დისერტაცია, თბილისი, 2006.

დათეშიძე, შენგელია და სხვ., 2010 – ლ. დათეშიძე, ა. შენგელია, ვ. ბაზიაშვილი, მ. კიკნაძე, თ. პაპავა, ა. დათეშიძე, სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორია და ძირითადი ტენდენციები, თბილისი, 2010.

გელენიძე, 1974 – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში (სხვა ქართველური ენების მონაცემებთან შედარებით), თბილისი.

ზექალაშვილი, 2000, 2005 – რ. ზექალაშვილი, ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები, თბილისი, 2000; 2005.

ზექალაშვილი, 2007 – რ. ზექალაშვილი, სამედიცინო ტერმინოლოგიის ორთოგრაფიის ზოგიერთი საკითხი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №8, თბილისი.

ზექალაშვილი, სირაძე, 2010 – რ. ზექალაშვილი, ნ. სირაძე, მიმღეობის ადგილი და ფუნქციები ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში: ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი „საზრისი“, შრომების კრებული, №26, თბილისი.

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986.

Зекалашвили, 2011 – Зекалашвили Р. Р., Дериивационные процессы в современной медицинской терминологии грузинского языка: „Вестник Челябинского государственного университета“, № 24 (239), Филология. Искусствоведение, Вып. 57, 140-14, Челябинск.

ინტერნეტრესურსები:

<http://www.medgeo.net/2009/10/04/bibliography-7/>

<http://www.medgeo.net/2012/04/19/wesebi/>

<http://www.medgeo.net/2009/08/26/ortography-6/>

<http://www.medgeo.net/2009/08/26/ortography/>

<http://www.medgeo.net/2012/03/20/orto-2/>

<http://file.medgeo.net/failebi/komentarebi.htm>

Rusudan Zekalashvili

Georgian Medical Terminology and some Urgent Problems

Summary

Medical terminology is characterized by diversity of the lexical units and it continues enriching intensively. The main feature is multiplicity of the Latin and Greek terms and their usage as the basis for terms creation in other languages as well. The amount of the original Georgian medical terms is quite few. They mainly involve the vocabulary related with the human anatomy. The majority of the clinical terms (symptoms of diseases, names of syndromes) are of Greek origin, but they are regarded as international terms and because of practical needs, are often translated, thus enriching the terminological fund of the branch lexis.

For a long period of time medical specialists in Georgia used to exploit the terminology which had come to Georgian through Russian terminology, replicated concepts. All these jeopardized improving and implementing Georgian medical terminology. Nevertheless, due to the dedicated attempts of the Georgian scientists (I. Javakhishvili, S. Kaukhchishvili, L. Kotetishvili, M. Shengelia, A. Natishvili, Z. Maisuradze, N. Kipshidze, I. Kutateladze, L. Abashidze, S. Abashidze, A. Abesadze, R.Dgebuadze and others) the Georgian terminological fund is today sufficiently enriched.

Parallel with the advance of Medicine, the branch terminological dictionaries have also been developed, containing great number of the new terms. We should note that more than 50 dictionaries were compiled in the area: explanatory, encyclopedia, translating, terminological and so on. This process is now speeding up but the qualified approach is needed. There are some problems in orthography, terminology and others. It is clear that only a representative of the medical branch, however skilled and educated, cannot resolve all the problems. Collaboration with linguists-terminologists is necessary. It can be easily verified by the orthographic dictionary of the medical terms, showing the basic directions of the development and existing problems (the expended version of such dictionary is already ready but still it could not be published so far).

The electronic reference dictionary of the medical terms orthography can be of certain help. It can be seen on the site www.medgeo.net. This orthographic dictionary is created within the project “**Georgian Electronic Medical Encyclopedia**”, the author *Lali Dateshidze* (On the early stage of work this group had some consultations with the author of the represented

thesis). In this dictionary the rules of orthography are presented in the form of algorithm. Each algorithm is equipped with illustration examples, for which the corresponding link is given. We consider that the decision to process the frequency dictionary, on the texts basis of the “Georgian Electronic Medical Encyclopedia,” was right. The frequency data of the revealed mistakes have made the foundation for the mentioned electronic dictionary.

We think that analyzing the special texts, branch and electronic orthographic dictionaries, portrays some problems in the medical terminology, which should be arranged in the shortest time possible, namely: improving the rules of transferring the Latin and Greek terms into Georgian (e.g. determining the correspondences for separate graphemes and consonant complexes); developing the unified principles for determining Georgian correspondences for the terms borrowed from English; specific considerations for abbreviations; solving some issues of word derivations (e.g. deriving terms with **-ur** suffix from the foreign terms; affixation of the nouns; linking vowels and derivations in the word-composites); overcoming the problems, resulting from non-homogeneous prefixoids and affixoids; developing the rules of transliterations for the names used in eponyms and so on.

Existing medical dictionaries allow us to distinguish the basic terminological forms and special terminological affixes (both foreign and Georgian affixoids, words with **-ad** affixes, participles with **na-** and **sa-** prefixes and others).

თამარ მახარობლიძე

ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში

ყრუები საქართველოში წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას, რომელთა უფლებების დაცვას სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი კანონებით. საქართველოს კანონში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ (მუხლი №5) აღნიშნულია: „სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებათშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის“. საერთოდ, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჟესტურ ენებს გამოიყენებენ ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები. საქართველოში ყოველი სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ყრუთა მომსახურება სურდოთარჯიმნებით. შესაბამისად, საჭიროა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისწავლებოდეს ასეთი სპეციალობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ განათლების კანონში 2010 წელს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც „სენსორული დარღვევის მიმართულებით სპეციალიზებულ სკოლაში, სადაც განათლებას იღებენ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები, გამოიყენება ჟესტების ენა და მისი ანალოგები“. იმისთვის, რომ სწავლება ქართულ ჟესტურ ენაზე რეალურად შესაძლებელი გახდეს, საჭიროა ამ ენის გამოკვლევა და რიგი სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ, ლექსიკონების შექმნა, გრამატიკული კატეგორიების დეტალური ანალიზი, ენის ნორმების დადგენა, მეთოდის შემუშავება, ენის დონეების განსაზღვრა, და ა.შ.

საერთოდ, ყრუთა თემების წევრები კრეატიული ბუნების ხალხია და ხშირად ისინი თავად ქმნიან ჟესტებს. არის ოჯახები, რომელთაც არ იციან იმ ქვეყნის ჟესტური ენა და თავისი ოჯახის ყრუ წევრებთან ურთიერთობენ გამოგონილი ჟესტებით ან, უმეტეს შემთხვევაში, იზოლაციაში არიან კომუნიკაციური პრობლემის გამო. ამდენად, ჟესტური ენის ცოდნა ყრუთათვის აუცილებელია მათივე საზოგადოებაში სრულფასოვანი წევრობისთვის. საერთოდ, ყრუთა თემის წევრებისათვის დამახასიათებელია ბილინგვიზმი – ჟესტური და სამეტყველო ენების ცოდნა. ამრიგად, სათანადო ჟესტური ტერმინებისა და, საერთოდ, ქართული ჟესტური ენის ლექსიკონის შექმნა არის ამ თემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, რადგანაც ყრუთა

და სმენადაქვეითებულ ადამიანთა ყველა პრობლემა კომუნიკაციას უკავშირდება. ამ პრობლემების გადაჭრა კი შესაბამისი ლინგვისტური სამუშაოებითაა შესაძლებელი. ამჟამად მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში წარმატებით მიმდინარეობს ქესტური ენების კვლევები და ძალზე სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ქართული ქესტური ენის მიმართულებით მხოლოდ ორიოდ წიგნი გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული ქესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას. ამ ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. ფაქტობრივად, რუსული ქესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ქესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ქესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ქესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ლექსიკისაგან განსახვავებით, ქესტური ენის გრამატიკული დონეები შედარებით თავისუფალია რუსული ზეგავლენისა და ნასესხობებისაგან. თუმცა მიმდინარე ეტაპზე ლექსიკაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე უკეთ ასახავენ ამ ნაციონალიზაციის პროცესს.

ლექსიკონზე მუშაობისას ყველაზე მეტი ძალისხმევა სჭირდება ტერმინთა საკითხს. ამ ენაზე ტერმინთა უმეტესობა არ არსებობს. ამ კუთხით დგას მრავალი პრობლემა, დაწყებული სასკოლო სახელმძღვანელოების დონეზე საგნობრივი ტერმინოლოგიიდან და დამთავრებული პროფესიული ტერმინებით. აქ ჩასატარებელია სამეცნიერო ტიპოლოგიური კვლევები და დიდი შემოქმედებითი ხასიათის სამუშაო ყრუ წყაროებთან ერთად, რათა შეირჩეს საბოლოო ვერსიები ამა თუ იმ კონკრეტულ ტერმინთან დაკავშირებით.

ქართულ ქესტურ ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონის პროექტი ყრუთა ფართო საზოგადოებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს და წარმოადგენს ტერმინებს. უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამული ვებსაიტი და დესკტოპ აპლიკაცია ქართულ ქესტურ ტერმინთა ლექსიკონისთვის. საიტს ექნება ფორუმი, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება თავისი ვერსიის ვიდეო ფორმატის ან ვერბალური ფორმატის შემოთავაზება. შემოთავაზებული ვერსიები განიხილება ენობრივი აზროვნების თვალსაზრისით და კინეტიკური ნავიგაციის თვალსაზრისით. ყოველი ტერმინის საბოლოო ვერსია თემის უმრავლესობის დასტურით უნდა იყოს მიღებული. ტერმიონთა შემუშავე-

ბის პროექტის სამუშაოები მოიაზრებს:

- ✓ ტიპოლოგიურ სამუშაოებს, რაც გულისხმობს ტერმინთა სხვადასხვა ენაზე (ძირითადად ამერიკული, ბრიტანული, გერმანული და ასევე სხვა ევროპული ჟესტური ენების ბაზები) არსებულ ფორმათა ანალიზსა და შეპირისპირებას და უცხოური გამოცდილების გაზიარებას;
- ✓ ქართული ჟესტური ენის წყაროებთან ლინგვისტურ მუშაობას;
- ✓ ონლაინრეჟიმში ყრუთა ფართო წრეების ჩართულობას კონკრეტული ტერმინის შესახებ მსჯელობაში;
- ✓ ქართველი ენათმეცნიერებისა და საძიებო მიმართულებების სპეციალისტთა ფართო სპექტრის ჩართულობას ჟესტმომოქმედებით პროცესში;
- ✓ სიტყვა-ჟესტის საბოლოო ფორმის ჩამოყალიბებას, მის ვერბალურ აღწერას და საბოლოო რედაქტირებას;
- ✓ სიტყვა-ჟესტის ფოტო, გრაფიკული, ანიმაციური და ვიდეო-ფორმატების შექმნას საიტზე საბოლოო ვერსიის განთავსებას;
- ✓ პროგრამული საიტისა და აპლიკაციის შექმნის ტექნიკურ სამუშაოებს.

ამ ტიპის პროექტის განსახორციელებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური სახის შემდეგი აქტივობები:


- ✓ საიტის დიზაინის შექმნა და აწყობა (HTML, CSS, Photoshop);
- ✓ ბაზის სტრუქტურის შექმნა (MySQL);
- ✓ ადმინ პანელის შექმნა და მისი ოფციები: წაშლა, ჩასწორება, დამატება (PHP);
- ✓ საძიებო სისტემის პროგრამული ნაწილის ნავიგაციის შექმნა და client-საიტზე
- ✓ გამართვა (PHP);
- ✓ ფორუმის შექმნა (PHP, javascript);
- ✓ სტატისტიკის სერვერის ინსტალაცია საიტზე – აღმრიცხველი სკრიპტი (ქაუნთერი);
- ✓ საიტის გატესტვა და გამართვა;
- ✓ დესკტოპაპლიკაციის მომზადება;
- ✓ ოფლაინ ინტერფეისის შექმნა (visual studio, c#);
- ✓ ოფლაინ ნავიგაციის შექმნა (c#);
- ✓ აპლიკაციურ ლექსიკონში სიტყვების დამატება / რედაქტირება;
- ✓ აპლიკაციური საინსტალაციო პაკეტის შექმნა (visual studio).

საწყის ეტაპზე დესკტოპ აპლიკაციის ფორმატით წარმოდგენილი უნდა იყოს სოციალურ-პოლიტიკური, იურიდიული, ეკონომიკური და საკომუნიკაციო სფეროთა ტერმინების მინიმალური ბაზა სიტყვა-ჟესტების შესაბამისი ვიზუალური ფორმატით: გრაფიკული, ანიმაციური და ფოტო-ვიდეო სახით. ტერმინთა ლექსიკონი უნდა იყოს მაღალი მეცნიერული ღირებულების პროდუქტი, რომელიც პრაქტიკულად დაეხმარება საქართველოში მცხოვრებ ყრუ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში. უშუალო ბენეფიციარები იქნებიან საქართველოში მცხოვრები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები და ყველა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მათთან საქმიან კონტაქტში მყოფი სმენიანი ადამიანები. ამდენად, პროექტის პროდუქტის მოსალოდნელი მომხმარებელია:

- ✓ საქართველოს ყრუ და სმენადაქვეითებული მოსახლეობა;
- ✓ ყრუთა ოჯახის წევრები;
- ✓ სურდოპედაგოგები;
- ✓ სურდოთარჯიმნები;
- ✓ სხვადასხვა მიმართულების ქართველი ლინგვისტები;
- ✓ საერთაშორისო საენათმეცნიერო წრეები;
- ✓ უნარშეზღუდულ ადამიანების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები.

ქართული ჟესტური ენის ლექსიკონის ინსტიტუციური მომხმარებლები იქნებიან: საქართველოს ყრუთა კავშირი, ბიბლიოთეკები საქართველოში და საზღვარგარეთ, უნივერსიტეტები საქართველოში და საზღვარგარეთ, ყრუთა სკოლები, სახელმწიფო ტელევიზია, სახელმწიფო დაწესებულებები, უნარშეზღუდული ადამიანების თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს საპატრიარქო.


ტერმინთა ნიმუშებად მოგვყავს რამდენიმე შემუშავებული ფორმა:



ალგებრა

ალგებრა „მათემატიკის დარგი“

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უჯრა“ – ხელისგულები ქვემოთაა მიმართული და ერთმანეთის პარალელურად ხელები გაშლილი თითების მონაცვლებითი რხევით წინ და ქვევით მიემართება. ჟესტის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი „ანგარიში“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა თითის წვერებს ცერი ეხება განმეორებითი მოძრაობით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




აგიტატორი

აგიტატორი „პირი, რომელიც აგიტაციას ეწევა“

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგიტაცია“ – ხელისგულები ქვემოთაა მიმართული, ძ-პოზიცია: გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარ-


ჩენი თითები კრავენ მუშტს (მ დაქტილის ფორმა), ამავე კონფიგურაციით ხელები იწევა განზე, მოძრაობა სრულდება ორჯერ. ჟესტის ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია ქვემოთ, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახვენ ღია წრეს და ხელი ქვემოთ ეშვება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



აბრარული

აგრარული „მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული“


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სოფელი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, პირველ პოზიციაში გაშლილი ხუთი თითით მარჯვენა ხელი ეხება გაშლილ მარცხენა ხელისგულს და ქვემოთ ჩამოცურდება. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ხუთი გაშლილი თითი თანმიმდევრულად მოძრაობს და ხელები განზე იწევა და შორდება ერთმანეთს. ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – ხელისგულები მიმართულია წინ, მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



აბრესორი

აგრესორი „თავდამსხმელი“

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგრესია“ / „დაპყრობა“ – ხელისგულები ქვემოთაა მიმართული, პირველ პოზიციაში ოდნავ ფალანგებში მოხრილი გაშლილი ხუთი თითით მოძრაობა სრულდება რკალურად შიგნიდან გარეთ, მომდევნო ფაზაში არის შეკრული მუშტები. ჟესტის ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია ქვემოთ, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახვენ ღია წრეს და ხელი ქვემოთ ეშვება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.




ალუმინი

ალუმინი „ჭედადი, მსუბუქი ლითონი“

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რკინა“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, პირველ ფაზაში თითები მუშტადაა შეკრული, მხოლოდ საჩვენებელი თითებია გაშლილი, ზემოთ აწეული მარჯვენა

ხელის საჩვენებელი თითი განმეორებითი მოძრაობით ეხება მარცხენა ხელის გაშლილ საჩვენებელ თითს. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრეკადი“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრული ხელები რკალური ტრაექტორიით ეხება სხეულს და განმეორებითი მოძრაობით ზემოთ-ქვემოთ მიემართება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ალეგორია

ალეგორია „აზრის ქარაგმულად გამოხატვა“

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წარმოსახვა“ – პირველ ფაზაში არის სიმეტრიული ჟესტი, გაშლილი ხელისგულები მიმართულია წინ და სრულდება წრიული მოძრაობებით. ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამომდინარე“ – მარჯვენა დომინანტი ხელის ხელისგული ქვემოთაა მიმართული, მუშტად შეკრული თითებითა და გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ქვემოთ მიემართება და მარცხენა ხელის ქვემოდან გამოტარებით ზემოთ ამოდის. მარცხენა პასიური ხელის ხელისგული ქვემოთაა მიმართული ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტის ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია ქვემოთ, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახვენ ღია წრეს და ხელი ქვემოთ ეშვება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

აქვე მოვიყვანთ ამერიკელ ყრუთა საზოგადოებაში გავრცელებულ ძირითად აბრევიატურულ ტერმინებს:

CODA – მოზარდი, ყრუს ბავშვი ან ვისაც ოჯახის ყრუ წევრი ჰყავს;

SEE- Signed Exact English – ზუსტი ჟესტური ინგლისური;

NMM or NMS- Non Manual Markers or Non Manual Signals. გრამატიკის ელემენტები, მორფემები – არამანუალური (მიმიკა, სხეული, თავის ქნევა);

IP Relay – ყრუთა სატელეფონო სერვისი საკომუნიკაციო ასისტენტის (CA) მეშვეობით ინტერნეტით მსმენელებთან დასაკავშირებლად;

TDD – ყრუთა სატელეკომუნიკაციო ფორმატი (და TTY); TRS- სატელეკომუნიკაციო სარელეო სერვისი საკომუნიკაციო ასისტენტის (CA) მეშვეობით;

TTY – ტელეტიპის მანქანა – ყრუთა საკომუნიკაციოდ. სარელეო სერვისი;

VRI – ვიდეო ინტერპრეტაცია, სატელეფონო კონტაქტებისთვის არ გამოიყენება, არამედ ადგილობრივი თარგმანებისთვის;

VRS – ვიდეო სარელეო სერვისი, რომელიც ყრუს აერთებს სმენიან აბონენტთან VRS ცენტრით და არ იკარგება ინფორმაცია.

ზემოთ მოყვანილი ამერიკული ფორმები საერთაშორისო ტერმინებად გამოიყენება ყრუთა საზოგადოებაში.

ქართული ჟესტური ენის ტერმინთა საკითხი დროულ გადაწყვეტას მოითხოვს.

ლიტერატურა

Mark Aronoff, Irit Meir and Wendy Sandler. 2005. The Paradox of Sign Language Morphology. *Journal of Linguistic Society of America*. Language 81 (2), 301-344.

Bahan, Benjamin. 1996. *Non-manual realization of agreement in American Sign Language*. PHD dissertation. Boston University.

Baker-Shenk, Charlotte & Cokely, Dennis. 1991. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture*. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C.

Brentari, Diane. 2010. *Sign Languages*. Cambridge University Press, Cambridge.

Emmorey, Karen & Reilly, Judy. 1995. *Language, Gesture, and Space*. Ed. Lawrence Erlbaum Associates: Hillsdale, NJ.

Kendon, Adam. 1994. "Human Gestures" In: K.R. Gibson and T. Ingold (ed.) *Tools, Language and Cognition in Human Evolution*. Cambridge: Cambridge University Press. pp. 43-63.

Liddell, Scott. 2003. *Grammar Gesture and meaning in American Sign*

Language. Cambridge: Cambridge University Press.

Lillo-Martin, Diane. Two kinds of null arguments in American Sign Language. *Natural Language and Linguistic Theory* 4. 1986. 415-44

Makharoblidze, Tamar. 2012. *kartuli jest'uri ena* [Georgian Sign Language]. Ministry of Education and Science, USIAD, Save Children International. Tbilisi.

Makharoblidze, Tamar. 2007. *bask'uri da kartuli dest'inaciuri sist'emebis t'ip'ologia* [Typology of the Destinative Systems of Basque and Georgian]. A. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi.

Makharoblidze, Tamar. 2012. On the Category of Version in Georgian. *Kadmos. A journal of the humanities*. 4.2012. Ilia State University. Tbilisi. 154-213.

Meier Richard P. 1982. Icons analogues and morphemes: The acquisition of verb agreement in American Sign Language. PHD dissertation. University of California, San Diego.

Meir, Irit; Padden, Carol; Aronoff, Mark; Sandler, Wendy. 2006. Re-Thinking sign language verb classes: The body as subject. *Sign Languages: spinning and unraveling the past, present and future. TISLR9, forty five papers and three posters from the 9th. Theoretical Issues in Sign Language Research Conference*, Florianopolis, Brazil. 531-563.

Padden, Carol. 1983. *Interaction of morphology and syntax in American Sign Language*. PHD dissertation. University of California, San Diego.

Perniss, Pamela. 2007. *Space and Iconicity in German Sign Language (DGS)*. PHD dissertation. MPI Series in Psycholinguistics 45, Radboud University Nijmegen.

Pfau, Ronald, Steinbach, Markus & Woll, Bencie (eds.) 2012. *Sign language. An international handbook (HSK - Handbooks of linguistics and communication science)*. Berlin: Mouton de Gruyter.

Sandler, Wendy & Lillo-Martin, Diane. 2006. *Sign language and linguistic universals*. Cambridge: Cambridge University Press.

Thompson Robin, Emmorey Karen & Kluender Robert. 2006. The relationship between eye gaze and verb agreement in American Sign Language: An eye tracking study. *Natural language and Linguistic theory*. 24. 571-604.

Tuite, Kevin. 2009. [The production of gesture](#). *Semiotica*. Vol. 93, Issue 1-2. Online -1613-3692, ISSN Print 0037-1998, DOI: 10.1515/semi.1993.93.1-2. 83, October 2009. 83-106.

Tamar Makharoblidze

The problem of terms in the Georgian Sign language

Summary

The deaf and hard of hearing people are the linguistic minority in Georgia, whose biggest problem is lack of communication. The state tries to solve their problems with the proper laws. The law "About Social Protection of Disabled Persons" says: "The State recognizes the sign language as the means for inter-person relationship and guarantees to provide the necessary conditions for its usage and development" (Article 15). Usually the sign languages are used by the deaf and hard of hearing people all over the world. The state organizations should provide such citizens by the interpreters from the sign languages. It's also important that some changes were made in educational law: "In the specialized schools of sensor disabilities where the deaf and hard of hearing pupils receive the education the sign language is used and its analogs." (15.12. 2010. N4042; Georgian Education Law, article 4. The language of teaching) In order to overcome the problem of communication for the deaf and hard of hearing people, it is necessary to provide the scientific investigations of Georgian sign language, to learn its grammar providing the detailed analysis for the each grammatical category, creating the dictionaries, finding out the norms for this language, defining the language levels, working on the methodology of teaching Georgian sign language, etc. The most important goal is to have a dictionary of Georgian sign language with the investigated terminology for different fields.

Usually the deaf people are very creative and often they are inventing the signs, and their family members are using these individual signs don't knowing the existed sign language in their country. Such people can't communicate with the other members of the deaf community in Georgia and they stay isolated because of communication problem. That's why it's very important for the deaf and hard of hearing people to know the sign language and to be the full right members of their own community. Usually these people are bilingual using both languages – spoken and sign. Taking into consideration all aforementioned lexical and terminology problems are very important for these people. Many leading Universities are investigating and teaching the sign languages worldwide and it's a very pity that till now we have a very few number of books about the Georgian sign language.

In the Soviet period the sign languages were under the influence of Russian. This Russian influence is easy to find in the old Georgian dactyl alphabet, which was totally based on the Russian one and in the lexical units as

well. From one hand the deaf people could communicate in this “Soviet sign language” and they care to keep this possibility, but from another hand the process of nationalization began everywhere in post Soviet space and the sign languages are reintegrating. Although the grammar of Georgian sign language was free from the Russian elements unlike the lexical level, but this process of reintegration is better reflected on the lexical level of the language.

While working on the dictionary of the Georgian sign language we’ll need to have some special efforts for terminology as this language has a very poor number of the sign units – as terms and in this regard, there are the problems in each field, starting from the school textbooks and including the professional terminology. The scientific typological researches accompanied with some creative works should be performed together with the language sources for the each term in order to select the final versions for any concrete case.

დამანა მელიქიშვილი

მველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის

ტერმინოლოგია სპეციალური დანიშნულების ენაა, რომელიც ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით ხასიათდება. მეცნიერული ენის მთავარ კომპონენტს სპეციალური ტერმინოლოგია წარმოადგენს. ტერმინოლოგიური ლექსიკა სპეციალური სახელწოდებების ისეთი ერთობლიობაა, რომელიც მეცნიერების გარკვეული დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებს ქმნის. ტერმინთა სისტემა მოცემული მეცნიერების, მეცნიერული მიმდინარეობებისა თუ სკოლების მიერ გამომუშავებულ ცნებებს ასახავს. ნებისმიერი მეცნიერული ცნების შემუშავება აუცილებლად გულისხმობს მისთვის ადეკვატური ტერმინის შერჩევას ან შექმნას, რადგანაც, სანამ ცნებას არა აქვს მოპოვებული თავისი საკუთარი დასახელება-ტერმინი, მას აკლია გარკვეულობა. თავის მხრივ, განსაზღვრული ტერმინი მეცნიერული ცნების მომწიფებას უწყობს ხელს და, ამდენად, თვით ამ მეცნიერების განვითარებასაც. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირი მაჩვენებელია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის განვითარების დონისა.

სპეციალური ტერმინოლოგია მეცნიერული ენის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მეცნიერული ენა კი ისტორიული ცნებაა. მისი ლექსიკა თავისი განვითარების მანძილზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ამ ცვლილებებს კი, გარდა იმ პროცესებისა, რომლებსაც საკუთრივ ენის განვითარების შინაგანი კანონები განსაზღვრავენ, ხშირად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებენ, როგორიცაა, მაგ. თვით ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის (// სახელმწიფოს) ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენოვან კონტაქტებისა და, შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, და ბოლოს, თვით სახელმწიფოს ნება (აქტიურობა თუ ინერტულობა, და ზოგჯერ ინდიფერენტიზმიც კი).

ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ

პირველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული, V საუკუნიდან. ფილოსოფიური /თეოლოგიური ტერმინოლოგიის სისტემური დამუშავება წინაპირობა იყო (და დღესაც არის) ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომების შექმნისა თუ თარგმნისათვის, ქართული ფილოსოფიური /თეოლოგიური აზრის განვითარებისა და სრულყოფისათვის. ბერძნულ ცივილიზაციასთან და ბერძნულ მეცნიერულ ენასთან უშუალო კავშირის შედეგად ჩამოყალიბებული ფორმალურად და სემანტიკურად გამართული ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია, სამწუხაროდ, სხვადასხვა (ძირითადად ექსტრალინგვისტური მიზეზების გამო) სათანადოდ არ არის გამოყენებული თანამედროვე ქართული მეცნიერების ენობრივ სისტემებში. თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია სარგებლობს სრულიად სხვადასხვა სისტემათა მონაცემებით, რომლებშიც ერთმანეთშია აღრეული, ერთი მხრივ, ნასესხები, უცხოენოვანი ძირები და აფიქსები, ამას გარდა, ახალი კალკები ევროპული (განსაკუთრებით რუსული და ამ ბოლო დროს ინგლისური) ენებიდან. ამასთანავე, თანამედროვე ქართული მეცნიერული ენა თანდათან სულ უფრო იტვირთება ნასესხები ტერმინებით, ყოველივე ეს კი, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, შედეგია მეცნიერების დარგების განვითარების სწრაფი ტემპებისა, უცხო ენების ძლიერი ექსპანსიისა და აგრეთვე სპეციალისტების სხვადასხვაგვარი პოზიციისა ტერმინთა წარმოების პრინციპებისა და დამუშავების პრობლემისადმი.

ასეთ პირობებში დღეს განსაკუთრებით საჭიროდ გვესახება ძველ ქართველ მოღვაწეთა გამოცდილების გაზიარება, გამოწვლილვით შესწავლა (როგორც ფორმალური, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით), ათვისება და გატარება მათ მიერ შემუშავებული სიტყვათმემოქმედების პრინციპებისა, რაც მოითხოვს ენობრივი მასალისადმი თამამ შემოქმედებითს მიდგომას, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენისა და მათი ახლებურად გამოყენების გზით ენის სასიცოცხლო ძალების გააქტიურებას. ამ მხრივ უმდიდრეს საუნჯეს წარმოადგენს წინარეათონური, ათონის წმინდა მამების, შავი მთისა და იყალთო-გელათის სკოლის ნამოღვაწარი.

ძველ მოღვაწეთა ტერმინშემოქმედებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ

1. მათი პრინციპების მიხედვით ტერმინი უნდა შექმნილიყო ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით: ტრანსლიტერაცია და სესხება იშვიათი გამონაკლისი იყო;

2. ტერმინს ზუსტად უნდა აესაზა შესაბამისი ცნების შინაარსი, უნდა ყოფილიყო გამჭირვალე, მოტივირებული;

3. ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან როგორც სტრუქტურული, ისე სემანტიკური სისტემურობით;

4. ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა არსებულიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო;

5. ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი.

ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და დღესაც შეუძლებელია, რამდენადაც მეცნიერული ენა ისევე, როგორც საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ არის სტატიკური და განვითარების კანონებს ემორჩილება, მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის კვლოვნებისა და ღრამმატიკოსობის“ დაუფლებას, ენის „აობისა (არსის) და ქცევის (ფორმაცვალების)“ შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისა და დაშლის“ (სინტაქსის) ოსტატობაში გაწაფვას, სიტყვის არსში წვდომას და ამ გზით ტერმინის „ეტიმოლოგიის“ („მზამეტყველების“) ანუ მოტივაციის დადგენას (იოანე პეტრიწი).

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება გაცნობიერებული პროცესია. ყოველი მეცნიერება, მათ შორის, ფილოსოფიური, მიისწრაფვის გამოიმუშაოს თავისი საკუთარი, სპეციალური ენა, სადაც ინფორმაციის სემანტიკური განსაზღვრულობა უნდა ეყრდნობოდეს ენობრივი ნიშნისა და აღსანიშნი ცნების ცალსახა მიმართებას. იოანე პეტრიწის „მდაბრიონთაგან მესხუე“ ენა პირველ რიგში, გულისხმობდა სწორედ ყოფითი, სალაპარაკო ენისაგან განსხვავებული ფილოსოფიური ლექსიკის შექმნას იმავე, საერთო-სახალხო ენის მასალაზე დაყრდნობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიურ ენაში მოქმედი ტერმინი მარკირებული უნდა ყოფილიყო: მას უნდა ჰქონოდა საკუთარი მოდელი, იდეალურ შემთხვევაში იგი თავისი ფორმით განსხვავებული უნდა ყოფილიყო ყოფითს ენაში უზუალური მნიშვნელობით ხმარებული შესაბამისი ლექსემისაგან. ტერმინს უნდა ჰქონოდა თავისი საკუთარი სტრუქტურა-აგებულება, რომელიც გარკვეულ ფორმალურ-სემანტიკურ სისტემაში ცალსახა მიმართებაში იქნებოდა ამ სისტემის სხვა ელემენტებთან. ამგვარად, პეტრიწი იდეალურ შემთხვევაში მოითხოვდა ყოფითი და მეცნიერული ლექსიკის ლინგვისტურ დიფერენცირებას (თუმცა ამის განხორციელებას, როგორც მოსალოდნელია, ყოველთვის ვერ ახერხებდა). ამასთან, დაცული უნდა ყოფილიყო ერთი აუცილებელი პირობა, რაც ძირითადი პრინციპია იოანე პეტრიწის

სიტყვათშემოქმედებისა: ქართული ფილოსოფიური ტერმინი უნდა შექმნილიყო საკუთარი, ქართული ძირეული მასალისაგან, ქართული დერივაციული აფიქსების გამოყენებით (თუ სესხება ხანდახან მაინც გარდაუვალი ხდებოდა, სრულიად გამორიცხული იყო უცხო – ბერძნულ აფიქსთა კომბინაცია ქართულ ძირთან). ეს კი დიდ შემოქმედებითს სითამამეს მოითხოვდა: ფართო გასაქანი უნდა მიეცათ თავისთავად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებებისათვის, მაქსიმალურად გამოემზებურებინათ და გამოეყენებინათ მისი შესაძლებლობანი, გაეცოცხლებინათ არქაული, მივიწყებული და გაქვავებული ფორმები და მოდელები, ამასთანავე ერთად, გზა გაეხსნათ ცოცხალ, სალაპარაკო ენაში არსებული პერსპექტიული ფორმებისათვის. სწორედ აქედან მოდის პეტრიწისა და გელათის სკოლის სხვა მოღვაწეთა მიერ უზუალური აფიქსების გვერდით ანომალიურის, არქაული ან დიალექტური აფიქსების გააქტივება და მათი დისტრიბუციული შესაძლებლობების გაზრდა. საერთოდ, ცნობილია, რომ აფიქსების ფუძეებთან დისტრიბუციის გარკვეული თავისუფლება დამახასიათებელია ტერმინოლოგიური წარმოებისათვის, სადაც ასეთი შეზღუდვები მოხსნილია. ამიტომაც, რომ გელათის სკოლის ნაწერებისათვის დამახასიათებელია მოზღვავებულ ნოვაციებთან ერთად არქაული ფორმებისა და მაწარმოებლების მოძალეზაც.

ყველაზე დიდ ასპარეზს ამ თვალსაზრისით იძლეოდა მიმდებარე ფორმათა წარმოების დიდი მრავალფეროვნება ქართულში. დიალექტურ საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული პარალელური წარმოების მოდელები ახალწარმოებისათვის მეტად ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა და ფილოსოფიურ ცნებათა ლინგვისტური დიფერენცირებისათვის ხელსაყრელი საშუალება იყო. მიმდებარე ფორმათა პარალელური, სინონიმური წარმოებიდან ნამყო დროის ნაპრეფიქსიანი მიმდებარეები განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ სუბსტანტივაციისადმი (შდრ. დაგვილი, გაცრილი, გაკვეთილი, დაჭრილი, დაშთენილი, დამჭნარი... მაგრამ: ნაგავი, ნაცარი, ნაკვეთი, ნაშთი, ნაჭერი...). ხოლო ტერმინთა ფუნქციური დატვირთულობა, როგორც ცნობილია, ძირითადად არსებით სახელზე მოდის. ამიტომ ნაპრეფიქსიანი მიმდებარე ფორმათა ტერმინოლოგიზაცია ადვილად და სწრაფად ხდება. სპეციალურ ტერმინთა საწარმოებლად ეს ხერხი ფართოდ აქვს გამოყენებული და დანერგილი იოანე პეტრიწს: ნაკუეთი (ფიგურა, სქემა), ნათხზი, ნაქუსი (მწკრივი, რიგი, სერია)...

ცნებათა დიფერენცირებისათვის ამ საშუალების გამოყენების

ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს გელათური ბიბლიის ხელნაწერებში ერთმანეთის პარალელურად ნახმარი პრეფიქსიანი და სუფიქსიანი წარმოების მიმღეობის სინონიმური ფორმები მორდომილი და ნარდომი (მო-ვრდ-ომ-ა ზმნისაგან): მოგეცინ შენ ბარკალი შენი მორდომილად (რიცხ. 5, 21). აქვეა ნახმარი ჩვენთვის საინტერესო ნა-პრეფიქსიანი ფორმა იმავე ვრდომა ზმნისაგან: ნარდომისა ცხორებისა სასწაულ არს ფეკელი ქრთილისაჲ, რომლისათჳსცა ნარდომისა ცხორებისათჳს შესმენილი დედაკაცი ამას შესწირვიდა (1108, 103). აქედან პირველი ფორმა – მორდომილი ჩვეულებრივი, ყოფითი მნიშვნელობითაა ნახმარი („მოვარდნილი“), მას ჩვეულებრივი მიმღეობის მნიშვნელობა აქვს. მეორე ფორმაში (ნარდომი) კი ეს გაგება წაშლილია. ამ ფორმას სპეციალური აზრი აქვს მიღებული: ნარდომი ნიშნავს „ჰუმბარიტი, კანონიერი გზიდან გადავარდნილს, გადაცდენილს“. აქედან მომდინარეობს მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობაც: „ყალბი, პლაგიატი, ფალსიფიცირებული“. სწორედ ამ სპეციალური მნიშვნელობითაა იგი ნახმარი ამონიოს ერმიასის თხზულების თარგმანშიც: ვთქუა თუ ნარდომ-ყოფაჲ წიგნისა ამის, იგიცა თანვანარდომნეთ ამისსა, ანუ უკუეთუ იგინი საკუთრებ, ესეცა, ცხად არს, ვითარმედ, მათთანა (ამონ. 106,36). ამ კონტაქსტში, როგორც ვხედავთ, ნარდომი დაპირისპირებულია საკუთართან, მისი ანტონიმია. მთელს კონტექსტში კი ლაპარაკია არისტოტელეს ავტორობის საკითხზე. კერძოდ, ნატაცი ანუ საკუთარი არს წიგნი ფილოსოფოსისაჲ (101, 28). მოყვანილ კონტექსტებში ერთმანეთის სინონიმებად ჩანს ნატაცი და ნარდომი, რომელთაც ბერძნულ დედანში შეესატყვისება *νόμιος* ლექსემა, რაც ნიშნავს „არასწორს, ცრუს, უკანონოს, ყალბს“ – ჩვენს შემთხვევაში – „მიტაცებულს მითვისებულს, პლაგიატს“ (შდრ. ლათ. *plagi* „ვიტაცებ“). ნარდომი რომ ტერმინოლოგიური „ყალბი“-ს მნიშვნელობით დამკვიდრებულია გელათური, კერძოდ – არსენ იყალთოელის წრის ძეგლებში, ეს მის მიერ შედგენილი „დიდი სჯულის კანონის“ ერთ-ერთი სტატიიდანაც ჩანს (კერძოდ, ამფილოქე ეპისკოპოსის იამბიკოში): ვითარ მტყუარნი და ნარდომნი დრაჰკანნი 522,11 (როგორც ვხედავთ, მასთან სინონიმურ წყვილშია ნახმარი „მტყუარი“). ამგვარად, ნათელი ხდება, რომ მიმღეობათა წარმოების ქართულში არსებული ორი სხვადასხვა ტიპი გამოყენებულია ცნებათა დიფერენცირებისათვის: ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმები ტერმინ-სუბსტანტივთა მნიშვნელობითაა გამოყენებული, საკუთრივ მიმღეობის ჩვეულებრივი, ყოფითი მნიშვნელობით კი -ილ სუფიქსიანი მიმღეობა გამოიყენება.

მეცნიერული ენა გარკვეული აზრით, კონსტრუირებული ენაა. თავდაპირველად ნებისმიერი ფილოსოფოსის მიერ შექმნილი ტერმინები, შესაძლებელია, ხელოვნურად გამოიყურებოდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ეთვისებიან ენის ქსოვილს, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები ამ მეცნიერების მემკვიდრეობის ასათვისებლად.

დღეს ქართული სიტყვის, ქართული ენის ბედი ეროვნულ სკოლას და უმაღლეს სასწავლებლებს, პირველ რიგში ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ ენათმეცნიერულ სკოლას ახარია. ამ უკანასკნელთა ბედი კი სახელმწიფოსა და მისი მესვეურების ხელშია. არაერთხელ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ: ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და, საზოგადოდ, სახელმწიფოს მდგომარეობა პირდაპირ აისახება ენაზე და განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ენის მდგომარეობას – და პირიქით, ენის მდგომარეობა სახელმწიფოს მდგომარეობის, მისი პოლიტიკური ნების მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, კონტაქტებისა და გავლენების გარეშე, თავის თავში ჩაკეტივით მეცნიერული ენა ვერ განვითარდება. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ბერძნული ენა ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს უშუალოდ თუ შუალობითი გზით ევროპული ენების სპეციალურ ლექსიკას. ადრე მისგან იყო დავალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერების განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ამ დროს ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე მისაბამ მაგალითად სწორედ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსთა არაერთი თაობის მიერ დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენას თვლიდნენ. ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ ახალ ცნებათა შესაბამისი ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული გზა ბერძნულ ტერმინთა კალკირება იყო – გზა, რომელსაც დაადგა ლათინურენოვანი მეცნიერული სამყარო და აქედან – მთელი თანამედროვე ევროპა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან, თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტებით და შესაბამისად – გავლენებით

თაც: მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქვეყნის დაქსაქსულობამ, სახელმწიფოებრივი მმართველობის კრიზისმა და არასტაბილურობამ თავისი მძიმე კვალი დაუტოვა ქართულ ენას, კერძოდ, მის ლექსიკურ ფონდს, რომელშიც ქართული სიტყვის ადგილი დაიჭირა სპარსულ-თურქულმა ლექსიკურმა ნასესხობებმა. ძველ ქართველ მოღვაწეთა შეგნებული და პრინციპული დამოკიდებულება – მხოლოდ ქართულ ძირებზე დაყრდნობით შეექმნათ სპეციალური ტერმინოლოგია, შეიცვალა სრული ინდიფერენტიზმითა და უკონტროლობით: ამ დროიდან მოყოლებული, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში – სამართლის ძეგლებში, სიგელ-გურჯებში, სამკურნალო წიგნებში – დიდი მოძალბება აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სპეციალური ტერმინებისა, რომელთაგან უმრავლესობა დამკვიდრებულია თანამედროვე ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. ამ პერიოდში არ ჩანს არავითარი ძალისხმევა ქართული შესატყვისი ტერმინების მოძიებისა თუ შექმნისა, როგორც ამას ვხედავთ წინა, კლასიკური პერიოდის (XIII საუკუნის ჩათვლით) ლიტერატურულ-მთარგმნელობით სკოლებში. სალიტერატურო ენა, თუ შეიძლება ითქვას, მდინარეებსაა მიცემული, მიშვებულია თავის ნებაზე, ემორჩილება ცოცხალ მეტყველებას, რადგანაც აღარ არსებობს გეზის მიმცემი და ენის „კანონის დამდები“ სალიტერატურო სკოლები, მკაცრი დამცველი სალიტერატურო ენის ნორმებისა და მთარგმნელობითი პრინციპებისა. ამიტომაცაა, რომ გარდამავალი პერიოდის (ე. წ. საშუალო ქართულის) ტექსტების ენისათვის დამახასიათებელია ფორმათა დიდი სიჭრელე და ენობრივი მასალისადმი განურჩევლობა, რაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინებისა და არასტაბილური მდგომარეობის შედეგია და სრულიად განსხვავდება XI-XII საუკუნეთა ძლიერი საქართველოს მთარგმნელ-ავტორთა ღრმად გაცნობიერებული დამოკიდებულებისაგან ქართული მეცნიერული ენისადმი.

მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ კულტურული თუ პოლიტიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ყოველ ეპოქას ახასიათებს. ჩვენს ერს მრავალგზის მოუხდა ამ პროცესების გავლა და გადალახვა: ელინიზაციის ეპოქაში, როდესაც ფარნავაზ მეფემ შემოიღო „მწიგნობრობა ქართული“ და მას შემდეგ „ქართლსა შინა არა იზრახებოდა ენა, თვინიერ ქართულისა“; არაბობისა და ბიზანტიურ ხანაში, როდესაც შეიქმნა ქართული ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ქართულ ენაზე ამე-

ტყველდა სრულიად ახალი მსოფლმხედველობა; ქართული სახელმწიფოს ძლიერების პიკში, წმ. მეფეთა – დავით აღმაშენებელისა და დამარის ბრწყინვალე ეპოქაში, როდესაც ქართული ენა მეტოქეობდა „ელინთა ენაშვიობასთან“; აღმოსავლური (თურქულ-სპარსული) გლობალიზაციის პროცესსაც როგორღაც გაუძლო და თავი დააღწია ქართულმა ენამ; ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა წყალობით რუსიფიკაციის ძლიერ შემოტევისა და დაღწია თავი, დაბოლოს, კომუნისტური გლობალიზაციის ეპოქაში, სულ ორმოციოდე წლის წინ იყო 14 აპრილი – ქართული ენის გამარჯვების დღე, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ სამოცდაათწლიანმა მარწუხებმა ვერ შეძლეს სამიათასწლიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩახშობა, რომ ეს არც ისე ადვილი ყოფილა.

იმედია, რომ დღესაც, ამ „კომპიუტერულ ეპოქაში“, როდესაც ქართული ენის წინაშე სრულიად ახალი ურთულესი ამოცანები დადგა საინფორმაციო სივრცეში სრულფასოვანი ჩართვისა, იგი ამ ახალი გლობალიზაციის უძლიერეს შემოტევისა გაუძლებს, მიიღებს თავისთვის სასარგებლოს, გამამდიდრებელს და „ჯერკუალს განადგულებს“, მაგრამ ამისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, მან ხელი უნდა შეუწყოს სკოლას, მეცნიერებას, მწერლობას და მთელს ერს, რომლის კონსოლიდირებულ პოზიციას საქართველოს ისტორიის უმძიმეს ეტაპებზე გადამწყვეტი როლი შეუსრულებია.

ლიტერატურა

ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ და მაია რაფავამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მაია რაფავამ, თბილისი, 1983.

დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, მეცნიერება, თბილისი, 1975.

Damana Melikishvili

**The meaning of the experiences of the old Georgian
Literacy schools for the development of the
Georgian special terminology**

Summary

Georgian scientific terminology was coined during the centuries. We can observe the process of term development since the first written monuments (the 5th century).

Nowadays, the doom of the Georgian word and Georgian language is in the hands of the high schools: First of all, I have into the consideration the Georgian University and the Georgian Linguistic school. Both of them are managed by the politicians and statesmen. The history shows us that the state politics is immediately reverberated on the language and defines its state. Accordingly, the state of the language is the mirror of the State itself and its political will.

According to the global history, cultural or political process of globalization and intergration is characteristic to all the epochs. Our nation has many times survived from the similar processes. Nowadays – in the „computational epoch“ the Georgian language has to resolve the most complicated tasks in order to integrate in the informational space. I hope, it will survive from the offensives of the globalization and will get only the useful, enriched lexics and will ignore the harmful ones.

Although, the only one, who can manage the language politics is the government body: The corresponding authorities should help the Georgian school, Georgian science, Georgian writers... All of them and their consolidated positions were always significant determinant in the heaviest moments of the history of Georgia.

ნათელა მუზაშვილი, ინგა ჯიბუტი

მრავალდარგოვანი ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქციისათვის

დღეს, როცა ცნებათა და ტერმინთა მოზღვაებაა, ნორმირებული და უნიფიცირებული ლექსიკონების შედგენა და მომხმარებლისთვის მიწოდება უმნიშვნელოვანესი საქმეა. ტერმინთა შექმნისა და დამკვიდრების სირთულე ყველა დარგის ტერმინოლოგიას ახასიათებს. ხშირად ტერმინები რომელიმე ენის მცოდნის მიერ ითარგმნება სპეციალისტებთან შეუთანხმებლად და ეს მეტად ჭრელ სურათს იძლევა, რადგან არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ლექსიკონში ერთსა და იმავე ცნებას განსხვავებული ტერმინი შეესატყვისება. ეს სიჭრელე განსაკუთრებით იგრძნობა ინგლისური ენიდან შემოსულ ტერმინებში. ამ შემთხვევაში მეტად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია ვუკოლ ბერიძის სიტყვები: „ერთიანი ტერმინოლოგიის უქონლობა არც ერთ სხვა დარგში არ იწვევს ისეთ მძიმე შედეგს, როგორსაც ტექნიკურ სინამდვილეში. ჭრელი ტერმინოლოგია აქ ყველაზე უფრო აუტანელია“ (ვ. ბერიძე, 1935: 3-5).

ასეთი „ჭრელი ტერმინოლოგიის“ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ამ ბოლო დროს გამოცემული ლექსიკონები, რომლებშიც ტერმინთა არაერთგვაროვნება არასასურველ სურათს იძლევა. მაგ. ინგლისური „barrier layer“ ერთგან „ბარიერულ შრეს“ ნიშნავს, სხვაგან იგი თარგმნილია, როგორც „თარჯშრე“ ან „ზღუდური შრე“; gradient რუსული перепад ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ნიშნავს „ვარდნილს“ და „სხვაობას“, სხვა ლექსიკონში იგი „შხივია“, არ შეესაბამება „перепад“-ს, რადგანაც „შხივი“ ქეგლის მიხედვით, რაც შხუის ისაა ან იგივეა, რაც შიშხინებს. ინგლ. replenishment - ერთგან დამატებითი კვებაა, მეორეგან – „მიკვება“ ან „ვსებკვება“; ასეთივეა подкачка, რომელსაც ერთგან „მიტუმბვის“ სახით ვხვდებით, მეორეგან „დამატებით ტუმბვას“ ნიშნავს; იმავდროულად ხშირია ენობრივი ნორმების დარღვევის ნიმუშებიც: ნახევრად კოჰერენტული || ნახევრადკოჰერენტული, მჟავით მოწამვლა || მჟავათი მოწამვლა; ტანგენციური || ტანგენციალური || ტანგენსური; პნევმატიკური || პნევმატური; ტოქსიური || ტოქსიკური და სხვ.

ტექნიკურ დისციპლინათა სირთულე და მრავალფეროვნება სათანადო ტერმინოლოგიის დამუშავების სიძნელეს განაპირობებს. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ზოგადი ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა. ამ მიზნით გამოიცა 1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო 1920 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის სიტყვარი, 1935 წ. გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგია და 1957 წლის ამავე სახელწოდების გამოცემა.

1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც 60 000-მდე ტერმინს მოიცავდა, ახალი ეტაპი იყო ტექნიკური სამეცნიერო ენის სრულყოფის თვალსაზრისით. ეს ნაშრომი დარგის სპეციალისტთა და ენათმეცნიერთა 10-წლიანი დაუღალავი შრომის შედეგი იყო. იგი მომზადდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში. ეს ლექსიკონი დღესაც მეტად აქტუალურია და სამაგიდო წიგნად მიაჩნიათ არა მარტო ტექნიკოსებს, არამედ ფართო მომხმარებლებსაც.

60-იან წლებში ტექნიკის განვითარების ახალმა ეტაპმა და ახალ ტექნიკურ დისციპლინათა განვითარებამ დღის წესრიგში დასვა ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის გაგრძელება და ახალი ლექსიკონის გამოცემის საკითხი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინა ახალი გამოცემის მომზადება და დაამტკიცა ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო კოლეგია: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. აბელიშვილი, აკადემიკოსი რ. აგლაძე, მეცნიერების კანდიდატები: ქ. ავალიშვილი, კ. გიგინეიშვილი, ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი თ. გონიაშვილი, პროფესორი ა. გულისაშვილი, აკადემიკოსი რ. დვალი, ტექნიკის მეცნ. კანდ. ა. ელიაშვილი, პროფესორი ვ. კაკაბაძე, პროფესორი დ. კვესელავა, აკადემიკოსი ვ. მახალდიანი, ტექნიკის მეცნ. კანდიდატი გ. მიქელაძე, ტექნიკის მეცნ. კანდ. ე. ნადირაძე, პროფესორი რ. ნიკოლაძე, აკადემიკოსი ო. ონიაშვილი, ფილ. მეცნ. კანდ. რ. ღამბაშიძე, აკადემიკოსი ა. მიძიგური, აკადემიკოსი გ. ჭოლოშვილი, ინჟინერი დ. ხმიადაშვილი. რედაქტორები იყვნენ: რაფიელ დვალი და როგნედა ღამბაშიძე.

წიგნის რედაქტორებმა 30-ზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებას მიმართეს, რათა მათ წარმოედგინათ დამატებითი მასალა და შენიშვნები, რომლებიც მათ ჰქონდათ ადრეულ გამოცემებთან დაკავშირებით. მასალა თავს იყრიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში, სადაც განყოფილების თანამშრომლების მიერ სარედაქციო კოლეგიის სხდომებზე განხილული მასალა შეუდარდებოდა ადრე გამოცემულ ლექსიკონებს. მოძველებუ-

ლი ტერმინები იცხრილებოდა, ზუსტი შესატყვისები დგინდებოდა. მოწვეული დარგის სპეციალისტებთან ერთად სხდომებს ესწრებოდნენ: მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე ი. გიგინეიშვილი, ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე მ. ჭაბაშვილი და თარგმნითი ლექსიკონის განყოფილების გამგე ალ. კობახიძე. შენიშვნებს აწვდიდნენ: აკადემიკოსი ფ. თავაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. გომელაური, აკადემიკოსი ა. ძიძიგური და სხვ.

მოძველებულ და ამოსაღებ ტერმინებს, მაგ.: „ყვითელი რკინაციანიდის მარილი“, „სიჩქარის ავტომატიზაცია“; „ჰაერნაოსნობა, ჰაერნაოსნური, ჰაერნაოსნობისა“; „გაფანტული მერქანი“, „დაკალიბრებული ჟიკლიორი“, „სანაცრე ნამწვი“ და სხვ., ზემოდან ყველას მიწერილი აქვს „მოძველებული და ამოსაღებია“.

ამავე დროს დაემატა ბევრი ახალი ტერმინი და, ამასთან ერთად, ზოგს დამატებითი მნიშვნელობაც დაერთო. изделие-ს ჰქონდა მიწერილი „ნაკეთი“ და „ნაკეთობა“, დაემატა „ნაწარმი“. ზოგიერთ გამოთქმაში „ნაკეთი“ შესწორდა „ნაკეთობით“, ხოლო სხვა დარგებში ყველგან დარჩა „ნაკეთობა“ ან „ნაწარმი“. ასევე სიახლეა излом-ის ბუდეშიც: „ტეხილს“ დამატებითი მნიშვნელობად მიეწერა – „რღვევის რელიეფი“, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში, სხვაგან იმავე излом-ს შესატყვისად „ტეხს“ აქვს, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომა უნდა იყოს. ასევე დაემატა მასალას ეკონომიკური ტერმინი соизмерение – „თანაზომოვნა“. линия силовая, ფიზიკოსების რჩევით, შესწორდა „ძალწირად“. вспышка 1977 წლის გამოცემაში იყო „აფეთქება“, ეს ტერმინი დარჩა, ხოლო вспышка-ს მიეწერა: „უეცარი ანთება“ взрыв-თან. „დაზვერვა“ და „სადაზვერვო სამუშაოები“ ყველგან გასწორდა „ძიებითა“ და „საძიებო სამუშაოებით“ разведка-ისა და разведочный შესატყვისად. რაც შეეხება „საწვავს“ და „სათბობს“, აქაც გავმიჯნეთ ეს ორი ცნება. იქ, სადაც საწვავი სათბობიცაა, ვთქვათ „გაზი“, ყველგან მიეწერა топливо და горючее-ც, ხოლო „ბენზინი“ ყველგან горючее-დ დარჩა, როგორც საწვავი.

რაც შეეხება ინტერნაციონალურ ტერმინებს, ახალ გამოცემაში შეძლებისდაგვარად სინონიმური მნიშვნელობის ქართული ტერმინები მიეწერება, მაგ.: „დეკადერი“, „ათწახნაგა“ (მათ.); „პიკერი“, „ტაროსატეხი“; „კოვარიანტული“, „თანავარიანტული“; „კოაქსიალური“, „თანალერძული“; „კომუტაციური“, „გადანაცვლებითი“; „პიგმენტაცია, შეფერილობა“; „ინვერსია, შებრუნება, შექცევა“; „ინდექსი“, „მაჩვენებელი“ და სხვ.

1957 წლის ტერმინოლოგიაში რუსული ნაწილის არსებით სახელებს სქესის დაბოლოებები ერთვოდა, 1977 წლის გამოცემაში სარედაქციო კოლეგიამ უარი თქვა არსებითი სახელების სქესის დაბოლოების დართვაზე, რაც იმდროინდელ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში უკვე უარყოფილი იყო.

1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა მუშაობა განყოფილებაში. ჩვენი ლექსიკონის სამუშაო ცალის თითქმის ყოველ გვერდზეა მიწერილი შენიშვნები ამა თუ იმ ტერმინთან დაკავშირებით. ცვლილებებს განაპირობებდა შესაბამისი დარგის სპეციალისტების მოწოდებული შენიშვნები, რომლებიც განიხილებოდა ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ ერთობლივ სხდომებზე.

1990 წლიდან განყოფილებაში არსებულ ფონდზე მუშაობა ინტენსიურად განახლდა. ქ-ნ როგნედა ღამბაშიძის გარდაცვალების შემდეგ ჩვენს მუშაობას ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე ინგა ჯიბუტი და აკად. არჩილ ძიძიგური, რომელმაც შეადგინა სამუშაო ჯგუფი დარგის სპეციალისტებისგან: ქიმიაში – აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი, ფიზიკაში – აკადემიკოსი გიორგი ხარაძე, სამთო გეოლოგიაში-თავად ბატონი არჩილ ძიძიგური, რკინიგზის ტრანსპორტში – ბატონი მიხეილ გურგენიძე, სამშენებლო საქმეში – ბატონი გაბრიელ ნინუა, მართვის სისტემებში – აკად. მინდია სალუქვაძე, გამოთვლით ტექნიკაში – პროფესორი კოტე კამკამიძე და სხვ.

თითქმის ათი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა მუშაობა. კვირაში ერთხელ იმართებოდა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე შუქია აფრიდონიძე და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების გამგე ბატონი ალ. კობახიძე. ზოგი ტერმინი ენობრივი ნორმების მიხედვით გაიმართა. შეიქმნა ძალიან დიდი ფონდი, რომელიც დღეს სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაშია, თუმცა მას, ბუნებრივია, დაემატება უკანასკნელ ათწლეულში გაჩენილი ახალი ცნებების ამსახველი ტერმინები. განყოფილება ამ მიმართულებით სპეციალისტებთან ერთად მუშაობს.

ტერმინთშემოქმედება რთული პროცესია. იგი უნდა ემყარებოდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ტერმინის უმთავრესი მახასიათებელი გამჭვირვალობა და სიმოკლეა. უახლესი ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი მასალაც ტრადიციულად ცნებისა და ტერმინის ზუსტ შესატყვისებს დაემყარება, რაც დაფუძნებული იქნება ლინგვისტურ კვლევებზე. აღსანიშნავია, რომ განყოფილების თანამშრომ-

ლებს არაერთი სტატია აქვთ გამოქვეყნებული ტერმინოლოგიური საკითხების შესახებ: 1. შესწავლილია შემაერთებელხმოვნთან კომპოზიტთა ქართულად გაფორმება: **რეზინტექნიკური** თუ **რეზინოტექნიკური**; **ამინმევა** თუ **ამინომევა**, **რობოტექნიკა** თუ **რობოტოტექნიკა**. 2. ასევე შესწავლილია უცხო წარმომავლობის ზედსართავთა ქართულად გაფორმების საკითხი. **პნევმატური** თუ **პნევმატიკური**, **სინთეტური** თუ **სინთეტიკური**. 3. დადგენილია უცხო წარმომავლობის მიმღობათა გაფორმების საკითხები: **მასინქრონიზებული** თუ **მასინქრონიზირებული**, **სპეციალიზებული** თუ **სპეციალიზირებული**.

განალიზდა კომპრესიული სიტყვაწარმოების, ანუ ტერმინთა სიმოკლისაკენ სწრაფვის ინტენსიურობა: **ინტერნეტ-ანგარიში** || **ინტერნეტანგარიში** || **ინტერნეტ ანგარიში** და სხვ.

ლექსიკონი გააერთიანებს 100 000-მდე ზოგად ტექნიკურ ტერმინს თუ ტერმინოლოგიურ გამოთქმას. უახლესი ტერმინების მოძიებას დარგების მიხედვით აადვილებს ის, რომ ბოლო წლებში განყოფილებაში რამდენიმე დარგის ტერმინოლოგია სპეციალისტებთან ერთად დამუშავდა, რომლებიც უკვე გამოცემულია. ესენია: ქიმიის, მეტალურგიის, ენერგეტიკის, წყლის რესურსების, საავიაციო, ნავთობისა და გეზის, პოლიგრაფიის ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

შეიქმნება 18 დარგის უნიფიცირებული ზოგადი ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც სახელმძღვანელო იქნება დარგობრივი ტექნიკური ტერმინების დამუშავებისას. წინა ტექნიკური ტერმინოლოგიებისაგან განსხვავებით ლექსიკონი სამენოვანი იქნება: ქართულ-რუსულ-ინგლისური.

Natela Muzashvili, Inga Jibuti

New Edition of Multi-field Technical, Terminological Dictionary

Summary

1. Nowadays it is difficult to coin and establish technical terms of any fields. The aim of this new edition is to solve such problems.
2. Unified, general technical terminology of eighteen fields was collected and it will be a guide for working on sectoral dictionaries.

3. Joint work of field specialists and linguists will be restarted to avoid terminological gaudiness.
4. Aidless terms will be determined together with technical field specialists and also a number of new concepts will be discussed and accordant terms will be found at the meetings.
5. The work will be based on linguistic researches.
6. The fact, that the dictionary will be trilingual with the electronic version on the internet consisting of 80 000 general terms and terminological expressions, will be innovation.

სალომე ომიაძე

ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის

კომუნიკაციური პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ორი ტიპის ცოდნის დაპირისპირება – სიღრმისეულისა და ზედაპირულის, რომელსაც სხვაგვარად მაორიენტირებელი ცოდნაც შეიძლება ეწოდოს. ამ უკანასკნელის არე გაცილებით ფართოა, ვიდრე სიღრმისეულისა. მათ შორის არსებითი სხვაობა ისაა, რომ სიღრმისეული ცოდნა სტაბილურია, იგი რწმენაში გადაიზრდება და პიროვნების საფუძველი ხდება, ზედაპირული ცოდნა კი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივ ცვლილებას განიცდის. შეგვიძლია ავხსნათ და აღვწეროთ მხოლოდ ის, რაც კარგად ვიცით, მაგრამ თემატურად, ზოგადად, მიახლოებით ვახასიათებთ იმას, რაც ნაკლებად ვიცით. ენაში არსებული წყვილი „ცოდნა–ცნობა“ კარგად გვიჩვენებს ამ სხვაობას. სწორედ სხვადასხვა ცოდნის არსებობის დასტურია შემდეგი ერთეულებიც – **ვხედები, მესმის, ვიგებ, ჩახედული ვარ**, რომელთა მიერ გამოხატული შინაარსის მოცულობა ნაკლებია, ვიდრე **„ვიცი“** ფორმაშია ნაგულისხმევი.

თანამედროვე დისკურსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ენის მომხმარებელთა დიდ ნაწილს ლექსემა „ტერმინის“ შესახებ მხოლოდ მიახლოებითი წარმოდგენა აქვს. სიტყვა „ტერმინის“ მონაწილეობით შექმნილმა უმართებულო კონტექსტთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული მაორიენტირებელი ცოდნა სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულია. ტიპობრივი უზუსტობები დავაჯგუფეთ იმის მიხედვით, სიღრმისეული ცოდნის რომელი ფრაგმენტია საორიენტაციოდ გამოყენებული და რისი გაუთვალისწინებლობა ხდება შეცდომის წყარო.

ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ჯგუფი, რომელმაც გააერთიანა „ტერმინით“ „ცნების“ ჩამნაცვლებელი კონტექსტები, აქაც და ყველგან მაგალითებს ბეჭდური და ელექტრონული მედიაგამოცემებიდან დავიმოწმებთ: „სიყვარული ხელწამოსაკრავი ტერმინი არ არის“; „პოლიტიკაში არ არსებობს ტერმინები „მეგობრობა“, „ერთგულება“, „დალატი“ და მისთანები. პოლიტიკაში არის ერთადერთი ტერმინი, ვიმეორებ, ერთადერთი ტერმინი და ეს არის „ინტერესები“ და სხვ. ამ ტიპის კონტექსტებში, ცხადია, რომ მოსაუბრეს ტერმინე-

ბად წოდებული ერთეულებით გამოხატული არსის ხაზგასმა სურდა და არა გარეგანი მხარისა. გამოსახატავ შინაარსს კი ამგვარ წინადადებებში **ცნება** ესადაგება. გარდა აღსანიშნისა და აღმნიშვნელის – ცნებისა და ტერმინის – აღრევისა, საგულისხმოა კიდევ ერთი რამ – რატომ **ტერმინი** და არა **სიტყვა**, რომელიც ასევე არის გამოსახატავი შინაარსის გარეგანი მხარე? სწორედ ამ არჩევანში გამოკრთის ბუნდოვანი, ზედაპირული ცოდნის მარცვალი, რომ სიტყვაში საგნობრიობაა დომინანტური, ტერმინში კი ცნებითობა.

დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის ის სინტაგმები, რომლებიც ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა მსგავსად დეფინიციურობით ხასიათდება. მაგალითად: „ტერმინი „კაცური კაცი“ უნიკალურია და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანასა და არც ერთ ენაში არ გვხვდება“; „ტერმინი „კაცურად აზროვნებ“ ნიშნავს, რომ სულელი არ ხარ და არც სენტემენტალობა გახასიათებს“; „ტერმინ „კაი ყმას“ ალტერნატივა არ გააჩნია ვაჟკაცობის შესაფასებლად“; „თუ შეიძლება ასეთი ტერმინი გამოვიყენო, უფრო ვაჟკაცური საქციელი იქნებოდა მათი მხრიდან“ და სხვ.

ამავე ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ ანტიკური ფრთიანი გამონათქვამები და ბიბლიუზმები, რომელთა ტერმინებად კვალიფიცირება მასმედიის ენაში იშვიათი არ არის: „განხეთქილების ვაშლი“ ნამდვილად დამკვიდრებული ტერმინია და სულაც არ ეკუთვნის ეკა კვესიტაძეს“; „მათ კარგად იციან, რომ ვერ გაიმარჯვებენ, მაგრამ, ჩვენთან, ხომ იცით, დამკვიდრებულია ტერმინი – მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“; „სწორედ ამ ლეგენდის შემდეგ გაჩნდა ტერმინი პანდორას ყუთი ან პანდორას სკივრი“; „ამ შეკრებას ტერმინ „საიდუმლო სერობას“ მივუსადაგებდი, მაგრამ რაღა საიდუმლო, როცა ბიზნესცენტრის სიახლოვეს ტელეკამერებს ვერ დაითვლიდი“; „მან ესპანეთის ნაკრებს, მხატვრული ტერმინი რომ ვიხმაროთ, სულ სხვა სული შთაბერა“ და სხვ. მოხმობილ კონტექსტებს ვერ გავამართლებთ იმით, რომ ტერმინოლოგიურსა და ნომენკლატურულ სისტემებში ხშირად გვხვდება ანტიკურობიდან და ბიბლიიდან მომდინარე სიტყვა-გამოთქმები, მაგალითად, „აქილევსის მყესი“ ქუსლის მყესის აღმნიშვნელ ტერმინად, ტერმინი „ადამის ვაშლი“ ფარისებრი ხრტილის აღსანიშნავად; ბოტანიკურ ნომენკლატურაში: „ადამის ფესვი“; „სამოთხის ვაშლი“, „ქრისტესგვირგვინა“, „ქრისტესბეჭედა“, „ქრისტესისხლა“ თუ სხვ.

საანალიზო მასალაში შეგვხვდა ჩვეულებრივი გამონათქვამების ტერმინად მოხსენიების მაგალითებიც: „ყველა თავისას მიიღებს“ – ეს

ტერმინი მუქარასავით გაისმა“; „გავიხსენოთ ტერმინი „ქურდებს ეროვნება არა აქვთ ისევე, როგორც კომუნისტებს“ და სხვ.

თანამედროვე კომუნიკანტთა ენობრივ ცნობიერებაში არსებობს ცოდნა იმის შესახებ, რომ სიტყვები დღეს არ იბადება, მათი დასაბამი შორეულ წარსულშია, მაგრამ ტერმინის შექმნისა და დამკვიდრების მომსწრე შეიძლება გახდეს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მივიჩნიოთ იმის საფუძველად, რომ ნებისმიერი ინდივიდუალური სიტყვათმომოქმედების შედეგი, არაერთი ოკაზიონალიზმი მედიადისკურსში ტერმინადაა შეფასებული, მაგალითად, „ნინო ბურჯანაძეს ეკუთვნის ახალი პოლიტიკური ტერმინი „დენაციფიკაცია“; „ამას განსაკუთრებულ ტონს აძლევს პრეზიდენტის „ბრიყვინგები“ (შოთა გლურჯიძის ტერმინი)“; „ტერმინი „ნასტალინარი“ მართლაც შესანიშნავია“; „სწორედ აზროვნების ასეთმა დარღვეულმა სტრუქტურამ წარმოშვა ტერმინი შუაშისტი“ (ნეიტრალური პოლიტიკური პოზიციის მქონე მოქალაქის აღსანიშნავად – ს. ო.); „საკაშვილის ხელისუფლებამ გამოიყენა ახალი ყაიდის ზონდერ-ჟურნალისტები, რომლებიც უკვე ჩემს მიერ ადრე გამოყენებულ ტერმინს – „ურნალისტებს“ აღარ აკმაყოფილებენ“ თუ სხვ.

ამავე ჯგუფში გაერთიანდება ის მაგალითები, რომლებშიც ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულები ან სიტყვათშეთანხმებები ტერმინებად მხოლოდ იმ ნიშნითაა სახელდებული, რომ ამა თუ იმ პოლიტიკოსმა ისინი განსხვავებულ კონტექსტში ან უბრალოდ ხშირად გამოიყენა, მაგალითად: „ჩარეცხილები“ სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული ტერმინია“; „ჩაკითხვა“ ბიძინა ივანიშვილის ტერმინია“; „საკაშვილის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, დღეს თავად სააკაშვილია გაფარჩაკებული“; „კბილაშვილის საყვარელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ივანიშვილი მეტისმეტ ინფორმირებულობას ამჟღავნებს“ და სხვ.

„სიტყვის“ ნაცვლად „ტერმინის“ გამოყენების სხვა შემთხვევებიც მრავლადაა: „იოტისოდენა“ როგორც უმნიშვნელოს გამომხატველი ტერმინი აქტიურად გავრცელდა პროზაში“; „უფრო უპრიანი არ იქნება ან – „ფლიდები“, ან – „ვერაგები“, ან – „ახვრები“, ან – „თუქსუსები“? აი, აქ დამჭირდება დახმარება იმის გასარკვევად, ჩამოთვლილთაგან რომელი ტერმინი უფრო სწორია მათთან მიმართებაში“ და სხვ.

განხილული მაგალითებისაგან განსხვავდება ის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოქმელს ლექსემა „ტერმინით“ სხვისი შეცდომის აქცენტირება სურს, ამგვარ კონტექსტთა ნაწილს ირონიაც ახლავს:

„განტევეების ვაცი“ აქ ბრჭყალებში ზის, რადგან, ჩვეულებრივ, ეს კაცი სრულიად უდანაშაულოა და შემთხვევითაა შერჩეული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იქნებ სჯობდეს ედუარდ შევარდნაძის ტერმინი „გაშვების თხა“ გამოვიყენოთ, რადგან ჩვენს შემთხვევაში ბ-ნი გულაშვილი ნამდვილად დამნაშავეა“; „ანეგდოტები“ ასეთი ტერმინი არც დიალექტურია და არც ლიტერატურული, უბრალოდ უცოდინარობის ისეთი დასტურია, წყალი რომ არ გაუვა“ და ა. შ.

არაერთი კონტექსტი შეგვხვდა, რომელშიც „ლექსიკის“ ან „გამონათქვამის“ ნაცვლად უმართებულოდაა ნახმარი „ტერმინოლოგია“: „ეს არის პრეზიდენტის აგრესიულ-ირონიული ტერმინოლოგია, რომელიც მას პერიოდულად, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ ოპონენტებზე საუბრისას ახასიათებს“; „ – მართლა მოითხოვეთ, ზურაბ ცხოვრებადის ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, „დედაკაცის ხელდასხმა“?; „თქვენ დაუკვირდით „ნაცმოდრაობის“ ლიდერების ტერმინოლოგიას: „ჩვენ ძალიან ძალე დავბრუნდებით“; „ჩემი მოკრძალებული სურვილია, მოვუწოდო ყველა ძალას, ჩვენი „შემკობის“ ტერმინოლოგია უფრო ცივილიზებული გახადონ“, „შეურაცხყოფელი სიტყვები ხომ მათი ტერმინოლოგიის განუყრელი ნაწილია!“ და სხვა მრავალი.

დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ტიპობრივ უზუსტობებს საორიენტაციოდ გამოყენებული სიღრმისეული ცოდნის განსხვავებულ ფრაგმენტთა მიხედვით დავაჯგუფებდით. ამგვარმა კლასიფიკაციამ საერთო ნიშანიც გამოაჩინა – ყოველი ჯგუფის ცალკეულ მაგალითში ლექსემა „ტერმინი“ მეტად გამოყოფს მისით განსაზღვრულ ერთეულს, ვიდრე ის მსაზღვრელები, რომელთა გამოყენებაც ბუნებრივი და მართებული იქნებოდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მთქმელთა ინტენცია, ზემოთ დასახელებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა ესეც იყო. თუ ასეა, მაშინ გაანალიზებულ შემთხვევებს სიღრმისეული ცოდნის ის ფრაგმენტი აერთიანებს, რომლის მიხედვითაც ტერმინი განსაკუთრებული და არა ჩვეულებრივი ნიშანია, მაგრამ ნაწილობრივი ცოდნა, რომელსაც ჩვენ მაორიენტირებელი ვუწოდეთ, მედიადისკურსში საკმარისი არ არის, მით უფრო, რომ ლექსემა „ტერმინის“ შესახებ ჟურნალისტების მიერ გამოყენებული ინფორმაციის მოცულობა ბევრად ჩამორჩება სიღრმისეული ცოდნის სისრულეს, სახელდობრ, საანალიზო ტექსტებში სრულიად უგულებელყოფილია ტერმინის, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშნის, ორი ძირითადი მახასიათებელი – კონვენციურობა და სისტემურობა.

Salome Omiadze

About Use of the Lexeme „Term“ („termini“)

Summary

For communicative practice it is important to contrast two kinds of knowledge – in-depth and surface or, in other words, orientating knowledge. The latter one has a wider area. The essential difference between them is that in-depth knowledge is stable. It turns into the belief and becomes the basis of a person while surface knowledge, because of its nature, is a subject of a continuous change. We can explain and describe only what we know well, but thematically, in general, we approximately characterize what we know less. The pair “knowledge-recognition” illustrates this difference well. The lexical units – **vzvdebi, mesmis, vige, čaxeduli var** the meaning of which has less capacity than the word form’s - “to know”, are proofs of existing different knowledges. It is not a problem to use just orientating knowledge during the everyday discourse. The reason is that the minimum number of verbal signs is sufficient to satisfy everyday needs and requirements. What’s more, these signs often have an additional, complementary function. They have a phatic role and mostly indicate just the contact between talkers. The same cannot be said about other types of discourses, especially scientific and mass media ones.

The paper discusses the cases of misusing terms. In particular, contexts are analyzed, in which the main structural-semantic units (any word or expression, idioms of the common literary language) are designated as terms and as a result the main characteristics (being definitive, conventional and systematic) of a term as a special lingual sign are neglected.

ვლადიმერ პაპავა

თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები

თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ფორმირება სათავეს მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში იღებს, როდესაც ქართულად ითარგმნა და გამოიცა კარლ მარქსის ცნობილი ნაშრომის, „კაპიტალის“ პირველი ტომი. 1947 წელს კი პირველად გამოიცა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკური ტერმინოლოგია აკად. პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის ავტორობით. ამ პერიოდში ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის ფორმირება ხდებოდა გერმანულენოვანი და რუსულენოვანი ეკონომიკური ტერმინების საფუძველზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის გაფართოების ობიექტური პირობები შექმნა. ეს პერიოდი შეიძლება დავყოთ ორ ეტაპად: მე-20 საუკუნის 90-იანი წლები, როცა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინები ყალიბდებოდა ძირითადად მაინც რუსული ენის ზეგავლენით (მაგალითად, ინგლისური „Gross Domestic Product“ ქართულად დამკვიდრდა არა როგორც **მთლიანი სამამულო პროდუქტი**, არამედ რუსული „Валовый внутренний продукт“-ის ზეგავლენით როგორც **მთლიანი შიდა პროდუქტი**; საყურადღებოა, რომ მოცემულ ტერმინში „შიდას“ ნაცვლად უმჯობესია გამოვიყენოთ სიტყვა „შიგა“); 2000-ანი წლები, როცა ქართული ეკონომიკური ტერმინების ფორმირება ხდება უშუალოდ ინგლისური ენის ზეგავლენით, არც თუ იშვიათად, ქართული ტერმინების უხეში „გამოდევნის“ გზით (მაგალითად, ტერმინი **მართვა** პრაქტიკულად განდევნა ტერმინმა – **მენეჯმენტი**).

ახალი ეკონომიკური ტერმინები ხშირად გამოიყენება მცდარად. კერძოდ, ტერმინი „მენეჯერი“ გამოიყენება არა მარტო იმ პირის აღსანიშნავად, ვინც კომპანიას მართავს, არამედ, მაგალითად, მინისტრის მისამართითაც. ინგლისურში გამოიყენება ორი ტერმინი – „Manager“ და „Governor“. პირველი არის ის პირი, ვინც ფირმას მართავს, ხოლო მეორე – ვინც სახელმწიფო უწყებას. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ქართულში ტერმინი **მენეჯერი** დამკვიდრებულიად შეიძლება ჩაითვალოს, სახელმწიფო უწყების ხელმძღვანე-

ლად უმჯობესია ტერმინი **მმართველი** გამოვიყენოთ, რომელიც ინგლისური „Governor“-ის ქართული შესატყვისი ტერმინი იქნება.

4. ახალი ტერმინების ფორმირების პარალელურად გრძელდება ძველი შეცდომები, როცა ქართული ენის მარავალფეროვნება არ გამოიყენება. მაგალითად, ტერმინი **გადასახადი** გადმოიყენება **გადასახდელის** მნიშვნელობითაც, მაშინ როცა ინგლისურში მკაფიოდ არის გამიჯნული ტერმინები „Tax“ და „Payment“, ხოლო რუსულში „Налог“ და „Платёж“; ქართულში ტერმინი **ეფექტური** გამოიყენება **ეფექტიანის** ნაცვლადაც, მაშინ როცა რუსულში გამოიყენება ორი ტერმინი „Эффективный“ და „Эффективный“. ხდება მცდარი ტერმინებით სწორი ტერმინების ჩანაცვლება (მაგალითად, ტერმინ **მოხილურობის** ნაცვლად გამოიყენება აშკარად გაუგებარი **მოხილობა**).

ხშირია შეცდომები სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდებისას. კერძოდ, ტერმინ **რიცხვის** ნაცვლად გამოიყენება - **ციფრი**, ხოლო ტერმინი **პროცენტი** ტერმინ **პროცენტული პუნქტის** ნაცვლადაც გამოიყენება (მაგალითად, ფრაზა „10 პროცენტი 7 პროცენტზე 3 პროცენტით მეტია“ მცდარია, უნდა იყოს: „10 პროცენტი 7 პროცენტზე 3 პროცენტული პუნქტით მეტია“).

ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) ტერმინებს შეცდომით იყენებენ როგორც პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, ასევე, სამწუხაროდ, თავად ეკონომისტებიც.

თანამედროვე ქართული ტერმინების შექმნისა და დამკვიდრების მიზნით მიზანშეწონილია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის როლის გაძლიერება, რისთვისაც აუცილებელია სპეციალური სამთავრობო გადაწყვეტილების მიღება, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტს, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად, ექნება ტერმინშემოქმედების ექსკლუზიური უფლება.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას დარგობრივი ტერმინოლოგიური კომისიები, რომლებიც შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად ამ დარგის ტერმინოლოგიის საკითხებზე იმუშავენ. ამ კომისიების სათანადო რეკომენდაციები კი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს უნდა წარედგინოს.

Vladimer Papava

**Modern Georgian Economic Terminology:
New Problems and Old Mistakes**

Summary

The formation of the modern Georgian economic terminology originates from the 20-30s of the 20th century, when the first volume of Karl Marx's famous work – "Capital" was translated into Georgian and published. In 1947, Russian - Georgian and Georgian - Russian economic terminology was published for the first time authored by Acad. P. Gugushvili and P. Kuchaidze. During this period, the formation of Georgian economic terminology went on the basis of the Russian and German economic terms.

The process of transition to a market economy created objective conditions of expanding Georgian economic terminology. This period can be divided into two stages: the 20s of the 20th century, when new Georgian economic terms were forming still under the influence of the Russian language and the 2000s, when new Georgian economic terms were forming under the influence of English with frequent displacement of Georgian ones.

New economic terms are often misused. Their formation is paralleled by the old mistakes as Georgian language diversity is not used. There are frequent mistakes in reporting statistical information. Economic (and not only economic) terms are misused even by politicians and journalists, as well as, sadly, by economists.

In order to create and establish modern Georgian terms it is advisable to strengthen the role of Arnold Chikobava Institute of Linguistics. For that reason, the government should make a special decision on the basis of which the institute will have an exclusive right of creating terms together with the relevant specialists.

On the basis of Linguistics Institute, specified terminological commissions, which will work on the terminology of a specific field with the relevant experts, should be created. The recommendations of these commissions should be submitted to the Scientific Council of the Institute of Linguistics.

რუსუდან რამიშვილი

ენობრივი პოლიტიკა ირანში

ირანის ისლამური რესპუბლიკა მრავალეროვანი ქვეყანაა. სპარსული ენა მშობლიურია ირანის მოსახლეობის 57%-სათვის (40 მილიონზე მეტი ადამიანისათვის), დანარჩენი მოსახლეობისათვის (ირანში სახლობს 75 მილიონზე მეტი კაცი) სპარსული მეორე ენაა. მათ შორის არიან როგორც ირანულენოვანი ხალხები (ქურთები, ბელუჯები, ლურები, მაზანდარანელები...), ისე არაირანულენოვნები (აზერბაიჯანელები, თურქმენები, არაბები, ქართველები, სომხები...).

სპარსული ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. X-XI საუკუნიდან სპარსული ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობების, კულტურისა და მეცნიერების ენის ფუნქციას აღმოსავლურ ისლამურ სამყაროში. მას დიდი გავლენა ჰქონდა რეგიონის ყველა ენაზე – დაწყებული თურქეთიდან, კავკასიიდან და ყირიმიდან, დამთავრებული ცენტრალური აზიითა და ინდოეთით.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამურ რევოლუციამდე სპარსული მხოლოდ დე ფაქტო ასრულებდა მრავალნაციონალური ქვეყნის სახელმწიფო ენის ფუნქციას. რევოლუციის შემდგომ პერიოდში გამყარდა სპარსული ენის სტატუსი და ახალი კონსტიტუციის მიხედვით (1979 წ.) გამოცხადდა ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად.

ისლამურ რევოლუციამდე ირანში უპირატესობა ენიჭებოდა ევროპულ ენებს, განსაკუთრებით ინგლისურს. 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ევროპულმა ენებმა ადგილი დაუთმო არაბულს, რომელმაც გაბატონებული ადგილი დაიკავა უცხო ენათა შორის.

რევოლუციის შემდგომ ირანში სპარსული ენის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება მისი ურთიერთობა არაბულ ენასთან. აქამდე არაბულს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სპარსულზე მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ირანში არანაირი სტატუსი არ ჰქონია. გარკვეულ პერიოდში, კერძოდ, 1935-1941 წლებში, ირანში გაჩნდა პურისტული ტენდენციები, რომელიც მიმართული იყო არაბიზმების წილის შემცირებისაკენ სპარსულ ენაში. ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ოფიციალურად ამაღლდა არაბული ენის ფორმალური სტატუსი. ირანის 1979 წლის კონსტიტუციით (მე-16

ნაწილი, მე-2 სტატია), არაბული ენის სწავლება აუცილებელი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა კლასში. ამგვარად, არაბული რელიგიურ ურთიერთობათა ენიდან თანდათანობით იქცა მნიშვნელობით მეორე საურთიერთო საშუალებად.

ტოტალურმა ისლამიზაციამ ქვეყნის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში დიდი გავლენა მოახდინა სპარსულ ენაზე, პირველ რიგში, მის ლექსიკურ-სემანტიკურ სტრუქტურაზე. სპარსულში სულ უფრო და უფრო ხშირად იხმარებოდა რელიგიური და რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინები. ენაში დამკვიდრდა თავისებური „ისლამური სტილი“, ხშირად გამოიყენებოდა არაბული მსხვერუელი მრავლობითის ფორმები.

ბოლო წლების განმავლობაში ირანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სპარსული ენის განვითარებასა და ფუნქციონირებას. ეს არის ირანის სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სპარსული ენის, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენის, პოზიციის განმტკიცებისაკენ. **სპარსული ენის განვითარება ირანის ხელისუფლების მიერ მოიაზრება, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად.**

სპარსულის ლექსიკური შედგენილობა ივსება ახალი ტერმინებით, რომლებშიც ასახულია თანამედროვე ტექნოლოგიის ტერმინები. ირანში ცდილობენ, მიაღწიონ მდგომარეობას, როცა ყველა ახალი ცნება გადმოცემული იქნება სპარსული ძირებითა და სპარსული მაწარმოებლებით. ასე შეიქმნა რიგი სიტყვებისა, როგორებიცაა : یارانه – iārāne – სუბსიდია; رایانه – rāi āne – კომპიუტერი; کاربر – kārbar – პროვაიდერი ; خودرو – xodrrou – ავტომობილი; پایانه – pāyāne – ტერმინალი ; مردمسالاری – mardomsālāri – დემოკრატია; چاپگر – čāpgar – პრინტერი; چارخا – čarxbāl – ვეტმფრენი; تراشه – arāše – ჩიპი.

ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირანის სამი აკადემიის როლი. პირველმა აკადემიამ, ანუ ირანის აკადემიამ (1935-1941) თავისი მოღვაწეობა დაიწყო უცხოენოვან სიტყვათაგან სპარსული ენის გაწმენდით, განსაკუთრებით არაბიზმებისაგან. ამ აკადემიის მოღვაწეობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინთა შექმნას. პირველი აკადემიის მიერ შექმნილი ტერმინები შესულია რუსულ-სპარსულ და სპარსულ-რუსულ ლექსიკონებში.

მეორე აკადემიამ, ანუ ირანის აკადემიამ (1970-1980) სპარსული ენის ლექსიკური ფონდი შეავსო ახალი სიტყვებით, რომლებიც იხმა-

რება ევროპულ და არაბულ ენათა პარალელურად. შეიქმნა სინონიმთა მთელი რიგი, თუმცა ზოგი მათგანი ვერ დამკვიდრდა სპარსულში.

რევოლუციის შედგომ ირანში სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის (მესამე აკადემიის) დაარსება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სპარსული ენის განვითარებისა და ენობრივი პოლიტიკის გატარებისათვის. აკადემიას, რომელიც ოფიციალურად 1990 წელს დაარსდა, კულტურული რევოლუციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მრავალი სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელობა დაეკისრა. **მისი მთავარი პრინციპია სპარსული ენის განმტკიცება და დაცვა, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განვითარება.** სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის ძირითადი ამოცანაა სპარსული ენის ლექსიკური შედგენილობის შევსება, პირველ რიგში, ტერმინების ხარჯზე. სპარსულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს, ჩაანაცვლოს უცხოენოვანი ნასესხები ტერმინები.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის მიდგომა ტერმინთშემოქმედების მიმართ არაერთგვაროვანია. უცხოენოვან ტერმინთა შექმნის მომხრეები წინააღმდეგობას ხვდებიან იმ ენათმეცნიერთა მხრიდან, რომელთა აზრითაც, ყველა ნასესხებ ტერმინს არ უნდა ჩაენაცვლოს შესაბამისი სპარსული ვარიანტი. ერთსულოვნება მხოლოდ ევროპული ტერმინების მიმართ დამოკიდებულებაშია, მათ განდევნას ყველა მხარს უჭერს.

დასავლეთ ევროპული ლექსიკის მიმართ განსაკუთრებით პრინციპული პოზიცია უკავია ქვეყნის რელიგიურ ლიდერს, აიათოლა ალი ხამენეის, რომელიც მას (დასავლეთ ევროპის ლექსიკის შემოქრას) “დასავლეთის კულტურული ექსპანსიის” რეციდივად, “თავისებურ შხამად” მიიჩნევს. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ისლამური საბჭოს კრების გადაწყვეტილება (ირანის პარლამენტისა), რომლითაც 1995 წლის 18 ოქტომბრიდან უნდა აიკრძალოს დასავლეთ ევროპული ლექსიკის გამოყენება სახელმწიფო დაწესებულებებში.

ირანის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სპარსული ენის გავრცელებას საზღვარგარეთ, რომელსაც ხელმძღვანელობს სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურა – ისლამური კულტურისა და კავშირის ორგანიზაცია (sazmane farhang va ertebatate eslami). მის შემადგენლობაში შედის საზღვარგარეთ სპარსულის გავრცელების ცენტრი. ამ ცენტრის თანამშრომლები მუშაობენ სხვადასხვა ქვეყანაში ირანის

კულტურულ წარმომადგენლობებში. ირანში დიდი ტირაჟით გამოდის მრავალტომეული ინგლისურენოვანი სპარსული ენის სახელმძღვანელოები უცხოელ სტუდენტთა და სპეციალისტთათვის.

საკმაოდ ნაყოფიერია ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების მუშაობა თბილისშიც. ამ განყოფილების ინიციატივით ისწავლება სპარსული ენა თბილისის რამდენიმე სკოლაში (I გიმნაზიაში, 51-ე, 55-ე, 195-ე საჯარო სკოლებში); სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის ირანის დაფინანსებით ეწყობა ექსკურსიები ირანში ამ ქვეყნის კულტურის გასაცნობად; ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებაში გახსნილია სპარსული ენის შემსწავლელი უფასო კურსები; ეწყობა ირანული ფილმების ჩვენება; უნივერსიტეტებიდან სტაჟირებაზე იგზავნებიან სტუდენტები ირანის უნივერსიტეტებში.

სპარსული ენის ფართო პროპაგანდა გაშლილია როგორც ტრადიციულ ისლამურ ქვეყნებში, ასევე იმ ქვეყნებშიც, რომელთაც ირანთან ისტორიული ფესვები აკავშირებთ.

ლიტერატურა

В. И. Месамед, Фарси как интегрирующий фактор в Исламской Республике Иран;

Терминологическое строительство в Иране, тема диссертации и автореферата по ВАК 10.02.22, кандидат филологических наук Алиреза Акбарипур

"Vājehā-ye mosavveb-e farhangestan-e zabān va adab-e farsi" (Vājehā-ye omumi - 1). - Tehrān, 1997. — واژه‌های مصوّب فرهنگستان زبان و ادب فارسی

Osul va zavābet-e vājegovini hamrāh bā šarh-o touzihāt. - Tehrān, 1376/1997— اصول و ضوابط واژه گزینی همراه با شرح و توضیحات

Rusudan Ramishvili

Terminology Questions in Iran

Summary

Persian language, the leading regional language in the past centuries, encounters terminology issues as well. It is of utmost importance for Persian language to develop specific terminology to become able to substitute foreign loanwords.

In Iran, the efforts are made to reach the condition when every single new concept is expressed using Persian word stems and Persian derivational suffixes or affixes.

Three Iranian Academies have played particularly important roles in creation of terminology. The first academy or the Academy of Iran (1935-1941) started its functioning with removing foreign words, especially Arabic ones, from Persian language. The foundation for creation of scientific-technical terms was laid during the period of functioning of this academy.

The second academy or the Academy of Iran (1970-1980) filled the lexical fund of Persian language with words that are used in parallel with European and Arabic languages. The academy has created a wide range of synonyms though certain words failed to establish themselves in Persian.

The key task of the Academy of Persian Language and Literature (the third academy) is to fill the lexical storage of Persian language and firstly, its terminological part.

მერაბ რობაქიძე

საერთაშორისო ტერმინოლოგიის სომხური ეკვივალენტები

ახალ-ახალი დარგობრივი ტერმინების შექმნა ცოცხალი პროცესია. დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკაში ტერმინთმშენებლობა, შეიძლება ითქვას, ტრადიციულად სახელმწიფოებრივი ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ინტენსიურად ხორციელდება.

სომხური ენის შესწავლა იწყება VI საუკუნის დასაწყისში დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ თარგმნით, რითაც საფუძველი ეყრება გრამატიკულ კომენტატორულ (განმარტებით) ლიტერატურას, რომელშიც შეისწავლება *გრაფარი* (კლასიკური, ძველი სომხური ენა) ბერძნული ენის ყალიბით.

ელინოფილური სკოლა, ელინური სკოლის თარგმანების ენა გამოირჩევა ბერძნულის გავლენით დამკვიდრებული ენობრივი ნორმებით. ბერძნული სამეცნიერო-ფილოსოფიური. ლიტერატურის სათარგმნელად აუცილებელი იყო ბერძნულის შესაბამისი სამეცნიერო ენა და *სისტემური ტერმინოლოგია*. კლასიკური სომხურის ამ ნაკლის შესავსებად, ტერმინოლოგიის შექმნის საქმის შესამსუბუქებლად და ერთგვაროვნობის (შესატყვისობების) დაცვის მიზნით ელინოფილურ – რი სკოლის წარმომადგენლებმა შექმნეს (შეიმუშავეს) ახალი მოდელები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა კლასიკურის შემდგომი ლიტერატურული სომხური ენის ვარიანტი – ელინოფილური სომხური. პრეფიქსებით მდიდარი ბერძნული ენის გავლენით მათ შექმნეს მრავალი პრეფიქსი, რომელთაგან ბევრი დამკვიდრდა და გააფართოვა სომხური ენის სიტყვათშემოქმედებითი საშუალებები, გაამდიდრა ლექსიკა მრავალი მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულით, შესაძლებლობა შექმნა ბერძნულიდან კალკირების საშუალებით შექმნილიყო მეცნიერების რიგი სფეროების (გრამატიკის, ხუროთმოძღვრების, ლოგიკის, ფილოსოფიის) მრავალი ტერმინი. XII-XIII საუკუნეებში სომხური თავისუფლდება ბერძნული ენის ბრმა გავლენისგან და იწყება სომხური ენის მოვლენების ორიგინალური გაშუქება. XIV-XV საუკუნეებში შეინიშნება ამგვარი მიდგომის შესუსტება და სქოლასტიკის გაძლიერება. ამ დროს ჩაისახა ლათინოფილური გრამატიკა. ლათინურის გავლენის მატარებელ *გრაფარზე* დაწერილი თხზულებ-

ბების ენა ძირითადად ჩამოყალიბდა XVII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში. ლათინურენოვანი სომხურისთვის დამახასიათებელია ლათინური ნასესხობანი და კალკები. ლათინოფილობა სომხურ ენაში განპირობებული იყო რიგი ევროპული ქვეყნების და კათოლიკური ეკლესიის მზარდი ინტერესებით სომხეთისა და სომეხთა მიმართ. ამ მიმართულებამ XVIII საუკუნეში შეწყვიტა არსებობა.

XIX საუკუნის 40–70-იანი წლებში მიმდინარეობდა დისკუსია სომხური ლიტერატურული ენის შესახებ. სომეხი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ეკლესიასთან ერთად იცავდა ახალ ეპოქაში **გრაფარის** (ძველი სომხურის), როგორც ლიტერატურული ენის, პროგრამას, ინტელიგენციის მეორე ნაწილი კი მხარს უჭერდა ახალი სომხური ენის – **აშხარაბარის** (საერო ენის) დამკვიდრებას, რომელიც ორი განშტოებით (დასავლური და აღმოსავლური) გახდა *საერთო ეროვნული ენა* (უფრო ადრე ლიტერატურულ ენად XVII ს.-დან ჩამოყალიბდა დასავლური სომხური კონსტანტი ნეპოლის სომხური დიალექტის საფუძველზე, XIX ს.-ის შუა წწ.-დან კი – აღმოსავლური სომხური სალიტერატურო ენა, დაფუძნებული ერევნის სომხურ დიალექტზე). ეს ბრძოლა უკავშირდებოდა სომხური ენის უმნიშვნელოვანეს საპროგრამო საკითხს – რა პრინციპით უნდა მომხდარიყო სომ ხური ენის კარდინალური რეფორმა გრაფარის თუ აშხარაბარის საფუძველზე. საბოლოოდ გაიმარჯვა აშხარაბარის იდეამ.

თანამედროვე სომხურ ენობრივ სინამდვილეში ორი ლიტერატურული ენაა (ვარიანტია) – ტერმინ *აშხარაბარში* მოიაზრება როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ლიტერატურული ენე ბი (სომხეთის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს აღმოსავლური სომხური, ხოლო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაბნეული სომხობა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, იყენებს დასავლურ სომხურს). მარ თალია, მთელი რიგი ენობრივი ნიშნებით (ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკით) ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად სხვაობენ, მაგრამ ორივე მოიცავს სომხური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ტრადიციულ ბირთვს.

სომხური ენის ტერმინოლოგიას დასაბამიდანვე ჰქონდა უპირატესად ეროვნული ხასიათი. *სომხურის დღევანდელი ტერმინოლოგია შედგება სამი ფენისაგან: წმინდა ეროვნული, ნასესხები და შერეული*. სომხეთის რესპუბლიკაში გამოქვეყნებულია ტერმინოლოგიური ლექსიკონები – მიძღვნილი მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსადმი. სომხურად გა მოცემულია *სამედიცინო*,

ბოტანიკური, ლიტერატურათმცოდნეობითი, მათემატიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამხედრო, სპორტული, პოლიტექნიკური, ფსიქოლოგიური, იურიდიული და სხვა ხასიათის ტერმინოლოგიური ლექსიკონები; გამოქვეყნებულია რამდენიმე ფუნდამენტური ხასიათის – სტ. მაღხასიანცის, აღაიანის, აკადემიის განმარტებით ლექსიკონები. ტერმინოლოგიის დაკანონებაში მონაწილეობდნენ სპეციალური კომისიები, კომიტეტები, როგორებიცაა სომხეთის რესპუბლიკის სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის კომიტეტი, სახსტანდარტი, იუნესკოს ინფორბიურო. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტერმინოლოგიური კომიტეტი. იქმნებოდა ცალკეულ სფეროთა საერთაშორისო ტერმინოლოგია, რომელიც ქვეყნდებოდა სპეციალურ ცნობარებში. ეს მუშაობა დღესაც ინტენსიურ ხასიათს ატარებს.

სომხურ ენაში სიტყვა *ტერმინი* აღინიშნება ცნებით *էզր* [ეზრ] = საზღვარს (შდრ. ლათ. *terminus* = საზღვარი), ხოლო *ტერმინოლოგია* = *էզրաբանություն* [ეზრბანუთიუნ]. სხვადასხვა ენაში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად იქმნება ახალი ტერმინები. ამ მოვლენას უწოდებენ *ტერმინთმშენებლობას*. სომხური ტერმინების შექმნა იწყება V საუკუნიდან, რა დროიდანაც საფუძველი ეყრება უცხო სიტყვათა თუ სიტყვათკავშირების სომხური ეკვივალენტებით გამოხატვის ტრადიციას. ახალი ტერმინები იქმნება სომხური სიტყვათქმნადობის პრინციპებით – კომპოზიტების შექმნით, წარმოქმნით, აგრეთვე ძველი, „ძველარი“ სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებით, დიალექტური სიტყვების სემანტიკური შემოსაზღვრით, ახალი სიტყვათკავშირების შექმნით, გადმოაქვთ ტერმინები უთარგმნელადაც.

სომხური ენის ტერმინთმშენებლობის ნორმირების, ტერმინთქმნადობის ხელმძღვანელობის მიზნით გასული საუკუნის 1920–30-იან წლებში შეიქმნა *ტერმინოლოგიური კომისიები* (საბჭოები, კომიტეტები). ამათგან თავისი მოღვაწეობით უმნიშვნელოვანესი და აღიარებული იყო მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში მოქმედი ტექნიკის ტერმინოლოგიური კომიტეტი. ტერმინთმშენებლობას ხელმძღვანელობდა *განათლების სახალხო კომიტეტი*. 1933 წელს ამ უკანასკნელის შემადგენლობაში შეიქმნა *ტერმინოლოგიის საბჭო, შემდგომ – ტერმინოლოგიის კომიტეტი*, რომელიც 1955 წლიდან მოქმედებდა სომხეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ენათმეცნიერები, სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელნი. „ტერმინოლოგიის კომიტეტი“ სომხური ენის მოქმედი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად განიხილავდა, იკ-

ვლევდა და წყვეტდა სომხური ენის *ახალი ტერმინების* სადავო საკითხებს, არჩევანს აკეთებდა მეცნიერულ და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში პარალელურ ტერმინთა და სიტყვათა შორის, განიხილავდა ამასთან დაკავშირებულ სუბიექტურ და კოლექტიურ წინადადებებს და ღებულობდა შესაბამის გადაწყვეტილებას. *ტერმინოლოგიის კომიტეტი* კოორდინაციას უწევდა სამინისტროებსა და მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში მოქმედ განშტოებულ (მათემატიკის, ენათმეცნიერების, სამედიცინო, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვ.) ტერმინოლოგიურ კომისიებს. ტერმინოლოგიური კომიტეტის გადაწყვეტილებები პერიოდულად ქვეყნდებოდა პრესაში და ცალკეულ გზამკვლევ ცნობარებში¹. ლ. მელიქსეთბეგი სომხურ-ქართული ლექსიკონის (თბ. 1996) წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ სიტყვანის დადგენისას იგი სხვათა შორის „სარგებ ღობს საგზაო (სარკინიგზო) *ტერმინების*, მათ შორის *ტერმინოლოგიური ლექსიკონებით*, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1931 წელს გამოცემული ე. წ. „შრომის ლექსიკონი“. ტერმინების სომხური შესატყვისები განპირობებულია ენის სიწმინდის დაცვით, რასაც სომხურში მდიდა რი ტრადიცია აქვს.

სომხურ ტერმინოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ ენის ტერმინები მისი ლექსიკის ნაწილია და ექვემდებარება კონკრეტული ენის სიტყვათქმნადობისა და გრამატიკულ წესებს. იმავდროულად, ყოველი ტერმინული სისტემა დაკავშირებულია განვითარებადი მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცნებათა სისტემასთან. მაგ. թուխաբուր [თოქაბორბ] (ფილტვების ანთება) შედის სომხური ენის ლექსიკის შემადგენლობაში და იმავდროულად მედიცინაში ერთ-ერთი ავადმყოფობის აღმნიშვნელი ცნებაა. ტერმინები ჩვეულებრივი სიტყვებისაგან ხშირად არ განსხვავდება. ჩვეულებრივი სიტყვა შეიძლება იქცეს *ტერმინად* და პირუკუ. მაგალ. ջուր [ჯურ] (წყალი) სიტყვა ქიმიაში ტერმინს წარმოადგენს. თავის მხრივ, რომელიმე სფეროს სიტყვა შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. სხვადასხვა ენაში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად იქმნება ახალი ტერმინები.

ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ საერთაშორისო ტერმინს სომხური ენის საკუთარი სიტყვათშემოქმედებითი პრინციპებით.

¹ იხ. ღაზარიანი, 1945; ბარსელიანი, 1978; მაცნე, 1978; იშხანიანი, 1981; მელიქსეთბეგი, 1966.

მეცნიერების დარგები:

ფილოლოგია բանասիրություն [ბანაჰესუთუენ] Philology
 филология ფილოლოგი բանասեր Philologist ფილოლოგიური
 բանասիրական Philological ფილოლოგი

ლიტერატურა գրականություն [გრაკანუთუენ] literature лите-
 ратура

ისტორია պատմություն [პატმუთუენ] history история

ასტრონომია (ძვ. ვარსკვლავთმრიცხველობა) աստղագիտ-
 ություն [ასტლაგიტუთუენ] Astronomy астрономия ასტრონომი
 աստղագետ [ასტლაგეტ] (ძვ. ვარსკვლავის-მეტყუელი, ვარსკვლავთ-
 მრიცხველი/მრიცხველი) Astronomer астроном ასტრონომიული
 աստղագիտական

ბოტანიკა բուսաբանություն [ბუსაბანუთუენ] botany ботаника
 ბოტანიკოსი բուսաբան [ბუსაბან] botanist ботаник

ზოოლოგია կենդանաբանություն [კენდანაბანუთუენ] zoology
 зоология ზოოლოგი կենդանաբան [კენდანაბან] zoologist зоолог

არქიტექტურა (ხუროთმოძღვრება) ճարտարապետություն
 [ჭარტარაპეტუთუენ] Architecture архитектура არქიტექტორი (ხუროთ-
 მოძღვარი) ճարտարապետ [ჭარტარაპეტ] architect архитектор

ეთნოგრაფია ազգագրություն [აზგაგრუთუენ] ethnography
 этнография ეთნოგრაფიული ազգագրական [აზგაგრაკან] ethno-
 graphic этнографический

გეომეტრია երկրաչափություն [ერკრაჩაფუთუენ] Geometry
 геометрия გეომეტრიული երկრաչაփական [ერკრაჩაფაკან] geometric
 геометрический

სტატისტიკა վիճակագրություն [ვიჭაკაგრუთუენ] ստատ-
 իսტიկա statistics статистика

ბიბლიოგრაფია մատենագիտություն [მატენაგიტუთუენ] biblio-
 graphy библиография ბიბლიოგრაფი მათენაგետ [მატენაგეტ] Biblio-
 grapher библиограф ბიბლიოგრაფიული მათენაგეიტასკან [მატენა-
 გიტაკან] Bibliographic библиографический

ფსიქოლოგია հոգեբանություն [ჰოგებანუთუენ] психология
 Psychology ფსიქოლოგი հոգեբան [ჰოგებან] psychologist
 հոգեբանական ფსიქოლოგიური psychological психологический

ფილოსოფია փիլիսոփայություն [ფილისოფაუთუენ] philo-

sophy ფილოსოფია ფილოსოფოსი ქიქისუძა [ფილოსოფა] ფილოსოფიური ქიქისუძასკან philosophic философический

პალეოგრაფია (დამწერლობათმცოდნეობა) ხსაყრაყითუქონ [ჰნაგრაგიტუთუქონ] Paleography палеография ხსაყრაყითასკან [ჰნაგრაგიტაკან] პალეოგრაფიული palaeographic палеографический ხსაყრაყეს [ჰნაგრაგეტ]

ეთნოგრაფია აყყაყრუქონ [აზგაგრუთუქონ] Ethnography этнография ეთნოგრაფი აყყაყრა ყეს [აზგაგრეტ] ethnographer этнографист აყყაყრასკან ეთნოგრაფიული აყყაყრასკან [აზგარაკან] ethnographic этнографический

გეოგრაფია აქსარხაყრუქონ [აქსარხაყრ] Geography география გეოგრაფი აქსარხაყრ [აშხარჰაგორ] geographer географ გეოგრაფიული აქსარხაყრასკან [აშხარჰაგრაკან] geographic(al) географический

ექსპერტიზა ჟირდაქნუქონ [ფორდაქნუთუქონ] ქირდაყითუქონ [ფორდაგიტუთუქონ] Expertise экспертиза ექსპერტი ქირდაყეს [ფორდაგეტ] expert эксперт

ფიზიოლოგია რსაქრუქონ [ბნახოსუთუქონ] physiology физиология ფიზიოლოგი რსაქრა [ბნახოს] phisiologist физиолог ფიზიოლოგიური [ბნახოსაკან] phisiological физиологический

არქეოლოგია ხსაყრუქონ [ჰნაგიტუთუქონ] archeology археология არქეოლოგი ხსაყეს [ჰნაგეტ] archeologist археолог არქეოლოგიური ხსაყრასკან [ჰნაგიტაკან] arch(a)eologic(al) археологический

არიტმეტიკა რქარანუქონ [თვაბანუთუქონ] arithmetic арифметика არითმეტიკული რქარანასკან [თვაბანაკან]

მათემატიკა მარქმასიქსა [მათემატიკა]

ეპიგრაფიკა (წარწერათმცოდნეობა) არდანაყრაყითუქონ [არდანაგრაგიტუთუქონ], ქსაყრაყითუქონ [ვიმაგრაგიტუთუქონ] Epigraphy эпиграфика

ლოგიკა თრამარანუქონ [ტრამაბანუთუქონ] Logic логика ლოგიკური თრამარანასკან [ტრამაბანაკან] logical логический

პალეონტოლოგია ხსაყრანუქონ [ჰნეაბანუთუქონ] ხსაქრუქონ Paleontology палеонтология პალეონტოლოგი [ხსაყრან] პალეონტოლოგი ხსაყრანასკან [ჰნეაბანაკან] პალეონტოლოგი ური paleontological палеонтологический

ენათმეცნიერება:

ტერმინოლოგია ლექსიკონის [ეზრებანუთუენ], ლექსიკონის [ეზრებარუთუენ], სინტაქსიკონის [ტერმინაბანუთუენ] terminology терминология ტერმინი ლექსიკონი [ეზრ]

ლინგვისტი (ენათმეცნიერი) ლექსიკონი [ლეზვავეტი] linguist языковед ლინგვისტიკა (ენათმეცნიერება) ლექსიკონის [ლეზვავეტი] linguistics языковедение

ლექსიკოგრაფია ლექსიკონის [ბარარანაგრუთუენ] lexicography лексикография ლექსიკოგრაფი ლექსიკონის [ბარარანაგირ] lexicographer лексикограф

ლექსიკონი ლექსიკონი [ბარარან], ლექსიკონი [ბარგირქ] dictionary словарь

გრამატიკა გრამატიკის [კერაკანუთუენ] grammar грамматика

ფონეტიკა ფონეტიკის [ჰნენაბანუთუენ] phonetics фонетика

მორფოლოგია მორფოლოგიის [ძევაბანუთუენ] morphology морфология

სინტაქსი სინტაქსის [შარაჰესუთუენ] syntax синтаксис

ფონემა ფონემა [ჰნენა] phoneme фонема ფონოლოგია ფონოლოგიის [ჰნენა] ფონოლოგია

პრეფიქსი (თავსართი) სინტაქსი [ნახაწანც] prefix префикс

სუფიქსი (ბოლოსართი) სინტაქსი [ვერჯაწანც] suffix суффикс

ინფიქსი სინტაქსი [მიჯაწანც] infix ინფიქსი [მიჯამასნიკი] სინტაქსი [ნერაწანც] infix ლათ. in fixus ინფიქსი ინფიქსური სინტაქსი [მიჯაწანცავორ] ინფიქსაცია სინტაქსი [მიჯაწანცავორ] infixation инфиксация

აფიქსი (სართი) სინტაქსი [აწანც] affix аффикс

არტიკლი სინტაქსი [არტიკლი] article артикль

აბსტრაქცია აბსტრაქციის [ვერაცუთუენ] abstraction абстракция

აბსტრაქტული აბსტრაქტული [ვერაცუთუენ] abstract абстрактный

კონკრეტული კონკრეტული [კონკრეტული] concrete конкретный

სინონიმი სინონიმი [ჰომანიში] synonym синоним

ლექსიკოლოგია ლექსიკონის [ბარაგირქუთუენ] lexicology лексикология

სემანტიკა (სემასიოლოგია) ქმასათაწარმოების [იმასტა-ბანუთუენ] Semantics семастика

მეტასემია (მნიშვნელობის შეცვლა) ქმასათაწარმოების [იმასტაფოხოთუენ] ქმასათაწარმოების [იმასტაფოხოთუენ] metasemie

ლექსიკა წარმოადგენს [ბარაბაშარ] vocabulary

დიალექტი წარმოადგენს [ბარბარ] dialect диалект დიალექტოლოგია წარმოადგენს [ბარბარაბან] წარმოადგენს [ბარბარაბან] დიალექტოლოგია წარმოადგენს [ბარბარაბანუთუენ] წარმოადგენს [ბარბარაბანუთუენ] dialectology диалектология

ომონიმი ხმასთან [ჰამანუენ] სიტყვასთან [ნუენანუენ] homonym
ОМОНИМ

ანტონიმი ხმასთან [ჰაკანუენ] antonym антоним

ეთნონიმი ლენინსკი [ეთნონიმი] ethnonym этноним

ფორმა მს [ქვე] form форма

დიფთონგი წარმოადგენს [ერკარბარ] ექსტენსივი diphthong
ДИФТОНГ

ტრიფთონგი წარმოადგენს [ერკარბარ] triphthong трифтонг

პალატალური (ენა-სასისმიერი) ქმასთან [ქიმქაინ] ქმასთან [ქიმქაინ] palatal палатальный небный

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, ქართულ ენაში უთარგმნელად დატოვებულ საერთაშორისო სიტყვებს სომხურში ხშირად სომხური შესატყვისები აქვს. უცნაურია ის, რომ, ქართულისაგან განსხვავებით, სომხურში უთარგმნელადაა გადატანილი სპორტული ტერმინები: ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი.

სომხური ტერმინოლოგიური სიტყვათქმნადობის ძირითადი პრინციპები ასეთია:

1. სომხურ ენაში საერთაშორისო წარმოების სიტყვების გადმოცემისას გამოიყოფა ერთგნებიანი და ორ- ან მეტგნებიანი კომპოზიტები;

2. სომხური ცნებები წარმოიქმნება და შედგება მეტყველების სხვადასხვა ნაწილისგან. შედგენილი საერთაშორისო სიტყვები (კომპოზიტები) იწარმოებიან ორი ან მეტი ფუძისგან (ძირიდან) სომხური კომპოზიტების წარმოების ზოგადი წესების შესაბამისად კომპოზიტის შემადგენელი წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან **ა** მაკავშირებელი ხმოვნით (ფონეტიკური ვარიანტია **ე** ხმოვანი). გვხვდება უკავშირო შეერთება.

3. სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისაგან წარმოებული სა-

ერთაშორისო ცნებები გასომხურებისას მთავარია შინაარსობრივი პრინციპი.

4. კომპოზიტებში მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა მონაწილეობის თვალსაზრისით მრავალფეროვანი სურათი წარმოგვიდგება: ა) ზმნის ძირი + არსებითი, ბ) არსებითი + არსებითი, გ) ზედსართვი + არსებითი დ) ნაცვალსახელი + არსებითი და სხვ.

5. საერთაშორისო სიტყვების წარმოებისას გამოიყენება სომხური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები (ძირები, ძირები + მაწარმოებლები, კომპოზიტები).

6. საერთაშორისო ტერმინოლოგიური სიტყვაქმნადობა შეეხება მეცნიერების და სხვა ხასიათის დარგებს: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საზუნებისმეტყველო, სამედიცინო, პოლიტიკურ, სპორტულსა და სხვ.

7. მეცნიერული შინაარსის არსებითი სახელის აბსტრაქტული ტერმინების წარმოებისას გამოიყენება მაწარმოებლები: ություն [უთაუნ], ում [უმ] = ობა, ება), խոսուիւթյուն [ხოსუთაუნ] = მეტყველება, գիտուիւթյուն [გიტუთაუნ] = მცოდნეობა, լոգիա [ლოგია].

8. მთელ რიგ შემთხვევებში სომხურად წარმოებულ საერთაშორისო ტერმინების გვერდით გამოიყენება მათი უცხოური „დედანი“ სიტყვებიც (ლექსიკონებში მითითებულია).

9. მიუხედავად იმისა, რომ სომხურს ორიგინალური საერთაშორისო ტერმინების სიტყვაქმნადობის მდიდარი ტრადიცია აქვს, არცთუ იშვიათად სიტყვები უთარგმნელადაა დატოვებული.

10. გვაქვს შემთხვევები, როცა სომხურში გვხვდება ფრანგული ფორმით დამკვიდრებული საერთაშორისო სიტყვები – սյուշე [საუჟე] „სიუჟეტი“ Siuzhe, კონფერენცია կոնֆერանს Conference

ლიტერატურა

3. ბარსელიანი, 1964 - 3. ბარსელიანი, ტერმინოლოგიის გზამკვლევი, ერევანი.

რ. იშხანიანი, 1981 - რ. იშხანიანი, სომხური ენის ტერმინმშენებლობის ნარკვევი, ერევანი.

მაცნე, 1978 - ტერმინოლოგიისა და მართლწერის მაცნე, ერევანი.

მ. ღაზარიანი, 1945 - მ. ღაზარიანი, ტერმინოლოგიის კომიტეტის გადაწყვეტილებების გზამკვლევი, ერევანი.

Merab Robakidze**Armenian equivalents of foreign terms****Summary**

1. In the Armenian language in the formation of international equivalents of foreign terms are monosyllabic, two-syllable and more concepts.

2. The terms are composed of different parts of speech. Components are represented by two or more roots under general rules for the preparation of composites Armenian _ connecting vowel a, or without it.

3. Terminology of the Armenian language was initially predominantly national character. Modern terms consist of three parts_ purely national, borrowed and mixed.

4. Among the different principles used to create Armenian equivalents for foreign words, the main is the principle of word content.

5. To form composite Armenian international equivalents of foreign words presented different ways, traditional Armenian

6. different languages form terms from different sources . In compound words of armenian language in the sense of participation of different parts of speech the following variety: a) the root of the verb +noun b) noun+ noun c) noun+ adjective d) pronoun+ noun, etc.

7. The terminology of the Republic of Armenia has traditionally been the center of national attention and ongoing. Armenian language learning begins in the fifth century. New - New Field Glossary create a live process. The terms of the creation of the Republic of Armenia, one might say, has traditionally been the center of national attention and continues to develop intensively

8. Terminology of the Armenian language has traditionally always been in the center of attention of the Armenian state and even now continues to develop intensively.

გიორგი სარაჯიშვილი

გიორგი ნიკოლაძე – ტექნიკური ლექსიკონის თანაავტორი

*გიორგი ნიკოლაძე საქართველოს
სინამდვილეში მათემატიკის რაინდია
და ასეთად დარჩება ერის ისტორიაში*

თბილისში პოლიტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა „საქართველოს ტექნიკური საზოგადოება“ ინჟინერ გიორგი გედევანიშვილის თავმჯდომარეობით, ხოლო 1918 წელს კი „საზოგადოებასთან“ სატერმინო სექცია გაიხსნა ინჟინერ ვასილ კაკაბაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენა დაევალა. მან პრესის საშუალებით რამდენჯერმე მიმართა თხოვნით ქართველ საზოგადოებას მონაწილეობა მიეღო მუშაობაში. რამდენიმე პირი სატერმინო სექციაში სამუშაოდ მივიდა, მაგრამ, როცა გაირკვა ტერმინოლოგიის შედგენის სირთულე, გარეშე პირებმა და „საზოგადოების“ ბევრმა წევრმა უარი თქვეს. დარჩა მხოლოდ „საზოგადოების“ ოთხი წევრი, ინჟინრები: ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, დავით ბერეკაშვილი და ირაკლი მჭედლიშვილი.

1919 წელს თავისი მასალებით სექციაში შევიდა მეორე ჯგუფი: რუსუდან ნიკოლაძე-პოლიექვტოვისა არაორგანულ ბუნებასა და ქიმიკაში 1918 წელს გაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნებული ტერმინებით; ინჟინერი გიორგი ნიკოლაძე (რუსუდანის თანადგომით) ელემენტარული მათემატიკის, ასევე ქართულად გადმოთარგმნილი „საშევარდენო ტანვარჯიშის“ ტერმინოლოგიითა და ინჟინერი ივანე ბერიძე 1911-13 წლებში სასოფლო სკოლის საჭიროებისათვის დამუშავებული მასალებით. იმავე პერიოდში ჯგუფს შეუერთდა მიხეილ შალამბერიძე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, 1918 წელს ქიმიკაში და გაზ. „საქართველოში“ 1915 წელს „ქართულად ათეულობით აღრიცხვის შესახებ“ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

„გაზრდილი“ და „მოღონიერებული“ სექცია ყოველდღიურ დამატულ შრომას შეუდგა. რვაკაციანი კოლექტივის – ინჟ. ვ. კაკაბაძის, ინჟ. გ. გედევანიშვილის, დ. ბერეკაშვილის, ინჟ. ირ. მჭედლიშვილის, რ. ნიკოლაძე-პოლიექვტოვისას, ინჟ. გ. ნიკოლაძის, ინჟ. ივ. ბერიძის, მ. შალამბერიძის – მიერ შექმნილი წიგნი: „რუსულ-ქართული ტენი-

კური ლექსიკონი“, ანუ „სიტყვარი“, „საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის“ დამატებით 1920 წელს გამოქვეყნდა.

Словарь-ს ბერძნული „ლექსიკონის“ და გერმანული Wörterbuch-ისდაგვარად „სიტყვარი“, ე. ი. სიტყვით კრებული დაარქვეს.

ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა: პოლიტექნიკურ სასწავლებელში, ეკატერინე ნიკოლაძის ბინაში და დიდ-ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლში.

ტერმინოლოგიების უქონლობის გამო სიტყვებს ყველა თავისებურად ხმარობდა, ამიტომ არევ-დარევა სუფევდა. ჯგუფისათვის ტერმინების დადგენას არა მარტო ყოველდღიურ ცხოვრებაში, არამედ მეცნიერულ და სპეციალურ საკითხებში, აზრებისა და ცნებების გადმოცემას, სიმარტივეს, სიცხადეს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში დაყოვნება შეუძლებლად მიიჩნიეს და შედგენა ააჩქარეს, ჯგუფის წევრებმა უკვე შემუშავებული ტერმინები საზოგადოების სამსჯავროზე წინასწარ წარადგინა. ტერმინებს გაზეთ „მრომაში“ ოთხი თვის (აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) ნომრებში აქვეყნებდნენ, მაგრამ, როგორც დღესაც ხდება, მათმა ცდამ მიზანს ვერ მიაღწია და საზოგადოების გამოხმაურება ვერ გამოიწვია.

ჯგუფი გულს არ იტეხდა. მუშაობას განაგრძნობდა. პროცესში დარწმუნდა, რომ ტექნიკა იმდენად გადახლართულია მეცნიერების ბევრ დარგთან (მათემატიკა, მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია-მინერალოგია და სხვ.) შეუძლებელია ტექნიკური ენის შექმნა, სანამ მეცნიერების დარგთა ტერმინოლოგია არ შემუშავდება, იძულებული გახდნენ სამეცნიერო ტერმინოლოგიების შემუშავებისათვის ხელი მოეკიდათ. აცხადებდნენ: „ამ მუშაობით ჩვენი ქვეყნის მომავლით, მისი განათლების, განვითარების და დაწინაურების პერსპექტივებით ვხელმძღვანელობთ“. ამით კოლექტივი ამართლებდა მათი მოღვაწეობის გაფართოებულ არეალს მეცნიერების დარგებთან.

დახმარებისათვის ჯგუფი მიმართავდა ივანე ჯავახიშვილს, რომელიც შესაფერის დახმარებას უწევდა და განმარტებებს აძლევდა. თხოვნით მიუმართავთ ანდრია ბენაშვილისა და ანდრია რაზმაძისათვის, რომელთა არაერთი ტერმინით ისარგებლეს. განსაკუთრებით ემადლიერებოდნენ მოსე ჯანაშვილს ტერმინების შესწორებისათვის. მიუმართავთ ვუკოლ ბერიძისათვის სიტყვების სწორად შედგენისათვის. ჯგუფი მაღლობას უხდიდა დიმიტრი ყიფიანის შვილს კოტეს და ლუარსაბ ბოცვაძეს საჭირო მასალების გადაცემისათვის. მაღლობელნი იყვნენ: ინჟინერ ალექსანდრე გიჟიმერელისა, რომელმაც მინე-

რალოგიისა და გეოლოგიის ტერმინოლოგიის შემუშავების დროს თვალსაჩინო დახმარება გაუწია; ინჟინერ ივ. ყიფშიძისა (სამთამადნო); ინჟინერ ბ. ჭიჭინაძისა (მათემატიკა); ინჟ. ნ. გოკიელოვის (ნავთშენება); ინჟ. ალ. კანდელაკის თანადგომის.

ჯგუფმა დაიწყო ტერმინოლოგიის შედგენა განსაკუთრებული პრინციპით შემუშავებული სისტემის მიხედვით, რაც შემდეგს გულისხმობდა:

„1. ნამდვილი მეცნიერული ტერმინოლოგია თავიდან ბოლომდის დედაენაზე უნდა გამოსახულიყო, მასში არც ერთი უცხო, ე.ი. სხვა ენებიდან და ხელოვნურად გადმოღებული სიტყვა არ უნდა შედიოდეს;

2. ასეთ პირობებში შედგენილი ტერმინოლოგია ჭეშმარიტად მეცნიერული, საყოველთაო და ეროვნული იქნება;

3. არც ერთ იმ დარგს, რომელიც ტექნიკის ღერძს და საძირკველს შეადგენს, ქართული ენა ჯერ არ შეხებია. კერძო პირების და ჯგუფების შემუშავებული მეცნიერული ტერმინები და ლექსიკონები უსისტემო, შეუთანხმებელი და ცალმხრივი გამოდგა. თანამედროვე კულტურასთან დაახლოვებას და მის დონემდე ამაღლებას მეცნიერული ენის გაეროვნება იწვევს და არა გაერთაშორისება;

4. ცხოვრება და მეცნიერება მანამდე დაშორებული იყვნენ, აწი ერთი უმეოროდ ვერც იხარებს და ვერც გაძლებს. ქვეყნის წინსვლა მათ სიმბიოზზეა დამყარებული. სახალხო ტერმინოლოგია ცნებების და აზრების სახელთსახვას უნდა წარმოადგენდეს. მეცნიერებას ვერავითარი საყოველქვეყნო ენა არ შეუქმნია და კიდევ რომ შეექმნა, ვერაფრად გამოადგებოდა. ყველა ხალხს თავისი საკუთარი ენა აქვს და ექნება;

5. ყველა ქვეყნისათვის ერთი მთლიანი და სრული ტერმინოლოგია არც არსად არის, ვერც გაჩნდება და კიდევ რომ გაჩნდეს, ვერასგზით ვერ შესძლებს ყველა ქვეყნების მეცნიერების დაახლოვებას და შეერთებას. ტერმინები კიდევ რომ მართლა საერთაშორისო იყოს, მათი გამოყენება ყოველ ხალხში და ქვეყანაში მაინც თავისებური და უცხოელთათვის გაუგებარი იქნებოდა;

6. ევროპასთან დასალაპარაკებლად და მისგან ცოდნის გადმოსაღებად მისი საკუთარი ენების შესწავლა და ხმარებაა საჭირო. რაც შეიძლება მეტი ევროპული ენები უნდა შევისწავლოთ“ (სიტყვარი, 1920: 2-7).

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ჯგუფი ფიქრობდა:

„ა) რატომ უნდა მიგვაჩნდეს შეუწყნარებლად, თუ სამასხროდ ინტეგრალისათვის გასაგები სახელის ამორჩევა, როცა სავსებით ამავე კატეგორიის ცნებას – производная-ს, ყველგან ეროვნული სახელი ჰქვია;

ბ) რატომ უნდა დარჩეს ხელუხლებელი уравнения, როცა ყველგან ეროვნული სახელი აქვს მითვისებული;

გ) უცხო სიტყვების ფონზე ეროვნულ სახელებთან ცნებებს შენდობა არა აქვთ, გაუგებარი ტერმინებით აღნიშნული კი ოლიმპის ხელუხლებელ არსებად გვეჩვენება;

დ) გერმანიაში და საფრანგეთში მეცნიერთა თაოსნობით ხან ერთი საერთაშორისო ტერმინი (ნომენკლატურა) იცვლება ეროვნულზე, ხან – მეორე;

ე) ტერმინი აზრის, ცნებების შეგნებას და შეთვისებას უნდა გვიადვილებდეს;

ვ) გერმანულ მათემატიკურ ლიტერატურაში სიტყვა „დიამეტრი“, თითქმის აღარ იხმარება, მის ნაცვლად Durchmesser-ია შემოღებული. ბევრს გონია, რომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა დიამეტრი, ინტეგრალი, ან ლოგარითმი ყველა ქვეყნისათვის სამარადო და ურყევა. რადიუსსაც აქა-იქ ეროვნული სახელი გაუჩნდა – Halbmesser კორდინატებსაც – zeiger და სხვ.;

ზ) მეცნიერებას ესაჭიროება – ეროვნული ენა. მეცნიერება ინტერნაციონალურია. ცოდნა და ანგარიში ყველგან ერთია. ერთია ყველგან მეცნიერული კვლევა. ერთია ბუნების და ცხოვრების კანონები. საერთო უნდა გახდეს ზომები, ფული და დროის აღრიცხვა. ამას მოითხოვს კულტურის მომავალი გაერთაშორისება;

თ) ვისაც ერთხელ უცდია დიდისა და პატარისათვის ცოდნის გადაცემა, მან კარგად იცის, რა დაბრკოლებას წარმოადგენს უცხო და გაუგებარი ტერმინები და მათზე დამყარებული სქოლასტიური სწავლება, რომელიც გონებას ჩაგრავს და ცარიელ მექანიკურ მეხსიერებას ავითარებს. საჭირო და აუცილებელი უნდა იყოს სამეცნიერო ენის სრული გაეროვნება. საერთაშორისო ტერმინოლოგია საფრთხეს უქმნის ქართულ ენას, რადგან ჩვენი ენა იმდენად მდიდარი და მეტყველია, მოკლესიტყვოვანი, მოქნილი და მხატავი, რომ მას ევროპაში ბევრი ტოლი არ მოეპოვება, უძნელესი აზრების და ურთულესი ცნებების რამდენიმე ელფერით, მარტივად გამოთქმის მხრივ“ (სიტყვარი, 1920: 15).

ეროვნული იდეოლოგიით შეპყრობილი ჯგუფი აცხადებდა:

„საქმე მთლიანად თავიდან დასაწყებია, ჯერ გვიან არ არის“ და საერთაშორისო ტერმინების გაეროვნება დაიწყო. „უკეთეს მომენტს ვეღარ ვეღირსებით!“ (სიტყვარი, 1920: 20).

ითვალისწინებდნენ რა ევროპულ ტერმინოლოგიას, ცნებებს ჯგუფებად ყოფდნენ და ამის შემდეგ იწყებდნენ სათანადო ქართული სახელების შექმნას. საჭირო ფესვების (ძირების) ამოსარჩევად და რამდენიმე მსგავს მონათესავე ცნებებისათვის შეთანხმებული სახელების დასარქმევად მოსაზღვრე ცნებებს და მათთვის შესაფერ ფესვებს ყველას ერთად სინჯავდნენ, ერთმანეთს ადარებდნენ, ამის შემდეგ ანაწილებდნენ ამორჩეულ ფესვებს. თუ არც ახალი და არც ძველი სიტყვა შეუცვლელად არ გამოადგებოდათ, ასწორებდნენ ან ამ სიტყვების ფესვებიდან ახალ ფორმებს ადგენდნენ „ენის კანონების მიხედვით“.

სიტყვების შედგენაში სამი მიზანი ჰქონდათ. სიტყვები უნდა ყოფილიყო: „1. მტკიცე მეცნიერული, ე.ი. ცნების უძირითადესი თვისების გამომსახავი; 2. ნამდვილი ქართული და მეტყველი; 3. რაც შეიძლება მარტივი, საყოველთაო ენიდან მკაფიოდ გამოსარჩევი, მოკლე და კარგი ნაწარმოები“ (სიტყვარი, 1920:22).

მათ მუშაობას საფუძვლად დაედო: 1. ყველა დარგის მეცნიერული შინაარსი; 2. მოწინავე ქვეყნების და რუსეთის ტერმინოლოგიები; ერთმანეთში შედარებით საუკეთესოს და უახლესის ამორჩევა; 3. პედაგოგიკის მოთხოვნილებანი და სამერმისო გეგმები; 4. მეცნიერული და პედაგოგიური კრიტიკა, რომელიც ყოველ დარგში ცალ-ცალკე აჩვენებს, თუ რა არის მოძველებული და შესაცვლელი ტერმინოლოგიები; 5. მომავალი საყოველთაო განათლების საჭიროებანი. ქართული ენის ხასიათი, კანონები და თავისებურებანი. ფილოლოგიის ნაკვლევი.

მასალად იხმარეს: 1. ლექსიკონები (ს. ს. ორბელიანის, რ. ერისთავის, დ. ჩუბინაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, კ. ყიფიანის და სხვ.); 2. ძველი მეცნიერული ენის ნიმუშები (იოანე პეტრიწი და სხვ.); 3. ყველაფერი, რაც მანამდე ქართულად გამოქვეყნებული იყო დარგებში, ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიები, საკითხავი წიგნები და სხვ.; 4. ხალხური კილოკავები, ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ნახმარი ხალხური სიტყვები; 5. ძველი მწერლობა; 6. სასულიერო წიგნები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურისა: გერმანული, ფრანგული, ინგლისური ლექსიკონები და ტერმინოლოგიები (სიტყვარი, 1920: 20).

ლიტერატურიდან ამოკრეფილ მასალებს ერთმანეთს ადარებ-

დნენ, მისაღებს იღებდნენ, ცდილობდნენ მხედველობიდან არ გამოჰპარვოდათ ის გარემოება, რომ ტერმინოლოგია ყოველ წელიწადს ვერ გამოიცვლება და რომ მათი საშვილიშვილო საქმე თავიდანვე მრავალმხრივ მოფიქრებული და მტკიცე საფუძველზე შემუშავებული უნდა ყოფილიყო.

Степень-ს სახელი ასე ამოურჩიეს: СТУПЕНЬ-ის მეორე სახელი „დანდალი“ აიღეს, სახმარ სიტყვად გადააქციეს და „დანდალი“ დაარქვეს. კვადრატულ, ანუ მეორე ხარისხის შეთანასწორებას „ორდანდა“ შეტოლება დაარქვეს. ბიკვადრატულს იოს. ავალიშვილის დარქმეული „ორორზომიანის“ ნაცვლად „ორფაორდანდა“ უწოდეს.

გამოსახულებებს x^5 ხარისხში – x ხუთ დანდი, ხოლო x^{10} ხარისხში ათდანდი უწოდეს; „ხარისხის ამალეობას“ – ადანდება; „ფესვის ამოღებას“ – ამოფესვა; „გალოგართმებას“ – დანდსახება დაერქვა, „ხარისხის ხარისხით ამალეობას“ – დანდის ადანდება, „მესამე ხარისხით ამალეობას“ – სამად ადანდება (სიტყვარი, 1920: 26).

ჯგუფი აცხადებდა: „ყოველ ძირითად ცნებას თავისი საკუთარი ფესვი ან რაიმე სპეციფიკური და მარჯვედ სადრეკი ფორმა უნდა ამოერჩეს. ტერმინების შეთხზვის დროს შორს წინხედვა არის საჭირო, ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ენის გამდიდრებას ორი გზა აქვს: ერთი არის ახალი ფორმების შედგენა, მეორე კი ახალი ფესვების გაჩენა. ენის ჭეშმარიტი გამდიდრება ამ ფესვების შექმნაშია. სხვისი ფესვიანი სიტყვა თავის ბუნებრივ ნაწარმოებს ვეღარ შექმნის“ (სიტყვარი, 1920: 27-28).

არ მოსწონდათ ჯგუფის წევრებს, რომ „უძველესი ქართული სამეცნიერო ენის შემქმნელნი სიტყვა სიტყვით სთარგმნიდნენ ბერძნულ ტერმინებს და ფორმაზე არ ფიქრობდნენ, მათთვის მხოლოდ ამორჩეული სახელის შინაარსს ჰქონდა მნიშვნელობა. მათი ტერმინები ხშირად რამდენიმე სიტყვისაგან შედგება“. მაგ. „ქვეყნის მზომელი“ – გეომეტრი, „სწორ საზომობა“ – სიმეტრია, „პირველი ახსარებითი“ – აქსიომა და ა.შ.

„ჩვენი მოვალეობაა ტერმინების შედგენის დროს საქართველოზე და მის მომავალზე ვიფიქროთ!“

„მრავალ კუთხედებს“ მრავალკუთხედი, სამკუთხედს – სამკუთხი უწოდეს; многоугольник-ს – მრავალკუთხედი; многогранник-ს – მრავალწახნაგი და ა.შ.

ჯგუფი ამაცობდა, რომ „უთავსართო სიტყვებმა სრულიად შეცვალეს და გააევრობილეს მთელი ჩვენი მეცნიერული ენა. რა დიდი

მნიშვნელობა ჰქონია ამ პატარა მარცვლების მოშორებას“. მაგ. отношение-ს შეფარდების მაგიერ – ფარდობა დაარქვეს; „თანასწორობას“ – ტოლობა. „ორი შეფარდების თანასწორობას“ – равенство двух отношении-ეს – ორფარდობის ტოლობა. ამრიგად, პროპორციის ნაცვლად შეიქმნა – ტოლფარდი, пропорциональный-ი – ტოლფარდა გამოვიდა; პროპორციონალობა – ტოლფარდობა გახდა; ეპროპორციონალებიან, ე. ი. пропорциональный-ს – ეტოლფარდებიან. ფესვი – „ტოლი“ სხვაგანაც გამოადგათ, მაგალითად დაერქვა: Равенство-ს – ტოლობა; Уравнение-ს – შეტოლება; Приравнивание-ს – მიტოლება; Эквивалент-ს – ტოლფასი; Равновелики-ს – ტოლდიდი.

Предел-ისათვის უნივერსიტეტში ხმარებული ტერმინი მიიღეს – ზღვარი, определенный – განზღვრული, предельный – ზღვარული; აქედან – განუზღვარი, განუზღვარობა, განზღვრულობა აწარმოეს.

სიტყვიდან „გნება“-ში (ე-ს ო-ზე შეცვლით) მოკლე სახელი შეადგინეს – გნობა. პეტრიწის „ქვეყნის ზომვას“ – გეომეტრიას – სივრცეგნობა, ე.ი. სივრცის გნობა დაარქვეს. გეომეტრიისათვის ახალი ფუძე შეადგინეს – სივრცეგნ, геометрический – სივრცეგნური, геометр – სივრცეგნელი.

„მათემატიკის ენა ფოლადივით ბასრი და ბროლივით ანკარა უნდა იყოს“, _ აცხადებდა კოლექტივი. „თანასწორს“ ამოურჩიეს – ტოლი. აქედან равноугольный треугольник-ს – ტოლკუთხა სამკუთხედი დაარქვეს, ხოლო прямой-ს პეტრიწის მიერ შემოღებული – წრფე („წაიღუაროს რად წენტილი შეიქმს წრფელსა...“).

Прямой угол-ს „პერპენდიკულარობისაგან“ და არა „სწორობისაგან“ წარმოშობილი სახელი უწოდეს. „პერპენდიკულარს“ – მართობი დაარქვეს, взаимно перпендикулярные-ს – თანამართობი. Прямой угол-ს მართი კუთხე უწოდეს; прямоугольный треугольник-ს – მართკუთხა სამკუთხედი. „მართ“ ფესვიდან ბევრი სხვა ტერმინი მიიღეს. სიტყვა „სწორი“ правильный-სთვის დატოვეს, რადგან „ეს სახელი მხოლოდ ამ ცნებას გამოსახავს“.

ადრე правильное და прямое решение-ს ორივეს „სწორი ამოყვანა“, ანუ „ამოხსნა“, ერქვა, სიტყვა „სწორის“ მრავალმნიშვნელობის გამო ჯგუფი იძულებული გახდა правильные фигур-ებისათვის – „წესიერი“ ე.ი. „ნორმალური“ ფიგურები ეწოდებინა. Нормальная ფიგურაც წესიერი გამოდიოდა და правильная-ც, ამიტომ правильная фигура-ს სწორი ნაკვთი უწოდეს, нормальная-ს კი – წესიერი.

Линия-ს იოანე პეტრიწის მიერ ხმარებული სახელი – წირი უწოდეს, რადგან იოანეს ნაშრომში „ასე აქვს ნათქვამი“: „ველის-ზედა და წირი უსხეულოზედ შეეხებიან სხეულსა და განეყოფიან“ (სიტყვარი, 1920: 37-38).

მათემატიკური და ფიზიკური წერტილები ერთმანეთისაგან განასხვავეს – გეომეტრიულს წერტი უწოდეს, წერტილი კი მისი ნივთიერი გამოხატულებისათვის დატოვეს. მაგ. პოლუსი, ცენტრი, ფოკუსი – წერტია, ხოლო გამრავლების ნიშანი წერტილი. მექანიკიდან „материальная точка“, ქართულად „ნივთიერი წერტი“ იქნება“.

Поверхность-ს ფართეული უწოდეს. ზედაპირი კი ჩვეულებრივი მნიშვნელობისათვის დატოვეს. Площадь ромба, боковая поверхность, полная поверхность цилиндра და სხვ. – ყველა ფართია. Квадрат-ისათვის შემოიღეს წესფართი, ე.ი. ერთეულად მიღებული ფართი; квадратная единица – წესფართა ერთეული. ჯგუფს მიაჩნდა, რომ მათეული ცნებების განსაზღვრა და დაყოფა ამდიდრებდა მათემატიკურ ენას, აძლევდა მეცნიერულ შინაარსს, ხოლო გეომეტრიული ტერმინოლოგია ყოველდღიური ცხოვრების ენიდან გამოირჩეოდა.

ევროპაში შემოღებულ ათობით სისტემაზე, ნუმერაციაზე, უფრო „თორმეტობითი“ ბევრად უკეთესი ეჩვენებოდათ. ქართული „ოცობითი“ ზეპირი თვლის დატოვება შეუძლებლად მიაჩნდათ, მით უმეტეს, რომ ასს ზევით ოცობითი თვლაც ათობითი ხდება და „უფრო მეტად აძნელებს ნუმერაციის შეგნებას. ათეულების სახელები სრულიად არ შეესაბამება ანალოგიურ ასეულების, ათასეულების და სხვა разряд-ების სახელებს“.

მიუღებლად მიაჩნდათ, რომ ზეპირი თვლა „ჩამორჩენილი“ და შეუსაბამო დარჩენილიყო. „ხალხს ეს თვლა არც ზეპირად ეხერხება. ფულს ის თუმნობით, ე.ი. იმავე ათეულებით და არა ოცეულებით ითვლის. ორმოცი მანეთის მაგიერ ის ოთხ თუმანს ხმარობს. როცა რიცხვების კარნახით ჩაწერაზე მიდგება საქმე ნუმერაციის ქართულად ახსნის საჭიროებამ ერთიანად შეურყია საფუძველი ქართულად თვლის სისტემას. ბავშვს უჭირს შეგნება სამ-ოცი „ექვსიანით“ და არა „სამიანი“ ციფრით რატომ იწერება, როცა სამიც, ცამეტიც, სამასიც და სამი ათასიც სამიანების შემწეობით ისახება. 60-ის მაგიერ ის აუცილებლად 320-ს წერს, 39-ის 2019-ს, 90-ის 42010,.. მანამ ცალცალკე არ მიეჩვევა თითოეული ამგვარი უცნაური რიცხვების წერას. ისე, როგორც რამდენიმე საუკუნის წინ საქართველომ ასოიანი აღრიცხვა მიატოვა და არაბული ციფრები შემოიღო. ასევე გადაჭრით და ერთბაშად

განათლებული ქვეყნების თვლაზე უნდა გადავიდეთ. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან ქართული ენა ბუნებრივი მართლწერით არის შესანიშნავი: სიტყვა როგორც გამოითქმის, ისე იწერება; ვინც ასოების გარჩევას და წერას შეისწავლის, ის წერა-კითხვის სრული მცოდნეა. ამ მხრივ ჩვენი ენა, ფრანგული და ინგლისური ენების მოწინააღმდეგე პოლუსია. რიცხვების წერაში კი სწორედ ამის საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. აქ ევროპას ჩვენი მართლწერის ადგილი უჭირავს, ჩვენ კი მათი ხელოვნურად და გაუგებრად გასაზიარებელი“ (სიტყვარი, 1920: 26-27).

ჯგუფს შეუწყნარებელად მიაჩნდა ასეთი შეუსაბამობის დატოვება. „რიცხვების წერა ქართული წერა-კითხვის შესაფერად უნდა გავამარტივოთ“, რისთვისაც შვიდი ახალი ფესვი შემოიღეს: 30-ს – სამ ათი დაარქვეს; 40-ს – ოთხ ათი; 50-ს – ხუთ ათი; 60-ს – ექვს ათი; 70-ს – შვიდ ათი; 80-ს – რვა ათი; 90-ს – ცხრა ათი.

20-ისათვის ადრინდელი ოცი დატოვეს; 21-სათვის – ოც-და-ერთი; 31-ს სამათერთი და არა „სამათ-და-ერთი“; 45-ს – ოთხათხუთი; 98-ს – ცხრათრვა დაერქვა.

Сороковой-ს – მეოთხათე; сорок первый-ს – ოთხათპირველი; пятьдесят шестой-ს – ხუთათმეექვსე; шестидесятый-ს – მეექვსათე; семидесятый-ს – მეშვიდათე და ა.შ. ნულებიან ერთეულებზე გამრავლება, წინანდელი წაკითხვით: „ათჯერ ოთხმოცი – რვაასია“, ახალით კი – „ათჯერ რვაათი რვაასია“. მაგ. სამი ექვსიანით დაწერილი რიცხვი – 666, წაკითხება ასე – „ექვსას ექვსათ ექვსი“; 999 კი – ცხრაას ცხრაათ ცხრა. 92 – ქართულად ითქმის ოთხმოცდა თორმეტი, ბავშვი წერდა – 42012; 573-ტი – ხუთას სამოცდა ცამეტი, ბავშვი წერდა – 532013, ახალი ტერმინებით კი ეს სიძნელე „ერთბაშად ისპობა!“. ეხლა – 92 – ცხრაათ ორი, 573 – ხუთას შვიდათ სამი.

„რადგან ადრე „რაზრიადების“ წერაში ვარჯიში შეუძლებელი იყო ბავშვების მათემატიკაში გასაწრთვნელად, ევროპული მეთოდების გამოყენებით, ახლა უკეთ იქნება რიცხვების კარნახი, რადგან უწინდელი რიცხვები, ამის საშუალებას არ იძლეოდა“ (სიტყვარი, 1920: 44-45).

მილიონს, ბილიონს, ტრილიონს და ა.შ. სახელები შეუცვალეს, ეს სიტყვები, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ, სრულიად გამოუდგარიანო. რადგან „მილიონია“ – $1\ 000\ 000 = 1000^2$, ამიტომ – მილიონს ორდანი ე.ი. ათასის მეორე „დანდი“ უწოდეს. ბილიონს – სამდანი; ტრილიონს – ოთხდანი და ა.შ.

ერთეულის ნაწილებს სახელები შეუშოკლეს: „მესამედის“ და „მეოთხედის“ მაგიერ, – შესაბამისად სამედი და ოთხედი დაარქვეს. $1/5$ -ს – ხუთედი და არა მეხუთედი. $0,1$, ანუ $1/10$ – ათედი და არა მეათედი. წინსართი – მე, რიგითი რიცხოვან სახელებისათვის დატოვეს: მესამე, მეოთხე და ა.შ.

ნახევარს – $1/2$ – ერგ დაარქვეს. ეს სიტყვა საღვთო წიგნებიდან ამოიღეს. მაგ. ერგასი – ნახევარ ასი. მაგ., დაერქვა: полусумма-ს – ერგჯამი; полупразность-ს – ერგსხვაობა; полукруг-ს – ერგწრე.

ალგებრას „ალგებრი“ დავარქვითო, რადგან ეს სახელი არაბული – „ალ ჯებრ ვ'ალმუკაბალა“-სგან არის წარმომდგარო (algebr V'almucabala), რაც ნიშნავს восстановление და противоположение-ს; „სიტყვა „ალგებრა“ ამ ფრაზის პირველი ნაწილის შეცდომით გამოთქმას წარმოადგენს და მხოლოდ გერმანიაში და რუსეთში იხმარება; საფრანგეთში და ინგლისში კი მას შესაბამისად „ალჟებრი“ ან „ალჯებრი“ ჰქვია“ (სიტყვარი, 1920: 44).

Отрицательный და положительный რიცხვების ქართული სახელები არ აკმაყოფილებდათ, რადგან ტერმინები „დადებითი“, „უარყოფითი“ „სრულად ვერ სახავენ რიცხვებს“, მაგრამ სამაგიერო კარგი სახელები ვერ გამოუჩნახეს. „ევროპაში „პოზიტივი“ და „ნეგატივი“ ჰქვია. დადებითის წინააღმდეგი „დაუდები“ იქნება და მათ უნდა ჰოდებოდათ და უარდებითი ან დიახითი და უარიით ან რაიმე ამგვარი სახელები უნდა ეწოდოს“ (სიტყვარი, 1920:44).

Бесконечно "малый"-ს და бесконечно "большой"-ს ჩვეულებრივი „დაუბოლოვებლად მცირე“ და „დაუბოლოვებლად დიდის“ მაგიერ ამ ორი ძირითადი ცნების „ნამდვილი შინაარსის სათანადო სახელები ვუწოდეთ: უსასრულოდ მღევი და უსასრულოდ მზარდი, რადგან წინანდელი სახელები შემცდარ წარმოდგენებს ბადავენ“.

მოქმედების სიმბოლოებს მოკლე და ადვილად სახმარი სახელები დაარქვეს: Плюс (+) – მატ; минус (-) – კლებ, умножить или умноженный (x) – მრავლ; _ разделить или деленный (:) – ყოფ; равняется (=) – ტოლია (და არა უდრის); больше (>) – დიდია; меньше (<) – მცირეა. მაგ. $[(5+3-2):7] \times 3$ წაიკითხება: ხუთი მატ სამი, კლებ ორი, ყოფ შვიდი (და არა შვიდად), მრავალ სამი (და არა სამზე).

შენიშვნა: ფორმულის ამოკითხვაში რიცხვების და ასოების სახელები მოქმედებათა სახელების მიხედვით არ იბრუნვის, გარდა „ფესვის ამოღების“ სახელისა.

$$ax^2 + cx - \sqrt[3]{b} = \frac{c}{d} \text{ წაიკითხება ასე: } a \text{ იქს ორდანდი, მატ } c \text{ იქს,}$$

კლებ სამდანდა ფესვი ბესგან ტოლია ცე ყოფ დე. შენიშვნა: როცა ტოლობის ნიშანს მხოლოდ ერთი რიცხვი ან ასო მოჰყვება, მაშინ მისი სახელი იბრუნვის; მაგ. = ტოლია ბესი და არა „ტოლია ბე“.

$$\text{გამოსახულება: } a + b + \frac{c}{d} \text{ წაიკითხება – } a \text{ მატ ბე, მატ ცე ყოფ დე,}$$

$$\text{ხოლო } a + \frac{b+c}{d} \text{ კი } a \text{ მატ წილარი ბე მატ ცე ყოფ დე.}$$

ფრჩხილებისათვის ასეთი სახელები შემოიღეს: фигурные скобки - { } – გარე ფრჩხილები; квадратные - [] – დიდი; обыкновенные - () – უბრალო.

„Открыть скобки“ – წინა ფრჩხილები {, [, (, წინა გარე, წინა დიდი, წინა უბრალო ფრჩხილი. „Закреть скобки“),], } – ბოლო ფრჩხილები; ამრიგად, {[ა-(ბ+ც)-დ]-ც} ასე წაიკითხება: წინა გარე ფრჩხილი, წინა დიდი ფრჩხილი, აკლებ, წინა უბრალო ფრჩხილი, ბე მატ ცე, ბოლო უბრალო ფრჩხილი, კლებ დე, ბოლო დიდი ფრჩხილი, კლებ ცე, ბოლო გარე ფრჩხილი. $\sqrt[5]{a+b}$ извлечь корень 5-й степени из а+б – ა მატ ბეს ხუთ დანდად ამოფესვა; возвысить (а-б) в кубе – ა კლებ ბეს სამად ადანდება; прологарифмировать $\frac{a}{b}$ – ა ყოფ ბეს დანდსახება (სიტყვარი, 1920: 45).

დიდი შრომისა და გარჯის მიუხედავად, „სიტყვარს“ გამოქვეყნების დღიდან დიდხანს არ უარსებია. იგი დაიწუნეს და ამოიღეს ხმარებიდან. წიგნის ეგზემპლიარები შემორჩენილია: ეროვნულ, უნივერსიტეტის, ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკებში და ლიტერატურის მუზეუმში.

შემდგენელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მათი ბევრი ფუნდამენტური ტერმინით დღეს მათემატიკის ენა სარგებლობს. საბჭოთა კავშირში ტექნიკური ტერმინოლოგია 1925 წელს გამოვიდა. „სიტყვარის“ შესახებ საბოლოოდ გვინდა ვთქვათ, რომ რვაკაციანი ჯგუფის მიერ შედგენილ ამ ლექსიკონს დროისთვის რომ გაეძლო, ყველა ჩვენგანი იამაყებდა მისი პირველობით.

Giorgi Sarajishvili**Giorgi Nikoladze – Co-author of Technical Dictionary****Summary**

In 1920, the first technical terminology was published, which was based on: 1. Dictionaries (S. S. Orbelini, R. Eristavi, D. Chubinshvili, N. Chubinishvili, K. Kipiani etc.). 2. Ancient scientific language samples (Ioane Petritsi etc.). 3. Everything that had previously been published in Georgian in specific fields, terminological dictionaries, textbooks, magazine and newspaper articles, books etc. 4. Folk idioms, folk words of various parts of the country. 5. Ancient writings; 6. Religious books. In addition, German, French, English dictionaries and terminology.

The opinions of the dictionary compilers: “The root or any specific form for each basic concept should be chosen. It is important to be careful when coining terms. At the same time, we should not forget that the language enriches in two ways: the first is creating new forms and the second is the emergence of new roots. A word containing another word’s root cannot create its own natural formation.”

“It is our duty to think about Georgia and its future while compiling terminology!”

Despite the hard work, the first Georgian technical dictionary did not exist long. It was rejected and removed from use. It should be noted, to the credit of compiling team, that their efforts have not been lost. The terms, they created, are still used.

რევაზ სვანიძე, რატი სხირტლაძე, ალექსანდრე ღლონტი

**კავშირგაბმულობის ინგლისურ-რუსულ-ქართული
განმარტებითი ლექსიკონი**

კავშირგაბმულობის დარგში თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მზარდი განვითარების პროცესში ლექსიკონის საჭიროება სრულიად ცხადია და დარგის განვითარების ობიექტური მოთხოვნებით არის განპირობებული. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ქართული ტექნიკური აზროვნება და აქედან გამომდინარე ტექნიკური და ტექნოლოგიური ტერმინები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო რუსულ სივრცესა და ტერმინებთან, მაგრამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა სრულიად შეიცვალა: კავშირგაბმულობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების ახალი სახეობები, ძირითადად, დასავლეთისა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ფინეთი და სხვა) და აზიის (იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა) ქვეყნებში იწარმოება და მათი დასახელებები და ტერმინებიც ინგლისურენოვანია, ხოლო საქართველოში 20-40 წლის წინ გამოცემული კავშირგაბმულობის ტერმინოლოგიური ლექსიკონები მოძველდა და აუცილებელი გახდა ლექსიკონის შექმნა კავშირგაბმულობის ისეთ მიმართულებებში, როგორებიცაა: მობილური კავშირი, ინტერნეტი, ბოჭკოვანოპტიკური, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტელერადიომაუწყებლობა და ა.შ. ამავე დროს საქართველოს კავშირგაბმულობის დღევანდელი ქსელები (განსაკუთრებით ფიქსირებული, მაგისტრალური), ტელერადიოსამაუწყებლო ტექნოლოგიები ჯერ კიდევ რუსული წარმოებისაა, რომ არაფერი ვთქვათ ამ ქსელების გაყვანის, აპარატურის მონტაჟის ნორმებსა და წესებზე. ასევე უკანასკნელ ათწლეულში კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის შერწყმის გამო წარმოიშვა მრავალი საერთო ტერმინი; ბუნებრივია, ლექსიკონში აუცილებელია ასეთი ტერმინების ასახვაც.

თანამედროვე კავშირგაბმულობაში ყველა ძირითადი სტანდარტი, ნორმა, შემოკლება, განსაზღვრება, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები ინგლისურენოვანია. ამ ტერმინთა ძირითადი არსი, განსაკუთრებით შემოკლებები არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფებისათვისაც კი რიგ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად განმარტებული არ არის. ბუნებრივია, განმარტებით ლექსიკონ-

ში უნდა აისახოს კავშირგაბმულობის ტერმინთა დადგენილი, ნორმატიული ფორმები.

კავშირგაბმულობის შემუშავებულ ტერმინთა სამენოვანი (ინგლისურ-ქართულ-რუსული) განმარტებითი ლექსიკონი ამ ეტაპზე მოიცავს 8500-მდე სიტყვას, ტერმინს და განმარტებას: ტელეკომუნიკაციის სადენიანი, უსადენო, მობილური კავშირის, რადიოტექნიკის, ინტერნეტის, საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობის დარგში სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და მეტროლოგიის, ციფრული კავშირის, გადაცემის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების, ინფორმატიკის, საკანონმდებლო, ეკონომიკური და სხვა მიმართულებით. ლექსიკონი, გარკვეულწილად, საცნობარო ხასიათისაა, მრავალი სიტყვა და ტერმინი საკმაოდ ვრცლად არის განმარტებული.

ლექსიკონით სარგებლობა, მისი დიზაინი (არქიტექტურა) მარტივი და მოხერხებულია. საჭირო სიტყვების მოძებნა შესაძლებელია როგორც ქართული, ისე ინგლისური ტერმინის აკრეფით. გაფართოებული ძიების საშუალებით ასევე შესაძლებელია ტერმინებისა და მათი განმარტებების მოძიება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტები; სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ევროპული ინსტიტუტის ტერმინები (ETSI), კავშირგაბმულობის საერთაშორისო გაერთიანება (ITU), ადგილობრივი კავშირის სატელეფონო ქსელები და ა.შ. ამავე დროს შესაძლებელია მოძებნოთ ტერმინის წყარო (ლექსიკონში მითითებულია ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალი).

კავშირგაბმულობის ტერმინთა ლექსიკონზე მუშაობისას გამოიკვეთა სხვადასხვა სახის სირთულე, რომლებიც შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად:

პირველი კატეგორია: ტერმინები, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტებში ასახულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭიროა მათი შეცვლა, მაგალითად:

თანალოკაცია – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდების მიზნით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ გამოყოფილ სათანადო სიდიდის თანალოკაციის ფართობზე მსურველი ავტორიზებული პირის დაშვება და მისი ტექნიკური საშუალებების განთავსებისა და საოპერაციო მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფა.

ვირტუალური თანალოკაცია – ურთიერთჩართვის მიმწოდებელი ოპერატორის შენობაში გამოყოფილ თანალოკაციურ ფართზე ურთიერთჩართვის მსურველი ოპერატორის მიერ ურთიერთჩართვის ტექნიკური საშუალებების განთავსება, მათი ელექტრონული მონიტორინგი საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

მეორე კატეგორია: ტერმინები, რომლებიც ფართოდ არის დანერგილი მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ მაინც საჭიროა მათი გარკვეული გადამუშავება, მაგალითად:

ინსტალაცია – ტექნიკური საშუალების (დანადგარი, აპარატურა) აპარატურული (პროგრამული) გაწყობა-გამართვა (დაყენება).

პროტოკოლი (Protocol, Протокол) – წესების ნაკრები, რომელიც არეგულირებს მონაცემების მიღება/გადაცემის პროცესს. პროტოკოლი წარმოადგენს სტანდარტს, რომელიც განსაზღვრავს ფუნქციური ბლოკების ქცევას მონაცემების გადაცემის დროს. პროტოკოლი მოცემულია ერთ დონეზე განთავსებული ფუნქციური ბლოკების ურთიერთქმედების წესების ნაკრების სახით; რეალიზდება პროგრამების ერთი ან რამდენიმე ჯგუფის საფუძველზე: აღწერს შეტყობინებათა სინტაქსს, მონაცემების ელემენტების სახელებს, მართვის მდგომარეობის ოპერაციებს და ა.შ. არსებობს მრავალი სახის პროტოკოლი: მონაცემების გადაცემის, მობილური კავშირის და სხვა. ეს ტერმინი ფართოდ არის დანერგილი არა მარტო კავშირგაბმულობაში, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებშიც.

მესამე კატეგორია: ტერმინები, რომლებიც მკვიდრდება ქართულ ტექნიკურ ლიტერატურაში, თუმცა არსებობს მათი შესატყვისი სხვა ტერმინებიც. მაგალითად:

მულტიპლექსორი – IEC 61931-1(6.52) სტანდარტების მიხედვით „ტალღური მულტიპლექსორი (MUX)- წარმოადგენს განტოტებას ორი ან მეტი შესასვლელი პორტით და ერთი გამოსასვლელი პორტით ისეთი სახით, როდესაც, სხივური ნაკადი თითოეულ პორტში შეზღუდულია წინასწარ არჩეული ტალღების დიაპაზონით, ხოლო გამოსასვლელი წარმოადგენს ამ პორტების სხივური ნაკადების კომბინაციას, ე.წ. აგრეგატულ ნაკადს.“

დემულტიპლექსორი – ტალღური დემულტიპლექსორი: IEC 61931-1(6.53) სტანდარტების მიხედვით „ტალღური დემულტიპლექსორი (DEMUX) – ეს არის მოწყობილობა, რომელიც ასრულებს მულტიპლექსორთან მიმართებით შებრუნებულ ფუნქციას, სადაც შესასვლელი წარმოადგენს ოპტიკურ სიგნალს, რომელიც აერთიანებს

ტალღათა ორ ან მეტ რაოდენობის და თითოეული პორტის გამოსასვლელი შეესაბამება სხვადასხვა, წინასწარ არჩეული დიაპაზონის ტალღათა სიგრძეს“.

კავშირგაბმულობის ტექნიკურ ლიტერატურაში მულტიპლექსირების ნაცვლად ადრე გამოიყენებოდა ტერმინები: **შემჭიდროვება, დამკვრივება**, მაგრამ რა ვუწოდოთ ამავე ტერმინის მიხედვით **დემულტიპლექსორს** – მულტიპლექსირების, ანუ შემჭიდროვების, დამკვრივების, შებრუნებულ ოპერაციას?

მეოთხე კატეგორია: ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ მოცემული მოქმედების, პროცესის შინაარსს, მაგრამ უჭირთ პრაქტიკაში დამკვიდრება, მაგალითად:

გამორეცხვა (გამოხეხვა) წყარო: ადგილობრივი კავშირის სატელეფონო ქსელების სახაზო ნაგებობები Рус: Прошпарка.

ბოძური საყრდენის მისაბრჯენი (ქვესაყრდენი) – მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებულია ადგილობრივი სატელეფონო ქსელის კუთხის, საკაბელო, დამაბოლოებელი (ბოლო) საჰაერო (ბოძებიანი) ხაზებისათვის Рус: подпора столбовой опоры: Устройство, предназначенное для крепления угловой, кабельной, оконечной столбовых опор воздушной линии местной телефонной сети.

ბოძინტი – Рус: тумба.

ბოძის (დგარის) საყრდენის გაჭიმვა – მავთული ან ბაგირი, რომლის დანიშნულებაცაა ადგილობრივი კავშირის სატელეფონო ქსელის საჰაერო ხაზის ბოძის (დგარის) საყრდენის გაძლიერება Рус: оттяжка столбовой [стоечной] опоры: Проволока или канат, предназначенные для укрепления столбовой [стоечной] опоры воздушной линии местной телефонной сети.

განმარტებითი ლექსიკონის საბოლოო ვერსიის დადგენისას აუცილებელია ენათმეცნიერთა ჩართვა.

კავშირგაბმულობის ინგლისურ-რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი (პირობითი სახელწოდებით **ტელესაკომუნიკაციო ტერმინების ლექსიკონი**) განთავსებულია ვებგვერდზე www.gncc.ge სასარგებლო ინფორმაციაში, ან შეგიძლიათ გადახვიდეთ პირდაპირ ბმულზე <http://www.ena.ge/gncc-online2?gnccge=gnccge>.

Revaz Svanidze, Rati Skhirtladze, Aleksandr Glonti

**English – Russian – Georgian Explanatory Dictionary for
Communication**

Summary

In the communication field, during the process of growing development of modern techniques and technologies the need of a vocabulary is clear and caused by an objective demand of the field development. Till the 90s of the last century Georgian technical thinking and therefore, technical and technological terms were largely connected to the Russian space and Russian terms, but in the recent years the situation has completely changed: new kinds of communication techniques and technologies are mainly manufactured in the Western (U.S., UK, Germany, France, Finland etc.) and Asian (Japan, China, South Korea) countries and accordingly their names and terms are in English; In Georgia, the terms that were published 20-40 years ago are outdated, and it became necessary to create a dictionary of communication in areas such as mobile communication, the Internet, fiber-optical, information-telecommunication technologies, radio and TV broadcasting etc. During the last decade due to the merging of communication and computing technology a number of common terms have been created. Naturally, it is necessary to reflect the terms in a dictionary. Communication trilingual English - Georgian - Russian and Georgian - English - Russian explanatory dictionary is a kind of a reference book. Using the vocabulary and its design (structure) are simple and efficient. One can find a right word by typing both Georgian and English words. You can find it at <http://www.ena.ge/gncc-online2>.

ლია ქაროსანიძე

ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენა უშუალოდაა დამოკიდებული სამეცნიერო ენის განვითარებაზე. თუ სამეცნიერო წრეები ზრუნავენ ენაზე, ქმნიან ტერმინებს, რომლებიც ქართული ენის ცოცხალ ლექსიკას თუ ძველ ქართულ მწერლობაში არსებულ მასალებს ეყრდნობა, ენა სწორად ვითარდება, მრავალი ტერმინი დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ბუნებრივი ნაწილი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ენის განვითარება სამეცნიერო წრეების დამსახურებაა, ენის დაცემა - მეცნიერული მუშაობის შესუსტების შედეგი. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით შეაფერხა ქართული ტერმინოლოგიისა და, შესაბამისად, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება.

ქართულ ტერმინთშემოქმედებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ისტორია სრულად ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. შესაძლოა ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ტერმინთშემოქმედების სკოლების გამოყოფის საკითხი არასოდეს დასმულა. ჩემი აზრით, საკუთარი მეცნიერული ხედვისა და მიმართულების განსაზღვრით, ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმებით, ქართულ ტერმინთშემოქმედებაში თამამად შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი განსხვავებული სკოლა:

1. X-XII საუკუნეებისა;
2. ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა;
3. ე. წ. სიტყვარისტებისა;
4. საბჭოთა პერიოდისა.

როგორი უნდა იყოს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგია: ქართული, ქართულიც და საერთაშორისოც თუ საერთაშორისო – ეს არის ის უმთავრესი საკითხი, რომლის შესახებ დავა იყო და იქნება მომავალშიც. მთავარი ისაა, რომელმა რა შედეგი მოუტანა ქართულ ენას, რომელი გზა იყო გამართლებული, რომელი – გაუმართლებელი. დღეს ამ საკითხის კვლევა და გარკვეული დასკვნების გაკეთება ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლით სავსებით შესაძლებელია.

თითქმის ყველა, ვისაც ქართული ტერმინოლოგიის საკითხებსა თუ, ზოგადად, ისტორიაზე უმუშავია, ერთ რამეზე თანხმდება: საუ-

კუნეების ქართული ტერმინთშემოქმედება ჩვენს დროისაზე წინასწარ-ლია და სიშორის მიუხედავად, ბევრ რამეს გვასწავლის¹. ეს პერიოდი სწორედ იმითი არის გამორჩეული, რომ მთელი ევროპული კულტურის, მეცნიერების, ტერმინოლოგიის საფუძვლად აღიარებული ბიზანტიური კულტურა ქართველმა მთარგმნელებმა ისე გადმოიღეს, ქართული ენის ბუნება არასოდეს დავიწყებიათ. სწორედ ამ დროიდან იწყება ქართული ენის საკითხების კვლევა, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება. ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა და სხვებმა მრავალი ახალი სიტყვა შემატეს ქართულს, ენობრივი საკითხებისადმი მათი მიდგომის შედეგია ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: არსი, არსებობა, ხედვა, ხედვითი, არარაობა, ძლიერება, გონი, გონიერება, განცდა, ვითარება, მეცნიერება, უმეცრება, იგივეობა და მრავალი სხვა. ამ დროს შეიქმნა ქართული ფილოსოფიური, გრამატიკული, მათემატიკური ტერმინები.

ენა, ბუნებრივია, ცოცხალი ორგანიზმია. იგი ვითარდება სხვადასხვა ეპოქასა და გარემოში. ნასესხობა ამდიდრებს თუ აღარიბებს ენას – ამ საკითხზეც დავობდნენ და დავობენ მეცნიერები. ერთი რამ ცხადია: უცხო ენების გავლენის ქვეშ მყოფი ენა, თუ მას ძველი ქართველი მთარგმნელების ან ილია ჭავჭავაძის მსგავსი გულშემატკივარი არა ჰყავს, ბუნებრივი გზით ვერ განვითარდება. სწორედ ასე მოხდა მე-13 საუკუნიდან: ქართულ ენაში შემოიჭრა თურქულ-სპარსული ნასესხობები, რომლებმაც, ცხადია, ქართული ენის ძირძველი სიტყვობრივი საუნჯე შეცვალა. ამას დაერთო მე-19 საუკუნე, ქართული სალიტერატურო ენისთვის უმძიმესი ხანა.

თუ რა შეუძლია ქართულ საზოგადოებას ენის გადასარჩენად,

¹ „რვა-ცხრა საუკუნის წინ ქართული მეცნიერული ენა ასეთი ღარიბი და უშნო არ ყოფილა; იმ დროის ხელნაწერები ნათლად გვიჩვენებენ, რამდენად მდიდარი და ეხლანდელზე უფრო განვითარებული ყოფილა მაშინდელი ქართული მეცნიერული ენა და რამდენად ჩვენზე უფრო სწორედ გრძნობდნენ ჩვენი განათლებული წინაპრნი თავიანთი ხალხის მოთხოვნილებებს და სამეცნიერო ტერმინები გაეროვნების აუცილებელ საჭიროებას („სიტყვარი“, 1920: 15).

„განსაკუთრებით დამაბულ ტერმინოლოგიურ მუშაობას აწარმოებდნენ გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო მათ მიერ შექმნილი ტერმინები, არამედ მათი მსჯელობაც ამა თუ იმ ტერმინის დადგენისა და ვარგისობის შესახებ. ერთი სიტყვით, წარმოება ნამდვილი ტერმინოლოგიური მუშაობა“ (ბერიძე, 1952: 29).

ამისი შესანიშნავი მაგალითი გვაქვს, საბედნიეროდ, საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამედროვეებმა თითქმის თავიდან შექმნეს ქართული სალიტერატურო ენა. სკოლა, თეატრი, ბანკი თუ სხვა დაწესებულება ჩვენში, ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებები უნდა ემსახურებოდეს ქართველი ერის წინსვლასა და ეროვნული ნიშნის უფლებათა დაცვასა და წარმატებას, ე. ი. ქართული ენის მოვლასა და მზრუნველობას, ზრდასა და განვითარებას, აღორძინებასა და აყვავებას. ამას ითხოვდა ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთაგან, ასე ქმნიდა ახალ სალიტერატურო ენას. სწორედ ამ საქმის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების-თანავე ქართველებმა შეძლეს ქართული სახელმძღვანელოების გამოცემა.

უეცრად მოპოვებულმა თავისუფლებამ თითქმის ამოუხსნელი საკითხები დაუყენა წინ ქართველ მეცნიერებს: სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული. იმ ყველაფრის განვითარებისთვის კი სამეცნიერო ენის საჭიროებას ხედავდნენ უპირველესად. „სამეცნიერო ტერმინოლოგია ჩვენს საუკუნეში ამ ღერძს წარმოადგენს, რომელზედაც მთელი თანამედროვე კულტურული ცხოვრება ტრიალებს უმაღლესი პარლამენტარიზმიდან ქვანახშირის თიხამდე, უზენაესი მათემატიკა-ფილოსოფიიდან წვრილ-ფეხას მოშენებამდე“, – წერდა ვასილ კაკაბაძე („სიტყვარი“, 1920: 1)

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან დაიწყო ქართული ტერმინების შეგროვება, მოწესრიგება, დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა. ამ დროს ყველაზე მეტად გამწვავდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორი ტერმინები უნდა დაემკვიდრებინათ ქართულში: საზოგადოების ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ტერმინების შექმნა საჭირო არ არის, არაფერია იმაში ცუდი, თუ საერთაშორისო ტერმინებს შემოვიღებთო. სატერმინოლოგიო სექციის წევრები: ვასილ კაკაბაძე, გიორგი გედევანიშვილი, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, ირაკლი მჭედლიშვილი, ივანე ბერიძე, მიხეილ შალამბერიძე ეწინააღმდეგებოდნენ ამ აზრს და, ჩემი აზრით, შესანიშნავადაც ამტკიცებდნენ თავიანთ თვალსაზრისს. ვფიქრობთ, საერთაშორისო სიტყვები დროთა განმავლობაში ესპერანტოს მსგავს ჟარგონს დაამსგავსებდა ან ბაბილონური ზვავის ქვეშ მოიყოლებდა ქართულს („სიტყვარი“, 1920: 19-20; ქაროსანიძე, 2012: 75-82).

მათ მიზნად დაისახეს უკლებლივ ყველა სიტყვის გაქართულება და ამ გზით ახალი ქართული სამეცნიერო ენის შექმნა. როგორც რ.

დამბაშიძე წერდა: „ეს იყო თავგანწირული შრომა, ნაკარნახევი საქმის სიყვარულითა და ერის ინტერესებით“ (დამბაშიძე, 1981: 155). ივ. ჯავახიშვილი ხუმრობით მათ „ბანგნასვამ სიტყვარისტებს“ უწოდებდა.

ივ. ჯავახიშვილი არსებითად სხვაგვარი ტერმინოლოგიური მუშაობის მომხრე იყო. იგი წინააღმდეგი იყო ხელოვნურად შექმნილი ტერმინებისა და ქართულ წყაროებში ეძებდა ახალი ცნებების შესატყვისებს. ასეთი განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეებსაც: რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი და სხვები ამტკიცებდნენ: საჭიროა თავიდან შევიტყოთ, თუ რა და რა ტერმინები გვაქვს ჩვენს ქართულ ენაზე ძველ წიგნებში. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და სხვები ამტკიცებდნენ, თუ აგრე შევუდექით ჩვენს საქმეს, შორს წავა და სარგებლობა კი დიდი არ იქნებაო (დროება, 1882:2)

ვფიქრობთ, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სიტყვარისტების“ დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი გაუმართლებელი არ იყო. ქართულმა ენამ ბუნებრივად შეითვისა მათ მიერ შექმნილი იმდროისათვის ხელოვნური ტერმინები: დენი, წნეხი, წნევა, ხსნარი, მინარევი, ბრჯენი, სადენი, კუთრი, წინაღობა, ხრახნი, ნათურა, მართობი, მართი კუთხე და სხვ.

შეიძლება მეტიც დამკვიდრებულიყო, მაგრამ ტერმინთშემოქმედების ეს გზა საბოლოოდ უარყო საბჭოთა ეპოქამ. 1926 წლიდან სატერმინოლოგიო მუშაობას უშუალოდ ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა. როგორც ვუკოლ ბერიძე წერდა 1935 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის შესავალში: „სატერმინოლოგიო კომიტეტს თავის მუშაობაში იმთავითვე (1926 წლიდან) სახელმძღვანელო პრინციპად ჰქონდა ეს თვალსაზრისი: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ტერმინების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მისი თარგმნა. ამხ. ფ. მახარაძეს არაერთხელ მიუქცევია ყურადღება, რომ არაფერს მატებს ქართულს და უარსაყოფია ისეთი ხელოვნურად შექმნილი ტერმინები, როგორებიცაა: ბანჭვინი (ბენზინი), ძალარი (სპირტი), მენაკი (გრადუსი), თანწყობა (სისტემა) და სხვა ამგვარი“ (ტექნიკური, 1935: V-VI).

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა ეპოქა განსაზღვრავდა კინოს, თეატრის, მხატვრობის, ისტორიის, ენათმეცნიერების და სადისერტაციო ნაშრომების თემატიკასაც კი. ამ ისტორიული ვითარების გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს ღრმად შევისწავლოთ და გავარჩიოთ, რომელი თვალსაზრისი იყო ნამდვილი და რო-

მელი - საბჭოეთის იდეოლოგია მითითება. ტერმინოლოგია ის სფეროა, რომელსაც პოლიტიკა ვერ ასცდებოდა. თითოეული ტერმინის ისტორიისა თუ, ზოგადად, ტერმინოლოგიის შესწავლისას ამ გარემოებას ვერ უგულვებელვყოფთ. ფილიპე მახარაძის ბრძანება-თვალსაზრისის მიუხედავად, ამ ეპოქაში განსხვავებულად გაგრძელდა ქართული ტერმინთშემოქმედება. როგორც კი საშუალებას ნახავდნენ, ქართულ საქმეს აკეთებდნენ დიდი ქართველი მეცნიერები, თანაც თითქოს მიგვანიშნებდნენ კიდეც ამაზე. 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვუკოლ ბერიძემ ასე შეაფასა ძველი ქართული ტერმინთშემოქმედება: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი წინაპრნი – გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი – გვჯობდნენ. ისინი ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად მშობლიური, ქართული ტერმინები დაედგინათ“ (ბერიძე, 1952:31). ვფიქრობთ, ამ სიტყვებშიც იკვეთება მისი თვალსაზრისი ქართული ტერმინოლოგიის შესახებ. ვუკოლ ბერიძის რედაქტორობით გამოსულ ლექსიკონებში საერთაშორისო ტერმინების გვერდით ქართული შესატყვისებიც უწერია. მისი გამოკვეთილი დამოკიდებულება ქართული ტერმინოლოგიის შესახებ სხვაგანაც ჩანს: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მარტო მშობლიური დარჩება სახმარებლად“ (ბერიძე, 1952:32).

ვახტანგ ბერიძე იგონებს: „მძიმე სამუშაო იყო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობა, მძიმე და გამოუჩენელი. ამ საქმისათვის ამდენი დრო და ძალა რომ არ მიემდგნა მამას, რა თქმა უნდა, ბევრად მეტი შეეძლო გაეკეთებინა „თავისთვის“, ე. ი. მეტი „საკუთარი“ გამოკვლევა დაეწერა და დაებეჭდა. უთქვამს ხოლმე, ლექსიკონზე მუშაობას ქვის კოდვა სჯობსო, მაგრამ მას უყვარდა ეს საქმე იმიტომ, რომ ესმოდა მისი ეროვნული მნიშვნელობა და იმიტომ, რომ თავდავიწყებით უყვარდა ქართული ენა. ჰქონდა ენის საკვირველი ალლო, რაც, რა თქმა უნდა, დიდად შველოდა ტერმინოლოგიურ მუშაობაში. მეც მომიხდა ჩემს ამხანაგებთან ერთად მამის ხელმძღვანელობით მუშაობა არქიტექტურის ტერმინოლოგიაზე და მაგონდება, როგორ შექმნა მან ჩვენ თვალწინ რამდენიმე ტერმინი, რომელთაც მალე მოიკიდეს ფეხი (მაგალითად, განაშენიანება - застройка, რომელმაც შეცვალა სულ სხვა აზრის მქონე გაშენება. კომისიისა და განყოფილების სხდომები, როგორც გამიგონია, ცოცხლად, საინტერესოდ და ხალისიანად ტარდებოდა. იყო კამათიც, სერიოზული მსჯელობა და „აღმოჩენის სიხარუ-

ლიც“, როცა მარჯვე ტერმინს მიაგნებდნენ. ამ სხდომათა მონაწილენი მხიარულად იგონებდნენ ხოლმე: როცა ახალი ტერმინი მიუჩვევლობის გამო გვეხამუშებოდა, ბატონი ვუკოლი გვეტყოდაო – ნახევარი საათი იარეთ ოთახში დიაგონალურად კუთხიდან კუთხეში და იმეორეთ ეს ტერმინი. ნახევარი საათის შემდეგ მოგეწონებათ და მოგეჩვენებათ, რომ მას უკვე დიდი ხანია იცნობთო. მამას შემოღებულია რამდენიმე ახალი უკვე სავსებით შეთვისებული ტერმინი-საშვები, მივლინება, შვებულება” (ბერიძე, 1987 :162)¹.

ვუკოლ ბერიძის შემდეგ ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა როგნედა ღამბაშიძის ხელმძღვანელობით გაგრძელდა. შესანიშნავმა მეცნიერმა ქართულ ტერმინოლოგიას ნამდვილი სამეცნიერო კვლევითი ბაზები შეუქმნა მომავლისთვის. მის მიერ დასახული სატერმინოლოგიო მუშაობის წყობა ასეთი იყო:

1. ძველი ქართული ტერმინოლოგიის შესწავლა;
2. ქართულ დიალექტებში დადასტურებული ტერმინების შეკრება;
3. მთელი რიგი ტერმინოლოგიური საკითხების საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა.

დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნისათვის საჭირო მეცნიერული ბაზის მქონე ენათმეცნიერების ინსტიტუტი წარმატებით წარმართავდა მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ტერმინოლოგიურ პოლიტიკას საქართველოში. ინსტიტუტში მიმდინარე ლექსიკოგრაფიული მუშაობა ერთ პრინციპს ემყარებოდა: ნებისმიერი სახის ლექსიკონი - განმარტებითი, მთარგმნელობითი თუ ტერმინოლოგიური - მთელი ინსტიტუტის საქმედ იყო ქცეული. თანხმდებოდნენ და ადგენდნენ ტერმინებს, რომლებიც ერთნაირად აისახებოდა ყველა სახის ლექსიკონში. დარგის სპეციალისტებისა და ენათმეცნიერთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობის შედეგი იყო ის ერთადერთი სწორი ნამდვილი ტერმინოლოგიური პოლიტიკა ქვეყანაში: ცენტრის მიერ მართული, სამეცნიერო კვლევებზე, ისტორიანზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედება.

რას აკეთებს დღევანდელი ქართული სამეცნიერო საზოგადოება

¹ აქვე ვ. ბერიძე ერთ ამბავსაც იხსენებს: „ანეკდოტით მიაბმეს ერთი კაცის ამბავი: ქუჩაში მამამ ჩაიარა და იმ კაცის ნაცნობმა, რომელიც მამას მიესალმა, მას უთხრა: ამისი მოგონილია სიტყვა „შვებულებაო“. იმას უპასუხნია, მაგას რომ „შვებულება“ არ გამოეგონა, ოტპუსკში ვერ წავიდოდი, თუო?“

მომავლისათვის. რა ენით საუბრობს, რას ამკვიდრებს, რომელი მიმართულების მომხრეა? დაგეგმილი, შეთანხმებული სატერმინოლოგო მუშაობის რღვევას მოჰყვა სწორედ ის, რომ 90-იან წლებში ი. ჯიბუტის ხელმძღვანელობით მომზადებული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები სავალდებულოდ ვერ იქცა.

ამ დროიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში თვითნებურად მიმდინარეობს. „ვერავინ იტყვის, რომ ტერმინები არა გვაქვს, - ვკითხულობთ 1892 წლის „დროებაში“ – მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ტერმინები გაფანტულია. საჭიროა შეიკრიბოს, გადაიხედოს და ამ გზით გამოცხადდეს საყოველთაოდ სახმარებლად, რომ ყველგან ერთგვარი ტერმინების ხმარება იქნეს შემოღებული და არა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი თავისთავად მოგონებული ტერმინებით“. XIX საუკუნის ეს საგაზეთო წერილი თითქოს ზუსტად აღწერს XXI საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს მდგომარეობას.

დღევანდელ ქართულ ტერმინთშემოქმედებას ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ საგანგაშო. ერთი მხრივ, თითქოს იქმნება ტერმინები, შესაძლოა შესანიშნავიც, მაგრამ ვერ მკვიდრდება, მეორე მხრივ, ენა ივსება უცხო სიტყვებით: კოგნიტური (ხანაც კოგნიტიური), კრეატიული, კონსენსი, ნონსენსი, დისკურსი, იდენტობა, იდენტიფიცირება, ლოჯისტიკა და სხვა ამგვარი სიტყვების მოძალემა სამეცნიერო წრეების სისუსტეზე მიგვანიშნებს. სამეცნიერო ენა უცხო სიტყვათა სიჭარბით არ ჩამოუვარდება პრესის ქართულს¹. ამ და კიდევ მრავალგვარ და მრავალფეროვან უცხო სიტყვას წააწყდებით ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში. უცხო სიტყვების ასეთი მოზღვაება საფრთხეს უქმნის თურქულ-სპარსულ-რუსულ ენობრივ იერიშს გადარჩენილ ძირძველ სიტყვათა მარაგს. თითქოს უწყინარი სიტყვა ინტენსიური ხმარებიდან დევნის რამდენიმე ქართულ სიტყვას: კოკისპირული, ხშირი, მრავალფეროვანი, მრავალგვარი; კოგნიტურმა შემეცნებითი ჩანაცვლა, კრეატიულმა - შემოქმედებითი, ნოვატორულმა - ახალი, დაფიქსირება ასევე რამდენიმე სიტყვის ნაცვლად იხმარება: დღეს ქართველი იშვიათად იტყვის „გამოვხატავ“, „აღვნიშნავ“, „გამოვთქვამ“, „გამოვკვეთ“, თითოელის ნაცვლად გამოიყენება „ვაფიქსირებ“. უკვე არსებულ (ხშირად უძველესი დროიდან დამკვიდრებულ) ტერმინებს

¹ პურიზმი აღიზიანებს ქართული საზოგადოების ნაწილს, თუმცა მისი შედეგები არავის უკვლევია ქართულში (ამის შესახებ იხ. ქაროსანიძე, 2013: 141-146).

უცხოური ენაცვლება: გაუგებარია, რა საჭიროა უკვე დიდ ხნის წინ არსებული ცნებებისათვის ასეთი ტერმინების შემოღება. ასე გაჩნდა XX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებაშიც კი უამრავი უცხო ტერმინი: პრევერბი, ადვერბი, კორელატი, გასუბსტანტივეზა და მრავალი სხვ. ჩემი აზრით, ეს განმარტება – „იგი იყენებს ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების ფუნქციით“ – ისეთივე დამახინჯებაა ქართულისა, როგორიც: „ეს არის დრაივი ლაივში“ ან „თქვენი პერფომანსი რელევანტურია“.

ჩვენ თვალწინ იქმნება უცხო და არაბუნებრივი, გაურკვეველი ენა, რომელსაც „საერთაშორისო ქართული“ შეიძლება ვუწოდოთ. ამას ბევრი ამჩნევს, ამის შესახებ ბევრი საუბრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა თავისებურად და მარტო ცდილობს სირთულის მოგვარებას. დღეს ყველა უნივერსიტეტში არსებობს სატერმინოლოგიო ჯგუფი, მეტიც: ყველა ბანკს თავის ტერმინთშემოქმედ-სტილისტი ჰყავს, სახელმძღვანელოების ავტორები თავად წყვეტენ, რომელი ტერმინი შეიტანონ წიგნებში, ამ ყველაფრის შედეგი, ცხადია, ვერ იქნება ერთიანი ტერმინოლოგია, ერთი სამეცნიერო ენა.

დღევანდელითა არსებითად განსხვავდება იმ ეპოქისაგან, როცა რამდენიმე უცხო სიტყვის გამოყენების გამო მკაცრად გააკრიტიკა ბარბარე ჯორჯადემ ილია ჭავჭავაძე. ილიას თავად ეპყრა ქართული სალიტერატურო ენის სადავეები და თითოეულ სიტყვას, შექმნილსა თუ უცხოს, თავის ადგილს უჩენდა ენაში.

დღეს სხვა საშიშროება ემუქრება ქართულს. საქართველოს თითქმის დაცლილი სოფლები საფრთხეს უქმნის ქართული სალიტერატურო ენის უმთავრეს მასაზრდოებელ ქართულ დიალექტებს, ხალხურ მეტყველებას. გლობალურ სამყაროში სხვა ერებიც ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ბევრმა მათგანმა თანამედროვე ტექნოლოგია მშობლიურ გარემოსთან შეთავსებით მიიღო. არაქართულ ვინდოუსზე გაზრდილ ახალგაზრდებს კი ქართული ანბანის გახსენებაც უჭირთ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ქართული სამეცნიერო ენის დახვეწა, გამართვა, განვითარება. ამისთვის კი ქართული ტერმინოლოგიური სკოლების მიერ უკვე დასახული გზებიდან გადახვევა და რაღაც ახლისა და უჩვეულოს გამოგონება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. ძველ მემკვიდრეობითობაზე აგებული სიახლე – ეს არის ქართული ტერმინთშემოქმედების დღევანდელი გზაც.

როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: ჩვენ ხომ ველურები არა

ვართ, რომ ყოველი საქმე მუდამ თავიდან დავიწყოთ და წინაპართა ნამუშევარს ზურგი შევაქციოთ. დაგეგმილი, შეთანხმებული, მეცნიერულად განსაზღვრული ტერმინოლოგიური მუშაობის აღდგენა გადაუდებელ ამოცანად უნდა გვექცეს დაუყოვნებლივ თითოეულ ჩვენგანს, რადგან ხვალ, შესაძლოა, ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდეს.

ლიტერატურა

ბერიძე, 1952 – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, მეცნიერება და ტექნიკა, №7, თბილისი.

ბერიძე, 1987 – ვახტანგ ბერიძე, მოგონებები, თბილისი.

დროება, 1882 – „დღიური“, „დროება“, №246.

„სიტყვარი“, 1920 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), შედგენილი საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ, საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით, ტფილისი.

ქაროსანიძე, 2012 – ლ. ქაროსანიძე, ქართული ტერმინოლოგიის სირთულენი (ისტორია და თანამედროვეობა), საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსოკოგრაფიაში, ბათუმი, 2012.

ქაროსანიძე, 2013 – ლ. ქაროსანიძე, ქართული ტერმინოლოგიის საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XIII, თბილისი.

დამბაშიძე, 1981 – რ. დამბაშიძე, „პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, V, თბილისი.

ტექნიკური, 1935 – ტექნიკური ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული, ტფილისი.

Lia karosanidze

Terminology – the Morrow of the Georgian Language

Summary

It has been known that the literary language directly depends on the development of the scientific language. If the scientific societies care about the language, create the terms on the basis of the living language or the sources of the Old Georgian Literature, the language is developing on the right track, many terms become the natural part of the literary language. In other words, when the scientific language is duely developed, the credit goes to the scientific circles and when it declines, this is the result of the insufficient efforts. During the last twenty years, the events that took place in Georgia seriously harmed the Georgian terminology and correspondingly, jeopardized development of the Georgian scientific language.

Terminological work in Georgia has its long history, but it has not been studied thoroughly yet. Maybe it is the cause, that the question of distinguishing several terminological schools never raised. To my mind, on the basis of the clearly outlined scientific approaches, courses of action, we can mark out four different schools in the Georgian terminological studies: 1. schools of the X-XII centuries, 2. Ilia Chavchavadze and his contemporaries; 3. the co-called word-ists; 4. the Soviet period.

What kind should the Georgian terminology be? 1.Georgian; 2. Partly Georgian and partly international; 3. International – this is the main issue of debates which always existed and will exist in future. It is significant for us to find out which of the mentioned principles occurred more useful for the language, which of them proved to be the right way to follow. Today, with help of the modern researches it is easy to study the whole history of the Georgian terminology and make certain conclusions.

It is well known that in the Soviet era the language and subject matter in the fields of theatre, cinema, literature, history, linguistics and the dissertation theses of all branches of science as well. Thorough historical studies will enable us to define which part of such approaches was useful and which was harmful, reflecting only the directives of the Soviet ideology. The sphere of terminology, by its character cannot avoid some political influence. We should not neglect this reality when studying history of separate terms or terminology in general.

Nowadays we have the situation in the field of the terminological work which can be referred as really alarming. From one side, the terms are created, even very good terms, but they are not implemented, from another side, the

language is contaminated with foreign words. The scientific language does not lag behind the language of the mass media, from this viewpoint. Such flood of the foreign terms threatens the Georgian language, which managed to overcome the attacks of the Turkish, Persian and Russian languages, though with great difficulties. Existing (sometimes from the earlier periods) terms are replaced by the foreign words. There is no need to introduce such foreign terms as “preverb”, “adverb”, “corelate” and so on. Beginning from the end of the XX century, we observe development of some strange unnatural language which can be called the “international Georgian”. Many linguists notice that, many talk about it, but unfortunately everyone tries to solve such problems individually. There are terminological groups in every university, and even more, every bank has its terminological stylist redactor; the authors of the manuals and textbooks use any kind of terms as they like. It is impossible get used to such situation, which surely cannot bring unified terminology as a result.

The Georgian language is exposed to other kind of threat too. The villages all over the territory of Georgia are almost emptied of population thus the Georgian dialects, the living colloquial language which has always been the source of the literary language, are endangered. Thus, nowadays there exists special need in correct Georgian terminology, correct scientific language. Our terminological schools should not turn off the determined ways of terminological work and there is no need of inventing new strange terms or copying foreign ones. The way of the Georgian terminology, in our opinion, is implementing novelty on the basis of terminological traditions.

ომარ მაგნიძე

ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიისთვის

(*ეძღვნება აკად. გიორგი ჭოლოშვილის დაბადებიდან
100 წლისთავს, 1914-1998*)

რაფიელ ერისთავის წერილმა – „რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?“ – მნიშვნელოვანი სტიმული მისცა ქართულ მოწინავე საზოგადოებას, დროულად შეექმნათ ლექსიკონები (ერისთავი, 1880, 212: 1-2). ამ მიზნით დაიბეჭდა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლების ანდრ. ღულაძისა და იოს. მრევლიშვილის წერილი სათაურით „შენიშვნა“, რომელშიც გამოაშკარავებულია როგორც სახელმძღვანელოების, ისე სათანადო ტერმინების არარსებობა (დროება, 1882, 225: 2-3). წერილის ავტორები დაბეჯითებით სთხოვდნენ ჩვენი ენის კარგად მცოდნეთ შეკრებილიყვნენ 29 ნოემბერს და წარმოედგინათ ხელთ არსებული ტერმინები ნებისმიერი დარგიდან. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ტერმინებზე მომუშავე ჯგუფის პირველი შეკრება უნდა გამართულიყო 20 ნოემბერს (შაბათს) და კიდევაც შეკრებილან, სადაც აკაკი წერეთელს უთქვამს: „დაინიშნოს რამდენიმე კომისია და ამათგან გადაიხედოს ძველად შედგენილი სახელმძღვანელონი, სადაც შეიძლება ბევრი ისეთი ტერმინი აღმოჩნდეს, რომლების ნაცვლად ჩვენ ახლა სულ სხვა არმოსახდენი სიტყვები, ტერმინები შევიმუშავოთ“ (დროება, 1882, 246:2) 20 ნოემბრის სხდომის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა მეორე დღესვე. წერილში ნათქვამია, რომ ამ სხდომას თფილისის საქალაქო სამმართველოს დარბაზში (ქალაქის რჩევის ზალაში), რომლის მიზანი იყო ქართულ ენაზე ახალი ტერმინების შემუშავება-შემოღება, ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მაჩაბელი, ჭრელაშვილი, ღულაძე და სხვები, სულ 20 კაცამდე (დასწრება ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად). კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს რაფიელ ერისთავი. ამის შემდეგ ა. ღულაძემ კრებას მოახსენა, რომ ამ საღამოს უნდა განვიხილოთ არითმეტიკასა და ფიზიკაში სახმარი ტერმინები და ეს ტერმინები მე უკვე შევკრიბეო. ტერმინების გარჩევა დაიწყო არითმე-

ტიკიდან (შრომა, 1882, 46: 3). გაზეთ „დროების“ რამდენიმე ნომერში დაბეჭდილია სხდომებზე მიღებული არითმეტიკული ტერმინები. მაგალითად მოვიყვანოთ რამდენიმეს (დროება, 1882, 258: 2).

Предметы однородные и разнородные – საგნები ერთგვარნი და სხვადასხვა გვარნი;

Единица – ცალი, ერთეული, ერთი, ერთადი, ერთა;

Числа отвлечённые и именованные – უსაგნო და საგნიანი;

Числа целые и дробные – მთელი და წილადი;

Счисление, счёт – აღრიცხვა, თვლა;

Словесное счисление – ზეპირი აღრიცხვა, письменное – წერიითი;

Класс и разряд – წყობა და რიგი;

Цифра – ციფრი;

Числа однозначные, двузначные и многозначные – რიცხვნი ერთნიშნიანი, ორნიშნიანი და მრავალნიშნიანი;

Система – წესი;

действие – მოქმედება;

Сложение – მითვლა;

Вычитание – გამოთვლა;

Решение – გამონგარიშება;

Умножение – გამრავლება;

Деление – გაყოფა;

Слагаемые числа – რიცხვნი მისათვლელნი;

Сумма – ჯამი;

Плюс – ნიშანი მითვლისა;

Задача – სარკვევი.

მეორე სხდომაზე, რომელიც იმავე დარბაზში შედგა 25 ნოემბერს, განიხილეს წინა სხდომაზე წარმოდგენილი ტერმინები და მიიღეს ერთი ტერმინისთვის ერთი შესატყვისი: Единица-სთვის წარმოდგენილი შესატყვისებიდან: ცალი, ერთეული, ერთი, ერთადი, ერთა, აირჩიეს **ცალი**. ამის შემდეგ კრება შეუდგა ახალი ტერმინების განხილვას. 2 დეკემბერს გაიმართა მესამე სხდომა ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად (დროება, 1882, 261: 3).

ტერმინების შექმნაში მონაწილეობას იღებდა მთელი საზოგადოება. იყო გამოხმაურებები. მ. ქვლივიძე სტატიაში „ქართული სამეცნიერო ტერმინების გამომკვლეველი კრების საყურადღებოდ“ წერს იმის შესახებ, რომ ქართული ზეპირი თვლა განსხვავდება რუსული ზეპირი თვლისაგან: ქართული ზეპირი თვლა ოცობითია, ხოლო რუ-

სული – ათობითი. რუსები ამბობენ: ათი-ერთი, ათი-ორი, ათი-სამი და ასე შემდეგ, ვიდრე ოცამდის. ოციდან კი ოც-და-ათამდე რუსები ისევე ამბობენ, როგორც ჩვენ: ოც-და-ერთი, ოც-და-ორი და სხვა. შემდეგი რიცხვები ორმოცამდე რუსებისთვის შედგება ოც-და-ათისაგან და რომელიმე ერთნიშნის რიცხვისგან, მაგალითად, ოც-და-ათი ერთი, ოც-და-ათი ორი და სხვა. ქართველების თვლა ტრიალებს ოც-პირველ რიცხვზე: ოც-და-თხუთმეტი, ორმოც-და-ცამეტი, სამოც-და-ჩვიდმეტი, ოთხმოც-და-ცამეტი და არა: სამი-ათი ხუთი, ხუთი-ათი სამი, შვიდი-ათი შვიდი, ცხრა-ათი სამი, როგორც იტყვის რუსი: რუსების ზეპირი თვლა და წერითი თვლა ერთმანეთს არ ღალატობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსებიც და ქართველებიც წერითი თვლისას იყენებენ მნიშვნელობის მქონე ცხრა ციფრს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, და უმნიშვნელო ციფრს 0, მაგრამ ქართული ზეპირი თვლა განსხვავდება რუსულისაგან (ქვლივიძე, 1882: 1-2). წერილის ავტორს შემოაქვს წინადადება, რომ ქართველებმა ათი ციფრის ნაცვლად შემოიღონ ოცი ციფრი: „ათი ციფრის ხმარება შეადგენს ჩვენი წერითი თვლის ნაკლს. ჯობია შევცვალოთ ზეპირი თვლა, ე. ი. დავაჩვიოთ ხალხი, რომ ოც-და-ერთის მაგივრად თქვას ორი-ათი ერთი; ოც-და-ცამეტის მაგივრად, სამი-ათი სამი. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ამ წესით დაწერილ რიცხვში პირველი რიგი არის ოცჯერ ნაკლები მეორეზე, მეორე რიგი ხუთჯერ ნაკლებია მესამეზე, ე.ი. რიგებს შორის სრული უწყეს-რიგობაა. მე ვთქვი, რაც სათქმელი მქონდა. ახლა ტერმინების გამომკვლეველ კრებაზე ჰკიდია, რომელი წესი ირჩიოს რიცხვების გამოსახატვად“ (ქვლივიძე, 1882: 3).

როგორც ჩანს, მ. ქვლივიძისთვის უცნობი იყო იოანე პეტრიწის ტერმინი **სამათი** ოცდაათის მაგივრად. ამის შესახებ საუბარია ვუკოლ ბერიძის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომში (ბერიძე, 1936: 328). სტატიაში მოყვანილია დავით რექტორის მიერ გალექსილი საბასეული ასტრონომიული განმარტებები: „ორათ სამსა მაისისას მარჩბივ იმოსს ჭრელ პეპერას“, „ორათხუთსა სეკდემბერსა სასწორშია შენატკეცი“, „ორათხუთსა დეკემბერსა თხის რქას მოაქვს წმინდოსანი...“ ამ ციტატების შესახებ ვ. ბერიძე შენიშნავს: „ლექსი პროზაულ ცნობას იმეორებს, მაგრამ საყურადღებო აქ სხვა რამ არის, სახელდობრ: სამგან ათობითად ნახმარი რიცხვები ორათ-სამი და ორათ-ხუთი. მოგეხსენებათ, რა უხერხულობაა ქართულში იმის გამო, რომ რიცხვების გამოთქმასა და დაწერილობას შორის განხეთქილებაა, სახელდობრ: ზეპირად ვითვლით **ოცობით** და ვწერთ **ათობით**. ეს გარემოება უდიდეს

დაბრკოლებას ქმნის ბავშვთათვის ანგარიშის სწავლებისას და უკვე დიდი ხანია დაისვა საკითხი ათობით თვლაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ. როგორც ჩანს, ეს საკითხი წინათაც ყოფილა დასმული, წინათაც უგრძვნიათ ათობითი თვლის საჭიროება. ასე მაგალითად, იოანე სინელის „კლემასის“ ქართულ თარგმანში (პეტრიწი) ოცდაათის მაგივრად გვხვდება სამათნი: სამათნი გვარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმულნი; სამათნი კიბენი სათნოებათა და სხვა“ (ბერიძე, 1936: 328).

მე-19 საუკუნეში ქართული ტერმინთშემოქმედება ძალიან მძიმედ და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის მიზეზი კარგად აქვს ახსნილი ვუკოლ ბერიძეს: „მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ტერმინოლოგიის დამუშავება კერძო საქმედ იყო მიჩნეული. მუშაობდა მხოლოდ ესა თუ ის ცალკე პიროვნება თავისი საკუთარი ინიციატივით“ (ვ. ბერიძე 1952: 29-30).

იყო სუბიექტური, თანაც მძლავრი მიზეზიც – რუსეთის მმართველობის მცდელობა ქართული ცნობიერების, პირველ რიგში, ქართული სიტყვის დაკნინებისა, რაც აისახა სხვადასხვა პუბლიკაციაშიც:

- 1) ბ. სემიონოვის აზრით, სახალხო (საერო) სასწავლებლებში სწავლა უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს წიგნებიო და არც ტერმინებიო (ერისთავი, 1880, 212: 1-2);
- 2) „ზოგიერთი რუსი და ჩვენი გარუსებული ტეტებიც კი გაიძახიან გულ-კეთილის მთავრობის წინაშე: რად უნდათ ქართველებს დედა-ენაზედ სწავლების ნება რომ მიეცეთ, მაგათ ენაზედ არავითარი მეცნიერების გადაცემა არ შეიძლებაო. საჭიროა, ეს უბედურება ავიცილოთ თავიდან და ამისათვის ჩვენს ენაზედ სამეცნიერო ტერმინები შემოვიტანოთ... მაშინ ჩვენს მასწავლებლებსაც გაუადვილდებათ სწავლება და ყმაწვილებს კი სწავლა და ვერც ზოგიერთი რუსი და გარუსებულები დაგვიძახებენ, თქვენი ენა ბარბაროსული არის, იმაზედ მეცნიერების სწავლა შეუძლებელი არისო“ (შრომა, 1882, 46: 3);
- 3) 1903 წლის 14 იანვარს დირექტორების, ინსპექტორების, პედაგოგების, მეურნეთა, სასულიერო პირთა, ინტელიგენტთა და ჟურნალისტთა დიდ შეკრებაზე ქართველმა პედაგოგმა ივანე პავლეს ძე როსტომაშვილმა განაცხადა: „სახელმწიფო ენის – რუსულის სწავლება ცალკე საგნად საზიანოა სახელმწიფო ენის ინტერესებისთვის და რომ ყველა საგანი, დაწყებული მეორე

კლასიდან, უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე“ (გოგებაშვილი, 1954: 455-461).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ფონზე შეუძლებელია მე-19 საუკუნეში გვქონოდა ჩამოყალიბებული სამეცნიერო ენა, შექმნილიყო დარგობრივი ტერმინოლოგია.

ქართული მათემატიკური ტერმინების ჩამოყალიბების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იოსებ ავალიშვილის „მათემატიკურ ტერმინებს“ (ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონს). ძალიან საინტერესოა წიგნის შესავალი, რომელშიც ი. ავალიშვილი წერს: „მე მგონი არ არის ისეთი კუთხე ქვეყნისა, სადაც კმაყოფილი იყვნენ საგნების სწავლების კარგად დაყენებისა. საერთო უკმაყოფილება ეხლანდელი სწავლების მდგომარეობით როგორც ევროპაში, ისე რუსეთში, გამოწვეულია იმით, რომ ყველგან ცხოვრების ევოლუციამ უსწრო პედაგოგიკის ევოლუციას. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ევროპაში შეუდგნენ მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, რისთვისაც დააარსეს საერთაშორისო კომისია. აქნობამდის სულ ხუთი საერთაშორისო კონგრესი იყო მოწვეული ევროპაში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით, რუსეთში მარტო ორჯერ იყო ყრილობა მათემატიკოსებისა. ამ მხრივ ჩვენში უარესი მდგომარეობა არის. არც გასაკვირველია, რადგანაც ჩვენ იმის უფლებაც არ გვქონდა, რომ საგნები ქართულ ენაზე გვესწავლებინა, ამიტომ ვიყავით ერთ წერტილზე გაჩერებული. ქართულად სწავლების საქმე როგორ უნდა წასულიყო წინ, როდესაც არაფერს ვასწავლიდით ქართულად. მაშასადამე ქართველებისათვის სწავლების ევოლუციაზე ლაპარაკი სულ მეტია, თითქმის სულ ახლათ უნდა დავამუშაოთ – შევქმნათ სუყველაფერი: სახელმძღვანელოები, სასწავლო წიგნები, თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვა.

დამუშავება-შეთხზვა წიგნებისა უქმად ჩაივლის, ან და ძალიან მალე მოუხდება საჩქაროდ გამოცემულ წიგნებს ხელ-მეორედ გადამუშავება, თუ საჭირო ტერმინები ცალკე ეხლავე არ დავამუშავეთ. ტერმინების შემუშავება გაგვიადვილდება, თუ წარსულს არ დავივიწყებთ და გადავათვალიერებთ იმ წიგნებს, ხელნაწერებს, რომლებიც ინახება ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მუზეუმში. საჭიროა ყველა საგნების ტერმინების შესწავლა-დამუშავება.

ამ მათემატიკური ტერმინების შემუშავების დროს გადათვალიერებული იქმნა თითქმის ყველა კარგი და უვარგისი, ძველი და ახა-

ლი ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნები: „არითმეტიკის პრაქტიკა“ (ხელნაწერი ქ. შ. წ. გ. ს. მუზეუმი), „არითმეტიკის გაკვეთილები“ და „არითმეტიკის სახელმძღვანელო“ ე. ხრამელაშვილისა, „დასაბამითი საფუძველნი ღეომეტრიისანი“ (ქ. შ. წ. გ. ს. მუზეუმი), „არითმეტიკულ ამოცანათა და რიცხვითი მაგალითების კრებული“ I და II ნაწ. ე. ხრამელაშვილისა, „კრებული არითმეტიკულ ამოცანების, II ნაწ. ვ. რცხილაძისა, „კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითების“ რ. ჯაჯანაშვილისა, „არითმეტიკა სახელმძღვანელოდ სოფლის მასწავლებელთათვის“ მ. ზ. ყიფიანისა, „არითმეტიკა“ ფოგელისა, „არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული“, I ნაწ. შედგენილი ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის მასწავლ. ჯგუფის მიერ, „თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ კომისიის შემუშავებული ტერმინები“, „საზოგადო მოგონება ალგებრისათვის“ (ქ. შ. წ. გ. ს. მუზეუმი) ვოლფისა, „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკური“ ანტ. კათალიკოზისა, „დაწყებითი ალგებრა“ ვ. რ. ყიფიანისა, „ვარსკვლავთ მრიცხველობა“ (ქ. შ. წ. გ. ს. მუზეუმი) (ავალიშვილი, 1917: 3-7).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ტექნიკურმა საზოგადოებამ ზრუნვა დაიწყო ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნაზე. 1918 წლის ივნისის მეორე ნახევარში ვასილ კაკაბაძის მეცადინეობით დაარსდა სატერმინო სექცია, რომელიც პირველ ხანებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ ამათგან უმრავლესობამ ვერ გაუძლო სატერმინოლოგიო მუშაობას და გავიდა კომისიის შემადგენლობიდან, დარჩა საზოგადოების მხოლოდ ოთხი წევრი: ვასილ კაკაბაძე (სატერმინო კომისიის თავმჯდომარე - ქიმიკოსი), გიორგი გედევანიშვილი (ლითონთა ტექნოლოგიის სპეციალისტი, ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე), დავით ბერიკაშვილი (სატერმინო სხდომის მდივანი) და ირაკლი მჭედლიშვილი (თბილისის რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი) (დამბაშიძე, 1981:154-165).

ეს ჯგუფი მალე დარწმუნდა, რომ შეუძლებელია ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა, სანამ არ შემუშავდებოდა მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის, მინერალოგიის და სხვა მონათესავე ტერმინები. ამ დროიდან ჯგუფს შეურთდნენ: რ. ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა, გ. ნიკოლაძე, ივ. ბერიძე და მ. შალამბერიძე.

მიმდინარეობდა ყოველდღიური, შეუსვენებელი მუშაობა. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფთან თანამშრომლობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, ა. რაზმაძე. ეს დამაბული და ძალიან საინტერესო

მუშაობა დამთავრდა იმით, რომ 1920 წელს თბილისში გამოიცა 280-გვერდიანი წიგნი: „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი) სამეცარდენო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით“.

„აღსანიშნავია ქართული ტექნიკური საზოგადოების წევრთა თაოსნობით შედგენილი „ტექნიკური“ სიტყვარი, – წერს ვ. ბერიძე, – ამ წიგნის ნაკლი ცნობილია – იგი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელური გამარუსებელი პოლიტიკისა. აქედან – ყველაფრის გაქართულება, ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა... მაგრამ ვერავინ უარყოფს იმასაც, რომ ამ ძირითადი ნაკლის მიუხედავად, აღნიშნულმა სიტყვარმა მაინც დადებითი როლო ითამაშა: ქართული ტექნიკური სიტყვა ითქვა, ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას დასაბამი მიეცა. არას ვამბობ იმის შესახებ, რომ სიტყვარის მიერ შემოღებული ზოგი ტერმინი ისე ჩაინერგა ქართველის აზროვნებაში, ისე გაჯდა იგი მის არსებაში, რომ მას ვერც კი წარმოუდგენია, თუ უამსიტყვოდ ოდესმე არსებობდა ქართული ენა. ამგვარია, მაგალითად, დღეს ყველასათვის ცნობილი ტერმინი წნევა: ჰაერის წნევა, სისხლის წნევა და მისთან“ (ბერიძე, 1952: 29-30).

სიტყვარის შემდგენლები შესავალში დაწვრილებით განიხილავენ ტერმინებზე მუშაობის პრინციპებს. ცალკე ქვეთავი ეძღვნება მათემატიკის ტერმინებს: „Прямой-ს სწორი ჰქვია. ამავე სიტყვით ისახება правильный და ровный; ამავე ფესვით ხანდისხან წინსართი „თანა“-ს მიმატებით ისახება равный-ც: „სწორი“, „თანასწორი“. ყველა ეს მეტად ვნებს მათემატიკურ ენას. ის მღვრიე და გამოურკვეველი გამოდის. მაგალითად: „თანასწორკუთხეებიანი სამკუთხედი და სწორკუთხიანი სამკუთხედი,“ ან „ის კუთხე სწორია“, „ეს კუთხე იმის სწორია“, „სწორი ხაზები და თანასწორი ხაზები“, სულ სხვა-და-სხვა ცნებები თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით ისახება. ამიტომ გადავწყვიტეთ მკაფიოდ დაგვეყო და დაგვესაზღვრა ყველა ეს ძირითადი, მხოლოდ ერთმანეთთან სრულიად დაშორებული ცნებები: „თანასწორს“, როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, დამოუკიდებელი ფესვი ამოვურჩიეთ – **ტოლი**. აქედან равноугольный треугольник – ტოლკუთხა სამკუთხი იქმნება. Прямой-ს იოანე პეტრიწის მიერ შემოღებული სახელი – **წრფე** – დავარქვით. Прямой угол-ს კი „პერპენდიკულარობისაგან“ და არა „სწორობისაგან“ წარმოშობილი სახელი ვუწოდეთ, როგორც ამას გეომეტრიის თვალსაზრისი მოითხოვს. „სწორი“ ყოველი სწორხაზგვერდიანი კუთხეა; 90 გრადუსიანს კი უნდა ერქვას „перпендикулярный“ კუთხე.

„პერპენდიკულარს“ **მართობი** დავარქვით, перпендикулярный-საც – **მართობი**; взаимно перпендикулярные – **თანამართობი**, აქედან Прямой угол-ს **მართი კუთხე** ეწოდა; Прямоугольный треугольник – **მართკუთხა სამკუთხი**“ (სიტყვარი, 1920: 37).

სიტყვარის ავტორებმა მიზნად დაისახეს ეჭვენებინათ ქართული სიტყვის სიღრმე-სიმდიდრე. მართალია, ამ ლექსიკონში საკმაოდაა ისეთი ძნელად აღსაქმელი ტერმინი, რომლებიც გვეხამუშება კიდევაც, მაგრამ ასეთი ტერმინები შესაძლოა გამოდგეს სხვაგან, ე.ი. იყოს ენისთვის სათადარიგო ტერმინი. სიტყვარში ძალიან დიდი და მრავალმხრივი შრომაა ჩადებული-გამოჩინებული. ვფიქრობთ, ამ ლექსიკონით უნდა დაინტერესდნენ არამარტო ტექნიკოსები, არამედ ენათმეცნიერებიც. ლექსიკონში შემუშავებულია ძველი ქართული თუ დიალექტური სიტყვისგან მეცნიერული ტერმინის შექმნის მეთოდიკა.

1925 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოიცა „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“, რომლის შედგენაში მონაწილეობდნენ: ა. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. ხარაძე და ჰუმანიტარული დარგებიდან, ხელმძღვანელის გარდა, გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე. ლექსიკონი შედგება ორი ნაწილისაგან. 244-გვერდიანი ლექსიკონის ღირსება ისაა, რომ თითოეულ მათემატიკურ ტერმინს თან ახლავს მრავალსიტყვიანი მათემატიკური წინადადებები.

ნიკო მარის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებამ პროფ. ვუკოლ ბერიძის რედაქციით 1944 წელს გამოსაცემად მოამზადა 117-გვერდიანი „მათემატიკური ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილი, რომელშიც უკუგდებულ იქნა წინა სამი ლექსიკონის „მოჭარბებული“ ქართულობა და გეზი აღებულ იქნა ტერმინთა ინტერნაციონალიზაციისაკენ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალიან განვითარდა მათემატიკის მრავალი დარგი და უცხო ენებზე გაჩნდა უამრავი ახალი ტერმინი, რამაც გამოიწვია შესაბამისი ქართული ტერმინების დამუშავების აუცილებლობა. ასეთი მუშაობა დაიწყო 1963 წელს აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე. მათემატიკურ ტერმინოლოგიაზე კომისიის მუშაობის შესახებ გიორგი ჭოლოშვილმა მრავალჯერ მოახსენა საქართველოს მათემატიკოსთა ყრილობებს. ტერმინოლოგიაზე მუშაობის დასრულების

შემდეგ მთელი მასალა განსახილველად გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგეს რ. ღამბაშიძეს. გარკვეული დროის განმავლობაში განხილვაში განყოფილების წევრებთან ერთად კომისიის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნული რამდენიმე თვიანი შეხვედრები უმეტესად კამათში გადადიოდა. კამათი, ძირითადად, იყო ამ ტიპის ტერმინებზე: **ინტეგრება** თუ **ინტეგრირება**. მათემატიკოსებს დიდი ხანია, არჩევანი გაკეთებული აქვთ **ინტეგრებაზე**. მუშაობა 1996 წელს დასრულდა. 1997 წელს გ. ჭოღოშვილმა გამოსცა მოკლე ექსენოვანი „მათემატიკური მრავალენოვანი ლექსიკონი“, 2500 ტერმინით.

„რუსულ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი“, რომლის ავტორები არიან: გიორგი ჭოღოშვილი, გივი თევზაძე, გურამ სულხანიშვილი, რამაზ აბდულაევი, ომარ მაგნიძე და ადა მიჩიტაშვილი, დიდხანს იდო თაროზე. მისი გამოცემა 2010 წელს მოხერხდა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორ შოთა მახარაძის სპონსორობით, რისთვისაც იგი უეჭველად იმსახურებს დიდ მადლობას. 459-გვერდიან ლექსიკონში მრავალი ახალი ტერმინია და, გარდა ამისა, დაზუსტებულია და ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამართული ზევრი ძველი ტერმინი.

არნ. ჩიქობავს სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ და 2013 წლის 11-13 ივნისში ჩატარებულ კონფერენციაზე „ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე“ პროფ. შუქია აფრიდონიძემ მოხსენებაში „დარგობრივი ტერმინოლოგიის თემატური გაფორმებისათვის (გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მაგალითზე)“ აღნიშნა: „ტერმინოლოგიური მუშაობის ავანგარდში ე. წ. ტექნიკურ დარგებს შორის აღმოჩნდა მათემატიკისა და სპორტის ტერმინოლოგიები, რომლებიც ყურადღებას იპყრობდა არამარტო ეროვნული ლექსიკის მაქსიმალური გამოყენებით და გამოსახატავ შინაარსთან ტერმინთა მისადაგების მაღალი ხარისხით, არამედ შიდა-სისტემურობითაც. ქვესისტემაში მსგავსი სიტყვაწარმოების გამოყენება უაღრესად მოქნილს და ამიტომ მოსახმარად ადვილს ხდიდა ამ ტერმინოლოგიას (რად ღირს თუნდაც სამრავლ-მამრავლ-ნამრავლისა, ანდა მრიცხველ-მნიშვნელის ტიპების არსებობა)“ (აფრიდონიძე, 2013: 15-18)

მათემატიკისა და სპორტის ტერმინოლოგიის ასეთი მაღალი შეფასების გვერდით უნდა აღინიშნოს, რომ „ტექნიკური ლექსიკონის“

ავტორების უზარმაზარი შრომა ვერ თუ არ იქნა სათანადოდ შეფასებული. ამას ხელი შეუწყო მთავრობის არამართო გულგრილობამ, არამედ პრინციპმაც: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ტერმინების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მისი თარგმნა (ფილიპე მახარაძე).

მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებდნენ ინტერნაციონალური ტერმინების გვერდით მიეწერათ ქართული ტერმინები. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. ბერიძის პოზიცია: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენ უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მართო მშობლიური დარჩება სახმარებლად (ბერიძე, 1952: 29-30).

ჩვენი სტატია გვინდა დავასრულოთ თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებით: „დიდი ღვაწლი უნდა და დიდი ჯაფა აქვს ლექსიკონის კეთებას“.

ლიტერატურა

ავალიშვილი, 1917 – ი. ავალიშვილი, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული „მათემატიკური ტერმინები“, თბილისი.

აფრიდონიძე, 2013 – შ. აფრიდონიძე, დარგობრივი ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფების გაფორმებისათვის (გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მაგალითზე), თეზისები კონფერენციისა „ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე, თბილისი.

ბერიძე, 1936 – ვ. ბერიძე, დავით რექტორი – ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანის გამგრძელებელი – ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I.

ბერიძე 1952 – ვ. ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, „მეცნიერება და ტექნიკა“, №7, თბილისი.

გოგებაშვილი, 1954 – ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, თბილისი.

ერისთავი, 1880 – რ. ერისთავი, „რაოდენ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს“, „დროება, №212.

დროება, 1882, 225 – „შენიშვნა“, „დროება“, №225.

დროება, 1882, 246 – „დღიური“, „დროება“, №246.

დროება, 1882, 258 – „პირველ სხდომაზე მიღებული ტერმინები.

არიტმეტიკა“, „დროება“, №258.

დროება, 1882, 261 – „მესამე სხდომაზე მიღებული ტერმინები“, „დროება“, №261.

სიტყვარი, 1920 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი) საშვევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით, თბილისი.

ქვლივიძე, 1882 – მ. ქვლივიძე „ქართული სამეცნიერო ტერმინების გამომკვლეველი კრების საყურადღებოდ“, „დროება“, №254.

ღამბაშიძე, 1981 – რ. ღამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, ტ. V.

შრომა, 1882 - „წერილები“, „შრომა“, №46;

Omar Dzagnidze

For History of Formation of the Georgian Mathematical Terminology

Summary

The paper contains a brief account of the history of creation of Georgian mathematical terms. Originally, the work on scientific terminology was organized in 1882 and in the first place was concerned with terms of arithmetic and physics.

The newspaper article “About the Georgian Word-Stock” published in 1915 and signed by 9 competent Georgian scientists had a great impact.

In 1917, the dictionary “Mathematical Terms” was published; in 1920 and 1921, two editions of “Technical Dictionary” were published; in 1925, “Mathematical Terms” and “Dictionary of Mathematical Terms” appeared in print. The book “Mathematical Terminology” was published in 1944 and “Russian-Georgian Mathematical Dictionary” in 2010.

The authors of these dictionaries had a different approach to the problem whether international mathematical terms should be translated or not into the Georgian language.

წინელი ჰობონელიძე

ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის

სამედიცინო წერილობითი ძეგლების მიხედვით ლ. კოტეტიშვილი მედიცინის ისტორიას ძირითადად სამ პერიოდად ყოფს. ესაა: I პერიოდი, საბერძნეთის, IX–XII საუკუნეები; II პერიოდი, არაბულ-ირანული, XII–XV საუკუნეები, ამ პერიოდის ქართული მედიცინა ეყრდნობა არაბულ-ირანულ სამედიცინო მიღწევებს; III პერიოდი იწყება XVI საუკუნიდან და გრძელდება XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ პერიოდიდან ქართული სამედიცინო აზროვნება უკვე ევროპულს ეყრდნობა. XIX საუკუნე ამ თვალსაზრისით უკვე მკვდარია (ამ პერიოდში შესამჩნევი საექიმო ნაშრომი არ მოგვეპოვება. როგორც შენიშნულია, ქართული მედიცინის აღმავლობა XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება (კოტეტიშვილი, 1937: XIX). ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებს შორის ორი ძირითადი სახე შეიმჩნევა: 1. „სამკურნალო წიგნი“ – კარაბადინები, რომლებიც ექიმთა და მომხმარებელთათვის (მკითხველთათვის პრაქტიკული გამოყენების საგანს წარმოადგენდა) დღევანდელი „თერაპიული ცნობარების“ მსგავსად;... 2. „საექიმო წიგნები“, რომლებიც, როგორც ირკვევა, სამედიცინო მეცნიერების შემსწავლელთა სახელმძღვანელო იყო. ასეთი სახის წიგნია: XII–XIII ს. ს. ხოჯაყოფილის კლასიკური სამედიცინო ძეგლი „წიგნი სააქიმოდ“ (შენგელია, 1981: 227).

სტატიაში განვიხილავთ მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელ ზოგი არაბულ-ირანული ტერმინის ისტორიას ისტორიული ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით, ე. ი. როგორ შემოინახა თანამედროვე სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ძველ სამედიცინო ძეგლებში დადასტურებული უცხო წარმომავლობის (ამ შემთხვევაში არაბულ-ირანული) სიტყვები:

დამალი:

დამალი (არ.-თურქ. დამალ) „იადიგარ დაუდში“ დასტურდება როგორც ანატომიური ტერმინი - სასა პირის ღრუს უკანა კედელი. მაგრამ თუ კაცი ბევრსა დაიძინებს, **დამალსა** და ტანს დაუმძიმებს (იადიგ. 112, 15).

ქველში ეს სიტყვა განმარტებულია შემდეგნაირად: **დამალი**

(ცხენის) დასივებული მაგარი სასა (დამალი ემართება ქერის ჭამას და-ჩვეულ ცხენს, როცა ის ქერის მოლოდინშია). **დამალი ჩამოუვა** საუბ. გადატ. რაიმე კარგის (საჭმლის და მისთ.) დიდი ნდომისაგან საღერ-ღელი აეშლება. ქურდბაცაცას... ჩიჩიის (= ხორცის) ნდომით ლამის დამალი ჩამოუვიდესო! (თ. რაზიკ.). || რამე სასურველის მოპოვების დიდი ხნის ლოდინისაგან გაბეზრდება, გული გადაელევა, მოთმინე-ბას დაკარგავს. „როდისღა, ბატონო! ჩვენ კი **დამალი ჩამოგვივიდა** და!“ (ილია).

ი. გრიშაშვილი **დამალ** სიტყვის შესახებ აღნიშნავს: ქერ-ნაჩვევ ცხენს თუ დროზე არ მიუტანეს ქერი, **დამალა** ჩამოუვა, ე. ი. ქვემო ტუჩზე შიგნით ძიძიბო ამოუვა, რომელსაც შემდეგ მოსჭრიან ხოლმე, თუ კაცს ბევრს ალოდინებენ, დანიშნულ დროს არ გამოჩნდება, ეტყვიან: სადა ხარ კაცო, ამდენი ხანი, შენს ლოდინში **დამალი ჩამომი-ვიდაო**. „ჩვენ კი **დამალი ჩამოგვივიდა** მაგდენ ლაპარაკში („ბნელო“, 1891წ.) „მომაწოდე ეგ ღვინო, ნდომისაგან ლამის **დამალი ჩამომივი-დეს**“ („ივ.“ 1894 წ.) – (ქალაქ. გრიშ.). ცხენის ავადმყოფობის აღმნიშ-ვნელი სიტყვა **დამალი** გვხვდება ფშაურშიც (ფშ. ხორნ.).

დამალ- სიტყვის მცირეოდენი ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებით დიალექტებში უნდა მიგველო შემდეგი ლექსიკური ერ-თეულებიც: **ტაბალი**: „საქონელს ემართება **ტაბალი**“ (ჩვენ. ფუტკ., ჯა-ვახ. ბერ.). **ტაბახი**: (აჭ. ნიჟ., გურ. შარაშ., ზ.-იმერ. ძოწ., იმერ. გაჩეჩ., ჯავახ. ბერ.). ვფიქრობთ საბასთან დადასტურებული **ტაბახტა** „ცხენის სასის ჩამოსღვა“ ასევე დიალექტიზმს უნდა წარმოადგენდეს (საბა, IV₂). გვხვდება **ტაბახ-** ფუძიანი ზმნური ფორმაც: **დატაბახება** ტაბახის ამოწვა (იმერ. გაჩეჩ.). მეგრულში **დამალი > ტამალის** სახითაა წარმო-დგენილი: **ტამალი** ტაბასტა სასის ჩამოსიება, რაც პირუტყვს ხელს უშ-ლის ღეჭვაში, კურნავენ გასერვით, სისხლის გამოშვებით (მეგრ. ქობ.). **ტამალი** იდიომის შემადგენილ ნაწილადაც გვევლინება. **ტამალი** საქო-ნელს ჩამოსდის თურმე მაშინ, როცა საჭმელი ახლოს უყრი და ვერა სწვდება. აქედან **ტამალი ჩამოუვიდაო** – იტყვიან ლოდინის შემთხვე-ვაში. „რალა მალოდინებთ, **ტამალი ჩამომივიდა**“ (ქიზ. მენტ.).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, **დამალი** < **damak** საერთოდ სასას ნიშნავს, მაგრამ სალიტერატურო ქართულში მითითებულია როგორც სნეულების აღმნიშვნელი სიტყვა, ამასთან მისი მნიშვნელობა დავიწროებულია (რუხაძე, 1973: 223).

დუბელი:

დუბელი ლექსიკოგრაფების მიერ სხვადასხვაგვარადაა განმარ-

ტებული. **დუბელი** „ციებ-ცხელება“. შთავარდა იგი სენსა დუბელისა-სა (A = 1103 169r, 30 – 31b) - სარჯვ. აღნიშნული სიტყვა ზაზა ფანას-კერტელის სამკურნალო წიგნში, „კარაბადინი“ დასტურდება **დუბელას** სახით და განმარტებულია როგორც „დაჩირქებული სიმსივნე“. და წაეკიდების კულა თირკმელთა **დუბელა**, და ჰქუიან სნება ჭურ-ჭლისა (სამკურნ. 290, 31). **დუბელ**-ფუძე ფონეტიკური ცვლილებით შემონახული უნდა იყოს იმერულ დიალექტში დადასტურებულ სიტყვაში **დურბელი**. **დურბელი** ავადმყოფობა (იმერ. უკლება). **დურბელი**, **დურბლის ქარი**, კისრის ავადმყოფობა, ძნელი მოსარჩენი (იმერ. ბერ.). ავადმყოფობა (სიმსივნე) ყელ-ყბის ჯირკვლებისა; შთამომავლობაზე გადადის. **დურბელმა** კისრის (= ყელის) გამოჭრა იცის (იმერ. გაჩეჩ.).

ქეგლში **დურბელი** მიჩნეულია კუთხურად (იმერული, რაჭული) და განმარტებულია როგორც (კისრის) ჯირკვლების ჭლეტი.

ამავე წარმომავლობისა ჩანს სვან. **დურბელი** კანის კიბო, მჭამელი, ცუდი ნაფურთხი. „დურბედი“ ავადმყოფობა (სვან. ლიპარტ.) და მეგრ. **დურბელა//დრუბელა**, ასევე სინტაგმა **დურბელაჲ ქარი** დაავადებაა ერთგვარი (მეგრ. ქობ.).

ვფიქრობთ, რომ **დუბელი** წარმომავლობით ძირმაგარას, ანთების, აბცესის აღმნიშვნელ სპარსულ **დომ(მ)ალ** სიტყვას უკავშირდება. წყვილბაგისმიერთა მონაცვლეობა **მ > ბ** დამახასიათებელია როგორც საკუთრივ ქართული, ისე აღმოსავლური ენებიდან შემოსული ნასესხები ლექსიკისათვის. მაგ. კამათელი || კაბათენი, მელოტი || ბელოტი; არც **ო** და **უ**-ს მონაცვლეობაა უცხო ქართულში (მაგ. ჰონე || ჰუნე ორდუ || ურდო და სხვ. (ქავთარაძე, 1964: 221, 225).

ვასვასა:

ქეგლში მითითებულია: **ვასვასა** ძვ. „მძიმე ფიქრებით შეპყრობილის მდგომარეობა, უძილობა (სენი)“ («წიგნი სააქიმოჲ»). ამ მნიშვნელობის **ვასვასა** იგივე უნდა იყოს რაც არაბ. **ვასვასა** „ცთუნება“.

ვასვასა რომელ არს სიცოფე და სხვანიცა რამე უცხონი და საკურველნი საღმობანი (უსწ. კარაბ. 8, 33). ვის საურავი და შეჭირვება შეექნას, შიში ეშმაკის მაგიერი, და ან ცნობის წასულა და ან **ვასვასა მარცვალი** ერთი უძრავისა წყლითა შემგბარითა (უსწ. კარაბ. 77, 9). ამავ წარმომავლობისა უნდა იყოს მოხეურში დადასტურებული **ვასვასი** ცახცახი, კანკალი. „ცხორს შიმშილისაგან **ვასვასი** გაჰქონდა“ (მოხ. ქავთ.). სიტყვის სემანტიკურად ცვლილება ნათელია. შემოღილობა, სიგიჟე > ცახცახი. სალიტ. **ვასვასა**; დიალ. **ვასვასი**.

ილაო:

ილაო სენი არს უპეს ზეით წელის ნასკულობითა; **ილაო** გამოითარგმანების: ღ~თო შემიწყალე; ზოგნი სახელ-სდებენ მყრალად და ზოგნი ჰას(ა), და იტყვიან სიძნელით ტკივილსა მისსა ნაწლავის გამო-სკვნისათვის. (საბა, I).

ზაზა ფანასკერტელი ზემოაღნიშნულ სიტყვას ხმარობს **ილაუ-სისა** და **ილუზის** ფორმით. **ილაუსი** ერგების მას კაცსა, რომელი ათხევდეს მისა პატრონსა, და სახელ-სდებენ მას **ილაუსი**, და ერგების ყოველსა ტკივილსა გუამისასა. (სამკურნ. 138, 35). ნიშანი კოლინჯისა **ილუზისა**, რომელი წურილთა ნაწლევთა შიგან შეექნების, რომელ არს წურილნი ნაწლევნი უპესა ზემოთ მუცელსა შიგან სტომაქის კერძ (სამკურნ. 277, 13).

ქეგლის მიხედვით: **ილაო** ძვ. ავადმყოფობა – ნაწლავის გადანასკვა (საბა); „მუცლის ტკივილი, გვრემა“ (დ. ჩუბ.). დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ ადარ მოიხსენებსა, მის სიხარულით დაკარგავს **ილაოს** მსგავსთა სენებსა (დ. გურამ.). || ფიგურ. ცრუმან საწუთრომ შემყარა ძნელი **ილაო** ჭირი (დ. გურამ.).

ვფიქრობთ, ამავე სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს ქართულურში დამოწმებული **ილა** „ნაკლი“, „ზადი“. დასანიშნათ რო ავედი, უთხარი, რამე **ილა** თუ აქ თქვენ ქალს, ეხლავე მითხარით-მეთქი (თამ.). ალბათ **ილა** აქ რამე, თორემ რატომ არ წაიყვანა? (ძეგ., აგრეთვე ატ. ქართლ. ლექსიკ.).

მაშასადამე, ძვ. **ილაუსი**, **ილუზი**, ახ. ქართული **ილაო**; დიალ. **ილა**.

იარაყანი:

იარაყანი (არ. ერაყან) ერაყანი, სიყვითლე. ავადმყოფობაა, სიყვითლე. ხაჭო მხურვალსა ცხელებასა, სნეზასა, ხაფაყანსა და იარაყნებსა, და ყოვლისა ფერისა მხურვლის სენისა და ავად ყოფისათვის კარგი არის (იადიგ. 160, 25). ბალღამსა ცოტასა გამოიღებს და **იარაყანსა** უშველის (უსწ. კარაბ. 53, 30).

დიალექტებში კი ეს სიტყვა შემდეგი სახით იხმარება: **ვარაყანი**, **არაყანი** სიყვითლე; სიბრაზისა ან შეკრთომისაგან ფერის შეცვლა. „სახეზე ყვითელმა **ვარაყანმა** გადაჰკრა“ (ქიზ. მენთ.). **ერეყანი** 1. ავადმყოფობა; 2. გაუმადლობა. „რა ერეყანი დაგემართა, ამდენი ხანი იყლაპები და ვერ გაძეხი? (ლეჩხ. ალაფ.).

ვარაყი (ვარაყანი) გადასდის (სახეზე). ყვითელი ფერი გადაჰკრავს (სახეზე), გადაყვითლებულია. ძრიენ რო გადაყვითლებულია

ადამიანი ან ავანტყოფობით, ან გამხდრობითა, ან სხვა რითამე, იტყვიან, სუ **ვარაყი** არ გადაადის სახეზედაო?! (ერთაწმ.). რო გაყვით-
ლდება რამე, ბუნებაცა, თუნდა ადამიანი, **ვარაყანი** გადაზდიოდაო,
ვითყვით (კარალ., აგრეთვე მეჯვრ., ქართლ. ლექს.).

ქეგლის მიხედვით **ვარაყანი** ძვ. სიყვითლე. || სიბრაზისა ან შე-
კროთმისაგან ფერის შეცვლა – ქეგლ.

ე. ი. ძვ. ქართული **იარაყანი**, ახ. ქართული **ვარაყანი**; **ვარაყანის**
პარალელურად დიალექტებში გვხვდება ასევე **არაყანი**, **ერაყანი**, **ვარა-
ყი**.

სილი:

სილი (არ. სილ ჭლექი) „ფილტვისა სიწყლულე“.

სილი ამას ჰქვია რომე, კაცსა ჯუელა დასძულებოდეს და დუჟ-
სა სისხლსა ატანდეს (იადიგ. 160, 33). ნიშანი ჯუელისა და ზიყი ნაფა-
სისა, და ჯმა რომე წაუვიდეს, მისი, და **სილისა** და წყურტისა (სა-
მკურნ. 98, 27).

სილი ამ მნიშვნელობით შემონახულია ნაწარმოებ სიტყვაში **სი-
ლიანი**. **სილიანი** ჭლექიანი. „აი, შე სილიანო“ (სილი ცალკე არ იხმა-
რება) (ქიზ. მენტ.).

ვფიქრობთ, რომ გადატანით ეგევე სიტყვაა **სილი** უბედურება.
სიმიდით ნასუქია [ინდაური] **სილი** და ჭირი არ მამეცეს (იმერ. ქავთ.).
მიგვაჩნია, რომ **სილ**-სიტყვა გამოიყოფა დიალექტებში დადასტურე-
ბული შემდეგ ლექსებშიც: **სილი-სილი** გასახელებლად ეტყვიან ბავ-
შეები ერთიმეორეს, ნიშნს უგებენ და თან საჩვენებელ თითებს უსვა-
მენ ერთმანეთზე. „**სილი, სილი**, ხო ვერ დამეწიე!“. „**სილი-სილი**, ჩომ-
პალო, **სილი-სილი**, ჩომპალო! (იმერ. გაჩეჩ.).

ფილენჯი:

ქეგლის მიხედვით **ფილენჯი** [არაბ. ფალაჯ „დამბლა“] „სენია
დამგრეხელი“ (საბა), – ერთგვარი მკრუნჩხავი ავადმყოფობა. **ფილენ-
ჯით** დამახინჯებული [ჭაბუკი] (ა. ჭუმბ. თარგმ.). ი. გრიშაშვილი კი
ჩვენს მიერ გამოყოფილ სიტყვას განმარტავს, როგორც „ბნედას“. „მაგ
სილამაზის დანახვაზედ გული იხლანკება, როგორც **ფილენჯის**
დროს“ (ალ. წინამძღვ.) – (ქალაქ. გრიშ.).

ძველ სამედიცინო წიგნებში „დამბლის“ შინაარსით გვხვდება
ფელენჯი || **ფელინჯი** || **ფილენჯი**. **ფელენჯი** წამალი რომელი ერგე-
ბის **ფელენჯსა** (სამკურნ. 57, 3). და რაცა **ფელინჯსა** და ლაყუასა წამა-
ლი ერგების, ამასცა ერგების (სამკურნ. 58, 38). უშუელის შაკიკსა, რო-
მე ნახევარ-თავი სტკიოდეს, **ფილენჯსა** (სამკურნ. 30, 7). და **ფილენჯს**

შიაქს, ხელფებისა და თავის თრთოლას მოგურის (იადიგ. 134, 33).

ფილენჯი ქართულში სხვადასხვა იდიომის შემადგენელ ნაწილად დასტურდება:

ფილენჯის ქარი ორგანიზმის ერთი რომელიმე ადგილის დამბლა. შაჰაბაზმა რომ [ლალატის] ამბავი გაიგო, **ფილენჯის ქარმა** მოუარა (აკაკი) - ქეგლ. **ფილენჯი ქარი** ერთგვარი სენია. ადამიანს გული წაუუვა, წაიქცევა და მოაბრუნებენ; გაივლის რამდენიმე ხანი და ისევ მოუვლისო (ქიზ. მენთ.).

ფილენჯები მოუვლის გაავდება, გააანჩხლდება, განერვიულდება. ეხლა მოუვლივ თავი ფილენჯები და ვაი იმისი ბრალი, ვისაღ დეტაკება (წილკ.). **რა ფილენჯებმა მოგიარეს!** (მეგ.). **ფილენჯები აქვს** გიჟია, გადარეულია. **ფილენჯები აქ**, თუ მოიგდო ვინმე ხელში, ვაი იმის დედასა (ზ. ხანდ., ქართლ. ლექსიკ.).

გვხვდება **ფილენჯ**-ფუძიანი ნაწარმოები სიტყვაც **ფილენჯიანი** ფილენჯით (ფილენჯის ქარებით) დაავადებული. შეპყრობილი. ღიმილის მაგივრად **ფილენჯიანივით** იღრიჭებოდა [თევდორა] (ვ. ბარნ.) - ქეგლ. **ფილენჯიანი** ავი, ანჩხლი, მაჩხუბარი. ცეტი ადამიანი რუ არი, ჩხუბის მოყვარული, ანჩხლი, ამითანა ადამიან **ფილენჯიან** ვეტყვით ჩვენა (წილკ.). თქვე **ფილენჯიანებო**, თქვენა, დიდი ხანია, აღარ გიჩხუბნიათ და ახლა ჩემთან უნდა მაიკლათ გული ჭია!? (წილკ.). აგრეთვე მეგ. **ფილინჯებიანი** გრძნეული, ჯადოსანი. დაავრა ქმარმა ერთი **ფილინჯებიანი** ჯოხი და აქცია ვირათა (მერ.). ერთი ბებერი დედაკაცი ცხოვრობდა ჩვენ ეზოში, თურმე **ფილინჯებიანი** იყო (ქართლ. ლექსიკ.).

„დამბლის“, „კრუნჩხვის“ მნიშვნელობით ზემოდასახელებული სიტყვა დასტურდება როგორც მეგრულში, ისე სვანურში. **ფილენჯი** ფილენჯი (მეგრ. ქობ.). **ფელინჯ** // **ფელენჯ** // **ფილენჯ** 1. კრუნჩხვა; ფილენჯი. ბოშს **ფილენჯად** ოხრინე - ბავშვს კრუნჩხვებმა მოუარა. 2. დამბლა. მიშგუა ამახუს **ფელენჯოჲ** ხაჲხა! - ჩემს მტერს დამბლა დასცემოდეს! (სვან. თოფ., ქალდ.).

კოლინჯი:

ძველ სამედიცინო ძეგლებში კოლიტის მნიშვნელობით დასტურდება როგორც **კოლინჯი**, ისე **ყოლინჯი**.

კოლინჯი: რა კაცსა **კოლინჯი** დაემართების, ნიშანი ესე არის მუცელშიგან შეკრას და წელი ასტკივდეს (უსწ. კარაბ. 329, 25). **კოლინჯი** ფიცხელი, მღიერი და ცხრო დიად ძვალთა შექსოვილი (უსწ. კარაბ. 8, 25). სამ ფერი არის ესე **კოლინჯი**. ერთი ბალმისაგან და ქარი-

საგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე ილაუზ ჰქვიან, ის მისგან იქნების რომე წელშიგან ანუ საბამი გამოვიდეს, ანუ წურილსა ნაწლევშიგან ჭია დაეჯაროს, ესე ერთობ ავი სენი არის და ძნელი (უსწ. კარაბ. 329, 29).

ყოლინჯი (სპ. ყოლინჯ) თიაქარი ან მჭვალი, კოლიტი. აწე **ყოლინჯი** ისი სენი არის, რომე ქართველნი უჩუხსა და თიაქარსა ვეძახით, რომე კაცსა მეტის მეტად მუცელშიგა შეჰკრავს და წელნი და წელები ასტკივდებიან (იადიგ. 412, 29). რაც წელშიგა ქარია ყუელას გამოსწმენდს და **ყოლინჯსა** უშველის (უსწ. კარაბ. 443, 22).

ქეგლში ორივე ეს სიტყვა სხვადასხვა კვალიფიკაციითა მითითებული: **კოლინჯი** 1. ანატ. მსხვილი ნაწლავის ნაწილი: ბრმა ნაწლავიდან სწორ ნაწლავამდე. 2. ამ ნაწლავის ავადმყოფობა, – კოლიტი. „არაყსა ვსვამთ – წყალნარევს, მუცელში კოლინჯს გვიჩენს“ (ვაჟა). **ყოლინჯი** ძვ. 1. იგივეა, რაც კოლინჯი. ნიშანი **ყოლინჯისა**... არს: მუცელი უყურყურებდეს და მანკი და ტკივილი იარებოდეს («წიგნი სააქიმო»). 2. ჭვალი, ჩხვლეტა.

დიალექტებში კი მხოლოდ **კოლინჯის** გამოყენების შემდეგი შემთხვევები დასტურდება:

კოლინჯი 1. მსხვილი ნაწლავის ნაწილი; 2. ამ ნაწლავის სენი. ქალებს ემართებათ მშობიარობის შემდეგ. ხალხის თქმით, რაღაც ზღარბივით დადის მუცელში და ჩხვლეტს. თითქოს ზოგს უშობია კიდეც და განკურნებულა (ქიზ. მენტ.). **კოლინჯი** საქონლის ავადმყოფობა, – კოლინჯის ტკივილი. **კოლინჯი** საქონლის ავანტყოფობაა, წენს მოწყვიტამს, უკანალს (პერევი, ზ.-იმერ. მოწ.).

საინტერესო სემანტიკური ცვლილებით გვხვდება **კოლინჯ** – ფუძიანი ზმნური ფორმები ქართლურ დიალექტში. **დაკოლინჯდება**: 1. ველარ გაიზრდება, დაიგვალება; დამახინჯდება. რო **დაკოლინჯდება**, ადამიანია თუ სხვა რამა, აღარ იზრდება, პატარაა, მახინჯი, **კოლინჯს** ეძახიან იმასა (ატ.). **დაკოლინჯებული**: ე **დაკოლინჯებული** ლობიუები სად მუაგრუე? (ქვეში). **დაკოლინჯებული** შეშებილია, როგორ უნდა დავჭრა? (ქვეში). 2. დასნეულდება, დაუძლურდება; დაბეჩავდება. მაგალითათ, ქალი დარჩა ისე, არ გათხოვდა, იტყვიან, **დაკოლინჯდაო**, ეგრე დარჩენილი ქალი დაბეჩავებულივით არი ხომე (კავთ.). მანამ შეეძლო მაგის ჯანს, ყველა შჰამდა, ეხლა **დაკოლინჯდა** და აღარავის უნდა (კავთ.). **დაკოლინჯებული**: დაკოლინჯებულ ადამიანს კიდეც ისეთზე იტყვიან, რომელიც ძალაგამოლეულია ან სიბერით, ან ავანტყოფობითა (კავთ.). 3. გამაგრდება, გამკვრივდება (მუწუ-

კი). **დაკოლინჯდაო**, მუწუკი რო გამოუა და აღარ ურჩება, გამაგრებულია, იმაზე იტყვიან (ქართლ. ლექსიკ.). როგორც ვხედავთ სემანტიკური ცვლილებების გამო სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა უკვე ისტორიულად სხვა ადგილს იჭერს.

შირიმი || შირემი:

ქეგლში **შირიმი** კვალიფიცირებულია როგორც ძველი სიტყვა, საბაზე დაყრდნობითა და დიალექტების მონაცემების მიხედვით ასეა განმარტებული: **შირიმი** 1. ძვ. „ბუშტისა და თირკმლის ქვა“ (საბა). 2. კუთხ. (ქიზ. ფშ.) ცარცისმაგვარი ფაშარი ქვა. ძველ სამედიცინო წიგნებში ამ მნიშვნელობით დასტურდება როგორც **შირიმი**, ისე **შირემი**.

ვისცა თირკუმელი და ბატარა მუცელი სტკიოდეს, **შირიმისა** ნიშანი არის (სამკურნ. 59, 20). და თუ შეასუას სკუნტლი მისი ლობანსა თანა და თაფლისა ღუინოსა, გამოიღოს **შირემი** (სამკურნ. 423, 13).

დიალექტებში კი ეს სიტყვა გამოყენების თვალსაზრისით შემდეგ სურათს აჩვენებს: **შირიმი** იგივეა, რაც ტილაპი, კირქვა (ხევს. ჭინჭ.). **შირიმის ქვა** ერთგვარი ქვაა, რბილი (ფშ. შან.). **შირიმი, შირუმი** კირნარევი ქვა, კირქვა (თუმ. ხუბ.). ამავე სიტყვას უნდა უკაშირდებოდეს მეგრული **შირი** დანაშრევი, ნალექი; შარდის კენჭი; შირიმი; ხაშური (ქვეერისა) (მეგრ. ქობ.). გადატ. მნიშვნელობით კი – **შირიმი** ავადმყოფობა ერთგვარი, შარდის შეუკავებლობა. ბავშვი რო ქვეშ ისველეფს, ქალები იტყვიან ხომე, **შირიმი აქსო** (ტირძ.). რო ისველეფს ბავშვი, იმაზე იტყვიან, **შირიმი სჭირსო** (საღ., აგრეთვე დ. თონ., ქართლ. ლექსიკ.). ი. გრიშაშვილიც მიუთითებს **შირიმი** ავადმყოფობაა, შარდის შეკავება. კაცი თუ ხშირად დადის ფეხისალაგში, ეტყვიან: კაცო, **რა შირიმი შეგიდგაო** (ქალაქ. გრიშ.).

გვხვდება ნაწარმოები სიტყვაც, **შირიმიანი** შარდსადინარ მოშლილი; თირკმლის კენჭის მქონე. მაგასავ, **შირიმიანსავ**, ცოლად წაუოლიაევ?! გადატ. **შირიმ შაგწყდა** დათვერი, შერცხვი (ხევს. ჭინჭ.).

ხუნაგი:

ქეგლის მიხედვით **ხუნაგი** [არაბ. ხუნაკ] იგივეა, რაც დიფთერია (დიფთერიტი). ჯუანი [ებრძვის] **ხუნაგის** შხამსა და სიკვდილის ლანდს (მ. ჯავახ.). მისგან ნაწარმოები სიტყვა **ხუნაგიანი** კი განმარტებულია ასე: ვინც ხუნაგით, დიფთერიით არის დაავადებული. „რა ამბავია, კაცო, დღეს მეთექვსმეტე **ხუნაგიანი** ავადმყოფი მოგვიყვანეს“ (ა. ხახუტ.).

ნ. ჩუბინაშვილი და დ. ჩუბინაშვილი მიუთითებენ: **ხუნაგი** სასის გასივება.

ძველ სამედიცინო ძეგლებში **ხუნაგთან** ერთად დასტურდება

მისი ფონეტიკური ვარიანტები **ხუნაყი**, **ხენიკი**, **ხუნიკალი**. ისრევე ყელის ტკივილი და **ხუნაყი** არის სიცხისა და სიმზურვალისაგან (იადიგ. 333, 10). თუ ხელისა ანუ ფეხისა თითები გასქდეს იცოდი რომე **ხუნაყისა** ნიშანი არის (უსწ. კარაბ. 29, 1). **ხუნაყი** ხუნაყისა და სასისა წამალი ორისავე ერთი უნდა (უსწ. კარაბ. 94, 4). **ხენიკი** „სალმობა მარჩობელი ყიისა“ ნიშანი ღარღარისა სხუისა, ერგების რომელთა შეედევას **ხენიკი**, რომელ არს სალმობა მარჩობელი ყიისა“ (სამკურნ. 112, 35). ნიშანი ღარღარასა სხუისა, ერგების ტკივილსა ყიისასა, რომელსა ქუიან **ხუნიკალ**, ქალაბია, რომელ არს მარჩობელი და მალე მომკლველი (სამკურნ. 113, 3).

დიალექტებში კი გვხვდება როგორც **ხუნაგი**, ისე მისი ფონეტიკური ვარიანტები **ხუნაკი**, **ხურნაკე**. **ხუნაგი** უფრო ღორს უჩნდება: ყელი უსივდება და ახრჩობს სწრაფად (ქიზ. მენტ.). **ხუნაგი ჩამოუვიდა** ანგინის დროს ადამიანს ყელი რომ ასტკივა და სასა გაუსივდება, იტყვიან: **ხუნაგი ჩამოუვიდაო** (მესხ. ფეიქრ.). **ხუნაკ** ქნა ხუნაგით დაავადება. **ხუნაკ ჰქნუვარ** (ხუნაგი მჭირს), ვერ ვლაპარაკოვ (ინგ. დამბ.).

მეგრულში **ხუნაგი ხურნაკეს** სახითაა წარმოდგენილი. **ხურნაკე** ხუნაგი (იგივეა, რაც კისერე) (მეგრ. ქობ.).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით უხვად დასტურდება ძველი სამედიცინო ტერმინები, რიგ შემთხვევაში კი ისინი ნაწარმოებ ფორმებში, ანდა იდიომის შემადგენელ ნაწილადაა თუ გვევლინება. აღსანიშნავია ისიც რომ ზოგი მათგანი თავს იჩენს ასევე მეგრულსა და სვანურში.

ლიტერატურა

აქარ. ნიჟ. – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

გურ. შარაშ. – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ზ.-იმერ. მოწ. – ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

თუმ. ხუბ. – პ. ხუბუტია, თუმური კილო, თბილისი, 1969.

იადიგ. – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილი, თბილისი, 1985.

იმერ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმა-თა, თბილისი, 1986.

იმერ. გაჩეჩ. – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

იმერ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.

იმერ. უკლ. – ლ. უკლება, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 2010.

ინგ. ღამზ. – რ. ღამზაშვიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

კოტეტიშვილი, 1937 – წინასიტყვაობა წიგნისა დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა თბილისი, 1985.

ლექს. ალაფ. – მ. ალაფიძე, ლექსუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

მეგრ. ქობ. – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მესხ. ფეიქრ. – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

მოხ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

რუხაძე, 1973 – ლ. რუხაძე, რამდენიმე თურქული წარმომავლობის სიტყვისათვის ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი.

სამკურნ. – ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, რედაქტორი მ. სააკაშვილი, თბილისი, 1950.

საბა, 1966. – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I, თბ., 1966; ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₂, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ. თბილისი.

სვან., თოფ . – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

სვან. ლიპარტ. – სვანურ-ქართული ლექსიკონი [ჩოლურული კილო], თბილისი, 1994

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ფშ. ხორნ. – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქავთარაძე, 1964 - ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბილისი.

ქალაქ. გრიშ. – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, 1997.

უსწ. კარაბ. – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1940.

ფშ. შან. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

შენგელია, 1981 – მ. შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი.

ნ. ჩუბინაშვილი – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

დ. ჩუბინაშვილი – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ხევს. ჭინჭ. – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

ხელნაწ. A = 1103 169r – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა თბილისი, 1981.

Nineli Chokhonelidze

On History of Some Old, Adopted Medical Terms

Summary

In the old Georgian literary works of IX-XII centuries we can find a number of medical terms with oriental-origin that have changed phonetically and semantically through the time. Some of them have been preserved by means of word formation and some of them are parts of idioms.

We would like to name some of such terms according to the modern literary language and its dialects:

damayi – „**iadigar daudši**“ was confirmed as an anatomical term. **damayi** (arch. Tur. **damay**) - a palate. **damay** (GLED¹) – a swollen hard palate of a horse; **tamayi**, **tabayi**, ; **tabaxi**, **tabaxta** (dial.).

dubeli/a (old. Geo.) – a fever; **durbeli** (GLED, dial.) – tuberculosis of a gland. We think that this word is related to the Persian one “**dom(m)āl**“ meaning “blain” with its origin.

vasvasa (arch. **vasvasa**) – „**čtoma**“. **vasvasai** (GLED., dial.) - to shake.

ilausi, **iluzi** (old) – an enteric basketry. **ialo** (GLED); **ila** (dial.) – a defect.

iaragani (arch. ერაცან) – an icterus. **varaḡni** (GLED); **aragani**, **eragani**, **varaḡi** (dial.).

sili (arch. **sil**) – tuberculosis of lungs. **Siliani**, **sili-sili** (dial.).

pilenži (Arab. **palaž** –paralysis); **pilenži** (GLED); **piležiani**, **pilinžiani** (dial.).

kolinži, **ḡolinži** (Old medical works) – colitis; **ḡolinži**, **kolinži** (GLED); **kolinži** (dial.).

širimi/širemi – calculus; **širimi** (dial.) – limestone; **širi** (Megrelian) – sludge, calculus.

xunagi – a swollen palate; **xunagi** (GLED); **xunaki**, **xunaḡi**, **xurnake**, **xuxunaki** (dial.).

¹ GLED (Georgian Language Explanatory Dictionary)

ნინო ჯუმბურიძე

რამდენიმე ტერმინოლოგიური შესიტყვების შესახებ

ქართულ სალიტერატურო ენაში, კერძოდ, მასმედიისა და ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების ენაში, გვხვდება ისეთი შესიტყვებები, რომლებიც რომელიმე უცხოური ენის გავლენის შედეგად ან სხვა მიზეზით მკვიდრდება და ენაცვლება ჩვენი ენისათვის ბუნებრივ გამოთქმებს.

კერძოდ, ბოლო დროს ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში ხშირად გვხვდება ზმნური ფორმა **წვდომა**, რომელიც გამოიყენება რუსული ტერმინის - доступ შესატყვისად და გადმოგვცემს რაიმეს ნახვის, მიღების, მოპოვების შესაძლებლობას, რაიმეთი სარგებლობის უფლებას. სიტყვა **წვდომა** პოლისემიურია და ჩვეულებრივ სხვადასხვა ზმნისწინით გვხვდება: მიწვდომა, ჩაწვდომა, შეწვდომა, ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში კი უზმნისწინო ფორმა გვაქვს. მასთან დაკავშირებული სახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით და სხვადასხვა თანდებულით არის გამოყენებული:¹

ჟურნალისტების ნაწილს საპატიმროებში მიმდინარე მოვლენებთან **წვდომა** არ აქვს.

რეგიონებში ინტერნეტის **წვდომა** თბილისთან შედარებით ორჯერ ძვირია.

თავისუფალი **წვდომა** ინფორმაციასა და სამართალზე.

რას გულისხმობს „ბიზნეს კატალოგზე“ წვდომა?

წვდომა თავისუფალ პრესასთან.

ზოგჯერ **წვდომა** ფორმის ნაცვლად ამავე შინაარსის გადმოსაცემად გვხვდება სიტყვა **ხელმისაწვდომობა**:

ინფორმაციის **ხელმისაწვდომობა** არ გულისხმობს მის უსასყიდლოდ მოპოვებას.

ბოლო წლებში არ შეიმჩნევა სადენიანი ინტერნეტის **ხელმისაწვდომობის** მაჩვენებლის ზრდა.

ხელმისაწვდომობა, მართალია, უფრო გრძელი სიტყვაა, ვიდრე **წვდომა**, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლოა უფრო გამართლებული

¹ ამონარიდები წარმოდგენილია ინტერნეტრესურსებიდან.

იყოს, რამდენადაც იგი პოლისემიური არ არის და მისი ლექსიკური მნიშვნელობაც უფრო ნათელია.

რაც შეეხება იმას, რომ **წვდომა** ფორმასთან დაკავშირებული სახელები სხვადასხვა ბრუნვით და სხვადასხვა თანდებულით გამოიყენება, ვფიქრობთ, ეს რუსული ენის გავლენის შედეგია (შდრ.: *имеет доступ ко всей информации; Студентам и сотрудникам... обеспечен открытый доступ к базам...*). ზოგ შემთხვევაში ქართულისათვის ბუნებრივი ნათესაობითი ან -ზე თანდებულიანი ფორმა გამოყენებული, ზოგში კი - რუსულის **к, ко** წინდებულების შესატყვისი -**თან** თანდებულიანი ფორმა.

ზემოთ წარმოდგენილი წინადადებებიდან ზოგში, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა პირიანი ფორმის ან შედგენილი შემასმენლის გამოყენება: ინფორმაციაზე ხელი არ **მიუწვდება**; ინტერნეტი **მისაწვდომია** ყველასათვის; მასალა **ხელმისაწვდომი არ არის** და ა. შ.; ხოლო როცა აუცილებელია საწყისის გამოყენება, ასეთ შემთხვევაში სახელი, რომელიც მასთან არის სინტაქსურად დაკავშირებული, ნათესაობით ბრუნვაში ან -ზე თანდებულით უნდა იყოს წარმოდგენილი: ინფორმაციის/ინფორმაციაზე წვდომა და არა: ინფორმაციასთან წვდომა, რამდენადაც სწორია: ხელი მიუწვდება რაიმეზე და არა - რაიმესთან; რაიმეს მისწვდა და არა - რაიმესთან მისწვდა.

ბოლო დროს ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვებები იქმნება **მოცვა** ზმნური ფორმის გამოყენებითაც.

მოცვა არის საწყისი **მოიცავს** ზმნის მოქმედებისა (*მოიცავს – მთლიანად დაეუფლება რაიმეს, შეიპყრობს, გამსჭვალავს || მთლიანად დაფარავს*). სასაუბრო მეტყველებაში ეს ფორმა თითქმის არ გვხვდება. ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში იგი გამოიყენება (მოსახლეობის, ტერიტორიის...) მთლიანად უზრუნველყოფის, მთლიანად ათვისების მნიშვნელობით:

სატელევიზიო რეკლამით ყველაზე ფართო აუდიტორიის **მოცვა** შეიძლება.

უწყების მთავარი პრიორიტეტი დაზღვევის სტანდარტული პაკეტით მოსახლეობის 100%-ით **მოცვა**. . . იქნება.

საქართველომ... შეძლო ანტირეტროვირუსული თერაპიით მთელი მოსახლეობის **მოცვა**.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი წინადადებების სტილი უფრო გამართული იქნებოდა, თუ საწყისის ნაცვლად პირიან ფორმას გამოიყენებდნენ: **სატელევიზიო რეკლამა ყველაზე ფართო აუდიტორიას**

მოიცავს; ზოგჯერ კი ჯობდა **მოცვა** სხვა სიტყვით შეცვალათ: „მოსახლეობის 100% -ით **მოცვას**“ ჯობია: „მოსახლეობის 100%-ით **უზრუნველყოფა**“.

მოცვა კონტექსტისათვის შეუფერებელად არის გამოყენებული შემდეგ ამონარიდებში:

გენოციდის თემის **მოცვა** სიურპრიზი არაა.

სტრატეგიის წარმატებით დასაწერად უნდა მოხდეს შემდეგი ეტაპების **მოცვა**.

ეს სიტყვა ზოგჯერ ისე გამოიყენება, რომ არ არის დასახელებული, რის მოცვას ეხება საქმე, რაც სათქმელს აბუნდოვანებს:

იმუნიზაციით **მოცვის** დონე ფრიად განსხვავდება.

იმუნიზაციით **მოცვა** შესაძლოა დაბალი იყოს.

აშშ-ში სადაზღვევო **მოცვა** ნებაყოფლობითია.

კონტექსტის მიხედვით გასაგებია, რომ მოსახლეობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ფრაზა სტილისტურად გაუმართავი გამოდის. თუ აუცილებელია **მოცვა** ზმნის საწყისის ფორმით გამოყენება, მაშინ სინტაქსურად მასთან დაკავშირებული წევრიც უნდა იყოს დასახელებული.

გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ შესიტყვებაზე: **შეხება აქვს/ შეხება არა აქვს**:

ამ თემასთან **შეხება არა აქვს**.

ვისაც ქართულ ხალხურ მუსიკასთან **შეხება აქვს**...

ჯარიმა აბსურდულია და კანონთან არანაირი **შეხება არ აქვს**...

ასეთი გამოთქმები მეტად გავრცელებულია სასაუბრო მეტყველებასა და პრესის ენაში. **შეხება** ზმნის პირიანი ფორმა – **ეხება**, თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, ჩვეულებრივ, გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც: ყურადღებას ამახვილებს, განიხილავს, ურთიერთობა, კავშირი აქვს, – უკავშირდება (საქმეს, ნათქვამს, ლაპარაკს და სხვ.), მაგრამ რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ, საწყისით შექმნილ გამოთქმებს, ისინი არ წარმოადგენს გამართული ქართულის ნიმუშს, ბოლო დროს კი ამათ დაემატა ხელოვნური და სრულიად მიუღებელი სიტყვა – **შემხებლობა**:

გამოძიებულ უნდა იქნას ჩემი **შემხებლობა** ამ ბინძური ჩანაწერის გავრცელებასთან.

მისი ინფორმირებულობა ან **შემხებლობა** იკვეთება საგამომიგბო საქმეში.

ამ საქმესთან დაკავშირებით მისი **შემხებლობა** იკვეთება.

სამართალდამცველ ორგანოებში არსებობს საქმეები, რომელ-

შიც შესაძლებელია მერის **შემხებლობა** იყოს დადასტურებული.

შემხებლობა, რომელიც მიღებულია მიმღეობის ფორმაზე (**შემხებელი**) -ობა სუფიქსის დართვით, ბოლო დროს შექმნილი სიტყვაა. ის არ არის მოცემული არც ერთ განმარტებით ლექსიკონში და არც არის საჭირო მისი დამკვიდრება ენაში. ამ ფორმის ნაცვლად მოცემულ წინადადებებში თავისუფლად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სიტყვები: **კავშირი, მონაწილეობა**.

ჩვენი აზრით, აქ განხილული ფორმებით (წვდომა, მოცვა, შემხებლობა) შექმნილი ტერმინოლოგიური შესიტყვებები უმეტეს შემთხვევაში ქართული ენის ბუნებისათვის უცხო და ხელოვნური გამოთქმების დამკვიდრებას უწყობს ხელს. უმჯობესია მათი შეცვლა გამართული, ჩვენი ენისათვის ბუნებრივი კონსტრუქციებით.

Nino Chumburidze

On Some Terminological Collocations

Summary

Recently, some terminological collocations, being alien and unnatural for the language, occur in Standard Georgian, specifically, in the language of mass media and of the officialdom. Such collocations, having been established as a result of either a foreign influence or some other causes, are formed by means of the units like **ყვდომა (access)**, **მოცვა (cover)**, **შემხებლობა (touch)**. The paper discusses such artificial and syntactically ungrammatical collocations. The named verbal nouns should better be substituted by finite forms, and, in cases, when their use is necessary, an ungrammatical syntactic construction should however be avoided.

ნინო ჯორბენაძე

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)

ზოგადად, ყველა ენისა თუ ერის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე, კონკრეტულად კი – ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და, შესაბამისად, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებისთანავე დღის წესრიგში დგება სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა თუ შემუშავების საკითხები. თუმცა ნორმისა და მართებული ფორმების გარჩევის აუცილებლობა თავს იჩენს არამარტო ცალკეული (არასახელმწიფო) ენების, არამედ – დიალექტების, მეტიც – ცალკეული კილოკავებისა და თქმების შემთხვევებშიც კი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ ნორმალიზაციის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებაზე.

ენობრივი „ნორმალიზაციის“ ვიწრო გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ დიალექტის წარმომადგენელი შეგნებულად უდგება თავის მეტყველებას, არ ჰგუობს სხვა კილოებიდან შემოტანილ მისთვის უცხო სიტყვა-ფორმებსა თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს და მკაცრად იცავს თავის დიალექტში გავრცელებული ვარიანტების (ოდესღაც თავისთავად ცვლილის) წარმოთქმის სიზუსტეს. ქართულ დიალექტოლოგიაში“ (ჯორბენაძე, 1989 : 38) აღნიშნულია, რომ „ამა თუ იმ დიალექტზე (კილოკავზე, ქცევაზე) მეტყველი ზედმიწევნით გრძნობს დიალექტურ სხვაობებს და ცდილობს დაიცვას თავისი **დიალექტური ნორმა**“. ამავე ნაშრომში ამ მოვლენას **„დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია“** ეწოდა (ჯორბენაძე, 1989 : 37).

უფრო ფართო (და ძირითადი, გავრცელებული) მნიშვნელობით ენობრივი ნორმა, ეს **ერთიანი სალიტერატურო ენის დადგენილი ფორმა, შესიტყვება თუ სინტაქსური კონსტრუქციაა**. სალიტერატურო ნორმის პოზიციიდან მცდარია ნებისმიერი დიალექტური ფორმა; რომელიც, თავის მხრივ, ამა თუ იმ დიალექტიდან ამოსვლით, ამ დიალექტისთვის ნორმაა.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ენობრივი ნორმა ფრიად ცვალებადი მოვლენაა, მაგრამ, როდესაც ზოგადად ნორმებზე საუბრობენ, ბუნებრივია, იგულისხმება **ერთიანი, სალიტერატურო ენის ნორმები**, იმ ენისა, რომელიც, როგორც ზემოთ ნახსენებ ნაშრომში არის აღნიშნული (ჯორბენაძე, 1989 : 154):

- 1) **საერთოა და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;**
- 2) **იგი არის როგორც ზეპირი, ისე - სამწერლობო (განსხვავებით დიალექტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ზეპირი სახით არსებობენ);**
- 3) **სალიტერატურო ენა არის ნორმირებული** (აქ, ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული სახის ნორმები (თუმცა უფრო ადვილად ცვლადი) დიალექტებსაც ახასიათებთ, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია სულ სხვა ხასიათისაა. მისი ნორმები მეცნიერულად მუშავდება, დგინდება და ამ ნორმების დაცვის მოთხოვნებიც გაცილებით უფრო მკაცრია, ვინემ დიალექტებში);
- 4) **სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობების ენა. იგი გამოიყენება სახელმწიფო მმართველობაში, განათლებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში, ყოფა-ცხოვრებაში და ა. შ.**

ნორმების დადგენის შემდეგ, ბუნებრივია, დგება საკითხი ლექსიკონის გამოცემისა, სადაც ამ ნორმებზე დამყარებული სწორი ფორმები იქნება მოცემული. როგორც წესი, ეს ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიული ლექსიკონებია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აგების პრინციპების მხრივ, ყველა ენაში ერთი და იგივე ვითარება არ გვაქვს. მაგალითად, **1971 წელს გამოცემული „რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“** შესავალში აღნიშნულია, რომ **”ის მხოლოდ ორთოგრაფიული ცნობარია და არა ლექსიკონი, რომელიც თანამედროვე სიტყვაწარმოების ნორმალიზაციას ახდენს** (რასაც ემსახურება განმარტებითი ლექსიკონი), ამიტომ მასში შესულია... ორთოგრაფიულ ნორმალიზაციას დასაქვემდებარებელი სიტყვები, კონკრეტულად: სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები, ხალხური მეტყველების ნიმუშები და დიალექტური (ადგილობრივი) სიტყვები, ზოგიერთი მოძველებული სიტყვა და ა. შ.“ (რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1971 : 3–4).

როგორც ვხედავთ, რუსულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში შესულია ჯერ კიდევ დაუდგენელი ენობრივი ვარიანტები, რაც, ჩვენი აზრით, ზოგადად ორთოგრაფიული ლექსიკონის არსს ეწინააღმდეგე-

ბა. არასწორად მიგვაჩნია, ასევე, რომ ნორმალიზაციის საქმეს, ფაქტობრივად, განმარტებითი ლექსიკონი ემსახურება. ვფიქრობთ, აქ მკვეთრად არაა გამოიჯნული სხვადასხვა დარგის ლექსიკონთა აგების პრინციპები, რაც, ვფიქრობთ, **იდეალურად არის გატარებული ქართულ ლექსიკოლოგიაში** (უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ვითარება ლექსიკონთა აგების რუსულში განსხვავდება ზემოაღნიშნული ძველი წესისგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსულში, ქართულისგან განსხვავებით, დიდი სხვაობაა წარმოთქმასა და დაწერილობას შორის, რის გამოც ორთოგრაფიული ლექსიკონების მთავარი აქცენტი სიტყვის სწორ დაწერილობაზე იყო გადატანილი).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენის ფორმები, არამედ - დიალექტებისაც, ვინაიდან ის ერთიანი, მთლიანი ქართული ენის ლექსიკონია და არა მხოლოდ - სალიტერატურო ენისა. მისი ძირითადი დანიშნულება იმ სიტყვების ასახვა და ჩვენებაა (ბუნებრივია, განმარტებითურთ), რაც საერთო ქართულ ენაში არსებობს; ამავდროულად, ის სიტყვა-ფორმების გარკვეულ კვალიფიკაციასაც ახდენს (**გავრცელების, ხმარების სიხშირის, გრამატიკული** და სხვა მახასიათებლების მხრივ).

რაც შეეხება **ორთოგრაფიულ ლექსიკონს**, ქართულში ის მტკიცედ ნორმირებული, სალიტერატურო ენის ლექსიკონია და ბუნებრივია, მასში მხოლოდ სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი, სწორი ფორმებია შესული. ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონის შესავალშია აღნიშნულია კიდევ რომ: **„ამა თუ იმ ორთოგრაფიული ლექსიკონის დანიშნულებაა, აღწესდეს და წარმოგვიდგინოს, თუ როგორაა მოგვარებული ამ ენაში ორთოგრაფიის, ანუ მართლწერის საკითხები“**... (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998 : 5).

რაც შეეხება თავად ნორმებსა და მათ დამდგენ კომისიებს.

საკითხი სრულად და დეტალურად აქვს დამუშავებული ლია ლეჟავას მონოგრაფიაში „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები“, ამიტომ ამ საკითხზე აქ დიდხანს აღარ შევჩერდებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოკლედ გავადევნოთ თვალი კონკრეტულად კომისიების ჩამოყალიბების ისტორიას; აქ კი ასეთი სურათი იკვეთება:

1. **1934 წელს** განათლების სახალხო კომისარიატთან (თანამედროვე განათლების სამინისტროს ანალოგი) **ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია** ჩამოყალიბდა; კომისიის მიერ მიღებულ პრინციპებსა და ნორ-

- მებს კომისარიატი ამტკიცებს;
2. **1935 წელს** კომისია შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან ყალიბდება,
 3. **1937 წელს** კი ის „ენიმკის“ ქართველურ სექტორთან იქმნება;
 4. **1946 წელს** ნორმათა დამდგენი კომისია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა;
 5. **1953 წელს** კომისია მინისტრთა საბჭოს დაექვემდებარა;
 6. შემდგომ ეტაპზე აუცილებელი გახდა ნორმათა დადგენისა და მათი დამტკიცების სფეროების გაყოფა. საბოლოოდ ნორმათა შემუშავება ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ **„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა“** განყოფილებას დაევალა;
 7. **1990 წელს** მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნორმათა დამდგენი კომისია **ქართული ენის მუდმივ კომისიად** გარდაიქმნა და მასში ორი ქვეკომისია ჩამოყალიბდა: **ა) ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია; ბ) ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისია.** მეორე ქვეკომისიაში ორი საბჭო შეიქმნა: 1. კომპიუტერიზაციის საბჭო (იმ ეტაპზე მას ქართული შრიფტით აღჭურვილი კომპიუტერებით სკოლების უზრუნველყოფა ევალებოდა); და 2. საზედამხედველო საბჭო (ევალეობა ქართული ენის ფუნქციონირების გაკონტროლება, დარღვევების გამოვლენა, მოქალაქეების დახმარება, კონსულტაციების გაწევა)...
 8. **1995 წლიდან** ნორმათა კომისია უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს დაექვემდებარა.
 9. **2003 წლის** ვარდების რევოლუციის შემდეგ **კომისია გაუქმდა...** შედეგად ბოლო წლების განმავლობაში პრობლემების მთელი რიგი წარმოიშვა:
 1. შესაცვლელი და თანამედროვე ქართულ მეტყველებასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი უამრავი **მოძველებული ნორმა** (მხედველობაში გვაქვს **ბუხჰალტერი, მომგებიანი, მოოქრული** ტიპის შემთხვევები);
 2. სწორი ფორმების პარალელურად ბევრი **უმართებულო ვარიანტი** ჩნდება, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად უნდა ხდებოდეს (**მადლობა მოუხადა, ცივილური** (ცივილიზებული) ნაცვლად) და სხვა);

3. ბოლო წლების განმავლობაში ენაში ურიცხვი (სტატისტიკურად ყველაზე მეტი) უცხო სიტყვა, ტერმინი თუ სიტყვათმეხამება შემოვიდა, რომელთა **მართებული ვარიანტის, ნორმის დადგენა** გადაუდებელი საქმეა (ეს არის კომპიუტერთან, სხვა ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და სხვა...);

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადასამუშავებელია ორთოგრაფიული ლექსიკონი, შესაქმნელია მისი სრულყოფილი ელექტრონული ვერსია (ყველა ფორმა-შესიტყვების – ძველისა თუ ახლის – გათვალისწინებით).

კომისიის არარსებობის გამო ამ პრობლემების გადაჭრა ვერ ხერხდება. მოძველებული და სასაუბრო მეტყველებაში ფაქტობრივად „უხმარი“, ამკარად შესაცვლელი ნორმების გამო „სახელი უტყდება“ მთლიანად ორთოგრაფიულ ლექსიკონს. გამოსავალი თითქოს არ ჩანს...

ზემოთ ჩვენ კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი ნორმათა დამდგენი კომისიების შექმნისა და ფუნქციონირების ისტორიას. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპებზე კომისია სწორედ **სამეცნიერო დაწესებულებებს** (მეცნიერებათა აკადემიას, რუსთაველის ინსტიტუტს, ენიმკი-ს...) ექვემდებარებოდა; სულ თავიდან ის **განათლების სახალხო კომისariatთან** ჩამოყალიბდა (დღევანდელი განათლების სამინისტროს ანალოგი), შემდგომ ეტაპებზე კი ის უფრო მაღალ ინსტანციებს (მინისტრთა საბჭოს, უშუალოდ პრეზიდენტს) დაქვემდებარა. უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მაღალ ინსტანციას ექვემდებარება, მით უფრო ფერხდება კომისიის მუშაობა (თუმცა აქ პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებაცაა გასათვალისწინებული და ისიც, რომ პირველ ეტაპზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თითქმის ყველა საკითხი მოგვარდა). მართალია, უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებს დაქვემდებარებული კომისიის არსებობა სხვა ფასს სძენს მას; ეს თითქოს ენისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებულ მზრუნველობაზე მიუთითებს; მაგრამ, ამავდროულად, ჯერ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელის, მით უმეტეს – პრეზიდენტის – თავმჯდომარეობა კომისიის მუშაობას ბევრ ბარიერს უქმნის (განსაკუთრებით ბოლოდროინდელი გართულებული პოლიტიკური ვითარების პირობებში). არამიზანშეწონილად გვესახება აგრეთვე კომისიაში საზედამხედველო და სხვა ტიპის სამსახურების ჩართვაც...

ვფიქრობთ, დასაშვებია (ვინაიდან პრობლემა გადაუდებელ

**გადაჭრას მოითხოვს), ამ ეტაპზე ნორმათა დამდგენი კომისია არ-
ნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე
ჩამოყალიბდეს** (რასაკვირველია, მასში მოწვეული სპეციალისტებისა
და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ჩართვის პირობით). შე-
მდგომ ეტაპზე, თუკი ამის სურვილი და შესაძლებლობა, კეთილი ნე-
ბა იქნება, კომისია სხვა, უფრო მაღალ ინსტანციას დაექვემდებარება
(რის პრეცედენტიც საქართველოში წლების მანძილზე არსებობდა).

ლიტერატურა

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი.

რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1971 – Орфогра-
фический словарь русского языка, Москва.

ლეჟავა 2004 – ლია ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო
ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998 – ვ. თოფუ-
რია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკო-
ნი, თბილისი.

Nino Jorbenadze

Towards Defining the Georgian Literary Norms and its Relation to the Functioning of the State Language

(History and Modern times)

Summary

The issue of determining the norms for the Literary Georgian language has become an agenda since the unification of the Georgian state occurred and respectively, common Literary Georgian language was created. In the past, this problem has been solved at different times by the use of various means and with a broad range of scope. The definition of norms has become much more refined, since the state commission for the Georgian language was created.

Nowadays this commission does not exist and certain problems have arisen as a result:

1. Many out of date norms should be changed in accordance with Georgian speech.

2. Many improper variants appear beside the correct forms, which should definitely be taken into account.

3. In the last few years, many foreign words (a statistical high), terms and word combinations entered into the Georgian language and urgency is required to define their correct equivalents.

From the above-mentioned, it is necessary that an orthographic dictionary be revised and an electronic comprehensive version (taking into account all forms: word combinations, old and new ones) be created.

The solution has not been found due to the non- existence of commission. These problems have proven difficult to be resolved and the out-of date and discontinued use of forms in speech, disgraces the reputation of the whole orthographic dictionary.

To sort out this uneasy situation, it is necessary and urgent to create a state commission to define the norms for the Georgian language. At this stage, it is possible (as this issue is very urgent) to establish a state commission within the Arn. Chikobava Institute of linguistics (certainly providing inclusion of some invited specialists and other representatives of the society). In general, if there is a desire and possibility, the next stage will be to subordinate the commission to other higher institutions (the precedent of this fact has existed in Georgia for many years).

სამიეზელი

ტერმინები

აზგა: თეძო-ქედის აზგა, სინოვიური აზგა (სამედ.) 96
აზდომინალური//აზდომინური: აზდომინალური ქირურგია, აზდომინალური სიმსლუქნე, აზდომინური სინდრომი, აზდომინური ანგინა (სამედ.) 103
აზერაციული ჩიყვი 98
აზნეულობა (სამედ.) 96
აზრაგანი (სპორტ.) 78
აზრევიატურა 9, 10, 11, 102, 116
აზრევიაცია 13
აზსტრაქცია 155
აზსტრაქტული 155
აზსცისა//აზცისა (მათ.) 83
აზჯარი: მეცხოვანი აზჯარი (სამედ.) 96
აგებულება 4
აგვარა 49
აგზნებადი (სამედ.) 99
აგზნებადობა (სამედ.) 97
აგიტატორი 129
აგრესია (ყესტ.) 115
აგრესორი (ყესტ.) 115
ადამიანი (ყესტ.) 114
ადამიანის ციტომეგალოვირუსი - CMV (სამედ.) 103
ადაპტაციური დაავადება (სამედ.) 98
ადვოკატი 67
აეროგენული || აეროგენური (სამედ.) 104
ავადობა (სამედ.) 97
ავი ზნე (სამედ.) 96
ავხორცობა (სამედ.) 97
აზმახი 49
ათედი (მათ.) 168
ათეროსკლეროზული (სამედ.) 104
ათეულის მეთაური 57
ათწახნაგა 132
აი - ათეროგენობის ინდექსი (სამედ.) 102
აიროვანი განგრენა (სამედ.) 98
„აიდე და მიეძალე“ (სპორტ.) 78
აკვრა (სპორტ.) 29
აკომოდაციური სპაზმი (სამედ.) 98
აკრონიმი 10, 13, 15

ალბათობა (მათ.) 81
ალგებრა 113, 168, 192
ალერგიული დერმატიტი (სამედ.) 98
ალკოჰოლური ზოდვა (სამედ.) 98
ალცჰაიმერი// ალცჰეიმერი//ალცგეიმერი// ალც-გეიმერი (სამედ.) 105
ალჯგერი (მათ.) 168
ამთვისებლობა (სამედ.) 97
ამიერკავკასია (გეოგრ.) 33
ამო - ამოუცნობი მფრინავი ობიექტი 12
ამოთესვა (სამედ.) 96
ამორეცხვა (სამედ.) 96
ამოფესვა (მათ.) 186
ამურისპირეთი (გეოგრ.) 34
"ან ბიუტ" (სპორტ.) 75
ანგარიში (ყესტ.) 128
ანგლიციზმები 20, 21, 22, 26
ანდერმი 58
ანექსია 57
ანთებითი პროცესი (სამედ.) 113
ანთროპოგენული//ანთროპოგენური: ან-თროპოგენული ზემოქმედება, ან-თროპოგენური ფაქტორი (სამედ.) 118
ანილისეული კიბო (სამედ.) 99
ანტონიმი 36
აოზა 139
აპათიურობა (სამედ.) 97
აპენი//ა.პენი 11
აპელატივი 29
აპელაცია 57
აპლასტიკური ანემია (სამედ.) 98
არარაობა 4, 177
არარსი 4
არაწრფივი განტოლება 82
ართროგენული// ართროგენური: არ-თროგენული აბსცესი, ართროგენური სტენოზი, ართროგენური კონტრაქტურა (სამედ.) 104
არითმეტიკა 154, 187, 192
არითმეტიკული საშუალო 83
არსებითი 4
არსებობა 4, 177

- არსი 4, 177
 არსობა 4
 არტაშანი (სამედ.) 96
 არტიკლი 155
 არქეოლოგია 154
 არქივარიუსი 58
 არქივის გამგე 58
 არქიტექტურა 87, 153, 172
 ასტრონომია 153
 ატაქსიური პარაპლეგია (სამედ.) 98
 ატაცი (სპორტ.) 29
 აფიქსაცია 23
 აფიქსი 155
 აფრა: *ნამგლისებური აფრა* (სამედ.) 96
 აფურცვლითი ანთება (სამედ.) 99
 აქროლადი (სამედ.) 99
 აქსიომა 164
 აღდგომა 3
 აღთქმა 4
 აღმოსავლეთი: *აღმოსავლეთი ნახევარ-სფერო, აღმოსავლეთი ოლქი, აღმოსავლეთის გრძედი* (გეოგრ.) 35, 36
 აღსარება 4
 აშხარაბარი 150
 აცრა (სამედ.) 96
 აცრისეული როზეოლა (სამედ.) 99
 „ახალგაზრდა თურქების“ მმართველობა 19
ბაგა//ზოგა 48, 49
 ბადისებრი შრე (სამედ.) 98
 ბადურა (სამედ.) 97
 ბალტიისპირეთი (გეოგრ.) 34
 ბანახის სივრცე (მათ.) 84
 „ბანგნასკამი სიტყვარისტები“ 179
 ბანჭკინი (ბენზინი) 179
 ბანჯგვლიანობა (სამედ.) 97
 ბაქტერიციდური (სამედ.) 105
 ბაცილმატარებლობა (სამედ.) 97
 ბაცილოსნობა (სამედ.) 97
 ბეგობი//ბეჟობი (გეოგრ.) 29
 ბენეფიციარი 112
 ბენეფიციუმი 58
 ბერი//ზერა 47
 ბექი (გეოგრ.) 30
 ბექი (სპორტ.) 78
 ბიბლიოგრაფია 153
 ბიბლიოზემები 137
 ბიკვადრატული (მათ.) 164
 ბილიონი (მათ.) 167
 ბლუზობა (სამედ.) 97
 ბნედა (სამედ.) 202
 ბოდვა (სამედ.) 96
 ბოლოსართი 29, 31
 ბოლქვ-დრუბლოვანი კუნთი (სამედ.) 98
 ბორცვთაშუა (სამედ.) 100
 ბორცვი: *საძილე ბორცვი* (სამედ.) 96
 ბორცვზედა (სამედ.) 100
 ბორცვისქვეშა (სამედ.) 100
 ბოსელი 49
 ბოტანიკა 153
 ბოყინი (სამედ.) 96
 ბოჭვა (სპორტ.) 79
 ბრალდების მხარე (იურიდ.) 67
 ბრიყვინგები 138
 ბრონქიალური//ბრონქული: *ბრონქული ასთმა, ბრონქიალური ვენები* (სამედ.) 103
 ბრონქოგენული//ბრონქოგენური: *ბრონქოგენური მოთესვა, ბრონქოგენული კისტა* (სამედ.) 104
 ბრტყელტერფიანობა (სამედ.) 97
 ბრუნვითი კრუნჩხვა (სამედ.) 99
 ბრჯენი 179
 ბუდე: *მყესის ბუდე* (სამედ.) 96
 ბუდობი (გეოგრ.) 30
 ბუდოვანი ცვენა (სამედ.) 98
 ბუდოვანობა (სამედ.) 97
 ბულბარული//ბულბური: *ბულბარული დამბლა, ბულბური სინდრომი* (სამედ.) 103
 ბუმბა (სპორტ.) 78
 ბურთის ამოგდება (სპორტ.) 78
 ბურთის შემობრუნება (სპორტ.) 78
 ბურჯი (სპორტ.) 79
 ბუმტუკოვანი ნამქერი (სამედ.) 98
 ბუცობი (გეოგრ.) 30
ბადაზიდვა (იურიდ.) 66
 გადამკვეთი (მათ.) 58
 გადასახადი (ეკონ.) 142
 გადასახდელი (ეკონ.) 142
 გადატანა (იურიდ.) 66
 გადაცემა (იურიდ.) 63
 გალოგარიითმება (მათ.) 164
 გამთამაშებელი (სპორტ.) 76
 გამობერილობა (სამედ.) 97
 გამონაწვლილი (სამედ.) 100

გამონელებითი ტემპერატურა (სამედ.)

99

გამრავლება (მათ.) 188

გამხსნელი (სამედ.) 96

განაშენიანება 180

განგებ (სპორტ.) 79

განედი (გეოგრ.) 35, 36

განზღერული (მათ.) 165

განზღერულობა (მათ.) 165

განმხოლოება 87

განსაწმენდელი (სპორტ.) 78

განტოლება (მათ.) 81, 82; *იხ. არაწრფივი*

განტოლება, წრფივი განტოლება

განუკურნებადი (სამედ.) 99

განუზღვარი (მათ.) 165

განუზღვარობა (მათ.) 165

განცდა 4, 177

განხეთქილების ვაშლი 137

გაჟონვადობა (სამედ.) 97

გარბენი (სპორტ.) 29

გარდასახვა (სპორტ.) 79

გარემოება 5

გარე ნახევარმცველი (სპორტ.) 76

გარე საცობი (სამედ.) 88

გასტროენტეროგაიული (სამედ.) 104

გასტრალური//გასტრული (სამედ.) (*გასტრალური არხები, გასტრული მილი*) 103

გაუვალობა (სამედ.) 96

გაუტკივარება (სამედ.) 96

გაღმა მხარე (გეოგრ.) 33

გახევებულობა (სამედ.) 97

გეგმილი (მათ.) 84

გეოგრაფია 154

გეომეტრი 164

გეომეტრია 82, 84, 153, 165

გვამური ლაქები (სამედ.) 98

გვერდა // გვერდო (გეოგრ.) 30

გვერდი (გეოგრ.) 30

გვერდობი (გეოგრ.) 30

გვდ - გულის კოლონარული დაავადება (სამედ.) 102

გლიკოგენური (სამედ.) 104

გნება 165

გნობა 165

გონება 4, 68

გონი 4, 177

გონიერება 4, 177

გონიერი 4

გრავარი 149

გრძედი (გეოგრ.) 35

გრძნება 4

გრძნობა 4

გრძნობადობა (სამედ.) 97

გრძნობიერი 4

გუგური რეფლექსი (სამედ.) 98

გულ-აორტალური//გულ-აორტუ-

ლი//გულ-არტერიალური//გულ-არტერიული (სამედ.) 103

გულისგარეთა (სამედ.) 100

გულის რევა (სამედ.) 100

გულისხმა 5

გულისხმიერება 5

გულწრფელობა 5

გუმბათი: *პლევრის გუმბათი* (სამედ.) 96

დაბალინტენსიური (სამედ.) 100

დაბალმჟავიანობა (სამედ.) 100

დაბალწნეიანი (სამედ.) 100

დაბლობი (გეოგრ.) 29

დაგემოვნება 57

დადებითი (მათ.) 168

დავების უკანონოდ გადაწყვეტა (იურიდ.) 65

დაზელა (სამედ.) 96

დათესვა (სამედ.) 96

დამარი 50

დამიწება (სპორტ.) 79

დამტვრეულობა (სამედ.) 97

დამცველთა კოლეგია (იურიდ.) 64

დამცველი (იურიდ.) 67

დამწერლობათმცოდნეობა 154

დანდალი (მათ.) 164

დანდი (მათ.) 164

დანდის ადანდება (მათ.) 164

დანდსახება (მათ.) 164

დანიშნულება (ჟესტ.) 114

დასაბუთებული ვარაუდი (იურიდ.) 68

დასავლეთი: *დასავლეთი ნახევარსფერო, დასავლეთი ოლქი, დასავლეთის გრძედი* (გეოგრ.) 35

დასენიანებულობა (სამედ.) 97

დასთა 12

დატაბახება (სამედ.) 199

დატრიალება (სპორტ.) 79

დაუბოლოვებლად დიდი (მათ.) 168

დაუბოლოვებლად მცირე (მათ.) 168

- დაქანცულობა (სამედ.) 97
 დაღა 11
 დაცვა (იურიდ.) 58, 67
 დაცვის მხარე (იურიდ.) 67
 დაწიხლვა (სპორტ.) 79
 დებილობა (სამედ.) 97
 დებულება 69
 დეგუსტაცია 57
 დედათმავლობა (იურიდ.) 64
 დეკადრი 132
 დეკურიონი 57
 დემოკრატია 145
 დენი 179
 დეპუტატი 57
 დერგი // დეგი 49
 დერმატოგენური (სამედ.) 105
 დიაბეტისმიერი (სამედ.) 99
 დიაკონი 3
 დიალექტიზმები 22
 დიაფრაგმალური//დიაფრაგმული: *დი-
 აფრაგმალური ხერხლის თიაქარი,
 დიაფრაგმული ნერვის სინდრომი*
 (სამედ.) 103
 დიახითი (მათ.) 168
 დიზონტოგენური (სამედ.) 104
 დისკრეციული (იურიდ.) 68
 დისკრეციულობა (იურიდ.) 68
 დისკრეციული უფლებამოსილება
 (იურიდ.) 68
 დიფთონგი 105,156
 დნეპრისპირეთი (გეოგრ.) 34
 დნესტრისპირეთი (გეოგრ.) 34
 დოლის ჩხირისებრი თითები (სამედ.) 98
 დომესტიკოსი 56
 დომუზი 49
 დსლ - დაბალი სიმკვრივის ლიპოპრო-
 ტეინები (სამედ.) 102
ეზოგენური (სამედ.) 104
 ეკლიდური სივრცე (მათ.) 84
 ევროპეიზმები 24
 ეთნოგრაფია 153
 ეთნონიმი 156
 ეკლესია 4
 ელინოფილური სკოლა 149
 ელინოფილური სომხური 149
 ელინური სკოლა 149
 ელიფსური სახსარი (სამედ.) 98
 ემანსიპაცია 59
 ემბრიონ//ფეტუსი 70
 ემისარი 58
 ემოცია 57
 ენა: „პირობითი ენა“ 9; სახელმწი-
 ფო/ოფიციალური ენა 18; „მაღალი
 სტილის“ ენა 18; „ნარევი“ ენა 18
 ენაბლულობა (სამედ.) 97
 ენაჩლუნგობა (სამედ.) 97
 ენბისი 11
 ენდოდინამიკური (სამედ.) 90
 ენდოგენური (სამედ.) 104
 ენდოკრინული (სამედ.) 104
 ენისქვეშა (სამედ.) 100
 ენ-ტე-ვე 11
 ენტერეპიდერმული (სამედ.) 104
 ენტეროვირუსული (სამედ.) 104
 ენტეროპათიური (სამედ.) 105
 ენტეროჰეპატური (სამედ.) 105
 ეპიგრაფიკა 154
 ეპონიმი 95, 105
 ეპშტეინ-ბარის ვირუსი – EBV (სამედ.)
 103
 ეჟვანი//ორჟენი 48
 ერგ (მათ.) 168
 ერგასი (მათ.) 168
 ერგსხვაობა (მათ.) 168
 ერგწერ (მათ.) 168
 ერგჯამი (მათ.) 168
 ერთა (მათ.) 188
 ერთადი (მათ.) 188
 ერთეული (მათ.) 188
 ერთი (მათ.) 188
 ერთფრთიანი კუნთი (სამედ.) 88
 ეროგენური (სამედ.) 105
 ერ-ტე-ერი 11
 ერუდიცია 57
 ესტროგენური (სამედ.) 105
 ეტიმოლოგია 123
 ექვსას ექვსათ ექვსი (მათ.) 167
 ექიმისმიერი დაავადება (სამედ.) 99
 ექო-კგ – ექოკარდიოგრაფია (სამედ.) 102
 ექსპანსია 57
 ექსპრესია 57
 ექსტრადიცია (იურიდ.) 63
 ექსცისია 57
 ეხოსკოპია//ექოსკოპია (სამედ.) 102
ვაგინალური//ვაგინური (სამედ.) 103
 ვაკე (გეოგრ.) 30

- ვაკობი (გეოგრ.) 30
 ვარსკვლავთმრიცხველობა 192
 ვეგეტარიანელობა (სამედ.) 97
 ველი (გეოგრ.) 30
 ველობი (გეოგრ.) 30
 ვენისშიდა (სამედ.) 100
 ვერცხლისმირი დერმატიტი (სამედ.) 99
 ვიეტას თეორემა 82, 83, 86
 ვითარება 5, 177
 ვიწრობი (გეოგრ.) 29
 ვოლგისპირეთი (გეოგრ.) 36
 ვსებკვება 130
ზ
 ზაოტკა (სპორტ.) 75
 ზაოტნოე პოლე (სპორტ.) 75
 ზე (super): *ზეზღურბლოვანი, ზემგრძნობიარობა* (სამედ.) 100
 ზედაპირი (მათ.) 166
 ზედახორა (სპორტ.) 79
 ზეზეულად (სპორტ.) 79
 ზეთორმეტი (სპორტ.) 77
 ზემკლავი (სპორტ.) 29
 ზემოთი (გეოგრ.) 32
 ზეპური რაგბი (სპორტ.) 74
 ზერაგბი (სპორტ.) 77
 ზოზინი (სპორტ.) 79
 ზონდერ-ჟურნალისტი 138
 ზფმ – ზოგადი ფიზიკური მუშაობისუნარიანობა (სამედ.) 102
 ზღვარი (მათ.) 165
 ზღვარული (მათ.) 165
 ზღვისპირეთი (გეოგრ.) 34
თ
 თაებრუ (სამედ.) 96
 თავდამსხმელი (სპორტ.) 76
 თავდამსხმელი (ჟესტ.) 115
 თავის დაქვეითი სუნთქვა (სამედ.) 99
 თავსართი 155
 თანა (co): *თანაგლუტინაცია, თანავრძობა, თანაცხოვრება* (სამედ.) 100
 თანავარიანტული 132
 თანამზრახველობა 5
 თანასწორი (მათ.) 165, 193
 თანასწორობა (მათ.) 165
 თანაცხოვრება (იურიდ.) 56
 თანზიმათის ეპოქა 19
 თანწყობა (სისტემა) 179
 თასმა: *მყესის თასმები* (სამედ.) 96
 თბო (thermia): *თბოწარმოება, თბორეგულაცია* (სამედ.) 100
 თბური დაკვრა (სამედ.) 98
 თემქა 10
 თერნოვერ (სპორტ.) 78
 თერმული ნაკერი (სამედ.) 98
 თვალთახედვა 6
 თვით (auto): *თვითკვება, თვითმკვლელობა, თვითმოწამვლა, თვითჩასახვა* (სამედ.) 100
 თვითმპყრობელი 5
 თვითმპყრობელობა 5
 თვითმყოფობა 5
 თიბისი 13
 თივისმირი ცხელება (სამედ.) 99
 თითისტარა კუნთი (სამედ.) 98
 თითნაკლებობა (სამედ.) 101
 თირკმელზედა (სამედ.) 100
 თირკმლისმირი ჭვალვა (სამედ.) 99
 თოსუმი 49
 თულუხჩი (სპორტ.) 78
 თურქიზაცია 25
 თურქიზმები 47
ი
 იატროგენური (სამედ.) 105
 იგივეობა 177
 იზოლაცია 87
 იმედგაცრეუბა 70
 იმიერბიკალეთი (გეოგრ.) 33
 იმიერკარპატეთი (გეოგრ.) 33
 იმიერპოლარეთი (გეოგრ.) 33
 იმპერია 58
 იმპულსურობა (სამედ.) 97
 "ინ გოულ ერია" (სპორტ.) 75
 ინდიფერენტულობა (სამედ.) 97
 ინდულგენცია 57
 ინტეგრება || ინტეგრირება 195
 ინტერდენტალური (სამედ.) 104
 ინტერლობური/ინტერლობული (სამედ.) 104
 ინტერსტიციური (სამედ.) 105
 ინტრავენური (სამედ.) 90
 ინტრასპინული/ინტრასპინური: *ინტრასპინური გამოკვლევა, ინტრასპინული ფლემბიტი* (სამედ.) 104
 ინფიქსი 155
 ისტიტუტიონნი 56
 იუნესკო 10
 იუპიტერ ომნიპოტენსი 58
 იშემიური დამბლა (სამედ.) 98
 „იზვისებრი“ სიარული (სამედ.) 98

- კაბულა** 50
კაიმალი 49
კალათბურთი 22, 156
კალენდობანი 56
კალორიულობა (სამედ.) 97
კამჭი 50
კანონიერი ქურდობა (იურიდ.) 64
კანონის ინტერპრეტაცია (იურიდ.) 71
კანქვეშა (სამედ.) 100
კანშიგა (რეაქცია) (სამედ.) 100
კარდიოგენური || კარდიოგენული:
კარდიოგენური შოკი, კარდიოგენული შემუპება (სამედ.) 104
კარდიოლოგი/კარდიოლოგი: *კარდიოლოგი ტკივილი, კარდიოლოგი ასთმა* (სამედ.) 103
კარი: *თირკმლის კარი* (სამედ.) 96
კარიბჭე: *შუა გასვლის კარიბჭე* (სამედ.) 96
კაცთმოშიშობა (სამედ.) 97
კბილთშორისი (სამედ.) 100
კეთილთვისებიაზობა (სამედ.) 97
კეთილი 5
კეთროვანი (სამედ.) 98
კეროვანი ინფექცია (სამედ.) 98
კვართი (სპორტ.) 78
კვაჭი (სპორტ.) 77
კვერცხსავალი (სამედ.) 100
კიბოსწინა (სამედ.) 100
კიბოსწინარე დერმატოზი (სამედ.) 100
კიდე (სპორტ.) 79
კინეტიკური ნავიგაცია 110
კისერმრუდა (სამედ.) 98
კისრალი 50
კლებ (მათ.) 168, 169
კნუტი „მათრახი“ 47
კოაქსიალური 132
კოდექსი (იურიდ.) 55
კოდიკოი 55
კოვარიანტული 132
კოჰნი 49
კოკოგენური (სამედ.) 104
კოლლედია 57
კომპენდიუმი 58
კომპიუტერი 145
კონსილიუმი 58
კონსტიტუცია 55
კონსტიტუციონალიზმი 56
კორპუზი 57
კოტომები (სამედ.) 96
კოჰაბიტაცია 56
კრიმინალური პოლიცია (იურიდ.) 69
კრიპტოგენული/კრიპტოგენური: *კრიპტოგენური ეპილეფსია, კრიპტოგენული სეფსისი* (სამედ.) 104
კრუნჩხვითი ხამხამი (სამედ.) 99
კრუპოზული ანთება (სამედ.) 98
კუდი: *სათესლე დანამატის კუდი* (სამედ.) 96
კუდიანი (წილი) (სამედ.) 98
კუთრი 179
კუკუხო-მღვიმეოვანი კუნთი (სამედ.) 98
კუნთებშორისი (სამედ.) 100
კუნთშიდა შემხაპუნება (სამედ.) 100
კურატორი 56
კურტანი 50
კუჭუკანა ჯირკვალი (სამედ.) 100
კუჭქვეშა (სამედ.) 100
ლაბაზა 49
ლაგამი: *ტუჩის ლაგამი* (სამედ.) 96
ლაგიწხედა (სამედ.) 100
ლაგიწთუა (სამედ.) 100
ლაგიწქვეშა (სამედ.) 100
ლათინოფილობა 150
ლათინოფილოური გრამატიკა 150
ლატერალური/ლატერული (სამედ.) 103
ლახტი (სამედ.) 96
ლელო (სპორტ.) 96
ლელო-ბურთი (სპორტ.) 75
ლესბოსელობა 63
ლექსიკა 156
ლექსიკოგრაფია 165
ლექსიკოლოგია 155
ლითონისებრი წკარუნი (სამედ.) 98
ლირა (lira) 19
ლიტერატურა 155
ლიდატი 53
ლორწოვანა (სამედ.) 97
ლორწქვეშა (სამედ.) 100
ლოზბითი ბრონქიტი (სამედ.) 99
ლოლოვანი ძვლები (სამედ.) 98
მაგისტრატა (იურიდ.) 68
მაგისტრატა მოსამართლე (იურიდ.) 68
მადლიერება 4
მათემატიკა 154

- მათრახი 47
 მაკროტოპონიმები 34
 მალამო (სამედ.) 96
 მამათმავლობა (იურიდ.) 63
 მარბიელი (სპორტ.) 49
 მართვა (ეკონ.) 141
 მართი კუთხე 165
 მართკუთხა სამკუთხედი 165
 მართკუთხა სამკუთხი 194
 მართობი (მათ.) 165
 მარტივი ჰერპესის ვირუსი - HSV-L (სამედ.) 103
 მარქვა (სპორტ.) 79
 მარცხენაპირეთი (გეოგრ.) 34
 მარჯვენაპირეთი (გეოგრ.) 34
 მასკულინობა (იურიდ.) 70
 მატ (მათ.) 168
 მაღალი ბურთის აწევა (სპორტ.) 78
 მაღალსიხშირიანი (სამედ.) 100
 მაღალწვევანი (სამედ.) 100
 მაღლობი (გეოგრ.) 29
 მაღრიბული დილექტი 39
 მამა (სამედ.) 96
 მაჩვენებელი 132
 მაწონი 68
 მაგზავი (სპორტ.) 76
 მაგი – მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი (სამედ.) 102
 მაღურა(სამედ.) 98
 მგრძნობელობა 4
 მდგომარეობა 4
 მდივანი 58
 მედიატორი 57
 მედიკო-ბიოლოგიური//მედიკობიოლო-გიური (სამედ.) 105
 მეექვსათე (მათ.) 167
 მემკვიდრე 59
 მემკვიდრეობითობა (სამედ.) 97
 მენაკი (გრადუსი) 179
 მენარხი //მენარქი (სამედ.) 102
 მენეჯერი 141
 მენეჯმენტი (ეკონ.) 141
 მეოთხათე (მათ.) 167
 მეფე 3
 მეშვიდათე (მათ.) 167
 მეცნიერება 4
 მეჭეჭოვანი ენდოვასკულიტი (სამედ.) 98
 მზამეტყველება 123
 მზისმიერი ასფიქსია (სამედ.) 99
 მთვარეულობა (სამედ.) 97
 მთისპირა: *მთისპირა ვაკე* (გეოგრ.) 34
 მთისწინეთი (გეოგრ.) 34
 მთლიანი სამამულო პროდუქტი (ეკონ.) 141
 მთლიანი შიდა პროდუქტი (ეკონ.) 141
 მიბამვითი ქორეა (სამედ.) 99
 მიბამვის თეორია 70
 მიგრანტი 58
 მიზეზობა (სამედ.) 97
 მითვლა 188
 მიკვება 130
 მიკროციტური (სამედ.) 105
 მიმართულება 6
 მიმეტური თეორია 70
 მიმღები (სპორტ.) 79
 მინარევი 179
 მიოგენური (სამედ.) 104
 მირქმა 3
 მიტოლება 165
 მიწის გაუვარგისება (იურიდ.) 167
 მკერდქვეშა (სამედ.) 100
 მკს - მწვავე კოლონარული სინდრომი (სამედ.) 103
 მლაშობი (გეოგრ.) 29
 მმართველი 142
 მობილობა 142
 მობილურობა 142
 მომთმენი 58
 მონელებადობა (სამედ.) 97
 მონელებადი (სამედ.) 99
 მონიტორინგი 64
 მონიტორინგს დაქვემდებარებული გა-რიგება (იურიდ.) 64
 მორკინალი (სპორტ.) 78
 მორფოლოგია 155
 მოქალაქეობის არქონე (იურიდ.) 62
 მოქალაქეობის არქონე პირი (იურიდ.) 62
 მოქმედებითი 5
 მოძრაი 5
 მოძრაობა 5
 მოძრაობის წესების დარღვევა (იურიდ.) 67
 მოძღვარი 5
 მოძღვრება 5
 მოძღვრებითი 5
 მოხეტიალე თავდამსხმელი (სპორტ.) 76

- მოცვა 211
 მოციონი 57
 მპ - მარცხენა პარკუჭი (სამედ.) 103
 მპმ - მარცხენა პარკუჭის მიოკარდიუ-
 მის მასა (სამედ.) 103
 მჟეიანობა (სამედ.) 97
 მრავალკუთხედი 164
 მრავალკუთხედი 164
 მრავალმშობიარე (სამედ.) 100
 მრავალნაყოფიანი(სამედ.) 100
 მრავალფეროვნება (ქესტ.) 114
 მრავალწახნაგი 164
 მრავალჭიდი (სპორტ.) 29
 მრტ - მაგნიტურ-რეზონანსული
 ტომოგრაფია (სამედ.) 103
 მსგავსება 5
 მსგავსებითი 5
 მსგავსი 5
 მსხვილმარცვლოვანი (სამედ.) 100
 მტევნისებრი წნული (სამედ.) 98
 მტვრიანა (სამედ.) 97
 მუდმივობა (სამედ.) 97
 მუნიციპალიტეტი 56
 მუხლთაშორისი (სამედ.) 100
 მუხლქვეშა (სამედ.) 100
 მღდელი 3
 მღვრივა (სამედ.) 97
 მღლეტელი (სპორტ.) 79
 მყესოვანი აბჯარი (სამედ.) 96
 მყისიერი 5
 მშვილდისებრი იოგი (სამედ.) 98
 (მ)მეწიერება 4
 მწერალი 4
 მწერლობა 4
 მწუ - მარცხენა წინაგული ზომა (სამედ.)
 103
 მწოლელა (სამედ.) 98
 „მწყრისებრი“ რიტმი (სამედ.) 98
 მჭამელა (სამედ.) 98
 მხაზველობითი გეომეტრია 82
 მხები (მათ.) 89
 მხედველობა 5
 მხედრობა 3
ნადები (სამედ.) 100
 ნადირობის წესების დარღვევა (იურიდ.)
 67
 ნათლისღება 3
 ნათლისცემა 4
 ნათურა 179
 ნათხზი 174
 ნაკაწრი (სამედ.) 100
 ნაკერი (სამედ.) 98, 100
 ნაკუთი (ფიგურა, სქემა) 124
 ნალისებრი თირკმელი (სამედ.) 98
 ნამგალი: *მგდის ნამგალი* (სამედ.) 96
 ნამი: *მინისებრი ნამი* (სამედ.) 96
 ნამრავლი 195
 ნამქერი (სამედ.) 98, 100
 ნარდომი 125
 ნასამართლევი პირი (იურიდ.) 62
 ნასტალინარი 138
 ნატურალიზაცია 57
 ნაფენი (სამედ.) 100
 ნაფიფი (სამედ.) 100
 ნაქუსი (მწკრივი, რიგი, სერია) 124
 ნაღები 49
 ნაყენი (სამედ.) 100
 ნაწიბური (სამედ.) 100
 ნაწლავების გაუვალლობა (სამედ.) 96
 ნაწოლი (სამედ.) 100
 ნახაზი 82
 ნახარში (სამედ.) 100
 ნახევრადაცვა (სპორტ.) 76
 ნახვევი (სამედ.) 100
 ნახველი(სამედ.) 100
 ნაცხი (სამედ.) 100
 ნეგატივი 168
 ნეკნთაშორისი (სამედ.) 100
 ნეკნთშუა (სამედ.) 100
 ნეგროგენული//ნეგროგენური: *ნეგროგე-
 ნული ანორექსია*, ნეგროგენური დი-
 არეა (სამედ.) 104
 ნეგროპათიური (სამედ.) 105
 ნეგროგენული//ნეგროგენური: *ნეგრო-
 გენული ჰიპერტონია*, *ნეგროგენუ-
 რი ოსტეოდისტროფია* (სამედ.) 105
 ნივთიერი წერტი 166
 ნიკაპქვეშა (სამედ.) 100
 ნიკრისის ქარები (სამედ.) 96
 ნოტარიუსი 58
 ნუშისებრი ჯირკვლები (სამედ.) 98
 ნუშურა (სამედ.) 98
ობიექტური უფლება (იურიდ.) 61
 ოვაცია 57
 ოთიალე 48
 ოთხათხუთი (მათ.) 167

ოთხათპირველი (მათ.) 167
 ოთხდანი (მათ.) 167
 ოთხედი (მათ.) 168
 ოკაზიონალიზმი 138
 ომონიმი 156
 ონჩახულე // ონჩახულე 48
 „ოპეკი“//ოპეკი 11
 ოპერაციისშემდგომი თიაქარი (სამედ.) 100
 ორანწვილონი//ოდრანწვალონი 48
 ორდანდა შეტოლება (მათ.) 164
 ორდანი 167
 ორდინატი // ორდინატა (მათ.) 83
 ორექსი 50
 ორთოგრამა 14
 ორი შეფარდების თანასწორობა (მათ.) 165
 ორორზომიანი (მათ.) 164
 ორსქესიანობა (სამედ.) 97
 ორფაორდანდა (მათ.) 164
 ორფარდობის ტოლობა (მათ.) 165
 ოსპისებრი მარყუქი (სამედ.) 98
 ოფლოუდი (სპორტ.) 78
 ოფტიონი 56
პალეოგრაფია 154
 პალეონტოლოგია 154
 პარკუჭახლო ბირთვი (სამედ.) 100
 პარკუჭთაშორისი (სამედ.) 100
 პასატური დინება (გეოგრ.) 35
 პაციენტი 58
 პაციენცია 57
 პერპენდიკულარი 84
 პიკერი 132
 პირეთი (გეოგრ.) 34
 პირველი ნომერი (სპორტ.) 77
 პირველი ახსარებითი 164
 პირველობა (სპორტ.) 77
 პირღებინება (სამედ.) 96
 პიროგენური//პიროგენული: *პიროგენული ცხელება და პიროგენური მოქმედება* (სამედ.) 105
 პლემბისციტი (იურიდ.) 58
 პლურალიზმი 56
 პოზიტივი (მათ.) 168
 პოლესიე (გეოგრ.) 34
 პოლუსი (გეოგრ.) 35
 პოლუსი (მათ.) 166
 პოლიმორფულობა (სამედ.) 97

პოლიტროპულობა (სამედ.) 97
 პონტიფიკსი 58
 პონტიფიკები 58
 პოტენცია 57
 პრეზიდუმი 67
 პრეზუმფცია 68
 პრეპოზიციური//პრეპოზიციული (სამედ.) 104
 პრეფიქსი 155
 პრინტერი 145
 პრინციპსი 68
 პრობაცია 57
 პროდუქტი: იხ. *მთლიანი სამამულო პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი* (ეკონ)
 პროექცია 84
 პროვადიერი 145
 პროპორციონალობა 165
 პროცენტი 142
 პროცენტული პუნქტი 142
 პშმს - პარკუჭთაშუა ძგიდის სისქე (სამედ.) 103
ჟარგონი: *სოციალური ჟარგონი* 14
 ჟესტების ენა 109
რავბი: იხ. *რავბის თემი, ქართული რავბი, ოლიმპიური რავბი, ზერავბი, ზეპური რავბი, სუპერ რავბი* (სპორტ.)
 რაციო 59
 რაციონი 59
 რეაქტოგენული//რეაქტოგენური: *რეაქტოგენული ვაქცინა, რეაქტოგენური პრეპარატი* (სამედ.) 104
 რეგიონი 57
 რეზუსფაქტორი//რეზუს-ფაქტორი (სამედ.) 102
 რეკეტი (იურიდ.) 63
 რეკეტირი (იურიდ.) 63
 რემისია 57
 რეფლექსოგენური//რეფლექსოგენული(სამედ.) 104
 რისკფაქტორი//რისკ-ფაქტორი (სამედ.) 102
 რიცხვი 142
 რკალვანი შემადლება (სამედ.) 98
 რკინა (ჟესტ.) 115
 რომის სტატუტი (იურიდ.) 69
 რომის წესდება (იურიდ.) 69

- რუსიზმები 47
 რქა: *გავის რქა* (სამედ.) 96
 რუჟოვანა (სამედ.) 97
 რძიანა (სამედ.) 97
 რძისებრი ლაქები (სამედ.) 98
საავადმყოფოსშიგა ინფექცია (სამედ.) 100
 საარსო 5
 საბეწური (სამედ.) 99
 სადგისისებრი მორჩი (სამედ.) 98
 სადენი 179
 საენებო (სამედ.) 99
 საზღაური 5
 სათბური (სამედ.) 99
 საკანი (სპორტ.) 79
 საკაცე (სამედ.) 99
 საკეისრო კვეთა (სამედ.) 99
 საკვერცხე (სამედ.) 99
 სალბუნი (სამედ.) 96
 სამათ-და-ერთი (მათ.) 167
 სამდანი (მათ.) 167
 სამედი (მათ.) 168
 სამთავა (კუნთი) (სამედ.) 97
 სამკუთხედი (მათ.) 82, 193
 სამკუთხი (მათ.) 194
 სამომდვრო 5
 სამშობიარო არხი (სამედ.) 99
 სანაპირო (გეოგრ.) 34
 სანარკოზო ნივთიერება (სამედ.) 99
 სანაყოფო ბუშტი (სამედ.) 99
 სანერწყვე ჯირკვალი (სამედ.) 99
 სამხრეთი: *სამხრეთი ნახევარსფერო, სამხრეთი პოლუსი, სამხრეთი ოლქი, სამხრეთის განედი, სამხრეთი კავკასია* (გეოგრ.) 35,36
 სართი 155
 სასახსრე ჩანთა (სამედ.) 99
 სასიცოცხლო ციკლი (სამედ.) 99
 სასულე (სამედ.) 99
 სასქესო ნიშნები (სამედ.) 99
 სასქესო ორგანო (სამედ.) 99
 სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუვარგისება (იურიდ.) 67
 საფადართო საშუალება (სამედ.) 99
 საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია (იურიდ.) 64
 საქართველოს ადვოკატთა კოლეგია (იურიდ.) 64
 საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (იურიდ.) 64
 საშვილოსნოსგარე ორსულობა (სამედ.) 100
 საშუალო არითმეტიკული (მათ.) 83
 საშუალო გეომეტრიული (მათ.) 83
 საცრემლე ჯირკვალი (სამედ.) 99
 სატვინე შემაღლება (სამედ.) 99
 საუღლე ვენები (სამედ.) 99
 საქალწულე აპკი (სამედ.) 99
 საშვილოსნო (სამედ.) 99
 საშვილოსნოსმიერი ქლოაზმა (სამედ.) 99
 საშო (სამედ.) 99
 სამილე არტერია (სამედ.) 99
 სამრაობა 5
 საწვავი 132
 სახარება 3
 სახე 5
 სახიერება 5
 სახიერი 5
 სედლო „ქალის უნაგირი“ 47
 სევენს (სპორტ.) 76
 სეკანსი (მათ.) 58
 სემანტიკა 156
 სემიორკა (სპორტ.) 76
 სენტენცია 57
 სვეჩა (სპორტ.) 78
 სიგმოიდური კოლინჯი (სამედ.) 98
 სიენენი 11
 სივრცეზნობა 165
 სივრცეზნური 165
 სივრცე 5
 სივრცის გნობა 165
 სივრცემგნელი 165
 სიკეთე 5
 სიზრქე 5
 სიმარტივე 5
 სიმეტრია 165
 სინამდვილე 6
 სინზინი (სპორტ.) 79
 სინტაქსი 155
 სირსველა (სამედ.) 97
 სისრულე 5
 სისხლდენა (სამედ.) 96
 სისხლმზადი (სამედ.) 100
 სისხლმეტობა (სამედ.) 100
 სისხლნაკლებობა (სამედ.) 101

სისხლისსამართლებრივი დევნის დის-
კრედიულობა (იურიდ.) 68
სისხლის სამართლის პოლიცია
(იურიდ.) 70
სისხლჩაქცევა (სამედ.) 96
სიტყვა-ჟესტი 111
სიტყვათმეცოდნეობა: გრაფიკული ს.,
ლექსიკური ს., 9
სიტყვარსებობა 176
სიცხიანობა (სამედ.) 97
სიწვრი 5
სმამ 14
სოკოსებრი ართროტი (სამედ.) 98
სოლისებრი ძვალი (სამედ.) 98
სოფელი (ჟესტ.) 114
სრულასაკოვანი (სამედ.) 100
სრულწლოვანი (სამედ.) 100
სტატისტიკა 153
სტატუტი (იურიდ.) 62
სტიპენდია 58
სუბიექტური უფლება (იურიდ.) 61
სუბსიდი 145
სუიციდი 58
სულიერი 5
სულის ხუთვა (სამედ.) 96
სუმადი 5
სუპერ 12 (სპორტ.) 77
სურდოთარჯიშანი 112
სურდოპედაგოგი 112
სუფიქსი 155
სქ - საერთო ქოლესტერინი (სამედ.) 109
სწორი ნაკვთი 165
სწორ საზომობა (მათ.) 164
სწორი ხაზი (მათ.) 81
სხვადასხვაობა 5
ტანგენსი//ტანგენი (მათ.) 58
ტაფობი (გეოგრ.) 29, 30
ტამარი 4
ტბა: ცრემლის ტბა 96
ტერენ დე ცინტა 75
ტერმინალი 145
ტესტამენტი 58
ტიტლოსი 56
ტოლდიდი (მათ.) 165
ტოლი (მათ.) 168, 169, 193
ტოლკუთხა სამკუთხედი (სამედ.) 193
ტოლობა (მათ.) 81
ტოლფარდი// ტოლფარდა (მათ.) 165

ტოლფარდობა (მათ.) 165
ტოლფასი(მათ.) 96
ტოტი: შუბლის ტოტი, თხემის ტოტი
(სამედ.) 33
ტრანსკავკასია (გეოგრ.) 98
ტრაპეციული კუნთი (სამედ.) 156
ტრიფთონგი 36
ტროპიკი 49
ტყავი 34
ტყისპირი (გეოგრ.) 168
უარითი (მათ.) 168
უარდებითი (მათ.) 168
უარსო 4
უარყოფითი (მათ.) 168
უგულისხმო 5
უგულისხმოება 5
უდანაშაულობისა და თავისუფლების
ვარაუდი (იურიდ.) 68
უკანა ხაზელი (სპორტ.) 78
უკეთურება 5
უკეთური 5
უკუ (contra): უკუბიძგი, უკუგანვითარე-
ბა, უკუსვლა (სამედ.) 100
უკუმკლავი (სპორტ.) 29
უმაღლობა (სამედ.) 96
უმაღლესი ქურუმი 58
უმეცრება 4, 177
უმსგავსი 5
უმსგავსობა 5
უნაგირა სახსარი (სამედ.) 98
უნებლიე (სპორტ.) 79
უპირატესი 5
უპირატესობა 5
ურნალისტი 138
უროგენული/უროგენური: უროგენუ-
ლი სეფსისი, უროგენური გზა
(სამედ.) 104
უსასრულოდ მზარდი (მათ.) 168
უსასრულოდ მღვრი (მათ.) 168
უსიცხოება (სამედ.) 97
უფლება 3
უქმი ბურთი (სპორტ.) 78
უძილობა (სამედ.) 200
უძლურება 4
უძრავი 5
უძრავობა 5
უჯრედშორისი (სამედ.) 100
ფალავნობა (სპორტ.) 77

ფალანგშუა (სამედ.) 100
 ფარდობა (მათ.) 165
 ფართეული 166
 ფართი 166
 ფართობი (გეოგრ.) 29
 ფარინგალური (სამედ.) 104
 ფარისებახლო ჯირკვლები (სამედ.) 100
 ფარისებრი მორჩი (სამედ.) 98
 ფაღარათობა (სამედ.) 97
 ფენირი 49
 ფერდობი (გეოგრ.) 29, 30
 ფერიმჭამელა (სამედ.) 98
 ფესვის ამოღება (მათ.) 164
 ფეხბურთი (სპორტ.) 156
 ფიდე 14
 ფიზიკო-ქიმიური // ფიზიკურ-ქიმიური (სამედ.) 105
 ფიზიოლოგია 154
 ფილოლოგია 153
 ფილოსოფია 153
 ფიქსაცია 69
 ფონემა 155
 ფონემატური (resp. მორფოფონემატური) კანონი 11
 ფონეტიკა 155
 ფორვარდი (სპორტ.) 78
 ფოსტი 49
 ფრენბურთი (სპორტ.) 156
 ფრთა: *სახნისის ფრთა* (სამედ.) 96
 ფრუსტრაცია (იურიდ.) 57
 ფრუქტუარიუსი//ფრუქტუარი 59
 ფრჩხილები: გარე ფრჩხილები; დიდი ფრჩხილები; უბრალო ფრჩხილები; წინა ფრჩხილები, ბოლო ფრჩხილები 169
 ფსიქიური//ფსიქიკური (სამედ.) 103
 ფსიქოლოგია 153
 ფხვნილი (სამედ.) 96
ქანობი (გეოგრ.) 29
 ქარაგმა 9
 ქარ(ებ)ი (გეოგრ.) 36
 ქერჭიგა (სამედ.) 89
 ქვაშდი 50
 ქვე (sub): *ქვეზღურბლოვანი, ქვექრონი-კული, ქვემწვევ* (სამედ.) 100
 ქვემოთი (გეოგრ.) 32
 ქვეყნის ზომვა 165
 ქვეყნის მზომელი 164

ქვიშრობი (გეოგრ.) 29
 ქმნადი 5
 ქმნადობა 5
 ქონდროგენური (სამედ.) 105
 ქოშინი (სამედ.) 96
 ქრომოფოვბული//ქრომოფოვბური: ქრო-მოფოვბული ადენომა, ქრომოფოვბური ენდოკრინოციტი (სამედ.) 104
 ქულა: *საცხრილო ქულა, რაგბული ქულა, სარეიტინგო ქულა* (სპორტ.) 79
 ქუნთრუშა (სამედ.) 96
 ქუსლ-კუბური სახსარი (სამედ.) 98
ღერმი (სპორტ.) 76
 ღირებულება 6
 ღუბერნატორი 57
ყაზობა (სამედ.) 97
 ყანობი (გეოგრ.) 30
 ყარაული (სპორტ.) 79
 ყბისქვეშა (სამედ.) 100
 ყელჭირვეზა (სამედ.) 96
 ყვავილბატონები (სამედ.) 96
 ყივანახველა (სამედ.) 96
 ყოფ (მათ.) 169
შავი ჭირი (სამედ.) 96
 შალითა (სპორტ.) 79
 შამანიზმი 18
 შარდოვანა (სამედ.) 97
 შარდსადენი (სამედ.) 100
 შარდსადინარი (სამედ.) 100
 შარდსაწვეთი (სამედ.) 100
 შებერილობა (სამედ.) 97
 შეგრძნებითი არხი (სამედ.) 99
 შეკრება (მათ.) 33
 შეკრების თვისებები (მათ.) 83
 შეკრულობა (სამედ.) 96
 შემეცნება 4
 შემხებლობა 212, 213
 შერკინების ნახევარმცველი (სპორტ.) 76
 შეტოლება (მათ.) 164; იხ. ორდანტა შეტოლება
 შექცევა 132
 შექცევადობა (სამედ.) 97
 შემხაუნება (სამედ.) 96
 შემუშება (სამედ.) 104
 შეხორცებადი (სამედ.) 99
 შეხორცებადობა (სამედ.) 100
 შვიდაცა (სპორტ.) 76

შთამომავლობითობა (სამედ.) 97
 შთანთქმითი უნარი (სამედ.) 99
 შიგა ანტენა//შიგაანტენა 88
 შიგაატომური 90
 შიგა ბლოკირება 88
 შიგა გაყოფა 88
 შიგა დინამიკა 88
 შიგადინამიკური 88
 შიგავენური 90
 შიგა ზომა 90
 შიგა კბილი 89
 შიგა კონუსი 90
 შიგა კოტა 88
 შიგაკრისტალური 89
 შიგა კუთხე 90
 შიგამოდება 90
 შიგამოლეკულური 89
 შიგამოდრაობა 90
 შიგა მოხმარება 89
 შიგანამრავლი 89
 შიგა ნორმალი 90
 შიგა პირი 88
 შიგასაქარხნო 89
 შიგასახეი 89
 შიგაწვა 90
 შიგა წნევა 88
 შიგა შეხება //შიგაშეხება 88
 შიგა ჩარხვა 88
 შიგაძალა 90
 შიგახახუნი 90
 შიგა ჯართი 88
 შიგსაზომი 90
 შიგსახრახნი 90
 შიგჩარხი 90
 შიდა აგებულება 88
 შიდა ანაშრევი 88
 შიდა გვერდი 88
 შიდა ვალი 88
 შიდა კარი 89
 შიდა ნარჩენი 88
 შიდა პროცესი 88
 შიდაპროდუქტი 88
 შიდასარემონტო 89
 შიდასეკრეცია 89
 შიდა სიმრუდე 88
 შიდა ძაბვა 88
 შიდაწვის ძრავა 88
 შიდა წნევა 88

შინაარსი 5
 შინა ვაჭრობა 89
 შინაუწყებრივი 89
 შინამოპირკეთება 89
 შინაპარტიული 89
 შინაპოლიტიკა 89
 შობადობა (სამედ.) 97
 შრატისმიერი ავადმყოფობა (სამედ.) 89
 შუამდგომ(ე)ლობა 5
 შუამონაკვეთი 82
 შუაშისტი 138
 შუა წრფე 82
 შუახაზი 82
 შუბური ბოჭვა (სპორტ.) 79
 ზათვლის მოედანი (სპორტ.) 75
 ჩაკითხვა 138
 ჩანასახობრიობა (სამედ.) 97
 ჩანთა: *სასახსრე ჩანთა* (სამედ.) 96
 ჩარეცხილები 138
 ჩაყენებადი (სამედ.) 99
 ჩაყვინთვა (სპორტ.) 79
 ჩაუყენებადი (თიქარი) (სამედ.) 99
 ჩაქცევა (სპორტ.) 79
 ჩაწოლა (სპორტ.) 79
 ჩახაზული წრეწირი (მათ.) 82
 ჩემპიონატი (სპორტ.) 77
 ჩიპი 145
 ჩირქმზადი (სამედ.) 100
 ჩობანი 49
 ჩრდილოეთი: *ჩრდილოეთი კავკასია, ჩრდილოეთი ნახევარსფერო, ჩრდილოეთი პოლუსი, ჩრდილოეთის განედი* (გეოგრ.) 30
 ჩუტყვავილა (სამედ.) 96, 98
 ცენტრი (მათ.) 166
 ცენტრული კუთხე//ცენტრალური კუთხე (მათ.) 84
 ცერებრული//ცერებრალური: *ცერებრალური ათეროსკლეროზი, ცერებრული დამბლა* (სამედ.) 103
 ცესკო 12
 ცვალეზადი 5
 ცვლისშიგა (სამედ.) 89
 ციგმა 12
 ციკლონი (გეოგრ.) 36
 ციფდა 12
 ციფრი 84, 142, 166
 ცნობა 4

- ცნობადი 4
 ცნობიერება 4
 ცრუ (pseudo): *ცრუ ავტოგრაფი, ცრუ კრუტი, ცრუ ორსულობა, ცრუაპოკალიფსი* (სამედ.) 100
 ცხელებისმიერი ტაქიკარდია (სამედ.) 99
 ცხვირში ლაპარაკისებრი ხმაური (სამედ.) 98
 ცხრაას ცხრაათ ცხრა (მათ.) 167
 ცხრათრე (მათ.) 167
 ძაბრი: ცხავის ძაბრი (სამედ.) 96
 ძაბრისებრი წყლული (სამედ.) 98
 ძალარი „სპირტი“ 179
 ძვლისაზრდელა (სამედ.) 98
 ძვალთშორისი (სამედ.) 100
 ძილიანობა (სამედ.) 97
 ძლიერება 4, 177
 წამლისმიერი ჩიყვი (სამედ.) 99
 წამწაზედა (სამედ.) 100
 წარმოება 5
 წერილი 5
 წერტი (სპორტ.) 78
 წერტი (მათ.) 166; იხ. ნივთიერი წერტი 166
 წერტილი (მათ.) 166
 წესდება 69
 წესიერი (მათ.) 165
 წესფართა ერთეული (მათ.) 166
 წესფართი (მათ.) 166
 წვართვა (სპორტ.) 29
 წვეთისებრი გული (სამედ.) 98
 წვრილმარცვლოვანი (სამედ.) 100
 წითელა (სამედ.) 96
 წითურა (სამედ.) 96
 წილარი (მათ.) 169
 წინააღმდეგ (anti): *წინააღმდეგეკენება* (სამედ.) 100
 წინა ბურღი 88
 წინაგული (სამედ.) 103
 წინამხარი (სამედ.) 100
 წინაღობა 179
 წინმკლავი (სპორტ.) 29
 წირი (მათ.) 82, 166
 წნევა 179, 193
 წნეხი 179
 წრფე (მათ.) 5, 81, 82, 165 იხ. შუა წრფე
 წრფელი 5
 წრფივი განტოლება (მათ.) 82
 წყალუდეგობა (სამედ.) 97
 წყალშიგა 89
 წყულლოვანი ართრიტი (სამედ.) 98
 წყულლოვანობა (სამედ.) 97
 ჰაკი 50
 ჰამადი 5
 ჰაობი (გეოგრ.) 31
 ჰარბაზიანობა (სამედ.) 100
 ჰარბმევიანობა (სამედ.) 100
 ჰარობი (გეოგრ.) 31
 ჰალი: *კუნთის ჰალი* (სამედ.) 96
 ჰალისებრი ნერვი (სამედ.) 98
 ჰენჭყი (გეოგრ.) 31
 ჰენჭყო (გეოგრ.) 31
 ჰენჭყლობი // ჰინჭყლობი (გეოგრ.) 31
 ჰენჭყობი (გეოგრ.) 31
 ჰემმარტიება 5
 ჰვალეზი (სამედ.) 96
 ჰიყელა კუნთები (სამედ.) 98
 ჰივადი (სამედ.) 99
 ჰინთვა (სამედ.) 96
 ჰიქურა (სამედ.) 98
 ჰიშკარი (სპორტ.) 79
 ჰლექი (სამედ.) 96
 ჰრილობისმიერი ინფექცია (სამედ.) 99
 ჰურობი (გეოგრ.) 31
 ჰყიში//ჰყეში//ჰეში 49
 ხაზი (მათ.) 82; იხ. სწორი ხაზი, შუახაზი
 ხამუტი „თაფხუნზე შემოქერილი თასმა“ 47
 ხარამაგა 50
 ხარება 3
 ხარისხის ხარისხი (მათ.) 164
 ხედვა 5, 177
 ხედვითი 5, 177
 ხეირი (სპორტ.) 78
 ხელისუფლება 3
 ხელმწიფე 3
 ხველება (სამედ.) 96
 ხილვა 4
 ხილული 5
 ხიხინი (სამედ.) 96
 ხორციელი 5
 ხრახნი 179
 ხრწნადი 5
 ხსენი (სამედ.) 50
 ხსნარი (სამედ.) 96
 ხუთათმეექვსე (მათ.) 167

ხუთედი (მათ.) 168

ხუთჭიდი (სპორტ.) 29

ხუროთმოძღვრება 87, 149

ხუცესი 3

ჯამი (მათ.) 83

ჯამის თვისებები (მათ.) 83

ჯიბე: *ბადექონის ჯიბე, ელენთის ჯიბე,*

პლევრის ჯიბე, ჯაღლუზის ჯიბე)

(სამედ.) 96

ჯიგერი 50

ჯვარედინა მალლობი (სამედ.) 98

ჭერის უკმარისობა (სამედ.) 96

ჭაბუკი (სპორტ.) 76

ჭერედიტარი// ჰერედიტარიუსი 59

ჭესი 10

ჭეტეროგენული//ჭეტეროგენური: *ჭეტე-*

როგენული რეაქცია, ჰეტეროგენური

სიმპტომთკომპლექსი (სამედ.) 104

ჭიდრონიმი 36

ჭილბერტის სივრცე (მათ.) 84

ჭიპერემიური (სამედ.) 105

ჭიპერტონული// ჰიპერტონული

(სამედ.) 103

ჭკმ - ჰიპერტოფიული კარდიომიოპათია

(სამედ.) 103

ჭოდებიტი (მათ.) 168

ჭუქერი (სპორტ.) 77

Accidental 79

Advocatura 56

Annexio 57

Anti 100

Antienflasyonist politika 24

Appelatio 57

Archivarius 58

Argumentum 58

Attestatio 56

Atom 23

Auto 100

Beneficiarius 56

Beneficium 58

Breakaway 79

Caeremonia 57

Certificatio 56

CMV 103

Codex, dicis 55

Cohabitatia 56

Collapse 79

Condificatio 56

Constitutio, onis 55

Contra 100

Conversion 79

Col legium 57

Compendium 58

Commentarium 58

Consilium 58

Corpus 57

CODA 116

Curator 56

Decurio 57

Degustatio 57

Deliberate 79

Deputatus 57

Dive 79

Documentum 58

Domesticus 56

EBV 103

Emisarius 58

Emotio 57

Enflasyon 25

Eruditio 57

Excisio 57

Expansio 57

Expressio 57

FAS 24

Fetcher 79

FOB 24

Fructuarius 59

Frustratio 57

Gate 79

Governor 141, 142

Grounding 79

Gross Domestic Product 141

Gubernator 57

Hereditarius 59

HSV-I 103

Indulgentia 57

Imperium 58

Imperia 58

Institutiones 56

IP Relay 117

Iussum 59

Kalendae 56

- Legatus** 56
 Linear function 82
 Loitering 79
Manager 141
 Mancipatio 58
 Marker 79
 Materia 57
 Mediator 57
 Memoria 57
 Migrans (migrantis) 58
 Motio 57
Naturalisatio 57
 NMM// NMS- Non Manual Markers or Non Manual Signals 117
 Notarius 58
Objektives recht 61
 Ovatio 57
Padding 79
 Patiens (patientis) 58
 Patientia 57
 Payment 142
 Pile up 79
 Plebiscitum 58
 Pontifex 58
 Pontifices 58
 Potentia 57
 Praemia 58
 Praemium 58
 Praesidium 58
 Princeps 58
 Principes 58
 Probatio 57
 Procuratura 56
 Prop 79
 Pseudo 100
Ratio (rationis) 59
 Receiver 79
 Regio 57
 Remissio 57
 Reserves 79
 ROR 24
SEE- Signed Exact English 116
 Secans (secantis) 58
 Sekreter 24
 Sentinel 79
 Spear tackle 79
 Standing 79
 Stipendium 58
 Stomping 79
 Straight line 81
 Sub 100
 Subsidia 58
 Subjektives recht 61
 Suicidium 58
 Super 100
Tackle 79
 Tangens (tangents) 58
 TDD 117
 Termini technici 95
 Testamentum 58
 Thermia 100
 Titulus 56
 Touch 79
 Tribunus 56
 TTY 117
UNESCO 16
 Unrecht 61
VRI 117
 VRS 117
 Wheel 79

АПН 11
Бесконечно "большой" 168
 Бесконечно "малый" 168
 боковая поверхность 166
 Болезнь Альцгеймера 105
Валовый внутренний продукт 141
 Вычитание 188
Геометр 165
Деление 188
 действие 188
Задача 188
 Закавказье 33
 Закарпатье 33
 Заполярье 33
 заречье 33
Единица 188
Квадрат 166
 квадратная единица 166
 класс 188
Левобережье 34
 Линейная функция 82

Линия 166

Материальная точка 166

многогранник 164

Налог 142

Неправда 61

НТВ 11

Объективное право 61

Платёж 142

Площадь ромба 166

Плюс 188

побережье 34

Поверхность 166

подлесье 34

Полесье 34

полукруг 168

полуразность 168

полусумма 168

поморье 34

правильная фигура 165

правобережье 34

предгорная равнина 34

предгорье 34

Предел 165

Предметы: однородные и разнородные 188

Прибалтика 34

Приравнивание 165

Прямой угол 165

прямоугольный треугольник 165

Прямая линия 81

Равноугольный треугольник 165

разряд 166

решение 188

РТР 11, 16

Система 188

скобки: фигурные, квадратные, обыкновенные 169

сложение 188

степень 164

субъективное право 61

сумма 188

Теорема Виета 83

Числа: отвлечённые и именованные, однозначные, двузначные и многозначные 188

Умножение 188

Уравнение 162

Эквивалент 165

Южная область 36

южное полушарие 36

южный полюс 36

Ayaktop 22

Ankes (en caisse) 25

Avantaj 24

Bildiri 24

Beyanname 24

Bunalım 24

Buhran 24

Buzdağı (iceberg) 25

Charter 24

Deklarasyon 24

Demiryol 25

Dörtmala 25

Denizaltı (submarine) 25

Dijital 24

Edisyon 24

Güneybatı 25

Hot dog 24

Hasret 24

Internet 24

Interaktif 24

İpotek 24

Kaymak 49

katip 24

Kriz 24

Kültür 24

Medeniyet 24

Metot 24

Motamo (mot à mot) 25

Nostalji 25

Nötron 23

Nomal (normal) 25

Osmanlıca 18

Prestij 24

Pretaport (pret à porter) 25

Sepettop 22

Sayıstik (statistique) 25

Usul 24

Uçantop 22

Uygarlık 24

Vizyon 24

Yazman 24

Yöntem 24

აფატრასკი 155
 აცგაგრასკი 153
 აცგაგრუქი 153
 აბანგ 155
 ავსარხაგრუქი 154
 ასთღაგითუქი 153
 ასთღაგეთ 153
 ასთღაგითასკი 153
 არბანაგრაგითუქი 154
ბანასხრუქი 153
 ბანასერ 153
 ბათაგითუქი 155
 ბათაყაჯარ 153
 ბათარას 155
 ბათარასაგირ 155
 ბათარასაგრუქი 155
 ბარბათ 156
 ბარბათარას 156
 ბათგირჲ 155
 ბნაქითუქი 156
 ბოსარას 153
 ბარბათარასუქი 155
 ბოსარასუქი 153
გრასანუქი 153
გიჭათნგ 156
გერ 151, 155
 გერარასუქი 155
 გერარათუქი 155
 გოარარათ 155
 გრერარათ 156
 გრერაჯაფასკი 153
 გრერაჯაფითუქი 153
 გონინი 156
გლარასუქი 154
გლასთარასუქი 156
 გლასთაფითუქი 156
ღეღვასკი 155
 ღეღვასგითუქი 155
ყენგანარას 153
 კენგანარასუქი 153
კინსერეთ 155
ხასკანონი 156
 ხამანონი 156
 ხნაგრაგითასკი 154
 ხნაგრაგითუქი 154
 ხნაგითუქი 154
 ხნლარასასკი 154
 ხნლარასუქი 154

ხნუიქ 155
 ხნუიქარასუქი 155
 ხნუინარასუქი 155
 ხოგერას 153
 ხოგერასასკი 153
 ხოგერასუქი 153
 ხოქ 155
 ხონანხი 155
ღენ 156
 ღლარასუქი 155
 ღართარაყეთ 153
 ღართარაყეთუქი 153
წარბენათიქა 154
 მათენაგეთ 153
 მათენაგითასკი 153
 მათენაგითუქი 153
 მიჯაბანგ 155
 მიჯაბანგონი 155
 მიჯამანსიქ 155
 მორჭოტგია 155
ნაქსაბანგ 155
ჯარახიუთუქი 155
ყლათმუქი 153
სათათიხათიქა 153
ქიბასკაგრუქი 153
 ქიმაგრაგითუქი 154
თერმინარასუქი 155
 თრამარასუქი 154
ქერაგასკი 153
 ქერაგუქი 155
 ქერჯაბანგ 155
 ქიქიხათი 154
 ქიქიხათიუქი 153
 ქორბაქსუქი 154
რერასანუქი 155
 რიმერაქი 156
 რმარას 155

يارانه 145
 رايانه 145
 كاربر 145
 خودرو 145
 -پايانه 145
 چاپگر 145
 چرخيال 145
 تراشه 145

პირთა და გეოგრაფიული სახელები

- აბაშიძე ლ. 95
 აბაშიძე ს. 95
 აბდულაევი რ. 195
 აბესაძე ა. 95
 აგლაძე რ. 131
 ავალიშვილი ი. 164
 ავალიშვილი ქ. 131
 ათათურქი 21, 80
 აიათოლა ალ ხამენეი 146
 აინშტაინი 83
 ალადაშვილი ა. 95
 ალექსიძე ლ. 54
 ალოის ალცჰაიმერი (Alois Alzheimer) 105
 ამირანაშვილი ნ. 96, 106
 ამონიოს ერმისი 125, 128
 ამური (მდინარე) 34
 ამფილოქე ეპისკოპოსი 125
 ანთელავა გ. 18, 27
 ანტონ კათალიკოზი 192
 არაბული ა. 2, 8, 9, 15
 არსენ იყალთოელი 93, 125, 177
 არშა ნ. 51
 ასათიანი ი. 46, 51
 აფრიდონიძე შ. 2, 15, 28, 32, 37, 133, 195, 196
 აფხაზავა ი. 37
 ახვლედიანი ც. 39
 ახვლედიანი გ. 194
ბ
 ბაბუნაშვილი ე. 15
 ბაგრატიონი დ. 206
 ბანგუოღლუ თ. (Tahsin Banguoglu) 21
 ბაქრაძე ი. 37
 ბერიძე გრ. 51, 208
 ბერიძე ვუკ. 28, 179, 180, 184, 190, 196
 ბერიძე ვ. 130, 180, 181, 184, 189, 193, 196
 ბერიძე ი. 178, 192
 ბენაშვილი ა. 192, 160
 ბერიკაშვილი დ. 192
 ბეროზაშვილი თ. 208
 ბერულავა თ. 15
 ბერულავა რ. 15
 ბიზანტია 19, 126
 ბუკია მ. 51, 46
 ბურჭულაძე თ. 9
გ
 გაბიაშვილი ე. 59
 გაგუა ი. 54
 გამყრელიძე ო. 2, 61, 72
 გაჩეჩილაძე პ. 50, 52, 207
 გედევანიშვილი გ. 159, 178
 გელაშვილი გ. 2
 გიგინეიშვილი ზ. 74
 გიგინეიშვილი ი. 37, 132, 219
 გიგინეიშვილი კ. 131
 გიორგი მთაწმინდელი 177, 180
 გიუნაშვილი ე. 59, 128
 გლურჯიძე შ. 138
 გოგებაშვილი ი. 106, 179, 187, 196
 გოგეშვილი გ. 81
 გოგოლაშვილი გ. 2
 გოკიელოვი ნ. 161
 გომელაური ვ. 132
 გონიაშვილი თ. 131
 გრიგოლ ნოსელი 93
 გრიგოლ ხანძთელი 93
 გულისაშვილი ა. 131
 გურგენიძე მ. 133
დ
 დავით აღმაშენებელი 128
 დავით ბაგრატიონი 207
 დავით ბატონიშვილი 94
 დავით რექტორი 189
 დათეშიძე ა. 106
 დათეშიძე ლ. 101, 106
 დათეშიძე ნ. 2, 87
 დანელია მ. 54
 დგებუაძე რ. 95
 დვალი რ. 131
 დოლაქიძე მ. 59, 128
 დონდუა გ. 37
 დიონისე თრაკიელი 149
 დმიტრიევი ნ. 18, 27
 დნეპრი (მდინარე) 34
 დნესტრი (მდინარე) 34
ე
 ებანოიძე თ. 84, 85
 ელიაშვილი ა. 131
 ეპიფანე 93
 ერევანი 157
 ერისთავი რ. 179, 187, 190, 196
 ევრემ მცირე 4, 93, 177, 180

ექვთიმე მთაწმიდელი 93

ვაიერშტრასი 83

ვაშაკიძე თ. 2, 9

ვახტანგ VI 94

ვეფხვაძე თ. 81

ვეშაპიძე ი. 89, 91

ვიეტი (Viète) 83

ვოლგა (მდინარე) 34

ზეკლავილი რ. 93, 99, 101, 102, 104, 106

ზურაბიშვილი თ. 37

თავაძე ფ. 132

თბილისი 6, 10, 147, 192

თევზაძე გ. 195

თვალთვაძე დ. 2

თიკანაძე ივ. 95

თოფურია ვ. 207

თურქეთი 18, 20, 21, 26, 144

იოანე ბაგრატიონი 94

იოანე დამასკელი 93

იოანე პეტრიწი 93, 123, 124, 163, 165, 166, 177, 180, 189, 193

იოანე სინელი 190

ილარიონ ქართველი 93

ირანი 144, 145, 146, 147

იშხანიანი რ. 152, 157

კაკაბაძე ვ. 131, 159, 178

კამკამიძე კ. 133

კანდელაკი ალ. 161

კარლ მარქსი 141

კეჭელაძე ნ. 128

კვარაცხელია გ. 2

კვესელავა დ. 131

კვესიტაძე ე. 137

კიკნაძე გ. 101

კიკნაძე მ. 106

კილურაძე ი. 2, 81, 85

კობახიძე ა. 37, 132, 133

კობახიძე ე. 54

კოპალეიშვილი ბ. 95

კოტეტიშვილი ლ. 94, 198, 207

კუჭაიძე ვ. 95

ლაიზნიცი 83

ლევენდი 20, 27

ლეჟავა ლ. 216, 219

მაისურაძე ზ. 95

მაკალათია ფ. 32, 37

მაღაშხია ი. 95

მარტვირი საბაწმიდელი 93

მაჩაბელი ი. 179, 187

მახალდიანი ვ. 131

მახარაძე ფ. 179, 180, 196

მახარაძე შ. 195

მახარობლიძე თ. 109

მაჰმუდ II 19

მელიქიშვილი დ. 121

მელიქიშვილი პ. 6

მელიქსეთბეგი ლ. 152

მენტეშვილი სტ. 48, 52, 208

მესხიშვილი მ. 208

მემმარიაშვილი ე. 2

მიქელაძე გ. 131

მიჩიტაშვილი ა. 195

მრეკლიშვილი იოს. 187

მუზაშვილი ნ. 2, 130

მუსხელიშვილი ნ. 81, 85, 194

მჭედლიშვილი ირ. 159, 192

მჭედლიშვილი ქ. 63, 72

ნადირაძე ე. 131

ნათიშვილი ა. 95

ნარაკიძე ც. 48, 52

ნემესიოს ემესელი 93

ნიკოლაძე გ. 6, 28, 85, 159, 192, 194

ნიკოლაძე ე. 160

ნიკოლაძე ნ. 160

ნიკოლაძე რ. 131

ნიკოლაძე-პოლიევკტოვისა რ. 159, 192

ნიკო მარი 48, 50, 51, 52, 194

ნინუა გ. 128, 133

ნიჟარაძე შ. 52, 206

ომიძე ს. 136

ონიაშვილი თ. 131

ოსაძე მ. 2, 87

პაპავა ვლ. 2, 141

პეტრიაშვილი ვ. 6

ქლენტი ვ. 95

რაზმაძე ა. 192, 194

რამიშვილი რ. 143

რაფავა მ. 128

რაფარენი ქ. 39

რობაქიძე გრ. 78

რობაქიძე მ. 149

როსტომაშვილი ი. 190

რუხაძე ნ. 54

რუხაძე ლ. 199, 207

საკაშვილი მ. 138

სალუქვაძე მ. 133
 სამეგრელო 47
 სარაჯიშვილი გ. 159
 სარჯველაძე ზ. 48, 52, 208
 საფრანგეთი 19, 39, 41, 42, 43, 68, 75, 162, 168, 171
 საქართველო 47, 51, 55, 56, 57, 62, 63, 66, 67, 82, 93, 109, 112, 127, 128, 164, 171
 სელიმ III 191
 სემიონოვი 190
 სეხნიაშვილი მ. 2
 სვანიძე რ. 171
 სირაძე ნ. 106
 სომხეთი 149, 150
 სულხანიშვილი გ. 195
 სულხან-საბა ორბელიანი 5, 52, 77
 სხირტლაძე რ. 171
ტ
 ტურავა მ. 71
უ
 უზნაძე დ. 194
 უკლება დ. 37
 უსტიაშვილი ა. 95
ფ
 ფანასკერტელი-ციციშვილი ზ. 94, 201, 207
 ფარნავაზ მეფე 127
 ფეიქრიშვილი ქ. 207
 ფენრიხი პ. 48, 52
 ფოგელი 192
 ფოჩხუა ბ. 37, 46
 ფროიდი 70
ქ
 ქალდანი მ. 207
 ქანანელი 94, 208
 ქაროსანიძე ლ. 2, 176, 178, 182, 184
 ქემალისტები 20
 ქვლივიძე მ. 188, 189, 197
 ქუთათელაძე ი. 95
ღ
 ღაზარიანი მ. 152, 157
 ღამბაშიძე რ. 28, 37, 87, 91, 99, 106, 131, 179, 184, 192, 195, 197, 207
 ღლონტი ა. 171
 ღლონტი თ. 95
 ღულაძე ანდრ. 187
ყ
 ყაუხჩიშვილი ს. 94
 ყიფიანი დ. 160
 ყიფიანი ვ. 192
 ყიფიანი კ. 163
 ყიფიანი მ. 192

შ
 შალამბერიძე გ. 101
 შალამბერიძე მ. 159, 178, 192
 შალიკაშვილი მ. 70, 72
 შანიძე ა. 88, 92, 101, 208
 შევარდნაძე ე. 139
 შენგელია ა. 106
 შენგელია მ. 94, 208
 შენგელია რ. 2
ჩ
 ჩიქობავა არნ. 48, 52
 ჩუბინაშვილი დ. 94, 163, 205, 208
 ჩუბინაშვილი ნ. 94, 163, 205, 208
ც
 ციციშვილი გ. 133
 ცხადაია პ. 37
ძ
 ძაგნიძე ო. 187
 ძიმიგური ა. 131, 132, 133
 ძიმიგური გ. 2
წ
 წერეთელი ა. 10, 179, 187
კ
 კაბაშვილი მ. 37, 59, 63, 69, 71, 132
 კავჭავაძე ი. 178, 183, 187
 კარაია პ. 48, 52
 კელიძე ლ. 72, 70
 კინჭარაული ა. 37, 208
 კიჭინაძე ბ. 161
 კიჭინაძე ზ. 187
 კოლოშვილი გ. 131, 187, 194, 195
 კოხოხელიძე ნ. 198
 კრელაშვილი 187
 ჭუმბურიძე ნ. 210
ხ
 ხარაძე ა. 85, 194
 ხარაძე გ. 133
 ხარშილაძე ფ. 82, 85
 ხმიადაშვილი დ. 131
 ხრამელაშვილი ე. 192
 ხოჯაყოფილი 94
ჯ
 ჯავაშვილი გ. 101
 ჯავახიშვილი ივ. 94, 160, 179, 183, 194
 ჯანაშვილი მ. 160
 ჯაჯანაშვილი რ. 192
 ჯიბუტი გ. 95
 ჯიბუტი ი. 2, 130, 133
 ჯორბენაძე ბ. 214, 215, 219
 ჯორბენაძე ნ. 214
 ჯორჯაძე ბ. 183
 ჯოჯუა ვ. 37
პ
 პეიდი 23, 27
 პენდელი 83

- A**bashidze L. 107
 Abashidze S. 107
 Abesadze A. 107
 Arabuli A. 15
 Antelava G. 27
 Apridonidze Sh. 37
 Akhvlediani Ts. 44
Berlin 118
 Boston 117
 Brazil 118
 Bukia M. 52
 Burchuladze T. 15
California 118
 Cambridge 118
 Chokhonelidze N. 209
 Chumburidze N. 213
Danelia M. 60
 Dateshidze N. 92
Dgebuadze R. 107
 Dzagnidze O. 197
Florianopolis 118
Gagua I. 60
 Gamkrelidze O. 72
 Gigineishvili Z. 79
 Glonti A. 175
 Gogishvili G. 85
Hillsdale 117
Karosaniidze L. 185
 Kobakhidze E. 60
 Kotetishvili L. 107
 Kutateladze L. 107
Maisuradze Z. 107
 Makharoblidze T. 118, 119
 Melikishvili D. 129
 Muzashvili N. 134
Natishvili A. 107
 Nikoladze G. 170
Omiadze S. 140
Papava V. L. 143
Ramishvili R. 148
 Robakidze M. 158
 Rukhadze N. 60
San Diego 118
 Sarajishvili G. 170
 Shengelia M. 107
 Skhirtladze R. 175
 Svanidze R. 175
Tbilisi 16, 118
Vashakidze T. 15
 Vepkhvadze T. 85
Zekalashvili R. 107
Javakhishvili Iv. 107, 16
 Jorbenadze N. 219
Washington 117

ს ა რ ზ ე ვ ი

წინათქმა	3
ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე , ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის).....	9
Avtandil Arabuli, Tamar Vashakidze, Tea Burchuladze , Vocabulary of Georgian Word Abbreviations (building principles).....	15
გიორგი ანთელავა , უცხოენოვანი ნასესხები ლექსიკის ადგილი თურ- ქული ტერმინოლოგიის განვითარების პროცესში	18
Giorgi Antelava , A Role of the Foreign Adopted Vocabulary in the Process of Development of Turkish Terminology	27
შუქია აფრიდონიძე , გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი ქართულში	28
Shukia Apridonidze , Questions of Georgian Geographical Terminology	37
ციური ახვლედიანი , საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში	39
Tsiuri Akhvlediani , Aspects of Language Policy of France in XXI Century	44
მანანა ბუკია , ენათა შერევის ტენდენცია ზანურ დარგობრივ ლექსიკაში	46
Manana Bukia , Tendency of Language Mixing in Zan Occupation- related Vocabulary	52
იამზე გაგუა, მაია დანელია, ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხა- ძე , ლათინური იურიდიული ტერმინების გადმოცემისათვის ქართულად	54
Iamze Gagua, Ekaterine Kobakhidze, Maia Danelia, Nino Rukhadze , Towards the Equivalences of Latin Legal Terms	60
ოთარ გამყრელიძე , ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის საკითხები	61
Otar Gamkrelidze , Issues of the Georgian Legal Terminology	73

ზაალ გიგინეიშვილი , რაგბის ქართული ტერმინოლოგია.....	74
Zaal Giginishvili , The Georgian Terminology of Rugby	79
გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე , ქართული მათემატიკური ტერმინოლოგია – მდიდარი მემკვიდრეობა და სადღეისო აქტუალური საკითხები.....	81
Guram Gogishvili, Teimuraz Vepkhvadze , On Some Topical Questions about Usage and Refining of Georgian Mathematical Terms.....	85
ნინო დათეშიძე, მარინე ოსაძე , შიდა და შიგა მსახდვრელიან ტერ- მინთა დაზუსტებისათვის	87
Nino Dateshidze, Marine Osadze , For Clarification of Terms with Determiners <i>shida</i> and <i>shiga</i>	92
რუსუდან ზეკალაშვილი , ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია და ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი.....	93
Rusudan Zekalashvili , Georgian Medical Terminology and some Urgent Problems	107
თამარ მახარობლიძე , ტერმინთა პრობლემა ქართულ ჟესტურ ენაში	109
Tamar Makharoblidze , The Problem of Terms in the Georgian Sign Language	119
დამანა მელიქიშვილი , ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისათვის.....	121
Damana Melikishvili , The Meaning of the Experiences of the Old Georgian Literacy Schools for the Development of the Georgian Special Terminology	129
ნათელა მუზაშვილი, ინგა ჯიბუტი , მრავალდარგოვანი ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქციისათვის	130
Natela Muzashvili , New Edition of Multi-field Technical, Termi- nological Dictionary	134
სალომე ომიადე , ლექსემა „ტერმინის“ ხმარებისათვის.....	136
Salome Omiadze , About Use of the Lexeme „Term“ („termini“)	140

ვლადიმერ პაპავა , თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერ- მინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები	141
Vladimer Papava , Modern Georgian Economic Terminology: New Problems and Old Mistakes.....	143
რუსუდან რამიშვილი , ენობრივი პოლიტიკა ირანში	144
Rusudan Ramishvili , Terminology Questions in Iran	148
მერაბ რობაქიძე , საერთაშორისო ტერმინოლოგიის სომხური ეკვივალენტები	149
Merab Robakidze , Armenian Equivalents of Foreign Terms	158
გიორგი სარაჯიშვილი , გიორგი ნიკოლაძე – ტექნიკური ლექსიკონის თანაავტორი.....	159
Giorgi Sarajishvili , Giorgi Nikoldze – Co-author of Technical Dictionary	170
რევაზ სვანიძე, რატი სხირტლაძე, ალექსანდრე ღლონტი , კავშირგაბმულობის ინგლისურ-რუსულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი.....	171
Revaz Svanidze, Rati Skhirtladze, Aleksandr Glonti , English – Russian – Georgian Explanatory Dictionary for Communication	175
ლია ქაროსანიძე , ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე.....	176
Lia Karosanidze , English – Russian – Georgian Explanatory Dictionary for Communication	185
ომარ ძაგნიძე , ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია	187
Omar Dzagnidze , For History of Formation of the Georgian Mathe- matical Terminology	197
ნინელი ჭოხონელიძე , ზოგი ძველი ნასესხები სამედიცინო ტერმინის ისტორიისათვის	198
Nineli Chokhonelidze , On History of Some Old, Adopted Medical Terms	209

ნინო ჭუმბურიძე , რამდენიმე ტერმინოლოგიური შესიტყვების შესახებ	210
Nino Chumburidze , On Some Terminological Collocations.....	213
ნინო ჯორბენაძე , ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)	214
Nino Jorbenadze , Towards Defining the Georgian Literary Norms and its Relation to the Functioning of the State Language (History and Modern times)	219
საძიებელი	221
სარჩევი	243